Zaza Aleksidze

"Acts of Ioane Zedazneli" and "Martyrdom of Abibos Nekreseli"

Sinaitic redactions

TBILISI
2019

ზაზა ალექსიძე

„საქმენი იოვანე ზედაზადნელისანი“
და
„მარტვლობაჲ აბიბოს ნეკრესელისაჲ“

სინური რედაქციები

თბილისი
2019

რედაქტორები
ხათუნა გაფრინდაშვილი
დალი ჩიტუნაშვილი

სარედაქციო ჯგუფი
ნიკოლოზ ალექსიძე
ირმა ხოსიტაშვილი

ISBN 978-9941-9677-2-6

© ზაზა ალექსიძე, 2019



შიო მღვიმელი, იოანე შუამდინარელი (ზედაზნელი), ევაგრიოს (ფრესკა, ახტალის მონასტერი). გ. გაგოშიძის ფოტო.

„სული მშობელთა ჩუენთაჲ სანატრელ ყავ, უფალო!“
თეოფილე ხუცესმონაზონი

წინათქმა

სამეცნიერო წრეებისათვის უკვე კარგად არის ცნობილი სინას მთაზე, წმ. ეკატერინეს მონასტერში აღმოჩენილი ქართულ ხელნაწერთა კოლექციის შესახებ. გამოქვეყნდა ამ კოლექციის ვრცელი კატალოგი ქართულად, ბერძნულად და ინგლისურად, ასევე რამდენიმე მანამდე უცნობი ტექსტი, პალიმფსესტი და მრავალი ნაშრომი.

წმ. ეკატერინეს მონასტრის ახალ კოლექციაში დადასტურებულ მნიშვნელოვან ძეგლებს შორის გამოირჩევა ორი ხელნაწერი, N/Sin.geo-48 და N/Sin.geo-50. ამ ხელნაწერებში განთავსებულია „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ორი ყველაზე ძველი და მანამდე უცნობი რედაქცია, ასევე „ასურელ მამათა საქმენისა“ და „აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის“ უძველესი და სხვათაგან განსხვავებული რედაქციები. აღმოჩენიდან დაახლოებით 30 წლის მანძილზე მე შევძელი გამომექვეყნებინა N/Sin.geo-50-ის ფაქსიმილური გამოცემა („მოქცევაჲს“, „ასურელ მამათა საქმენისა“ და „აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის“ ტექსტებით) ვრცელი კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური გამოკვლევით, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ორი ტექსტი და მრავალი გამოკვლევა ამ ორივე მნიშვნელოვან წყაროსთან დაკავშირებით ქართულ და უცხოურ ენებზე.

სამწუხაროდ, აქამდე ვერ მომიხერხდა ტექსტოლოგთათვის ასეთი ძვირფასი ტექსტის სრულად გამოქვეყნება, რის გამოსწორებასაც წინამდებარე ნაშრომში შევეცდები. არ ვარგა თავის მართლება, მაგრამ მაინც მინდა ვთქვა, რომ წმ. ეკატერინეს მონასტერში ჩემ მიერ გამოვლენილი კავკასიის ალბანეთის პალიმფესტური ტექსტის ამოკითხვამ, იდენტიფიკაციამ და გაშიფრვამ ყველაზე ნაყოფიერი დრო წაიღო.

ეს წიგნი დიდი ხანია იწერება, დაახლოებით 1994 წლიდან, რა დროიდანაც ხელნაწერის ფოტოები მოვიპოვე, მაგრამ ხანგრძლივი წყვეტილებით. ამ ხანებში ასურელი მამების შესახებ ბევრი მნიშვნელოვანი ნაშრომი დაიბეჭდა სხვა ავტორების მიერაც. ვცდილობდი, ჩემს დიდი ხნის წინ დაწყებულ ნაშრომს დროდადრო დავბრუნებოდი და გამოთქმული მოსაზრებები, რამდენადაც შემეძლო, გამეთვალისწინებინა.

კრებული N/SIN.GEO-50

ტექნიკური აღწერილობა

ახალი კოლექციის N/Sin.geo-50 წარმოადგენს კრებულს, რომელშიც დღევანდელი მდგომარეობის მიხედვით გაერთიანებულია „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, „საქმენი წმიდისა იოვანე ზედაზადნელისანი" და „ცხორებაჲ და წამებაჲ წმიდისა აბიბოზ ნეკრესელ ქალაქისა ებისკოპოზისაჲ“.

ტექსტი ნაწერია მართკუთხედის ფორმის (130×130 სმ) ეტრატზე, ერთ სვეტად, მსხვილი გრაფემებით, შავი მელნით. ხელნაწერი უყდო და თავბოლონაკლულია. ამჟამად შეიცავს 103 ფურცელს, აკინძულია რვეულებად (თითო რვეულში ძირითადად 8 ფურცელია, ზოგჯერ უფრო მეტი, მაგალითად – 12), აქვს რვეულების სათვალავი (იკითხება მეხუთედან მეთექვსმეტემდე). რვეულების აღნიშვნა გაკეთებულია რვეულის თავსა (ფურცლის ზედა არშიის შუაში, ზოგჯერ მარჯვენა კიდეში) და ბოლოში (ფურცლის ქვედა არშიის შუაში) ასომთავრული გრაფემებით, რომლებიც ხაზგასმულია ზემოდან ქარაგმის ნიშნით და გარშემო სამი მხრიდან ორ-ორი წერტილით. რვეულების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ხელნაწერს თავში აკლია დაახლოებით 32 ფურცელი.

პალეოგრაფია

ტექსტი ნაწერია ნუსხურით, რომელშიც ზოგჯერ ერევა მთავრული (ზოგი გრაფემა სისტემატურად მთავრულით არის შესრულებული, მაგალითად, „ჭ“, „პ“ და „შ“ გრაფემები). დასათაურებები მოცემულია სინგურით შესრულებული მთავრულით, ხოლო აბზაცების მსგავსი პერიოდები შიგ ტექსტში ასევე მთავრულით, ოღონდ შავი მელნით.

მთლიანად კრებული ერთი ხელით არის დაწერილი, მაგრამ შიგ ჩართულია სხვა ხელიც (42r-ს ბოლო აბზაციდან 43r-ს ჩათვლით, 100v-ს ნაწილი). მეორე ხელის ავტორი სხვა კალამს ხმარობს, მისი ხაზი უფრო მსხვილი, ენერგიული და მკვეთრად დახრილია. ჩანართების

სათაურები შესრულებულია სინგურით დაწერილი ასომთავრულით და ძირითადი ტექსტისგან გასამიჯნავად არშიის მარცხენა მხარეს დასმული აქვს ვარსკვლავი (ჯვრის მსგავსი ნიშანი, ფრთებს შორის წერტილებით).

ქარაგმა

სათაურებში ქარაგმის ნიშნებად იხმარება კიდურწერტილოვანი, ოდნავ მარჯვნივ აზიდული სწორი ხაზი. ზოგჯერ ქარაგმის ხაზს წერტილები საერთოდ არა აქვს ან წერტილის მაგიერ ზემოდან მარცხნივ უზის კაუჭი. ქარაგმის ნიშანი ყოველთვის დასმულია ერთი გრაფემის თავზე (არ გადადის მეორეზე).

ძირითად, ნუსხურ ტექსტში ქარაგმის ნიშანია მარჯვნივ ზემოთ მიმართული მარტივი გაკრული ხაზი, რომელიც ხანდახან კიდურწერტილოვანია ან კიდურკაუჭოვანი. ზოგჯერ მას კაუჭი აქვს მხოლოდ მარცხნივ ან ძალიან იშვიათად მხოლოდ მარჯვნივ. ქარაგმის ნიშანი ჩვეულებრივ დასმულია ორი გრაფემის თავზე, ხოლო ძალიან იშვიათად იგი მესამეზეც გადადის.

მეორე ხელით ნაწერ ტექსტში ქარაგმის ნიშნად გამოყენებულია უმეტესად მარჯვნივ ზემოთ აწეული (ზოგჯერ ჰორიზონტალური) სწორი გაკრული ხაზი, რომელსაც იშვიათად აქვს კაუჭი მარჯვნივ ან მარცხნივ. დასმულია ჩვეულებრივ ერთი გრაფემის თავზე, ზოგჯერ მეორეზეც გადადის.

განკვეთილობის ნიშნები

ტექსტის სათაურებში განკვეთილობის ნიშნად იშვიათად გვხვდება ერთი ან ორი წერტილი. ხმარების კანონზომიერება არ შეიმჩნევა, თუმცა იგი უფრო ხშირად გვხვდება ა-ნის შემდეგ, გრაფემის შუა ნაწილის დონეზე.

ძირითად ტექსტში განკვეთილობის ნიშნად გვხვდება მკრთალად აღნიშნული ერთი წერტილი. მისი ხმარების კანონზომიერება არა ჩანს: გამოყოფს ხან ერთს, ორს, სამს, ხან კი ბევრად მეტ სიტყვას ერთმანეთისგან.

მეორე ხელით ნაწერ ტექსტში განკვეთილობის ნიშნად გამოყენებულია ენერგიულად დასმული ორი წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. ორი წერტილით არ გამოიყოფა მხოლოდ კავშირები „და“, „რომელი“, „არამედ“, „ან“, მაგრამ გამოიყოფა „რამეთუ“.

ანდერძ-მინაწერები

1

N/Sin.geo-50-ის 72r-ზე, სადაც მთავრდება „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტექსტი და იწყება „საქმენი წმიდისა იოვანე ზედაზადნელისანი“, წითელი მელნით გაკეთებულია ათსტრიქონიანი, მსხვილი ნუსხური ასოებით (ზოგან გათხაპნილი) შესრულებული ანდერძ-მინაწერი, რომლის სიტყვათა უმრავლესობას შორის დასმულია განკვეთილობის ნიშნად ორი წერტილი. ქარაგმის ნიშნად გამოყენებულია ერთი გრაფემის თავზე დასმული სწორი ხაზი.

> „სახელითა ღ(მრ)თისა(ჲ)თა, ესე წიგნი „ქა[რ]თლის მოქცევისანი“ მე, არშოშა-ყოფილმან ი(ო)ვ(ა)ნე, შევწირენ წმ[ი]დას მთასა სინასა სალოცველად შვ(?)---ეთა(?) ჩემთათჳს – დემ[ე]ტრი, ად(ა)რნე(რ)სე და ნერსე. დ[ა] ს[ა]ჴსენებლად სულისა ჩემისათუს ლოც[ვა] ყავ<ა>თ, ამ(ე)ნ“.[1]

მთლიანად ტექსტი ადვილად იკითხება. გაურკვეველია მხოლოდ სიტყვა, რომელსაც კითხვის ნიშანი დავუსვით. კონტექსტის მიხედვით, თითქოს ერთადერთი წაკითხვა უნდა იყოს „შვილთა“. მართლაც სიტყვის მეორე გრაფემა, დიდი ალბათობით, უნდა მივიჩნიოთ ვ-ინად, მაგრამ მომდევნო ორი თუ სამი გრაფემა სრულიად გაუგებარია. ამასთანავე აშკარად იკითხება ე-ნი იქ, სადაც „შვილთა“-ს შემთხვევაში უნდა იყოს ლ-ასი. მე მაინც ვფიქრობ, რომ ტრაფარეტის მიხედვით ამ ცუდად დაწერილ სიტყვაში უნდა ამოვიკითხოთ „შვილთა“.

ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ანდერძში არშუშა-ყოფილი (ტექსტში „არშოშა“. ო<>უ ძველი ქართული ტექსტებისათვის ჩვეულებრივია) იოვანე ლაპარაკობს სინას მთისათვის ორი ან მეტი „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ წიგნის შეწირვის შესახებ. ახალი ქართულით რომ გამოვთქვათ, იგი აცხადებს შემდეგს: „ეს ქართლის მოქცევის წიგნები მე შევწირე სინას მთას“. ანდერძის ავტორი მრავლობითი რიცხვის

[1] *მოქცევაჲ ქართლისაჲ (სინური რედაქციები)*, 59.

ფორმით გამოხატავს შეწირული წიგნების სახელწოდებას და თვითონ შეწირვის ფაქტის გადმომცემ ზმნას („ქართლის მოქცევისანი", „შეეწირენ"). მხოლობითშია მოცემული მხოლოდ სიტყვა „წიგნი", მაგრამ აქ, ცხადია, მრავლობითი რიცხვის გამომხატველი ნ-არი „შეჭმულია" ფუძისეული ნ-არის მიერ.

N/Sin.geo-50 ერთი მთლიანი ხელნაწერია, გადაწერილია ერთი მიზნით და ძირითადად ერთი ხელით. იმის დაშვებაც კი შეიძლება, რომ ის რამდენიმე ფურცელი, რომელიც განსხვავებული ხელით არის დაწერილი, თვით შემწირველის შესრულებულია როგორც ე.წ. „მოქცევაჲ ქართლისაჲში", ისე „ასურელ მამათა ცხოვრების წიგნებში" („იოვანე ზედაზადნელის საქმენი" და „აბიბოს ნეკრესელის მარტვილობა").

ანდერძი, რომელიც არშუშა-ყოფილმა იოვანემ გააკეთა, ხელნაწერში განთავსების მიხედვით მთლიანად ხელნაწერს ეხება და არ უნდა გულისხმობდეს მხოლოდ მის ერთ-ერთ ნაწილს. მაშასადამე, მისი სიტყვები – „ესე წიგნი ქართლის მოქცევისანი შევწირენ წმიდასა მთასა სინას" – ასევე არ შეიძლება გულისხმობდეს მხოლოდ ე.წ. „მოქცევაჲ ქართლისაჲს მატიანეს" და „წმ. ნინოს ცხოვრებას". იგი იმავე დროს გულისხმობს „ასურელ მამათა ცხოვრების" წიგნებსაც. ამრიგად, „წიგნნი ქართლის მოქცევისანი" მოიცავს ე.წ. „მოქცევაჲ ქართლისაჲს მატიანეს", „წმიდა ნინოს ცხოვრებას", „იოვანე ზედაზადნელის საქმეთა" და „აბიბოს ნეკრესელის მარტვილობას".

თუ ასეა, ანდერძის ავტორისათვის ქართლის მოქცევა არის არა რომელიმე ცალკე აღებული წიგნის სათაური, არამედ *ისტორიული პროცესის, ქართლის გაქრისტიანების პროცესის სახელწოდება და მისთვის ქართლის მოქცევის წიგნებია ყველა ის წიგნი, რომელიც ამ პროცესს ასახავს.*

ასურელ მამათა მოღვაწეობა რომ ნამდვილად სამისიონერო იყო, ეს ყველასათვის ცხადია, მაგრამ, პირველ რიგში, იგი აღქმულია ხოლმე როგორც საქართველოში მართლმადიდებლობისა და სამონასტრო ცხოვრების დამამკვიდრებელი მოძრაობა (არის ამის საპირისპირო ვარაუდებიც, მაგრამ ისინი მე საკმარისად დასაბუთებული არ მეჩვენება). თუმცა შეუმჩნეველად არც ის არის დარჩენილი, რომ ასურელ მამებს ტრადიციით მიეწერებათ საქართველოს სხვადასხვა კუთხის, განსაკუთრებით მთის მოქცევაც ქრისტიანობაზე.

არსებითად, ასურელ მამათა მოღვაწეობამ დაამთავრა ქართლის გაქრისტიანების პროცესი. მაშასადამე, თეორიულად შესაძლებელია, რომ ასურელ მამათა ცხოვრების წიგნები, თავისი თავდაპირველი სახით, ქართლის მოქცევის წიგნებად ყოფილიყო გააზრებული.

2

როდესაც მთავრდება წმიდა ნინოს ცხოვრება (72v), „საქმენი წმიდისა იოვანე ზედაზადნელისანის" სათაურის წინ გვაქვს შავი მელნით შესრულებული ორსტრიქონიანი ასომთავრული მინაწერი:

„სახელითა ღ(მრთისა)ჲთა დაესრულა წ(მიდ)ისა ნინოჲსი, ლ(ო)ც(ვა) ყ(ავ)თ".[1]

რატომ გამოყოფს კრებულის შემდგენელი ან გადამწერი ცალკე წმ. ნინოს ცხოვრების წიგნს („დაესრულა წმიდისა ნინოჲსი")? იმიტომ, რომ ქართლის მოქცევის წიგნებად მოხსენიებულ ყველა თხზულებას ცალ-ცალკე სათაური აქვს. კრებულს დასაწყისი აკლია და არ ვიცით პირველ თხზულებას, რომელსაც დღეს პირობითად „მოქცევაჲ ქართლისაჲს მატიანეს ვუწოდებთ", რა ეწოდებოდა ძველად, კრებულის შედგენისას.

კრებულის შემდგენსა და შემწირველს (თუ ისინი არ არიან ერთი და იგივე პირი) მიაჩნიათ, რომ ის წიგნები, რომლებიც კრებულშია შეტანილი (ე.წ. „მოქცევაჲ ქართლისაჲს" მატიანე, წმ. ნინოს ცხოვრება, „საქმენი წმიდისა იოვანე ზედაზადნელისანი", „ცხორებაჲ და წამებაჲ წმიდისა აბიბოზ ნეკრესელ ქალაქისა ებისკოპოზისაჲ"), არის სხვადასხვა წიგნი, მაგრამ ყველა მათგანი მოგვითხრობს ქართლის ქრისტიანობაზე მოქცევის შესახებ.

3

72r-ზე, იმავე სტრიქონზე, სადაც მთავრდება იოვანე არშუშა-ყოფილის ანდერძ-მინაწერი, შავი მელნით და კალიგრაფიული ასომთავრულით გაკეთებულია კიდევ ერთი მინაწერი, რომელიც, დიდი ალბათობით, იმავე პირს ეკუთვნის:

„ქ(რისტ)ე, შ(ეიწყალ)ე ი(ოვა)ნე, ამენ".[2]

---

[1] *მოქცევაჲ ქართლისაჲ (სინური რედაქციები)*, 59; *Le Nouveau Manuscrit Géorgien*, 216.

[2] *მოქცევაჲ ქართლისაჲ (სინური რედაქციები)*, 59; *Le Nouveau Manuscrit Géorgien*, 215.

ხელნაწერის დათარიღება

ხელნაწერი პალეოგრაფიულად X საუკუნით ადვილად თარიღდება. თუმცა შეიძლება უფრო ზუსტი იყოს, თუ IX-X საუკუნეებს ვიტყვით, რადგან ასომთავრულით შესრულებული სათაურების ხელი ძალიან წააგავს IX საუკუნის შუა ხანებით დათარიღებულ ფრესკულ წარწერებს ატენის სიონში (მაგალითად, 853 წლის ე.წ. ბუღა თურქის წარწერას).[1] უფრო ზუსტი დათარიღებისათვის უნდა განვიხილოთ ხელნაწერში დაცული რეალიები.

* * *

ხელნაწერის შემწირველია არშუშა-ყოფილი იოვანე. ვინაიდან იოვანე მას სინას მთას სწირავს, დიდი ალბათობით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ იგი სინას მთაზე ან სადმე ახლოს არის ბერად აღკვეცილი. სინაზე მისი ყოფნის შესახებ დაბეჯითებით ლაპარაკი ძნელია, რადგან ანდერძი ამის საშულებას არ იძლევა. მასში არ არის ავტორის ყოფნა შეწირულების ადგილთან მოაზრებული, როგორც, მაგალითად, იმ შემთხვევაში იქნებოდა, თუ იგი იტყოდა: „ესე წიგნი ქართლის მოქცევისანი შევწირენ წმიდასა *ამას* მთასა სინასა"[2] ან რაიმეს ამის მსგავსად.

იოანეს სახელით X ს-ის მანძილზე სინას მთაზე მოღვაწეობენ იოანე კუმურდოელი, იოანე მინჩხი, იოანე-ზოსიმე.[3] მათთან არშუშა-ყოფილი იოვანეს გაიგივებისათვის არავითარი მონაცემი არ გაგვაჩნია. ამას-

---

[1] ბუღა თურქის წარწერის გამოცემებისათვის იხ.: ბაქრაძე, *ისტორია საქართველოსი,* 219; ჟორდანია, *ქრონიკები,* 82; Джавахов, *К вопросу о времени построения;* შანიძე, *ძველი ქართული ქრესტომათია,* 36; ყაუხჩიშვილი, *ბერძნული წარწერები,* 191; ბარნაველი, *ატენის სიონის წარწერები,* 17-18; ბაქრაძე, *თრიალეთისა და ატენის ძეგლები,* 69; იმნაიშვილი, *ქრესტომათია,* 3; ჯავახიშვილი, *თხზულებანი,* II, 98-99; ბოლო გამოცემა მონახაზითა და ფოტოთი: *ფრესკული წარწერები I,* 132.

[2] მსგავს ფორმას ვხვდებით გარიტის მიერ 38-ე ნომრად აღწერილი ხელნაწერის მომგებლისა და შემწირველის ანდერძში: „...მადლითა და მეოხებითა და ლოცვითა, მე ცოდვილმან და ფრიად უდებმან კჯრიკე, წმიდისა მთასა სინას წმიდისა დეკანოზმან მიძნაძორელმან... შევწირენ *ამასვე წ(მიდა)სა მთასა სინასა* ესე წ(მიდა)ი ოთხთავი და სახ(ა)რებ(ა)ი..". იხ. Garitte, *Catalogue des manuscrits géorgiens,* 150; Цагарели, *Памятники,* 202.

[3] მენაბდე, *კერები II,* 62-63, 67.

თან, „იოვანე" იმდენად გავრცელებული საეკლესიო სახელია, რომ მხოლოდ მასზე დაყრდნობით რაიმე იდენტიფიკაციის შესახებ ლაპარაკი შეუძლებელია.

N/Sin.geo-50-ის მეორე ხელის ძიებამ ე. წ. ჭილ-ეტრატის იადგარამდე მიმიყვანა. ამით იმის თქმა კი არ მინდა, რომ ისინი იდენტურად მიმაჩნია, მაგრამ ერთი მეორეს რომ გაგახსენებს, ცხადია.[1] ასევე მსგავსია, მაგრამ არა იდენტური, არშუშა-ყოფილი იოანეს ანდერძის ხელი N/Sin.geo-50-ის მეორე ხელისა. სამაგიეროდ, *N/Sin.geo-50-ის მეორე ანდერძის ხელი (ყველა თავისი პალეოგრაფიული თავისებურებით) და ტექსტი აბსოლუტურად იდენტურია ჭილ-ეტრატის იადგარის იმ მინაწერისა, რომელსაც ხელნაწერის გადამწერის ანდერძად მიიჩნევენ.*

ჭილ-ეტრატის იადგარის გამოცემაში მინაწერი წაკითხულია ასე: *ღ˜ შ˜ე ი˜ნ˜ე ა˜ნ.*[2] ქარაგმების გახსნით: „ღ(მერთო), შ(ეიწყალ)ე ი(ოვა)ნე, ა(მე)ნ". ასეთი წაკითხვა არ არის სწორი, რასაც უეჭველად გვიჩვენებს ძველი რესტავრაციის დროს ხელნაწერის მეორე გვერდზე გადასული პირველი სიტყვის ანაბეჭდი. ღ(მერთო)-ს ადგილას აქ სრულიად ცხადად იკითხება „ქ˜ე" (ქრისტე).[3] ამასთანავე „ღმერთოს" დაქარაგმება მხოლოდ ერთი გრაფემით („ღ") არ არის ძველი ქართული ტექსტებისათვის ბუნებრივი (უნდა ყოფილიყო ღ˜ო). ამრიგად, უეჭველია, *რომ ჭილ-ეტრატის იადგარისა და N/Sin.geo-50-ის ანდერძების ავტორები ერთი და იგივე პიროვნებაა – არშუშა-ყოფილი იოვანე.* სავარაუდოა, რომ ორივე შემთხვევაში იგი მომგებელ-შემწირველია და არა ხელნაწერთა გადამწერი, როგორც ამას ვარაუდობენ ჭილ-ეტრატის იადგარის გამომცემლები.[4]

დასახელებული ორი ანდერძისა და მათი ავტორების ერთმანეთთან იდენტიფიკაცია რამდენიმე საკითხს აყენებს ჩვენ წინაშე.

1. ჭილ-ეტრატის იადგარის თარიღის შესახებ რამდენიმე მოსაზრება არსებობს. შეხედულებები მერყეობს VII-XI საუკუნეებს შორის.[5]

---

1 H-2123, ჭილ-ეტრატის იადგარი , 1v.

2 *ჭილ-ეტრატის იადგარი*, 216; *უძველესი იადგარი*, 695.

3 H-2123, *ჭილ-ეტრატის იადგარი*, 1v-2r.

4 შდრ. *ჭილ ეტრატის იადგარი*, 216; *უძველესი იადგარი*, 695.

5 ჭილ-ეტრატის იადგარის პირველმა მკვლევარმა ა. ცაგარელმა ის VII-VIII სს. ძეგლად მიიჩნია. იხ.: Цагарели, *Памятники*, 159; მისივე, *Сведения*, X; ამის პასუხად კ. კეკელიძემ აღნიშნა, რომ იადგარში შესულია აბოს საგალობელი

ვფიქრობ, ყველაზე უფრო სოლიდურად არის დასაბუთებული ის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, „ჭილ-ეტრატის ნუსხა IX-X საუკუნეთა მიჯნაზე, უკიდურეს შემთხვევაში, X საუკუნის დასაწყისშია გადაწერილი".[1] ეს შეხედულება ჩამოყალიბებულია „უძველესი იადგარის" გამოცემაში ლ. ხევსურიანის მიერ, მაგრამ ეჭვი არ არის, რომ მას წიგნის სხვა თანაავტორებიც იზიარებენ. ვინაიდან ეს დასკვნა ჩემთვისაც მისაღებია, დასაწყისისათვის N/Sin.geo-50-ის თარიღიც ასე უნდა განისაზღვროს: *IX-X სს-ის მიჯნა ან X ს-ის დასაწყისი. N/Sin.geo*-50-ის პალეოგრაფიული სახე სრულ თანხმობაშია ასეთ დათარიღებასთან.

2. ცხადია, ამის შემდეგ კვლავ დადგება N/Sin.geo-50-ისა და ჭილ-ეტრატის წარმომავლობის საკითხი. N/Sin.geo-50 სინას მონასტრისადმია შეწირული და აქვეა აღმოჩენილი. ჭილ-ეტრატის ნუსხა საბა-წმიდიდან არის წამოღებული პორფირი უსპენსკის მიერ გასული საუკუნის 50-იან წლებში,[2] მაგრამ თავდაპირველად სინური წარმოშობისად იყო მიჩნეული ჭილზე დაწერილი სინური ფსალმუნის ანალოგიურად.[3] ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ არშუშა-ყოფილი იოვანეს ანდერძი არ იძლევა საკმარის საფუძველს, რომ მისი ავტორი სინაზე მოღვაწედ მივიჩნიოთ. საბა-წმიდასა და სინას შორის კავშირი იმდენად მჭიდრო იყო, რომ ბერების მიმოსვლა თუ ხელნაწერთა მოძრაობა მათ შორის სრულიად იოლი წარმოსადგენია. შეიძლებოდა დაგვეშვა, რომ საბა-წმიდაზე მოღვაწე არშუშა-ყოფილი იოვანე N/Sin.geo-50-ს სწირავს სინას მთას თავისი ერთ-ერთი მორიგი პილიგრიმობის დროს.

3. კითხვაზე, რომელი ხელნაწერი უფრო ადრეა დაწერილი, ჭილ-ეტრატისა თუ N/Sin.geo-50, უეჭველი პასუხის გაცემა ძნელია, მაგრამ მაინც, ალბათობით, შეიძლება ითქვას, რომ *N/Sin.geo-50 უნდა უსწრებდეს* წინ. მისი ანდერძის ავტორისათვის ჯერ კიდევ ახლობელია

და, მაშასადამე, იგი არ შეიძლება გადაწერილი იყოს 820 წელზე ადრე, იხ. Кекелидзе, *Литургические памятники,* 351; მისივე, *ახალი საგალობლები აბო თბილელისა,* 416; მისივე, *ქართული ლიტერატურის ისტორია,* 597. ა. შანიძე ხელნაწერის ენობრივი და ორთოგრაფიული თავისებურებების საფუძველზე მას XI საუკუნეში გადაწერილად მიიჩნევს, იხ. *ჭილ-ეტრატის იადგარი,* 217-219.

[1] *უძველესი იადგარი,* 696-699.

[2] Цагарели, *Памятники,* прил. I, 163; *ჭილ-ეტრატის იადგარი,* 214.

[3] ჯავახიშვილი, *პალეოგრაფია,* 42; *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, H კოლექცია,* V, 76.

თავისი საერო წარმოშობა და ერობის სახელი არშუშა, ჭილ-ეტრატისათვის მინაწერის გაკეთებისას კი, იგი ამას სრულიად აღარ იხსენიებს.

* * *

ანთროპონიმი „არშუშა“ გვხვდება ქართლის პიტიახშთა და ქართლის ერისმთავართა საგვარეულოში,[1] ხოლო IX-X საუკუნეებში გავრცელდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. ძნელია, რომელიმე მათგანს მიანიჭო უპირატესობა.

ქართლის პიტიახშები, მართალია, IX-X საუკუნეებში აღარ არიან, მაგრამ სამშვილდის სიონის 777 წლის წარწერა გვამცნობს,[2] რომ მათი საგვარეულო („ნათესავით პიტიახშნი“) ჯერ კიდევ არსებობს VIII საუკუნის ბოლოს. მე ერთხელ უკვე გამოვთქვი მოსაზრება, რომ შესაძლოა, არშუშა-ყოფილი იოანე სწორედ ამ საგვარეულოს ეკუთვნის.[3] ამას იმიტომ ვფიქრობდი, რომ ხელნაწერის ყველა რეალია აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოზე მიუთითებს და არა – სამხრეთ-დასავლეთზე. მაგრამ ჩვენ არ ვიცით, ეს რეალიები თვითონ ხელნაწერის დამახასიათებელია თუ მისი დედნისა, რომლიდანაც გადააწერინა იგი იოანე არშუშა-ყოფილმა.

„არშუშა“ სახელი გვხვდება „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ სიაში ქართლის ერისმთავართა შორისაც. შატბერდული რედაქციით, იგი დასახელებულია მერვე ერისმთავრად „კურაპალატის“ წოდებით.[4] შესაძლოა ეს იგივე არშუშაა (აშუშან), რომელიც მოხსენებულია „ეპისტოლეთა წიგნში“ VII საუკუნის დამდეგს მომხდარ სომეხ-ქართველთა საეკლესიო განხეთქილების ამბებთან დაკავშირებით.[5] ასეა თუ ისე, ცხადია,

---

1 ქართლის პიტიახშების შესახებ იხ. გრიგოლია, *ქართლის პიტიახშები*, 166-174; კეკელიძე, *აშუშა პიტიახში*, 151; გამსახურდია, *პიტიახშის ინსტიტუტის საკითხისათვის*, 49-74; საერთო შეხედულება, რომელიც ჩამოაყალიბა თ. გამსახურდიამ ასეთია: „მეფის შემდეგ მეორე პირი ქართლის სამეფოში, რომელსაც სტრაბონი ο δευτέρος-ს უწოდებს, იგივე პიტიახში უნდა იყოს“. (გვ. 74). ქართლის ერისმთავრები ხომ არ არიან პიტიახშების მემკვიდრეები? მაშინ ადვილად აიხსნება მათ შორის საგვარეულო სახელების გამეორებაც.

2 მუსხელიშვილი, *სამშვილდის სიონის წარწერები*, 85-106; *ლაპიდარული წარწერები* I, 230-236. ალექსიძე, *ვინ არის „სრულიად აღმშენებელი“*, 332-337.

3 ალექსიძე, *ვინ არის „სრულიად აღმშენებელი“*, 337.

4 *მოქცევაჲ ქართლისაჲ*, 97.

5 *ეპისტოლეთა წიგნი*, 76, 155.

რომ ეს არშუშა ქრონოლოგიურად მნიშვნელოვნად სცილდება ჩვენი ხელნაწერის მომგებელ არშუშა-ყოფილ იოანეს. მაგრამ ერთი რამ მაინც ფრიად საგულისხმოა: *ანდერძ-მინაწერში დასახელებული ყველა პირის სახელი (დემეტრი, ადარნერსე და ნერსე) ქართლის ერისმთავართა საგვარეულო სახელია.*[1]

„არშუშა" ანთროპონიმმა მოგვიანებით, როგორც ჩანს, ტაოს ქართველთა სამეფოში გადაინაცვლა. 977 წლით დათარიღებულ ასკეტიკურ-ჰომილეტიკური კრებულის მომგებლის ანდერძში,[2] რომელიც იოანე თორნიკ-ყოფილს ეკუთვნის, „არშუშა" ამ სახელით მოხსენიებულნი არიან თორნიკეს ბიძა (ძმა ჩორდვანელისი) და ძმა. ქრონოლოგიურად თორნიკეს ბიძა შეიძლებოდა ყოფილიყო X საუკუნის პირველ ნახევარში დაწერილი ხელნაწერის მომგებელი, რადგან ანდერძის მიხედვით, 977 წლის ანდერძ-მინაწერში იგი უკვე გარდაცვლილია, რომ არა ერთი ხელისშემშლელი გარემოება: უკვე გარდაცვლილი არშუშაც კი არ მოიხსენიება ბერად ანუ არშუშა-ყოფილად.

ამრიგად, ანდერძში მოხსენიებული პირები ხელნაწერის დასათარიღებლად გადამწყვეტ ინფორმაციას არ იძლევიან, მაგრამ იმაზე კი მიუთითებენ, რომ *ხელნაწერის მომგებელი რომელიღაც გამორჩეულ ქართულ ფეოდალურ საგვარეულოს ეკუთვნის და X საუკუნის აქეთ აღარ გადმოსცილდება.*[3] ამიტომ მასში მოცემულ ცნობებს მეტი ნდობით უნდა მოეკიდოს მკვლევარი.

---

[1] *მოქცევაჲ ქართლისაჲ:* შატბერდული – ადარნესე, ჭელიშური – ადარნესე (გვ. 96); შატბერდული – ნერსე, ადარნესე, ჭელიშური – ადარნესე (გვ. 97); დემეტრე (გვ. 95); *ეპისტოლეთა წიგნი:* ადარნასე (ატრნერსე) გვ. 35, 40, 72, 76, 83; *ქართლის ცხოვრება*, I, ჯუანშერი: ადარნასე – გვ. 221, 222, 225, 225, 225, 226, 226, 227, 227, 228, 228, 228; დემეტრე – გვ. 221, 223; სუმბატ დავითის-ძის ქრონიკა: ადარნერსე – გვ. 375, 376; ნერსე – გვ. 376; დემეტრე – გვ. 374; *მცხეთის ჯვრის წარწერები, ლაპიდარული წარწერები I:* ადარნერსე – გვ. 96, 162, დემეტრე ვიპატოსი – გვ. 96, 164, ნერსე-სტეფანოზ – გვ. 204.

[2] Blake, *Catalogue des manuscrits géorgiennes*, 49-50; *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ათონური კოლექცია*, 47.

[3] არშუშა-ყოფილ იოვანეს მინაწერიანი „მოქცევაჲ ქართლისაჲ" კრებულის შექმნის დროდ ამ ბოლო ხანებში VII ს-ის შუა ხანებს მიიჩნევენ. VII ს-ის II ნახევარსა და VIII ს-ის დამდეგს მოღვაწე არშუშა-ყოფილ იოვანეს თავისუფლად შეეძლო ამ კრებულზე მინაწერი გაეკეთებინა და შემდეგ კრებული სინას მთისათვის შეეწირა. გოილაძე, *სამშვილდის სიონის აშენების დრო*, 2017. მართალი რომ ვთქვა, მეც „თავისუფლად" დავუჭერდი მხარს ორივე

აქ გვინდა კვლავ გავიმეოროთ, რომ „მოქცევაჲს“ განსხვავებული ხელით ნაწერი ტექსტი შესაძლებელია თვითონ არშუშა-ყოფილი იოანეს მიერ იყოს შესრულებული. ამას მოწმობს ანდერძ-მინაწერისა და განსხვავებული ხელით ნაწერი ტექსტის გარკვეული კალიგრაფიული მსგავსება, ერთგვარად ნახმარი განკვეთილობის ნიშნები და ორთოგრაფიაში დამთხვევა: იქ, სადაც უნდა ეწეროს „კ“ გრაფემა, ორივეგან გვხვდება „უი“ კომპლექსი (შდრ. „თუისი“ ტექსტის, „ჩემისათუის“ ანდერძის), თუმცა, ორივეგან გვაქვს სწორად დაწერილობის შემთხვევებიც. ორი განსხვავებული ხელით ნაწერი ტექსტი, ცხადია, მიგვანიშნებს, რომ საქმე გვაქვს არა დედანთან, არამედ გადაწერილ ტექსტთან.

* * *

ასურელ მამათა ცხოვრების წიგნში ჩართულია „სახელები წმიდათა ზედაზადნელთა ბერთა მამასახლისთაჲ და ქრისტჱს მიერ აღსრულებულთაჲ“. ცხადია, ხელნაწერის შესრულების დროს ყველა მათგანი გარდაცვლილია. სიას ასეთი სახე აქვს:

> „ცხონდა ნეტარი იოვანე **ლ** (30) წელ, ელია, მოწაფჱ მისი, **ია** (11) წელ, იოსებ **კდ** (24) წელ, ამბა ვალან **ლე** (35) წელ, ამბა ბენი **ნ** (50) წელ, ამბა თუალ **ლა** (31) წელ, სამოელ **კჱ** (28) წელ, გრ[ი]გოლ **კდ** (24) წელ, იონა **იე** (15) წელ, თევდორე **კა** (21) წელ, თევდორე მეორჱ **ით** (19) წელ, აჰ[ა]რონ **მ** (40) წელ, იოვანე **იბ** (12) წელ, ქურდიკ **თ** (9) წელ, მეორჱ ქურდიკ **ი** (10) წელ, კჳრიკე **იე** (15) წელ, შიონ **გ** (3) წელ, მიქაელ **კბ** (22) წელ, მისაელ, ზაქარია, იოვანე“.[1]

ვფიქრობ, ამ სიიდან ერთი რამ ნათელია: დედანი, საიდანაც იწერს N/Sin.geo-50-ის გადამწერი, მთავრდებოდა მიქაელ მამასახლისზე, ხოლო „მისაელ, ზაქარია და იოვანე“ მისი დანამატია, რადგან ისინი N/Sin.geo-50-ის გადამწერის თანამედროვენი იყვნენ, ხოლო მათი მამასახლისობის თარიღები მან ზუსტად არ იცოდა. ისიც შეიძლება

მოსაზრებას, პალეოგრაფია, მრავალი გრამატიკული შეცდომა და ბევრი სხვა არგუმენტი რომ მაძლევდეს ამის საშუალებას (ზ. ა.).

[1] N/Sin.geo-50, 89v.

ითქვას, რომ ტექსტის გადამწერი, ჩანს, ზედაზენთან რაღაც კავშირში იმყოფება.

მაშასადამე, ხელნაწერის დედნის დასათარიღებლად უნდა შევკრიბოთ ყველა ციფრი იოანედან მოკიდებული მიქაელის ჩათვლით და მივიღებთ 399 წელს, რომელიც გასულია იოანეს ზედაზენზე მოსვლიდან N/Sin.geo-50-ის დედნის დაწერამდე.

თვითონ ხელნაწერში, ალბათ, ორჯერ იყო ნათქვამი, რომ იოანე ზედაზადნელი საქართველოში მოვიდა ქართლის მოქცევიდან მეორასე წელს: ერთხელ ე.წ. „მოქცევაჲ ქართლისაჲს" „ქრონიკაში" (ეს ადგილი N/Sin.geo-50-ს არ შემოუნახავს, მაგრამ დაცულია N/Sin.geo-48-სა და ჭელიშურ რედაქციებში) და მეორედ „საქმენი წმიდისა იოვანე ზედაზადნელისანის" სათაურში. ამრიგად, ქართლის მოქცევიდან N/Sin. geo-50-ის დედნის დაწერამდე გასული უნდა იყოს 599 წელი. N/Sin.geo-50-ის მიხედვით (ემხრობა „მოქცევაჲს" ჭელიშური რედაქციაც) ქართლის მოქცევა მოხდა 334 წელს. მაშასადამე დედანი, რომლისგანაც იგი იწერს ტექსტს, შესრულებულია 933 წელს (334+200+399=933). ყოველ შემთხვევაში, ასე ანგარიშობს ხელნაწერის ავტორი. თვითონ N/Sin. geo-50 კი უნდა იწერებოდეს მაშინ, როდესაც ზედაზენზე ერთიმეორის მიყოლებით შეიცვალა მიქაელის შემდეგ სამი მამასახლისი: მისაელ, ზაქარია და იოვანე.

ზედაზნელ მამასახლისთა სიათაგან N/Sin.geo-50-ის სია უძველესია, მაგრამ ასეთი სიები სხვაც შემოგვენახა (XVII-XVIII საუკუნეების ხელნაწერებით) და, ცხადია, მათი გათვალისწინებაც დაგვჭირდება. ყველაზე ადრინდელი (XVII ს.) ჩანს ხელნაწერთა ინსტიტუტის A-160 ხელნაწერი, რომელიც გამოყენებული აქვთ თ. ჟორდანიასა და ს. კაკაბაძეს.[1] ქვემოთ ტექსტს მოვიყვან უშუალოდ ხელნაწერიდან:

„ცხოვნდა ნეტარი იოვანე შემდგომად მოსლვისა მისისა ასურეთით 30 წელ; ელია დიაკონი – 11 წელ; იოსებ – 24 წელ; ამბა ვაჰმან, რომელმან გზასა მისლვასა მისსა ჟამი შეწირა ქუჱმო ზედანით შინამდე – 35 წელ; ამბა ბენი – 50 წელ; ამბა თუალ – 31 წელ; სამუელ დიდი, რომელმან ქუაბი ქმნა ჯუარისაჲ – 28 წელ, ზედაძენს დაჯდა, მამაჲ იქმნა 3 წელ, მცხეთას კათალიკოსად დაჯდა ათოთხმეტ წელ; გრიგოლ – 24 წელ; იონა – 15 წელ; გაბრიელ, რომელმან სტოვა აღაშენა – 15

[1] ჟორდანია, *ქრონიკები*, 73-74; კაკაბაძე, *არქეტიპები*, 3-4.

წელ; თევდორე – 21 წელ; თევდორე მეორე – 19 წელ; იოვანე, რომელი მოიკლა სარკინოზთაგან ზედაძენს შინა მახჳლითა – 12 წელ; ქურდის – 9 წელ; ჭოროხ – 10 წელ; კჳრიაკე – 25 წელ; შიო – 3 წელ; მიქაელ, რომელმან სადიაკონე აღაშენა – 24 წელ; მისაელ, აკლდამასა თანა ეგუტერი ქმნა – 3 წელ; ზაქარია, რომელმან ეკლესია განადიდა – 4 წელ; იოანე – 2 წელ; ომარ – 1 წელ; ელია – 5 წელ; მიქაელ 1 – წელ; სამოელ, რომელმან მარანი ქვითკირითა ქმნა – 20 წელ".[1]

ზედაზნის მამასახლისთა ყველა სხვა სია[2] იდენტურია A-160 ხელნაწერში დაცული სიისა, ამიტომ მათ აღარ განვიხილავ.

პირველი, რაზეც მინდა მივაქციო მკითხველის ყურადღება, ეს არის იმ სამი მამასახლის ზეობის თარიღები, რომლებიც N/Sin.geo-50-ში მხოლოდ ჩამოთვლილნი იყვნენ. ესენი არიან მისაელ, ზაქარია და იოვანე. გამოირკვა, რომ მათი მამასახლისობის პერიოდი ერთიანად სულ 9 წელს უდრის. ვფიქრობ, ეს არის სწორედ ის წლები, როდესაც N/Sin.geo-50 იწერება, ანუ ზემოთ გამოყვანილი ანგარიშის მიხედვით 933-942 წლები.

A-160-ის სია განხილული აქვთ თ. ჟორდანიასა და ს. კაკაბაძეს. მიუხედავად სხვადასხვა ათვლის წერტილისა, ისინი თარიღებში ძალიან დიდ განსხვავებას არ იღებენ: თ. ჟორდანიას მიხედვით N/Sin. geo-50-ში დასახელებული უკანასკნელი მამასახლისი გარდაიცვალა

---

[1] A-160, 215 v; *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A კოლექცია*, I$_2$, 227-228.

[2] ზედაზნელი მამების სია დაცულია, აგრეთვე, A-130 ხელნაწერში. ხელნაწერი დაზიანებულია, ამიტომაც ხშირად გამოტოვებულია მამათა ზეობის წლები, შდრ. „სახელები წმიდათა მამათა, ქრისტჱს მიერ აღსრულებულთა ზედაძენს შინა: ახოვანი ნეტარი იოვანე შემდგომად მოსლვისა მისისა ასურეთით 30 წელ, ელია დიაკონი 11 წელ, იოსებ 24 წელ, ამბა ვაჰმან, რომელმან გზასა მისლვისაჲ მისისა ჟამი შეწირა ქუჱმ[ო ზედანით] შინამდე, 35 წელ, ამ [ბა ბენ]ჲ 50 წელ, ამბა თუალ 31 წელ, [სამო]ველ დიდი, რომელმან ქუაბი ქმნა [28] წელ, ზედაძენს დაჯდა, მამაჲ 3 წელ, მცხეთას კათალიკოზად დაჯდა [წე]ლ, გრიგოლ 24, იონა 15, გაბრიელ, რომელმან სტოვა აღაშენა [15] წელ, თეოდორე 21 წელ, თეოდორე მეორე 19, იოვანე, რომელი მოიკლა სარკინოზ[თაგან] ზედაძენს შინა მახჳლითა 12 წელ, ქურდის 9 წელ, ჭოროხ [10], კჳრიკე 15 წელ, შიო 3 წელ, მიქაელ, რომელმან სადიაკუნე აღაშენა, [24] წელ, მისაელ, რომელმან აკლდამასა ეკუტერი ქმნა 3 წელ, ზა[ქარი]ა, რომელმან ეკლესია განადიდა 4 წელ, იოანე 2 წელ, ომარ 1 წელ, ელია 5 წელ, მიქაელ 1 წელ, სამოელ, რომელმან მარანი ქვითკირითა ქმნა 20 წელ" (17v). იხ. *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A კოლექცია*, I$_2$, 137-138.

952 წელს,[1] ხოლო ს. კაკაბაძის გამოთვლით 923 წელს.[2] ანუ თ. ჟორდანიას მიხედვით მიქაელის მამასახლისობის ბოლო წელი (როდესაც დაიწერა N/Sin.geo-50-ის დედანი) მოვიდოდა 943 წელზე (952-9=943), ხოლო ს. კაკაბაძის მიხედვით – 914 წელზე (923-9=914).

ამრიგად, ზედაზნელ მამასახლისთა სიის მიხედვით, ეჭვი არ არის, რომ ხელნაწერი შესრულებულია X საუკუნის პირველ ნახევარში. უფრო ზუსტი თარიღის განსაზღვრა დამოკიდებულია ათვლის წერტილებზე.

* * *

N/Sin.geo-50-ში შემონახულ „საქმენი წმიდისა იოვანე ზედაზადნელისანის" დასაწყისში მოთხრობილია შემდეგი ისტორია:

ეზდერიოზ ნაბუქელი, მესაკმევლის შვილი, ქალაქ ურჰაში შეუთანხმდა იოვანეს (შემდგომში ზედაზნელს) და გამოჰყვა თან საქართველოში. იოვანეს წამოჰყვა აგრეთვე ურჰაელი მთავარი, მოსამართლის (ბჭე) შვილი თევდოსიოს (მომავალი მრეხელი), რომელიც ქრისტეს ხატის წინაშე დიაკვნად და მონაზვნად იყო კურთხეული. როდესაც საქართველოში მოვიდნენ და აქ ეკლესიები ააშენეს, განიზრახეს არსებული მაცხოვრის ხატის მაგიერ ახალი ხატი დაეწერათ. თევდოსიოსმა კედელი მოამზადა ამისათვის, ხოლო ეზდერიოზმა – ფიცარი.

ამ დროს ეზდერიოზის ვანში მოვიდა ვინმე მოგზაური, რომელმაც მოსვლის მიზეზად ლომისგან დევნა დაასახელა და თანაც თავი ხატის მწერლად გააცნო. ეს რომ შეიტყო, ბერი წავიდა რეხაში[3] თევდოსიოსის მოსაყვანად. როდესაც დაბრუნდნენ, დაინახეს მაცხოვრის ხატი „ქუე-მდგომარჱ, საშინლად ბრწყინვალჱ", ფეხებთან ასურულ ენაზე წარწერით: „ვისაც აქ ხედავთ, იმან მომავლინა". ესენი გაკვირვებისაგან ჯერ გონს ვერ მოსულიყვნენ, რომ მოვიდა თევდოსიოსის მონაფე და უთხრა: წამოდით, ვიღაც ვეფხვებს და დათვებს გამოქცეული კაცი შემოიჭრა ავაზაკივითო. როდესაც მივიდნენ, ვერავინ ნახეს. ხოლო

---

[1] ჟორდანია, *ქრონიკები*, 74.

[2] კაკაბაძე, *არქეტიპები*, 6.

[3] საქართველოში ორი სოფელი რეხაა – ერთი წალკის, მეორე კი გორის მახლობლად. იმისათვის, რომ ეზდერიოზი სამთავისიდან მალე მისულიყო რეხაში, ტექსტში მოხსენიებული რეხა დღევანდელი გორის მახლობლად უნდა ყოფილიყო.

შემზადებულ კედელზე კი დახვდათ მბრწყინავი მაცხოვრის ხატი „ზე-მდგომარჱ“. ამათ მაშინვე აცნობეს ყოველივე იოანე ზედაზნელს. მოვიდა ისიც, თაყვანისცა ხატს და მოითხოვა ბერებისაგან, რომ ეს საქმე არ გაემჟღავნებინათ. აი, ამ მოთხრობას ტექსტის ავტორი ამთავრებს შემდეგი სიტყვებით:

„და მისთა საკჳრველებათა წიგნი ყოფილ არს სივნიეთა, წარუღებია ამასპო დედუფლისა დედასა“.[1]

X ს-ის დამდეგის სივნიეთის ისტორიაში დასტურდება მსგავსი სახელის მქონე პირი.[2] სტეფანოს ორბელიანის „სისაკანის ისტორიაში“ მოხსენიებულია სივნიეთის იშხანის ბაბგენ პირველის ქალიშვილი სახელად *ჰამასპრუჰი* (ამასპრუჰი), რომელმაც ტათევის მონასტერს შესწირა დიდი ბაღი მდინარე ჰალისის პირას და სოფელი ჰალისი თავისი შემოგარენით.[3]

ფონეტიკურად ანთროპონიმი „*ჰამასპრუჰი*“ ადვილად მივა „*ამასპო*“-სთან როგორც სომხურ, ისე ქართულ ნიადაგზე.[4] როდემდის

---

1 N/Sin.geo-50, 74v-75r.

2 ალექსიძე, *ვინ არის ამასპო დედოფალი*, 202-204.

3 *Պատմութիւն նահանգին Սիսական*, 229-230.

4 საკუთარი სახელი „*ამასპო*“ დადასტურებულია ბასილი ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ (თხზულების დაწერის თარიღში მკვლევართა შორის აზრთა სხვაობა VII-IX სს. შორის მერყეობს: ლიტერატურისათვის იხ. ვაჩნაძე, *სერაპიონ ზარზმელი*: „ვინაჲცა ჰრქუა იკონომოსსა და ხუცესთა და ძმათა ყოველთა, რაჲთა ხვალის დღე მივიდენ საფლავად მისა ადგილსა მას ზანავისასა, სადა-იგი მონასტერი შუენიერი შჱნ არს, რომლისა-იგი იყვნეს პირველნი აღმშენებელნი *ამასპო* და ქურდია, ხოლო აწ კუალად დაჲ გიორგისი, რომელი იყო ცოლი დიდისა მთავრისა მირიანისი, ძისა ბეშქენ ბაჰლაუნდისაჲ, ძისა ოვანჱსი..“. (*ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ სერაპიონისი*, 339). მ. ანდრონიკაშვილი „*ამასპო*“-ს თვლის ვულგარულ, გაქართულებულ ფორმად ირანული „*ამაზასპ*“-ისა (ვარ. *ამაზასპ, ამაზასპან* – ანდრონიკაშვილი, *ნარკვევები*, 24, 422). ვფიქრობთ, ამის საფუძველს არ იძლევა „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“. ამ ტექსტში *ამასპო* მდედრობითი სქესის პიროვნების სახელია, ვინაიდან ზანავის მონასტერს აშკარად ქალები აშენებენ: *ამასპოსთან* ერთად *ქურდია* (მდედრობითი სქესის ფორმა „*ქურდ*“სახელისა) და დიდი მთავრის მირიან ბაჰლავუნდის მეუღლე ლატავრი (სამონაზვნო სახელი თეკლა. შესაძლოა, ლატავრი სწორედ ზანავში აღიკვეცა მონაზვნად).

ჰრ. აჭარიანს საკუთარი სახელი „*ჰამასპრუჰი*“ გამოჰყავს ყვავილის სახელწოდებიდან „*ჰამასპრამ*“ „-უჰი“ (ქალიშვილი) ნაწილაკის დართვით (Աճառեան, *Հայոց անձնանունների բառարան*, 26), რაც ასევე ნაძალადევ

იცოცხლა ჰამასპრუჰი (ამასპო) დედოფალმა, არ ვიცით. ეს კია, რომ 906 წელს სპეციალისტები მას 60 წლისას ვარაუდობენ.[1] აღსანიშნავია, რომ როდესაც N/Sin.geo-50 ან მისი დედანი იწერება, ამასპო დედოფალი ცოცხალი ჩანს. მაშინდელ სიცოცხლის ხანგრძლივობას თუ გავითვალისწინებთ, ამასპო დედოფალი 906 წელს მაინცა და მაინც შორს ვერ გასცილდებოდა.

ჰამასპრუჰის დედის შესახებ არავითარი ცნობა არა გვაქვს. უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი ქართველი იყო (გათხოვილი სივნიეთის მთავარზე) და ცხოვრობდა IX საუკუნეში. განსაკუთრებით საგულისხმო კი ის არის, რომ *IX ს-ის შუა ხანებში, ან უფრო ადრე, უკვე არსებულა*

შთაბეჭდილებას ტოვებს, ვინაიდან *„ჰამასპრამ“* საკუთარ სახელად (მით უფრო მამაკაცის აღმნიშვნელი) სომხურ მწერლობაში დადასტურებული არ არის.

ვფიქრობ, *„ამასპო“* მიღებულია ქართულ ნიადაგზე *„ჰამასპრუჰიდან“*, რომელიც, თავის მხრივ, უნდა მომდინარეობდეს სომხურში გავრცელებული *„ჰამაზასპუჰი“* (*ჰამაზასპ+უჰი)* სახელიდან. საკუთარ სახელებში ზედმეტი „რ“-ს გაჩენა დამახასიათებელია საშუალო სომხურისათვის (მაგ. բագրատ > բարգրատ; იხ. ალექსიძე, *ატენის სიონი,* 53), ამას მხარს დაუჭერდა ის გარემოებაც, რომ სტეფანოს ორბელიანის თხზულების სხვადასხვა ხელნაწერში *„ჰამასპრუჰი“* ფორმასთან ერთად გვხვდება *„ჰამასპროჰი“* Համասպրուհի-Համասպրոհի) ვარიანტები, თუმცა ო<>უ-ს მონაცვლეობა ქართულშიც ჩვეულებრივია (შდრ. ამავე ტექსტში დედუფალი<>დედოფალი). ქართულისათვის ბუნებრივია, აგრეთვე, „ჰ“-ს დაკარგვა სიტყვის თავში (შდრ. *ამაზასპა // Ամազասոς // Հասպազասպ // ამაზასპ*), ხოლო თუ ქართველი სომხური *„ჰამასპრუჰი“*-ს ფუძისეულ ბოლოკიდურ „ი“ (ჲ) -ს გაიაზრებდა სახელობითი ბრუნვის ნიშნად (*ამასპუჰ // ამასპუჰ-ი*) მას ასევე კანონზომიერად უნდა დაეკარგა სიტყვის ბოლოს „ჰ“ (შდრ. *ნერსე<ნერსეჰ, შაპუ<შაპუჰ*), რაც შედეგად მოგვცემდა ქართულ ტექსტებში დადასტურებულ *„ამასპო“*-ს (ქართულში ყველა პოზიციაში „ჰ“-ს დაკარგვის შესახებ ირანულიდან ნასესხებ სიტყვებში იხ. ანდრონიკაშვილი, *ნარკვევები,* 164; სომხური h-ს ქართულში გადმოსვლის შესახებ იხ. აბულაძე, *ლიტერატურული ურთიერთობები,* 012-019; თავკიდური „ჰ“-ს სისუსტის შესახებ სომხურში იხ. Meillet, *Esquisse d'une Grammaire,* 38; „ი“-ს წინ „ჰ“-ს გადასვლა „ჲ“-ში იხ. იქვე, 30).

საინტერესოა, რომ *„ჰამაზასპუჰი“*-ს ქართულ ფორმასთან – *„ამასპო“* – ფონეტიკურად მეტად ახლოს დგას მცხეთის ბერძნულ წარწერაში დადასტურებული Ιαμασασποι (*ამასასპოი) < ჰამაზასპუჰი* (იხ. წერეთელი, *მცხეთის ბერძნული წარწერა,* 17-19).

[1] Ութմაջան, *Միւსիք,* 292.

ასურელ მამათა სასწაულების ისეთი წიგნი, რომელსაც ჩვენამდე არ მოულწევია.[1]

* * *

N/Sin.geo-50-ში დაცულმა „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ტექსტმა შემოგვინახა კათალიკოსთა სიაც. სინური ხელნაწერის აღმოჩენამდეც ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ჭელიშურ რედაქციაში კათალიკოსთა რიცხვი უფრო მცირეა, ვიდრე შატბერდულში.[2] ამ ფაქტს ყურადღება არავინ მიაქცია იმის გამო, რომ ჭელიშურში სია ბოლომდე მიყვანილი არ არის, ამიტომ ვერ ხერხდება შატბერდულთან მისი შედარება. სამაგიეროდ, მასში ნათქვამია, რომ „ჯუმლად ევნოსისითგან მოღმართ იყვნეს კათალიკოსნი 45".[3] საკონტროლო ტექსტის გარეშე ეს ცნობა, ცხადია, სრულიად გაუგებარია. შატბერდულის მიხედვით ევნოსიდან მოკიდებული მხოლოდ 28 კათალიკოსია და ამ ციფრს თუ 45-მდე გავზრდით, კიდევ რამდენიმე საუკუნის მიმატება დაგვჭირდება.[4] მაგრამ საქმე ის არის, რომ ჭელიშურ რედაქციას კათალიკოსთა საერთო რიცხვი გამოყვანილი აქვს არა „ევნოსისითგან მოღმართ", არამედ ქართლში კათალიკოსობის დასაწყისიდან. შევადაროთ სამივე რედაქციის კათალიკოსთა სიები ერთმანეთს:

---

[1] ამიტომ არ უნდა იყოს სწორი ივ. ჯავახიშვილის შემდეგი დებულება: „ჯუანშერის თხზულებაში მოთხრობილია იოანე ზედაზნელის შესახებ: „ქმნა ნიშნები და სასწაულები მრავალნი მან და მოწაფეთა მისთა, დაიწერა ცხორება და სასწაულნი მათნი"-ო. ჩვენ ვიცით, რომ შიო მღვიმელის სასწაულნი აწერილია პირველად ბასილი კათალიკოზის მიერ X-XI საუკუნეში", იხ. ჯავახიშვილი, *ძველი ქართული საისტორიო მწერლობა,* 189-190. ჯუანშერი, ალბათ, XI ს-ის ავტორია, მაგრამ ამ მოსაზრების დასასაბუთებლად ასურელ მამათა სასწაულების X-XI სს-ით დათარიღება არ გამოდგება.

[2] ალექსიძე, *კათალიკოსთა სია,* 219-223.

[3] *მოქცევაჲ ქართლისაჲ,* 97.

[4] ასეთი შეცდომა დაუშვა ამბროსი ხელაიამ, როდესაც ევნოსიდან (663) 45-ე კათალიკოსის აღსაყდრების თარიღად მიიღო 1059 წელი (ორ კათალიკოსს შორის ცხრა წელი 44x9+663=1059). იხ. ხელაია, *ჭელიშის ვარიანტი,* 3-4.

შატბერდული	ჭელიშური	N/Sin.geo-50
პეტრე	პეტრე	
სამოველ	სამოელ	
პეტრე		
სამოველ[1]		
თავფაჩაგ		
ჩიმაგა		
დასაბია	საბა	საბია 7
ევლალე		ევლალე 8
მაკარი	მაკარი	მაკარი 0
სამოველ		სამოველ 10
სიმონ-პეტრე		სიმონ-პეტრე 11
სამოველ	სამუელ 12	სამოელ 12
სამოელვე სხუაჲ		სამუელ სხუაჲ 13
ბართლომე	ბართლომე 14	ბართლომე 14
ბართლომე მეორედ	ბართლომე 15	ბართლომე მეორედ 15
იოვანე	იოვანე	იოვანე 16
ბაბილა	ბაბილე[2]	ბაბილი 17
თაბორ	თაბორ	
სამოველ	სამუელ	სამოელ 10
ევნონ	ევნონ	ევნონ 20
თავფაჩაგ	თავფაჩაგ 21	თავფაჩაგ 21
ევლალე	ავლალი 22	ევლელი 22
იოველ	იოველ 23	იოველ 23
სამოველ	სამოელ 24	სამოველ 24
გეორგი	გიორგი 25	გიორგი 25
კჳრიონ	კჳრიონ 26	კჳრიონ 26
იზიდ-ბოზიდ	იზიბოდ 27	იზიდ-ბოზიდ 27
თევდორე	თევდორე 28	თევდორე 28
პეტრე	პეტრე 29	პეტერ 29

[1] *უცნაურია სიაში ერთმანეთზე მიყოლებით ორი პეტრე და სამოველის დასახელება. ამაზე ყურადღება მიმაქცევინა მ. სანაძემ.*

[2] ჭელიშურ რედაქციაში კათალიკოსთა თანმიმდევრობა შემდეგია: იოვანე, თაბორ და ბაბილე.

მამა	მამა 30
იოვანე	იოვანე 31
გრიგოლ	გრიგოლ 32
კლემენტოს	კლემენტოზ 33
სარმეან	სარმეან 34
თალელე	თალალე 35
სამოველ	სამოელ 36
კჳრილე	კჳრილე 37
გრიგოლ	გრიგოლ 38
სამოველ	სამოელ 39
გეორგი	გიორგი 40
გაბრიელ	გაბრიელ 41
ილარიონ	ილარიონ 42
არსენი	არსენი დიდი 43
ევსუქი	ევსუქი 44
ბასილი	ბასილი[1]
მიქაელ	
დავით	
არსენი[2]	

ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს პირველი რვა კათალიკოსისათვის შესადარებლად გამოვიყენოთ აგრეთვე „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ N/Sin. geo-48-ში შემონახული სია:

შატბერდული	**ჭელიშური**	**N/Sin.geo-50**	**N/Sin.geo 48**
პეტრე	პეტრე		პეტრე
სამოველ	სამოელ		სამოველ
პეტრე			პეტრე მესამე
სამოველ			[სამოველ] მეოთხე

[1] *მოქცევაჲ ქართლისაჲ (სინური რედაქციები)*, 18-21.

[2] *მოქცევაჲ ქართლისაჲ*, 93-97, სვ. 1.

თავფაჩაგ			თავფაჩაგ მეხუთე
ჩიმაგა 6			ჩიმაგი მეექუსე
დასაბია	საბა	საბია 7	საბია მეშჯდე
ევლელე		ევლალი 8	ევლალი მერვე[1]
მაკარი	მაკარი[2]	მაკარი 9	
სამოელ		სამოველ 10	
სიმონ-პეტრე[3]		სიმონ-პეტრე 11[4]	

დასკვნები:

1. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ „ქრონიკის“ ოთხი სხვადასხვა რედაქცია არსებითად იდენტურ სურათს უჩვენებს, რაც სიის სისწორის ალბათობას საკმაოდ ზრდის.

2. შატბერდულ სიას, შედარებით სინურთან, დამატებული აქვს სამი კათალიკოსი, რაც იმის მაჩვენებელია, რომ სიები დროთა განმავლობაში თანდათანობით ივსებოდა. ამ დასკვნას მხარს უჭერს ის გარემოებაც, რომ ჭელიშურისა და სინურის სიებს აბოლოვებს ერთი და იგივე ფრაზა: „ხოლო ამისა შემდგომად ვინც შეიცვალებოდის, კათალიკოზთაგანი, იწერებოდის“.[5] ეს დავალება განხორციელებულია შატბერდულ რედაქციაში.

3. ჭელიშურისა და სინური რედაქციების დედნები დაახლოებით ერთდროულად არის შესრულებული. ორივე მათგანი ორმოცდამეხუთე კათალიკოსზე ჩერდება.

4. ცხადია, გადამწერის შეცდომაა ჭელიშური რედაქციის ფრაზა: „ხოლო ჯუმლად ევნოსითგან მოღმართ იყვნეს კათალიკოზნი 45“. ასეთი რამ არა წერია სინურში და არც უნდა ეწეროს. გადამწერს, როგორც ჩანს, დაეზარა მთლიანი სიის გადაწერა (ან მისი დედანი დაზიანებული იყო) და ბოლო ორმოცდამეხუთე კათალიკოსზე მითითება ევნოსისგან ათვლილად მიიჩნია. ამის საფუძველს, მას, რა თქმა უნდა, არ აძლევდა თავისივე ტექსტი, თუმცა გადაწერისას ერთი არსებითი

---

1 *მოქცევაჲ ქართლისაჲ* (სინური რედაქციები), 17-18.
2 *მოქცევაჲ ქართლისაჲ*, 93-94, სვ. 2.
3 იქვე, სვ. 1.
4 *მოქცევაჲ ქართლისაჲ (სინური რედაქციები)*, 18-19.
5 იქვე, 21; *მოქცევაჲ ქართლისაჲ*, 97-98.

შეცდომა მას კიდევ აქვს დაშვებული. ფრაზა „ხოლო კათალიკოზნი, რომელნი ევნუსითგან მოღმართ იყვნეს", წაკითხული აქვს ასე: „ხოლო კათალიკოზნი, რომელნი თვობითგან (sic) იყვნეს".[1] ცხადია, ასეთი გადამწერისგან შეცდომა არ არის მოულოდნელი.

5. N/Sin.geo-50-ში ბოლო (ორმოცდამეხუთე) კათალიკოს ბასილის სათვალავი აღარა აქვს. ვფიქრობ, მისი დედნის ავტორი ტექსტს ბასილის სიცოცხლეში წერს და რიცხვის მიწერით ცოცხალ კათალიკოსზე სიას არა ხურავს. სიის თავში ხომ ნათქვამი ჰქონდა, ევნოსის შემდეგ ეს კათალიკოსები უკვე იყვნენო. ვინც უკვე იყო, მას აქვს სათვალავი, ვინც ჯერ კიდევ არის, სათვალავში აღარ შეიყვანა, თუმცა მისი ზეობა აღნიშნა. ჭელიშური რედაქცია კი რომ იწერება, ცხადია, ბასილი აღარ არის ცოცხალი. ამიტომ, ვფიქრობ, რომ *იგი (ჭელიშური) იქმნება სინურზე სულ ცოტა ხნით გვიან,* თუმცა მისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება.

ამრიგად, „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ის ხელნაწერი, რომლითაც N/Sin.geo-50-ის გადამწერი სარგებლობდა, უფრო კი თვითონ N/Sin.geo-50, დაწერილია შატბერდული რედაქციის დედანზე სამი კათალიკოსით ადრე, 45-ე კათალიკოსის ბასილის ზეობისას. რადგან თვითონ ბასილის შესახებ ისტორიას არაფერი ცნობები არ შემოუნახავს, მისი ზეობის დათარიღება უნდა ვცადოთ სიაში ახლოს მყოფი კათალიკოსების მიხედვით. ასეთები არიან არსენი პირველი, რომელიც ერთი კათალიკოსით უსწრებს წინ ბასილის და არსენი მეორე, რომელიც ორი კათალიკოსის შემდეგ მოსდევს მას. ამათგან ყველაზე უკეთ არის ცნობილი არსენი პირველის კათალიკოსობის ხანა. N/Sin.geo-50-ის მიხედვით ამ არსენის „დიდი" ეწოდება. არავითარი ეჭვი არ არის, რომ იგი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში" მოხსენიებული კათალიკოსია, რომელსაც „ღირსად ეწოდა *დიდი* არსენი, ქართლისა კათალიკოსი და მცხეთისა გკრგვინი".[2] ზეობდა არსენი, საკმაოდ დიდი ალბათობით, 860-887 წლებში.[3] არსენი დიდის შემდეგ კათალიკოსი იყო ევსუქი, რომელმაც N/Sin.geo-50-ის მიხედვით „მცხეთაჲ განაახლა". სამწუხაროდ, ამ ფრიად მნიშვნელოვან ცნობას სხვა წყაროებში დადასტურება არა აქვს, თუმცა მის სისწორე-

---

1 *მოქცევაჲ ქართლისაჲ*, 97, სვ. 2.

2 *შრომაჲ და მოღუაწება გრიგოლისი არქიმანდრიტისაჲ, ხანძთისა*, 267; *Житие Св. Григория Хандзтийского*, კგ.

3 კეკელიძე, *ლიტერატურის ისტორია*, 137; შდრ. არსენი საფარელი, *განყოფისათჳს*, 9-14, 58, 198-201.

ში ეჭვის შეტანა́ შეუძლებელია, იმდენად ახლოს არის ტექსტის ავტორი დასახელებულ ფაქტთან ქრონოლოგიურად. ასეა თუ ისე, IX ს-ში დარჩენილ ხანას თუ ევსუქის ზეობას დავუთმობთ, ბასილისათვის დაგვრჩება X საუკუნის დამდეგი. აი, ამ დროს (X ს-ის დამდეგი) უნდა იყოს შესრულებული N/Sin.geo-50-ისეული ტექსტის დედანი, ხოლო თვითონ ხელნაწერი X ს-ის პირველი ნახევრის.

N/SIN.GEO-50-ში ჩართული ისტორიული ცნობები[1]

ასურელ მამათა ცხოვრების ტექსტში ჩართულია მეტად საყურადღებო ცნობები საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურისათვის. ესენია ზემოთ უკვე განხილული ზედაზნის წინამძღვართა სია; ზედაზნის, ჯვრისა და გარეჯის მონასტერთა ბიბლიოთეკისა და საჭურჭლის აღწერილობანი, ქართლის ერისმთავართა და მათი ოჯახის წევრების გარდაცვალების თარიღები, დაკრძალვის სიტუაციები და ადგილები და ა.შ. („სახელები წმიდათა ზედა ზადნელთა ბერთა მამასახლისთაჲ და ქრისტჱს მიერ აღსრულებულთაჲ"; „იადგარნი წიგნთა ზედა ზადნელთაჲ", „იადგარნი წიგნთა ჯუარისთაჲ" და „გარერჩას, იოვანე-წმიდას, მრავალ[მ]თას"); ყველაფერი ეს შეუძლებელია თავიდანვე ასურელ მამათა ცხოვრების ტექსტში ყოფილიყო შეტანილი. ცხადია, ისინი უფრო გვიანი გადამწერის მიერ არიან ტექსტში შეტანილი ანდერძ-მინაწერებისათვის განკუთვნილი გვერდიდან ან იქნებ არეებიდანაც კი. ამის დასადასტურებლად შეიძლება ისიც გამოვიყენოთ, რომ ყოველი ასეთი ჩანართი ძირითადი ტექსტიდან გამოიყოფა სპეციალური ნიშნით არშიაზე. ეს ვითარება ჩემთვის დამატებითი არგუმენტია იმის სამტკიცებლად, რომ ასურელ მამათა ცხოვრების ტექსტი გაცილებით უფრო ძველია, ვიდრე X ს-ის პირველი ნახევარი, როდესაც N/Sin.geo-50 გადაიწერა. ცხადია, X ს-ის პირველ ნახევარზე ადრინდელია ის ჩანართებიც, რომლებიც შემოგვინახა N/Sin.geo-50-მა.

მოგვყვავს ჩანართების სრული ტექსტები:

„სახელები წმიდათა ზედაზადნელთა ბერთა მამასახლისთაჲ და ქრისტჱს მიერ აღსრულებულთაჲ.

ცხონდა ნეტარი იოვანე **ლ** (30) წელ, ელია, მოწაფჱ მისი **ია** (11) წელ, იოსებ **კდ** (24) წელ, ამბა ვალან **ლე** (35) წელ, ამბა ბენი **ნ** (50) წელ, ამბა თუალ **ლა** (31) წელ, სამოელ **კჱ** (28) წელ, გრ[ი]გოლ

[1] ალექსიძე, *Sin-50-ის ანდერძ-მინაწერები*, 2011.

კდ (24) წელ, იონა იე (15) წელ, თევდორე კა (21) წელ, თევდორე მეორჱ ით (19) წელ, აჰარონ მ (40) წელ, იოვანე იბ (12) წელ, ქურდიკ თ (9) წელ, მეორჱ ქურდიკ ი (10) წელ, კ(კრიკ)ე იე (15) წელ, შიონ გ (3) წელ, მიქაელ კბ (22) წელ, მისაელ, ზაქარია, იოვანე"

„იადგარნი წიგნთა ზედაზადნელთაჲ:

ბეჭდულნი კდ (24) და სხუაჲ წიგნი ლ (30), ბარზიმ ფეშუხუანი ზ (7) ჯუარი ოქროჲსა და ვეცხლისაჲ იე (15), ეზოჲ სტავრაჲსაჲ იე (15) და სხუაჲ დიადი".

„იადგარნი წიგნთა ჯუარისთაჲ:

ბეჭდულ[ნ]ი კბ (22) და სხუაჲ წიგნი კ (20), ოთხი თავი გ (3), პაველჱ გ (3), გრიგოლი ა (1), ნინოჲსი ა (1), სახარებაჲ ოქრო-წყლისაჲ ა (1), ეზონი ჯუარისანი გარემო დ (4), საკურთხევლის სამოსელი ოქროქსოვილი ა (1) ადრნერსჱს დადებული და სხუაჲ ფრიად".

„გარერჩას, იოვანე-წმიდას, მრავალმთას – ბეჭდულნი კე (25), სხუაჲ წიგნი კ (20), ეზოჲ გ (3), საკურთხევლისა სამოსელი იე (15), ჯუარი ვეცხლისაჲ ი (10), ძელი ცხორებისაჲ ვეცხლისაჲ ა (1) – მტკაველი გ (3), ფრთენი და ტანი თუალსა თანა საქცეველითა და არს ჯუარსა მას თუალი ნბ (52) – ესე გუარამ კუროპალატისაჲ ყოფილ არს, და სხუაჲ ძელი ცხორებისაჲ არს ალვისაჲ, სიგრძით მწყრთაჲ ერთი და ესე გურგენისი ყოფილ არს, ერისთვისაჲ. და საკურთხევლისა სამოსელი სხუაჲ ბ (2) და ეზოჲ ბ (2) მეწკევნელთა სახლისანი არიან და სახელები ზედა სწერია, და ჯუარცუმაჲ, ტილოსა ზედან ოქროწყლითა დაწერილი ხატი, დებორა სამშჯლდელ დედუფლისა შენირული, რომელმან სამშჯლდისა ეკლესიაჲ აღაშჱნა გასრულებით. და ოდეს სარკინოზობაჲ აღდგებოდა, ამათ ორთა სახლთა რუვისთაველთა და მეწკევნელთა ზედაზადენს მოვიდეს და შექმნეს სამი გუადრუცი ქვისა თლილისაჲ და ბ ლუსკუმაჲ შუენიერი. და წარვიდეს და მოიხუნეს ძუალნი მეფეთა მათთა და დედათანი, და დასხნეს ლუსკუმათა მათ შინა ზედაზადენს ეკლესიასა შინა. და მუნ არიან ლუსკუმანი არა შერევნით, კიდის-კიდე მამათანი და დედათანი ძუალნი სხენან. და მათ ორთა გუადრუცთა ერთისა სახლისანი ოდენ სხენან, და ერთსა მეფეთანი ვიეთნიმე არიან. და ერთი ლუსკუმაჲ მამამძუძეთაჲ და ძუძოჲსტეთაჲ არს.

და **ერთი** იგი ლუსკუმაჲ ვარაზ-ბაკურ მეფისა ჴიდარელისაჲ არს და **ორნი** ძენი მისნი ვარაზ, ვარაზ-ჰარან და **გ (3)** ასულნი და დედაჲ მათი სიმენავრი გუასპურაგნელი, მთავართა შვილი".

პირველი პარაგრაფის სათაური ზუსტად ასახავს ტექსტში გადმოცემულ შინაარსს. მეორე და მესამე პარაგრაფებში, სათაურების მიხედვით, უნდა ყოფილიყო მოცემული მხოლოდ ზედაზნისა და ჯვრის მონასტრის ბიბლიოთეკების აღწერა, სინამდვილეში კი არის ცნობებიც მათი საგანძურის შესახებ. მეოთხე პარაგრაფის სათაური კი არსებითად არც არის სათაური, იგი ტექსტის ნაწილია, მისი დასაწყისი, მაგრამ ცალკე არის გამოყოფილი.

ცნობები სამონასტრო ბიბლიოთეკების შესახებ

დავიწყოთ ზემოთ დასახელებული მონასტრების ბიბლიოთეკებში დაცული ხელნაწერების შესახებ ცნობებით.

„იადგარნი წიგნთა ზედაზადნელთაჲ:

ბეჭდულნი **კდ** (24) და სხუაჲ წიგნი **ლ** (30), ბარზიმ ფეშუხუანი **ზ** (7) ჯუარი ოქროჲსა და ვეცხლისაჲ **იე** (15), ეზოჲ სტავრაჲსაჲ **იე** (15) და სხუაჲ დიად".[1]

როგორც ვხედავთ, ყველა მონასტერში ინახებოდა „ბეჭდული" წიგნები, რომელთა რაოდენობა დაახლოებით ერთნაირია (22, 24, 25) და „სხუა" წიგნები, რომელთა რაოდენობა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან (30, 29, 20). რა უნდა იყოს ეს „ბეჭდული" წიგნები და რითი უნდა განსხვავდებოდნენ ისინი „სხუა წიგნებისაგან". ვფიქრობ, აქ უნდა იგულისხმებოდეს საეკლესიო კანონები: მოციქულთა, შვიდი მსოფლიო კრების, უმნიშვნელოვანეს ადგილობრივ კრებათა და საეკლესიო მამათა. ეს რომ ასეა, ვფიქრობ, ამას ადასტურებს რუის-ურბნისის ძეგლისწერა, რომელშიც ჩამოთვლილია ზემოთ ნახსენები კანონები და მიწერილი აქვს შემდეგი დასკვნა:

„ესე არიან შეკრებანი წმიდათა საეკლესიო კანონთანი *დაბეჭდულნი და დამარხულნი თჳნიერ ყოვლისა შემატებისა და მოკლე-*

[1] N/Sin.geo-50, 90r.

ბისა და ამათი მეცნიერებაჲ და შედგომაჲ და მტკიცედ პყრობაჲ უჴმს ყოველთა წინამძღუართა ქრისტეანობითისა მადიდებლობისათა მღდელთ-მთავართა და მღდელთა და დიაკონთა და ჩუენ შორის მოძღურად სახელდებულთა მათცა მონაზონთა და ერთბამად ყოველსა სავსებასა მართლმადიდებელთა ეკლესიისასა".[1]

მაგრამ ასეთი ახსნა არ შეიძლება იყოს ერთადერთი. საქმე ის არის, რომ „დაბეჭდულნი წიგნნი" სხვა ამავე ხანების ქართულ ძეგლებშიც გვხვდება სრულიად ნათელი მნიშვნელობით, ვინაიდან მათ მოსდევთ სათანადო განმარტება. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში" ვკითხულობთ:

გრიგოლ ხანძთელმა „ახლისა შჯულისა დაბეჭდულნი წიგნნი ზეპირით იცოდნა და მრავალნი წიგნნი ძუელისაცა შჯულისანი: არამედ დაუბეჭდველნი წმიდათა მოძღუართა თქუმულნი აღურაცხელნი წარმოითქუმოდეს უწიგნოდ ენითა მისითა".[2]

შინაარსიდან ცხადია და ნ. მარიც განმარტავს, რომ ამ შემთხვევაში „დაბეჭდული" და „დაუბეჭდველი" წიგნები „ახლისა" და „ძუელისა შჯულისანი" გულისხმობს კანონიკურსა და არაკანონიკურ ძველი და ახალი აღთქმის წიგნებს.[3] უფრო ზუსტი მითითება გვაქვს კ, კეკელიძის მიერ გამოქვეყნებულ ტექსტში „ცხორებაჲ და განგებაჲ წმიდისა იოვანე ურჰაელისაჲ":

„და იყო იგი სწავლულ ფრიად ჴელოვნად: დაბადებასა და ოცდაოთხთა ბეჭდულთა წინაწარმეტყუელთასა"[4]

კ. კეკელიძე განმარტავს, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთა წიგნების სრულ კანონთან.[5]

ქართველოლოგიურ მეცნიერებაში დიდი ხანია კამათია, არსებობდა თუ არა ქართულ ენაზე საეკლესიო კანონთა კრებულები *მცირე და დიდ სჯულისკანონებამდე* ან ცალკეულ კანონთა თარგმანები.[6] მე

---

1 *რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა*, 112; გაბიძაშვილი, *რუის-ურბნისის ძეგლისწერა*, 182.

2 *შრომაჲ და მოღუაწებაჲ გრიგოლისი არქიმანდრიტისაჲ, ხანძთისა*, 282; *Житие Св. Григория Хандзийского*, ლთ.

3 იქვე, LXIV, 114.

4 კეკელიძე, *Житие и подвиги Иоанна Каталикоса*, 114.

5 იქვე, 113.

6 VI-VII საუკუნეებში ქართულ ენაზე საეკლესიო კანონთა კრებულების ან

მხარს ვუჭერ მათ, ვისაც თეორიულად შეუძლებლად მიაჩნია, წარმოიდგინოს საქართველოში ასე განვითარებული საეკლესიო და სამონასტრო ცხოვრება X ს-ის ბოლომდე მსოფლიო საეკლესიო პრაქტიკაში მიღებული კანონების თარგმანთა გარეშე. თუ N/Sin.geo-50-ის ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილი ცნობის ინტერპრეტაცია სწორეა, მაშინ ჩვენს ხელთაა პირდაპირი მონაცემები საქართველოს მონასტრებში ცალკეულ კანონთა წიგნების დაცულობის შესახებ. ვიმეორებ, რომ ეს ცნობა მიუთითებს არა მაინც და მაინც კრებულის არსებობაზე, არამედ კანონთა წიგნების არსებობაზე X საუკუნემდელ საქართველოში.

ამრიგად, ორივე შემთხვევაში, როდესაც ლაპარაკი იყო ბიბლიის წიგნებზე, მითითება გვქონდა პირდაპირ ამ წიგნების დასახელებით. ასე რომ, ცალკე აღებული „ბეჭდულნი წიგნნი" არა გულისხმობს მაინცა და მაინც ბიბლიის წიგნებს. იგი გულისხმობს ისეთ წიგნებს, რომლებიც სული წმიდის შთაგონებითაა დაწერილი და სავალდებულოა ყველასათვის, რომელთათვისაც არც რაიმეს შემატება შეიძლება და არც მოკლება. ასეთი კი, პირველ რიგში, იყო მსოფლიო საეკლესიო კრებათა კანონები.[1] ამ ვარაუდს ამტკიცებს ის გარემოებაც, რომ ჯვრის მონასტერში 22 „ბეჭდული" წიგნის გვერდით ინახებოდა ისეთი სრულიად უეჭველად კანონიკური წიგნები, როგორიცაა სამი ოთხთავი, ერთი ოქრო-წყლით ნაწერი სახარება და სამი ცალი პავლე მოციქულის ეპისტოლენი.

არანაკლებ საინტერესოა მონასტრის წიგნთსაცავში წმიდა ნინოს შესახებ არსებული წიგნის მოხსენიება. რატომ არის ნათქვამი ასე მარტივად „ნინოჲსი" და არა „ცხორება და მოქალაქეობაჲ წმიდისა ნინოჲსი" ან რაიმე ამდაგვარი. ასეთი მოხსენიება ცხოვრების წიგნებისა არ

ცალკეულ კანონთა თარგმანების არსებობაზე უნდა მიუთითებდეს „ეპისტოლეთა წიგნში" დაცული ცნობა კირონ ქართლის კათალიკოსის მიერ აბრაამ სომეხთა კათალიკოსისათვის „ოთხ კრებათა წიგნის" თარგმნის შესახებ (*ეპისტოლეთა წიგნი,* 101-102). სწორედ ასეთ შეხედულებას ავითარებდა ივ. ჯავახიშვილი (ჯავახიშვილი, *ქართული სამართლის ისტორია,* 38-46), თუმცა კ. კეკელიძეს მიაჩნდა, რომ ეს ცნობა მხოლოდ დოგმატიკური ხასიათის კრებულის არსებობაზე მიუთითებს (კეკელიძე, *ლიტერატურის ისტორია,* 560); ამავე აზრს იზიარებს ე. გაბიძაშვილიც (*დიდი სჯულისკანონი,* 12-16).

[1] Болотов, *Лекции по истории церкви,* 323-324; Запрудский, *Вселенский собор,* 7-8, 9-24.

არის იშვიათი. მაგალითად, გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის წიგნი (აგათანგელოსის „სომხეთის ისტორია“) ასეც მოიხსენიება: „წიგნი გრიგორისი“. მაგრამ ამ შემთხვევაში შესაძლოა განსხვავებულ სიტუაციასთან გვქონდეს საქმე. გავიხსენოთ, რომ ამავე ხელნაწერის მინაწერში ნათქვამია: „სახელითა ღმრთისაჲთა, დაესრულა წმიდისა ნინოჲსი“. ვფიქრობ, ასე იმიტომ არის ორგანვე ნათქვამი, რომ ის, რასაც ჩვენ დღეს „ნინოს ცხოვრებას“ ვუწოდებთ და „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ნაწილს წარმოადგენს, არ არის ტიპური ცხოვრებათა ჟანრის თხზულება. იგი თვითონ წმიდა ნინოს მონათხრობია და ამიტომაც არის „[წიგნი] ნინოჲსი“ (ან „ნინოჲსი“) და არა „ცხორება ნინოჲსი“. მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს იცოდნენ ჩვენმა წინაპრებმაც და ამიტომ მერყეობდნენ იმაში, რა ეწოდებინათ თხზულების ამ ნაწილისათვის. მართლაც, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ უძველეს რედაქციებში (სინურსა და ჭელიშურში) არა გვაქვს სათაურად „ცხორებაჲ წმიდისა ნინოჲსი“, რომელიც გამოჩნდება უფრო გვიან (შატბერდულში). ხოლო მას შემდეგ, რაც ლეონტი მროველისა და არსენი ბერის მეცადინეობით შეიქმნა „წმიდა ნინოს ცხოვრება“ ჰაგიოგრაფიის კანონთა სრული შესატყვისობით, მას მართლაც ეწოდა „ცხორება და მოქალაქეობაჲ წმიდისა ნინოჲსი“,[1] მაგრამ მთავარი მაინც ეს არ არის. მთავარია ის, რომ X ს-ის *დასაწყისში არსებობდა წმიდა ნინოს ცხოვრების ტექსტი, რა სახისაც არ უნდა ყოფილიყო იგი, და არსებობდა „მოქცევაჲ ქართლისაჲსგან“ დამოუკიდებლად.* ცხადია, რომ ასეთი ტექსტი ცალკე რედაქციად უნდა განვიხილოთ. მაშასადამე, ჩვენ უკვე დოკუმენტურად ვიცით, რომ *X საუკუნეში არსებობდა წმიდა ნინოს ცხოვრების შემცველი ხუთი ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული რედაქცია.*[2] შეიძლება ამის შემდეგ წარმოდგენა იმისა, რომ წმიდა ნინოს კულტი საქართველოში შეიქმნა IX-X საუკუნეებში ან კიდევ, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ IX-X სს-ის ძეგლია?![3]

---

[1] შდრ. *ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ ნინოჲსი.*

[2] აღნიშნული რედაქციებია: შატბერდული (S-1141, იხ. *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S კოლექცია,* II, 37), ჭელიშური (H-600, იხ. *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, H კოლექცია,* II, 52-53), ორი სინური რედაქცია (N/Sin. geo-50, N/Sin.geo-48) და ჯვრის მონასტრის ბიბლიოთეკის ნიგნებს შორის დასახელებული „[წიგნი] ნინოჲსი“.

[3] კეკელიძე, *„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს შედგენილობა,* 73-83; მისივე, *ლიტე-*

ერისმთავართა გენეალოგია, ქრონოლოგია და უძველესი ცნობა ბაგრატიონთა დინასტიის შესახებ N/Sin.geo-50-ში

საინტერესო ცნობებია ჩანართში იოანე ნათლისმცემლის მონასტრის საგანძურის შესახებ. აქ ინახებოდა საკურთხევლის სამოსელი – 15, ვერცხლის ჯვარი – 10, ვერცხლის ძელი ცხორებისა – 1, რომელსაც 3 მტკაველის (დახლოვებით 70 სმ) სიგრძის ფრთები ჰქონია, ხოლო ტანი – „თუალთა თანა საქცეველითა“ (ვგონებ უნდა ნიშნავდეს „თვალუწვდენელს“. შდრ. ყანის საქცეველი = ყანის ბოლო) და ამშვენებდა 52 ძვირფასი თვალი. ეს ძელი ცხოვრებისა გადმოცემით ეკუთვნოდა გუარამ კურაპალატს.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ორ გუარამ კურაპალატს ასახელებს: ერთია მცხეთის ჯვრის მაშენებელი სტეფანოზისა და დემეტრეს მამა გუარამ დიდი, ხოლო მეორე – იმ სტეფანოზის მომდევნო ერისთავი, რომელმაც დაამთავრა მცხეთის ჯვრის მშენებლობა.[1] ვფიქრობ, რომ დასახელებულ ცნობაში ლაპარაკი უნდა იყოს მეორე გუარამის შესახებ, ვინაიდან პირველს იგივე ცნობა სხვაგან მოიხსენიებს როგორც გუარამ დიდს და ასევე უწოდებს მას, ჭელიშურის მსგავსად ტექსტშიც.[2] სხვა ორი გუარამ ერისთავი „მოქცევაჲში“ კურაპალატობით არ მოიხსენიება.

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ სიაში გურგენ ერისთავი სულ ერთხელ არის დასახელებული – სიის ბოლოს (ისიც მხოლოდ ჭელიშურში).[3] სინურსა და შატბერდულში ჭელიშურის გურგენის ადგილას წერია გუარამი. გურგენი დასახელებულია, აგრეთვე, ბერძნულ წყაროებში 570-იან წლებში, მაშინ, როდესაც ქართული წყაროების მიხედვით ქართლს განაგებს გუარამ დიდი კურაპალატი.[4] ვარაუდობენ, რომ გურგენი და გუარამი ერთი და იგივე პირი უნდა იყოს.[5] ამ სახელების აღრევა

რატურის ისტორია, 530-532; ჯავახიშვილი, *ანდრია მოციქული*, 69; მისივე, *ძველი ქართული საისტორიო მწერლობა*, 107, 114.

1 *მოქცევაჲ ქართლისაჲ*, 95, 97.

2 იქვე, 97.

3 იქვე, 97.

4 *თეოფანე ბიზანტიელი*, 256-258; *კონსტანტინე პორფიროგენეტი, De administrando imperio*, 260, შენ. 1.

5 გუარამ-გურგენის იდენტიფიკაციის საკითხი პირველად დააყენა გ. ჩუ-

ქართულ წყაროებში სხვაგანაც გვაქვს,[1] ჩვენი ძეგლი კი, ცხადია, მათ ერთმანეთში არ ურევს.

N/Sin.geo-50-ში ადარნერსე ერისმთავრის შესახებ ვკითხულობთ:

„ოდეს გარდაიცვალა კურთხეული და დიდებული მამფალი ადარნერსე, ძმ სტეფანოზისი, ძმისწული დემეტრისი, ძისწული დიდისა გუარამისი. და მე-კ (მეოცე) წელსა გარდაიცვალა კურთხეული მეუღლე მისი გუარამავრი, დეკენბერსა ბ (2-ს). და თთუესა იანვარსა კ (20-ს) გარდაიცვალა კურთხეული დედუფალი ლატავრი, ასული სტეფანოზისი, დაჲ ადარნერსძსი, დედაჲ ბაგრატუნიანისაჲ და კუროპალატიანისაჲ, და დაეფლა ჯუარს, მარიამ-წმიდას, ძით და ასულის წულითურთ".[2]

მკითხველი ადვილად შეამჩნევდა, რომ ტექსტს დასაწყისში რაღაც აკლია. შეუძლებელია მასში პედანტურად ჩამოთვლილი ყოფილიყო გუარამავრისა და ლატავრის გარდაცვალების ზუსტი თარიღები, თვისა და რიცხვის ასევე ზუსტი მითითებით, ადარნერსეს გარდაცვალების წლიდან ათვლით („მეოცესა წელსა"), ხოლო თვითონ ადარნერსეს გარდაცვალების წელი მაინც მასში აღნიშნული არ ყოფილიყო. ან სტილისტურად დავაკვირდეთ მას: „ოდეს გარდაიცვალა... ადარნერსე... და მეოცსა წელსა გარდაიცვალა გუარამავრი" და ა.შ. ცხადია, ტექსტს რაღაც აკლია. ესეც კიდევ ერთი არგუმენტია იმის სასარგებლოდ, რომ ჩანართის დედანი რამდენიმე გადაწერის შემდეგ დაზიანებულია და იგი ჩვენამდის მოღწეულზე გაცილებით უფრო ძველი და სანდო იქნებოდა.

ვინ არის ის ადარნერსე მამფალი, რომელიც ჩანართის მთელი ტექსტისათვის მთავარი პერსონაა?

სრულიად ნათელია, რომ ამ ცნობაში ლაპარაკია იმ ადარნერსეს შესახებ, რომელიც ერთ-ერთი ქტიტორია მცხეთის ჯვრისა და მისი გამოსახულება არის კიდეც აღბეჭდილი ჯვრის რელიეფზე, ხოლო

ბინაშვილმა (იხ. Чубинашили, *Памятники типа Джвари,* 25); ამ შეხედულებას ემხრობიან ნ. ლომოური და გ. დუნდუა (იხ. ლომოური, *კონსტანტინე პორფიროგენეტი,* 137-140; დუნდუა, *ქართულ-სასანური მონეტები,* 107-109); ამავე საკითხთან დაკავშირებით იხ. Toumanoff, *Iberia between Chosroid,* 428-434; ბოგვერაძე, *ქართლის პოლიტიკური,* 83-84.

[1] თაყაიშვილი, *სუმბატ დავითის ძის ქრონიკა,* 85, შენ. 35.

[2] N/Sin.geo-50, 91v.

თვითონ დასახელებულია აქვე ჯვრის პოსტამენტის წარწერაში.[1] ეს იგივე ადარნერსეა (ატრნერსე), რომელიც საეროთაგან წამყვან როლს თამაშობდა VII ს-ის დამდეგს ქართველთა და სომეხთა შორის მომხდარ საეკლესიო განხეთქილებაში, მტკიცედ ედგა მხარში კირონ ქართლის კათალიკოსს მართლმადიდებლობის გამო მომხდარ ამ საერთაშორისო კონფლიქტის დროს.[2]

ამრიგად, მოტანილი ცნობის მიხედვით VI-VII საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწე ქართლის ერისმთავართა გენეალოგიური ტაბულა ასეთი იქნება:

გუარამ დიდი
↓
სტეფანოზი – დემეტრი, მისი ძმა
↓
ლატავრი, მისი და – ადარნერსე მამფალი – გუარამავრი, მისი მეუღლე

რა სიახლეებს გვაძლევს საქართველოს ისტორიისათვის მოტანილი ცნობა: პირველად ვხვდებით წყაროში მოხსენიებას ადარნერსე (ადარნასე) ერისმთავრის მეუღლის გუარამავრისა და მისი დის ლატავრის შესახებ.

ადარნერსე (ატრნერსე) ერისმთავარი აქამდე ცნობილი იყო მხოლოდ კპატოსის ტიტულით. მართალია, მოსე კალანკატუელის ცნობით (VII-X სს.), ჩვენ ვიცოდით, რომ ადარნერსე რომაელთაგან „სამმაგი პატივით" იყო განდიდებული,[3] მაგრამ კონკრეტულად რა იგულისხმებოდა მასში, არ ვიცოდით.[4] შეიძლება დავუშვათ, რომ ადარნერსემ, როდესაც ქართლის ერისმთავარი გახდა, ბიზანტიის კეისრისაგან პა-

---

1 Чубинашили, *Памятники типа Джвари,* 144; Таблицы, 21; ჯავახიშვილი, *პალეოგრაფია,* 156-163; *ლაპიდარული წარწერები I,* 95-97.

2 *ეპისტოლეთა წიგნი,* 35, 40, 72, 76, 83, 143 – შენ. 2.

3 *Մովսէսի Կաղանկատուացւոյ Պատմութիւն,* 204.

4 ივ. ჯავახიშვილის აზრით, ადარნესე, კპატოსობის გარდა, შესაძლოა, ფლობდა პროტოსპათარისა და სპათაროკანდიდატის ტიტულსაც (ჯავახიშვილი, *პალეოგრაფია,* 158-159); კ. თუმანოვი კი „სამმაგ პატივში" კპატოსობასთან ერთად პატრიკიოსობასა და აპო-კპატოსობას გულისხმობს იხ. Toumanoff, *Iberia between Chosroid,* 392, შენ. 11.

ტრიკიოსის წოდებაც მიიღო მამამისის მსგავსად. მაშინ მესამე პატივი მისთვის იქნებოდა უკვე საკუთრივ ქართული ტიტული – „მამფალი“.[1]

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ზუსტად მიუთითებს გუარამ კურაპალატის, სტეფანოზ ერისმთავრისა და დემეტრეს ნათესაური ურთიერთობის შესახებ (მამა და შვილები), მაგრამ არაფერს ამბობს ამათთან ადარნერსეს მიმართებაზე.[2] ჯუანშერის მიხედვით, გუარამი და მისი შვილები სხვა საგვარეულოს (ბაგრატოვანთა) ეკუთვნიან, ხოლო ადარნერსე (ადარნასე) სხვას (ხოსროიანთა), იგი ბაკურის ძეა.[3] სუმბატ დავითის ძე, რომელიც ამ ადგილას თითქოს მთლიანად „მოქცევაჲთ“ სარგებლობს, მოულოდნელად ადარნერსეს (ადარნასე) სტეფანოზის ძედ აცხადებს.[4] დავუმატოთ ყოველივე ამას ისიც, რომ სტეფანოზი, დემეტრე და ადარნერსე მცხეთის ჯვრის პოსტამენტის წარწერაში ერთმანეთის გვერდით მოიხსენებიან. ყოველივე ამან ქართულ მეცნიერებაში ერთმანეთისაგან განსხვავებული რამდენიმე შეხედულება დაბადა:

---

1 „მამფალის“ ეტიმოლოგია თითქოს გამჭვირვალეა: მამა+უფალი>მამფალი. შდრ. დედოფალი || დედუფალი<დედა+უფალი. სპეციალისტთა შორის არ არის ერთსულოვნება ტერმინ მამფალის შეფასებაში. ზოგი მეცნიერი თვლის, რომ იგი მხოლოდ „უფლის“ სინონიმია (*ლაპიდარული წარწერები I*, 37). უფრო გავრცელებული შეხედულებით, იგი „პატრონის“ სინონიმია, მაგრამ მასზე უფრო ძველი ხმარებისაა (ბოგვერაძე, *ქართლის პოლიტიკური*, 182). მე ვფიქრობ, რომ ტერმინი „მამფალი“ მაინც პოლიტიკური ტიტულის დატვირთვას ატარებს, ვინაიდან ყველა წარჩინებული არ შეიძლებოდა ყოფილიყო მამფალი. ამ დებულებას ერთგვარ სიძნელეს უქმნის ზოგიერთი კათალიკოსის ან ეპისკოპოსის მოხსენიება წყაროებში მამფლობით („მარადის საწადელი და თაყუანის-საცემელი ბრძანებაჲ ღმრთივ პატიოსნისა *მამფლისა* და უფლისა ჩემისაჲ (სამოელისი – ზ.ა.) მოვიღე ჴელითა სიწმიდის მოყუარისა ხსართან მღდელისაჲთა..“. იხ. „წამებაჲ წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტჱსისა ჰაბოჲსი, რომელი იწამა ქართლს შინა, ქალაქსა ტფილისს, ჴელითა სარკინოზთაჲთა, გამოთქუმული იოვანე ძისა საბანისი ბრძანებითა ქრისტჱს მიერ სამოელ ქართლისა კათალიკოზისაჲთა“, *აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, I, 47; „ქრისტე შეიწყალენ ამისა წიგნისა მომგებელნი *მამფალი მტბევარი* იოვანე და მამაჲ თევდორე, ამენ“ იხ. A-19, *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A კოლექცია*, I,, 71, შენ. 1).

2 *მოქცევაჲ ქართლისაჲ*, 95, 96.

3 ჯუანშერი, *ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა*, 218, 221, 225.

4 სუმბატ დავითის ძე, *ცხორებაჲ და უწყებაჲ ბაგრატონიანთა*, 375; თაყაიშვილი, *სუმბატ დავითის ძის ქრონიკა*, 60; სუმბატ დავითის ძე, *ცხორებაჲ და უწყებაჲ ბაგრატონიანთა*, 43.

ა) სტეფანოზი და დემეტრე, ერთი მხრივ, და ადარნერსე, მეორე მხრივ, სხვადასხვა საგვარეულოს წარმომადგენლები არიან.[1]

ბ) სტეფანოზი, დემეტრე და ადარნერსე ერთმანეთის ძმები არიან.[2]

გ) გუარამის შვილები არიან სტეფანოზი და დემეტრე, ხოლო ადარნერსე არის სტეფანოზის ძე.[3]

როგორც ვხედავთ, N/Sin.geo-50 ამ ბოლო შეხედულებას უჭერს მხარს და ვფიქრობ, ეს მხარდაჭერა გადამწყვეტი უნდა იყოს, ვინაიდან მას მიმოქცევაში შემოაქვს თვისობრივად სრულიად ახალი მასალა – ეპიტაფიები და საეჯახო ქრონიკები.

ცალკე მინდა განვიხილო ცნობა სტეფანოზის ქალიშვილისა და ადრნერსეს დის ლატავრის შესახებ, რომელიც მოხსენიებულია, როგორც „დედაჲ ბაგრატუნიანისაჲ და კუროპალატიანისაჲ".

„მოქცევაჲ ქართლისაჲ" ქართლის ერისმთავართა საგვარეულოს არ აკავშირებს მომავალ ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებთან. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, იგი ამ საკითხს საერთოდ არ ეხება. იგი IX-X საკუნეებში რომ იყოს შედგენილი, ბაგრატოვანთა საგვარეულოს ასე თუ ისე იდენტიფიკაციას ვერ ასცდებოდა, ისე, როგორც ვერ ასცდა ვერცერთი ამ და უფრო მოგვიანო ხანის წყარო. მარტო ეს არგუმენტიც კი საკმარისი იქნებოდა „მოქცევაჲს" IX საუკუნეზე ადრინდელი ხანით დასათარიღებლად. დაბეჯითებით იმის თქმა, იყო თუ არა ჯუანშერთან ეს ორი საგვარეულო დაკავშირებული ერთმანეთთან, ძნელია. ტექსტში ეს პირდაპირ არსად არ არის მითითებული. მხოლოდ სათაურებში, რომლებიც არა გვხვდება ყველა ნუსხაში (მათ შორის ე.წ. ანასეულსა და მარიამისეულ ნუსხებში), შეიძლება ამოვიკითხოთ შემდეგი:

> „მეოცდაცხრამეტე მეფე ქართლისა, კურაპალატი გუარამ ბაგრატოანი"; „მეორმოცე ერისთავთა-მთავარი ქართლისა სტეფანოზ, ძე გუარამ კურაპალატისა, ბაგრატოანი".[4]

---

1 ჯავახიშვილი, *პალეოგრაფია*, 156-163; Toumanoff, *Iberia on the Eve of the Bagratid Rule*, 205; მისივე, *Iberia between Chosroid*, 391-393, 395-398; აგრეთვე ტაბულა: Table of the kings and princes of Iberia from the sixth to ninth century; *ეპისტოლეთა წიგნი*, 177.

2 Чубинашили, *Памятники типа Джвари*, 114; Djobadze, *The Sculptures*, 123.

3 ჩხარტიშვილი, *ევსტათი მცხეთელი*, 86-91.

4 ჯუანშერი, *ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა*, 218, 222.

მხოლოდ ერთგან ტექსტში გვაქვს ისეთი მითითება, რომელიც შეიძლება მიგვანიშნებდეს ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა რაღაცა კავშირზე გუარამ და სტეფანოზ ერისმთავართა ჩამომავლებთან. როდესაც ჰერაკლე კეისარმა სტეფანოზ ერისმთავარი მოაკვლევინა და ქართლი დაიკავა ადარნასე ბაკურის ძემ (სათაურის მიხედვით, ხოსროიანმა), ჯუანშერმა შენიშნა:

> „და შვილნი სტეფანოზისნი დარჩეს კლდეთა შინა კლარჯეთისათა".[1]

ამის შემდეგ ჯუანშერი მოგვითხრობს ერთი მთავრის შესახებ:

> „რომელი იყო ნათესავისაგან დავით წინასწარმეტყუელისა, სახელით ადარნასე, ძმისწული (უნდა იყოს „ძისწული", როგორც შემოგვინახა ანასეულმა ნუსხამ) ადარნასე ბრმისა, რომლისა მამა მისი მზახებულ იყო ბაგრატონიანთად-ვე და ბერძენთა მიერ დადგინებულ იყო ერისთავად არეთა სომხითისათა, და ტყვეობასა მას ყრუისასა შთასრულ იყო იგი შვილთა თანა გუარამ კურაპალატისთა კლარჯეთს, და მუნ დარჩომილ იყო".[2]

აი, ამ ადარნასემ, ჯუანშერის მიხედვით, სთხოვა არჩილ ერისმთავარს (ჯუანშერით, მეფეს), ადარნასე ბაკურის ძის შვილიშვილს, ქვეყანა მის ტერიტორიაზე დასამკვიდრებლად და მიიღო კიდეც.

„მატიანე ქართლისაჲ" აგრძელებს ჯუანშერის თხრობას შემდეგნაირად: არჩილის ვაჟი, ჯუანშერი ცოლად ირთავს ზემოთ დასახელებული ადარნასეს ქალიშვილს ლატავრს. დედამისი ამ ქორწინების წინააღმდეგია, ვინაიდან არ იცის კარგად, რომ ბაგრატოვანნი დავით წინასწარმეტყველის ჩამომავლნი არიან. შემდეგში ყველაფერი კარგად მთავრდება და ადარნასე ბაკურის ძის ჩამომავალნი და ბაგრატოვანნი ერთმანეთის მოყვრები ხდებიან.[3] ასე უკავშირდებიან „მატიანე ქართლისაჲს" მიხედვით ბაგრატიონები ქართლის ერისმთავართა საგვარეულოს.

სულ სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე სუმბატ დავითის ძის „ქრონიკაში": ფილისტიმელთაგან წამოსული შვიდი ძმა მოვიდა ჯერ

---

[1] ჯუანშერი, *ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა*, 226.
[2] იქვე, 243.
[3] *მატიანე ქართლისა*, 251.

სომხეთში. სამი მათგანი აქ დარჩა და „დღეინდელად დღედმდე შვილნი მათნი მთავრობენ სომხეთს". ოთხი ძმა ქართლში წამოვიდა.

> „ერთი მათგანი, სახელით გუარამ, განაჩინეს ერისთავად, და ესე არს ერისთავი ქართლისა და მამა ბაგრატიონთა. და ესე ქართლისა ბაგრატონიანნი შვილის შვილნი და ნათესავნი არიან მის გუარამისნი".[1]

XX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფია, რომლის ყველაზე მკაფიო წარმომადგენელია ექვთიმე თაყაიშვილი, სუმბატ დავითის ძის ცნობებს ტენდენციურ შენათხზად მიიჩნევს. ე. თაყაიშვილი თვლის, რომ სუმბატმა მიაწერა გუარამს და მის ჩამომავლებს ბაგრატიონობა და სუმბატმავე გამოაცხადა გუარამის შემდეგ ყველა ერისმთავარი, მათ შორის ადარნასეც, ერთმანეთის შვილად.[2] ასეთ დასკვნას ერთგვარ დაბრკოლებად ეღობებოდა და კვლავაც ეღობება (იგი არავის მოუხსნია) კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობა იმის შესახებ, რომ „იერუსალიმიდან მათი გამოსვლისა და აწინდელს ქვეყანაში შემოსვლიდან დღემდე (952) ოთხასი ან ხუთასი წელი გასულაო".[3] 952 წლის წინ ოთხასი წელი კი სწორედ გუარამ კურაპალატის ერსმთავრობაზე მოდის.

ე. თაყაიშვილი თვლის, რომ პირველი ბაგრატიდი, რომელიც ქართლში მოვიდა, იყო ადარნასე ძე ვასაკისა, სომხეთის მთავრის აშოტ ბრმის ძისა. XIII ს-ის სომეხი ისტორიკოსის ვარდან დიდის ცნობით, ეს აშოტი მამიკონიანებმა დააბრმავეს 758 წელს და გარდაიცვალა 761 წელს. პირველი ქართლის ერისთავი, ე. თაყაიშვილის აზრით, ბაგრატიონთა შტოდან იყო აშოტ I დიდი, ძე ადარნესესი, რომელიც 826 წელს მოკლეს.

ამრიგად, კავკასიოლოგიური ისტორიოგრაფია იმ აზრისაა, რომ ქართველი და სომეხი ბაგრატიდები ერთი დინასტიის განაყოფი არიან. ქართული შტოს მამამთავრები სომხეთის შტოს გამოეყვნენ და საქართველოში დამკვიდრდნენ დაახლოებით VIII ს-ის ბოლოს. განსხვავებული შეხედულებები ამის შემდეგ იწყება. კავკასიოლოგთა ერთი ნაწი-

---

1 სუმბატ დავითის ძე, *ცხორებაჲ და უწყებაჲ ბაგრატონიანთა*, 373.

2 თაყაიშვილი, *სუმბატ დავითის ძის ქრონიკა*, 13-15.

3 *კონსტანტინე პორფიროგენეტი, De administrando imperio*, 259; შდრ. ჯანაშია, *კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობები*, 69-85; ლომოური, *კონსტანტინე პორფიროგენეტი*, 142-143.

ლი თვლის, რომ ბაგრატიდთა საგვარეულო წარმოშობით ჭანურია და მხოლოდ შემდეგ მოხდა მათი ერთი შტოს გასომხება.

მაგრამ, რა დასკვნების გაკეთების საშუალებას გვაძლევს N/Sin. geo-50-ის ჩანართი ყველა იმ პრობლემის შესახებ, რომელზეც ზემოთ იყო ლაპარაკი:

1. როგორც დავინახეთ, N/Sin.geo-50-ის მიხედვით გუარამი, სტეფანოზი და ადარნერსე ქართლის ერისმთავრები ნამდვილად ერთმანეთის მამა, შვილი და შვილიშვილი ყოფილან. ამით ეს ცნობა მხარს უჭერს და ამაგრებს სუმბატ დავითის ძის ვერსიას.

2. მათემატიკურად ზუსტი აღმოჩნდა სუმბატ დავითის ძის ცნობა იმის შესახებ, რომ „ესე ბაგრატონიანნი შვილიშვილნი და ნათესავნი არიან მის გუარამისანი"-ო.

3. ბაგრატოვანთა დედა მართლაც ყოფილა გუარამ კუროპალატის შვილიშვილი ლატავრი.

4. ქართველ ბაგრატოვანთ არავითარი პირდაპირი კავშირი არ შეიძლება ჰქონდეთ სომხეთის მთავრებთან – აშოტ ბრმასთან და ვასაკთან. ისინი N/Sin.geo-50-ის მიხედვით, გაცილებით ადრე ჩანან ქართლში, ვიდრე ჩამოთვლილი პირები მოღვაწეობდნენ.

5. „მატიანე ქართლისაჲს" მსგავსად ბაგრატოვანნი და ქართლის ერისმთავრები მოყვრობით ყოფილან დაკავშირებული ერთმანეთთან. ჩანს, რომ ლატავრი გათხოვილი ყოფილა ბაგრატოვანთა გვარის წევრზე. ზუსტად ისე, როგორც სუმბატ დავითის ძე ამბობს გუარამ დიდი კუროპალატის შესახებ, რომ იგი „არს მამა ბაგრატიონთა", N/Sin.geo-50-ც გუარამის შვილიშვილის ლატავრის შესახებ აცხადებს, რომ იგია „დედაჲ ბაგრატუნიანისაჲ". „მატიანე ქართლისაჲს" მიხედვით, ერისმთავრების საგვარეულო ბაგრატოვანთ დაემზახა არჩილ მეფის შვილის ჯუანშერის მეშვეობით, რომელმაც ცოლად შეირთო სომხეთიდან გადმოხვენილი ადარნასე ბაგრატონიანის ქალიშვილი ლატავრი. ამ ორ ცნობას აქვს საერთოც და უფრო მეტი კი – განსხვავება. საერთოა სახელები პერსონაჟთა ადარნასე და ლატავრი. განსხვავებულია მათ შორის ნათესაური დამოკიდებულება: ადარნერსე და ლატავრი N/Sin. geo-50-ის მიხედვით და-ძმანი არიან და არა მამა-შვილი; ადარნერსე და ლატავრი ქართლის ერისმთავართა საგვარეულოს ეკუთვნიან და არა ბაგრატოვანთა; „მატიანეს" ადარნასესა და ლატავრის დამზახე-

ბა ქართლის ერისმთავრებთან ერთი საუკუნით უფრო გვიან ხდება, ვიდრე N/Sin.geo-50-ის ადარნერსესა და ლატავრის დამზახება ბაგრატოვანთა საგვარეულოსთან. და მაინც მგონია, რომ „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობაში აისახა რეალური ვითარება ამ ორი საგვარეულოს დამოყვრების შესახებ.

ჯუანშერის ცნობაში ყურადღებას იპყრობს ერთი ნიუანსი: კლარჯეთიდან ქართლში რომ გადმოვიდა პირველი ბაგრატოვანი ადარნასე, მისი პაპის მამა უკვე „მზახებულ იყო ბაგრატონიანთადვე“.

როდის უნდა მომხდარიყო ეს? რომელი ბაგრატონიანები უნდა ჰყავდეს მხედველობაში ავტორს?

ე. თაყაიშვილი თვლის, რომ ადარნასე ქართლში მოვიდა VIII ს-ის პირველ ნახევარში.[1] ამ დროს იგი უკვე კარგად მოწიფული მამაკაცი უნდა ყოფილიყო. ცხადია, მისი პაპის მამის ახალგაზრდობა VII საუკუნის პირველ ნახევარზე მოვა, სწორედ მაშინ, როდესაც ქართლში ერისმთავრობდა გუარამ კურაპალატის შვილიშვილი ადარნერსე, რომლის და ლატავრი N/Sin.geo-50-ის მიხედვით იყო „დედაჲ ბაგრატუნიანიასაჲ და კუროპალატიანისაჲ“. ვფიქრობ, სპეციალური დასაბუთება არ დასჭირდება ბაგრატოვანთა შორის შიდა საგვარეულო ქორწინების ფაქტებს. ასეთი შემთხვევა ბევრი გვაქვს და მას კონსტანტინე პორფიროგენეტი თეორიულადაც ასაბუთებს.[2] რაც შეეხება „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობას არჩილ მეფის ძის ჯუანშერის მიერ ადარნასეს ქალიშვილის ლატავრის შერთვის შესახებ, იგი შესაძლოა ბაგრატოვანთა მეორედ დამოყვრებას ასახავდეს, თუკი არ არის უფრო ადრინდელი ამბის გვიან გადატანის შემთხვევა.

სპეციალურ განხილვას საჭიროებს გამოთქმა „დედაჲ ბაგრატუნიანისაჲ და კუროპალატიანისაჲ“.

ვარაუდის სახით წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ ცნობის ავტორისათვის ეს არის მითითება ქართლის ერისმთავრებისა (კურაპალატიანები, გუარამ კურაპალატის ჩამომავლები) და ბაგრატოვანთა საგვარეულოს გაერთიანებაზე. ამავე დროს, VIII-IX სს-ში კურაპალა-

---

[1] თაყაიშვილი, *სუმბატ დავითის ძის ქრონიკა*, 35-38; *კონსტანტინე პორფიროგენეტი, De administrando imperio*, 256.

[2] იქვე, 256.

ტობა მხოლოდ ბაგრატოვანთა პრივილეგია იყო.[1] ვფიქრობ, აღნიშნული ცნობა შედგენილია მაშინ, როდესაც ბაგრატოვნები ჯერ კიდევ არ იყვნენ მეფეები, ანუ ადარნასე II-მდე (IX ს-ის მიწურული), წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარია მათი მხოლოდ „კუროპალატიანობით“ მოხსენიება.

„ქართლის ცხოვრების“ ე.წ. მარიამისეულმა ნუსხამ, როგორც ჩანს, შემოგვინახა რაღაც ანარეკლი ბაგრატოვანთა დამოყვრებაზე ადარნასე ერისმთავართან, თუმცა ეს ცნობა მას სომხეთში გადააქვს.

N/Sin.geo-50-ის ცნობა კიდევ ერთ ვარაუდს ამართლებს. კერძოდ იმას, რომ მცხეთის ჯვარი გამხდარა ქართლის ერისმთავართა საძვალე, იმათი მაინც, ვინც უშუალო მონაწილეობა მიიღო მის მშენებლობაში: გუარამი, სტეფანოზი, დემეტრე, ადარნერსე და მათი ოჯახის წევრები. მაგრამ სრული სიახლეა ის ფაქტი, რომ ჯვარში დაკრძალულნი ყოფილან ბაგრატოვნებიც. სხვას რას შეიძლება ნიშნავდეს ჩანართის ცნობა, რომ მცხეთის ჯვარში დაიკრძალა „დედაჲ ბაგრატუნიანთაჲ... ძით და ასულის წულით“? ბაგრატოვანთა დედას ძე ხომ უეჭველად ბაგრატოვანი ეყოლებოდა! ბაგრატოვანთა საძვალე მცხეთის ჯვარი შეიძლებოდა გამხდარიყო მხოლოდ ქართლის ერისმთავრებზე გავლით. როგორც ჩანს, ამავე გზით გახდნენ ისინი ქართლის ერისთავებიც, ხოლო შემდეგ მეფენიც, კანონიერი ჩამომავალნი ფარნავაზიანთა და გორგასლიანთა.

ქართული მეცნიერებისათვის სიახლეა, აგრეთვე, მცხეთის ჯვრის მარიამ-წმიდობით მოხსენიება. გასარკვევია მხოლოდ, მცირე ტაძარზეა ლაპარაკი თუ დიდზე. მაინც საჭირო იქნება გავიხსენოთ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ერთი ცნობა, რომელსაც ახლად აღმოჩენილი N/Sin.geo-48-ის მიხედვით მოვიტან, ვინაიდან იგი ამ ადგილას სხვა რედაქციებზე უფრო სრულია:

„და მეთერთმეტს მეფობდა დაჩი უჟარმელი და კათალიკოზი იყო სამოელ. და მისსა ზე ქალაქსა ტფილისს კაცნი დასხდეს და *მარიამ -წმიდაჲ* ეკლესიაჲ აღაშჱნეს. და კათალიკოზი იყო პეტრე მესამჱ“.[2]

---

[1] *კურაპალატი*, 147.

[2] *მოქცევაჲ ქართლისაჲ (სინური რედაქციები)*, 18; *მოქცევაჲ ქართლისაჲ*, 93-94.

კონტექსტი თითქოს გარკვევით ამბობს, რომ მარიამ-წმიდა თბილისში ააშენეს აქ დასახლებულმა „კაცებმა“, მაგრამ რომ არა ჩანს ამ ხანებში ასეთი ეკლესია თბილისში არც წყაროებით და არც ტრადიციით? მარიამ ღვთისმშობლის სახელზე თბილისში, როგორც ჩანს, სიონის ტაძარი აშენდა VI ს-ის მეორე ნახევარში, გუარამ კურაპალატის ზეობისას. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ამის შესახებ გვამცნობს: თბილისის მკვიდრებმა დიდი ეკლესიის მშენებლობა დაიწყეს, ნახევარს ხალხი აშენებდა და ნახევარს კიდევ ერისთავებიო.[1]

სამეცნიერო ლიტერატურაში „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში მოხსენიებულ „მარიამ-წმიდას“ გვიანდელი სახელით (1675 წლიდან) ცნობილ ანჩისხატის ეკლესიას მიჩნევენ ხოლმე, მაგრამ ამისათვის რაიმე მყარი საფუძველი არ არსებობს. ამ სახელით ანჩისხატი არცერთ ძველ წყაროში მოხსენიებული არ არის. ისტორიული ტრადიციით, ამ ეკლესიას 1675 წლამდე, სანამ აქ სამხრეთ საქართველოდან, ანჩის საეპისკოპოსო საყდრიდან „პირი ღმერთისას“ ხელთუქმნელ ხატს გადმოასვენებდნენ, „ზარის საყდარს“ უწოდებდნენ.

ძნელია ამის დასაბუთება, მაგრამ ვფიქრობ, იქ, სადაც „მოქცევაჲში“ მარიამ-წმიდის მშენებლობაზეა ლაპარაკი, ტექსტი შეიძლება ნაკლული იყოს. იქნებ ამის ბრალია, რომ შატბერდულ რედაქციაში შესაბამისი ზმნები ერთმანეთთან შეუთანხმებელია: „ტფილისს კაცნი *დასხდებოდეს* და მარიამ-წმიდაჲ ეკლესიაჲ *აღაშენეს*“. ხომ არ იყო ორიგინალში ასე: „ტფილისს კაცნი დასხდებოდეს და [მცხეთას] მარიამ-წმიდაჲ აღაშჱნეს“? საქმე ის არის, რომ დაჩის მეფობიდან მოკიდებული „მოქცევაჲ ქართლისაჲს ქრონიკაში“ მცხეთა და თბილისი ყველგან ერთ კონტექსტში არიან მოხსენიებული. მაგალითად:

> „მცხეთაჲ ათხელდებოდა და ტფილისი ეშენებოდა, არმაზნი შემცირდებოდეს და კალაჲ განდიდნებოდა“; „ამან დადვა საფუძველი პატიოსნისა ჯუარისაჲ... და ტფილისისა მკჳდრთა დიდსა ეკლესიასა დაიწყეს“; „ამან განიშორა ჯუარისა ეკლესიაჲ... და ტფილისს დაჯდა სტეფანოზ“.[2]

საკითხის ასე დაყენების შემდეგ უეჭველი იქნება, რომ N/Sin.geo-50-ის ჩანართში ლაპარაკია ჯვრის მცირე ეკლესიაზე, რომელიც V

---

1 *მოქცევაჲ ქართლისაჲ*, 95.

2 იქვე, 95, 97.

ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება და რომელიც გარკვეულ ფუნქციას შეინარჩუნებს ჯვრის დიდი ეკლესიის აშენების შემდეგაც.[1]

მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ ქართველი ბაგრატოვნები გენეტიკურად არა არიან დაკავშირებული სომხეთის მთავრებთან – აშოტ ბრმასა და ვასაკ ბაგრატუნებთან, ბუნებრივია, დაისვას კითხვა: არიან კი საერთოდ ქართველი ბაგრატოვნები და სომეხი ბაგრატუნები ისტორიულად საერთო წარმომავლობის? ვფიქრობ, ამ კითხვაზე ძველებურად უეჭველად დადებითი პასუხს ვეღარ გავცემთ, მაგრამ ალბათობა მათი ნათესაობის შესახებ მაინც რჩება. ამას გვარების იდენტურობის გარდა, გვაფიქრებინებს ეპისტოლეთა წიგნში შემონახული ცნობა ვრკანის მარზპანის, სმბატ ბაგრატუნის შესახებ.

სმბატ ბაგრატუნის მშობლების სალოცავი მცხეთის ჯვარი იყო. მათ დიდხანს შვილი არ ჰყავდათ. მცხეთის ჯვრის მორიგი მოლოცვისას ღმერთს შეავედრეს თავიანთი მომავალი და მართლაც, მალე ძე შეეძინათ.[2] შესაძლოა, მანამდეც ასე იყო, მაგრამ ამის შემდეგ უკვე ნამდვილად ბაგრატუნები ყოველწლიურად დადიოდნენ მცხეთაში სალოცავად. ეს ტრადიცია დაირღვა მაშინ, როდესაც სმბატი ირანის შაჰის კარზე გაიწვიეს ვრკანის მარზპანად და ირანის ჯარების მხედართმთავრად. ამის შემდეგ რვა წლის განმავლობაში სმბატ ბაგრატუნის სამშობლოში დაბრუნებისა და მცხეთის მოლოცვის საშუალება აღარ ჰქონია, რასაც იგი მისი წერილების მიხედვით, მწვავე ნაკლად აღიქვამდა.[3] როდესაც ქართლისა და სომხეთის ეკლესიებს შორის კონფლიქტი გამწვავდა, სმბატ ბაგრატუნი უკვე სომხეთში იმყოფებოდა ირანის შაჰის სპეციალური დავალებით, მოეწესრიგებინა სომხეთში შიდა საეკლესიო სიტუაცია.[4] რას გულისხმობდა ეს?

საქმე ის არის, რომ სომხეთი მონოფიზიტობის გზაზე იყო დამდგარი და ირანის სამეფო კარი ქრისტიანობის ამ მიმართულებას უჭერდა მხარს. ბიზანტიის ხელშეწყობით კი ნახევარი სომხეთი ქალკედონური გამხდარიყო და თავისი კათალიკოსიც დაესვათ.

---

1 შდრ. Чубинашили, *Памятники типа Джвари*, 18-25, 114.

2 *ეპისტოლეთა წიგნი*, 78-79.

3 *Պատմութիւն Սեբէոսի*, 100.

4 *ეპისტოლეთა წიგნი*, 73-74.

სომხეთში ძლიერი კათალიკოსი მოსე რომ გარდაიცვალა, მის მაგიერ ტახტზე ახლის და პროირანული ორიენტაციის კაცის დასმა გაძნელდა, არჩევნებიც კი ჩაიშალა. აი, ამ ვითარების გამოსასწორებლად არის სმბატი დვინში გამოგზავნილი და სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა ქართლის კათალიკოსის მიერ აშკარად გაკეთებული არჩევანი ქალკედონიტობაზე. ცხადია, სმბატ ბაგრატუნი ამ კონფლიქტშიც უნდა ჩაერთოს, თუ სურს ირანის გავლენა კავკასიაზე არ შესუსტდეს. მაგრამ ყოველგვარი ცდა სომეხთა მხრიდან მისი კონფლიქტში ჩართვისა და ირანის სამხედრო ძალის გამოყენებისა, უშედეგოდ მთავრდება. სმბატი აცხადებს, რომ მას არ შეუძლია ხელთ ხმალი აიღოს და თავის ძმებს (აქ ტექსტი დაზიანებულია და წაკითხვის სიზუსტეში დარწმუნებული არ შეიძლება ვიყოთ) შეერკინოს.[1] მე ვფიქრობ, N/Sin.geo-50-ის ჩანართი და „ეპისტოლეთა წიგნის" დოკუმენტური ტიპის ცნობები ქართველ და სომეხ ბაგრატიდთა აშკარად მცხეთურ წარმომავლობაზე მიუთითებენ. ამიტომ მათ საგვარეულო ლეგენდებში დაცულ ცნობებს საქართველოში მოსვლის მარშრუტის შესახებ ხელახალი მიბრუნება და სერიოზული კრიტიკა სჭირდება.

N/Sin.geo-50-ში კიდევ ერთი გენეალოგიური და ქრონოლოგიური ცნობაა მოცემული. იგი წერს:

> „ადარნერსე ნერსჱს ძჱ გარდაიცვალა დასაბამითგანთა წელთა ѯჳზ (6407) და ფილიპე გარდაიცვალა ბ (მეორესა) წელსა. და აბოჲ იწამა ტფილისს შინა დასაბამითგანთა წელთა **ѯჳთ** (6408), ერისთაობასა სტეფანოზისსა, ძისა გურგენისსა და მოსჱს ამირობასა".[2]

ამ ქრონოლოგიურ მონაცემებში საკონტროლოდ შეგვიძლია ავიღოთ აბო თბილელის მარტვილობის თარიღი. სამწუხაროდ, „აბო თბილელის მარტვილობის" ხელნაწერებში სულ სხვადასხვა და ერთმანეთის გამომრიცხავი თარიღებია მოცემული.[3] ამის გამო მეცნიერებსაც ამ მოვლენის აღსანიშნავად სულ სხვადასხვა თარიღები აქვთ

---

1 *ეპისტოლეთა წიგნი*, 82-83.

2 N/Sin.geo-50, 91v; იხ. ალექსიძე, *აბო თბილელის მარტვილობა*, 93-98.

3 შდრ. „...დასაბამით გარდასრულთა ექუს ათას სამას ოთხმოც და ცხრასა წელსა..". O/Sin. geo-11; „...დასაბამით გარდასრულთა ექჳს ათას ოთხას ოთხმეოცდაოთხსა წელსა". A-95, A-1130, A-170, A-176, H-2077, H-1672, H-1370, H-221, M-21; „...დასაბამით გარდასრულთა ექჳს ათას ოთხას ოცდამეოთხესა წელსა" A-19.

დასახელებული. მაინც, ერთმანეთთან ყველაზე ახლოს მდგომთაგან დავასახელებ შემდეგს: ე. თაყაიშვილი – 790 წელი;[1] ივ. ჯავახიშვილი – 785 წელი;[2] მ. ბროსე, კ. კეკელიძე – 786 წელი.[3]

ილ. აბულაძის რედაქტორობით გამოცემული „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლებში" იმ ადგილისათვის, სადაც აბო თბილელის წამების თარიღია მოცემული, ძირითად ტექსტად აღებულია ისეთი ხელნაწერი (O/Sin.geo-11), რომელიც 785 წელს უჭერს მხარს, თუ ქართული დასაბამითგანით ვიანგარიშებთ. სწორედ ამ გამოცემის მიხედვით „აბო ტფილელის მარტვილობაში" ვკითხულობთ:

> „სუფევასა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსსა, წელიწადსა ვნებითგან და მკუდრეთით აღდგომითგან რვაას ორმეოც და ექუსსა, მეფობასა კონსტანტინეპოლის, ქალაქსა მას დიდსა, ქრისტიანეთა ზედა კონსტანტინჱსსა, ძისა ლეონისსა, სარკინოზთა შორის მეფობასა მოსე ამირა მუმნისასა, ძისა მაჰდისსა, ქართლს შინა კათალიკოზობასა სამოელისსა, ერისმთავრობასა სტეფანოზისსა, ძისა გურგენისსა, დასაბამით გარდასრულთა ექუს ათას სამას ოთხმეოც და ცხრასა წელსა, თთუესა იანვარისასა ექუსსა, დღესა პარასკევსა, განცხადებასა, შევისწავეთ მარტვილობაჲ წმიდისა და ნეტარისა ამის მოწამისა და კეთილად მოღვაწისა ჰაბოჲსი ქალაქსა ტფილისს". [4]

აბოს მარტვილობის თარიღად 786 წლის 6 იანვარი თხზულებაში მოცემული რეალიების მიხედვით (ბიზანტიის კეისრის კონსტანტინესა და არაბთა ხალიფის ამირა მუმნის ზეობა, 6 იანვარი, პარასკევი), პირველად მ. ბროსემ განსაზღვრა; იგივე თარიღი იმავე არგუმენტაციით გაიმეორა დ. ბაქრაძემ; მანვე პირველმა გამოხატა სიტყვიერად ის, რასაც მ. ბროსე, როგორც ჩანს, ვარაუდობდა, რომ სვანურ მრავალთავში (X ს.) დასაბამითგანით მოცემულ თარიღს (6424 = 820) უნდა გამოაკლდეს ქრისტეს ამქვეყნად ცხოვრების წლები (მისი ვარაუდით

---

1 Такаишвили, *Описание рукописей*, 718, 760; Takaishvili, *Georgian Chronology*, 9.

2 ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, II, 83.

3 ბროსე, *საქართველოს ისტორია*, 93; კეკელიძე, *ფეოდალური ლიტერატურა*, 18; მისივე, *ლიტერატურის ისტორია*, 129; ამავე თარიღს ასახელებს მ. ბიროც, იხ. Biro, *Abo's Georgian Vita*, 258-259.

4 *წამებაჲ ჰაბოჲსი*, 63.

30), რის შედეგადაც მივიღებთ რეალურთან (786) ძლიერ დაახლოებულ 790 წელს.

შემდეგი მეცნიერი, რომელმაც აბო თბილელის მარტვილობის თარიღად 786 წლის 6 იანვარი დაასახელა მ. ბროსეზე მითითებით და მისივე არგუმენტებით, იყო თ. ჟორდანია, თუმცა თავის უშუალო წინამორბედზე (დ. ბაქრაძე) მას არ მიუთითებია.

სპეციალურად აბოს მარტვილობის თარიღი, ყველა მასთან დაკავშირებულ ქრონოლოგიურ საკითხთან ერთად, განიხილა კ. შულცემ და მ. ბროსეს მსგავსად ტექსტში მოცემული სინქრონული მასალის საფუძველზე კვლავ 786 წლის 6 იანვარი დაასახელა. კ. შულცე იცნობს მ. ბროსეს „საქართველოს ისტორიას" და უთითებს კიდეც მას, თუმცა არა აბოს წამების თარიღის განსაზღვრასთან დაკავშირებით. დ. ბაქრაძისა და თ. ჟორდანიას ნაშრომებს კი იგი, ჩანს, არ იცნობდა, ვინაიდან არსად არ იხსენიებს მათ.

786 წლის 6 იანვარი, იმავე არგუმენტების გამოყენებით, რაც მოცემული ჰქონდათ თ. ჟორდანიასა და კ. შულცეს, გაიმეორა პ. პეეტერსმაც თავისი წინამორბედების მოუხსენიებლად. ადვილი შესაძლებელია პ. პეეტერსი არ იცნობდა დ. ბაქრაძის ნაშრომს, ვინაიდან სქოლიოში იგი მიუთითებს, რომ ეს თარიღი პირველად სწორად განსაზღვრა თ. ჟორდანიამ (თუმცა თვითონ თ. ჟორდანია მ. ბროსეს ასახელებს, როგორც თარიღის დამდგენს), მაგრამ კ. შულცეს ნარკვევს იგი რომ კარგად იცნობდა, ეს ცხადია.

მეცნიერებაში აბოს მარტვილობის თარიღად 786 წლის 6 იანვარი დაამკვიდრა კ. კეკელიძემ, რომელიც საჭირო კონტექსტში არცერთ თავის წინამორბედს ამ საკითხში არ ასახელებს. ახალი, რაც აბო თბილელის წამების თარიღის დადგენაში კ. კეკელიძეს შემოაქვს, ეს არის ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების წლებად დ. ბაქრაძის 30-ის სანაცვლოდ 34-ის შემოტანა, რის შედეგადაც სვანური მრავალთავის ქრონოლოგიაში 790 წლის მაგიერ 786-ს იღებს.

ბოლო სპეციალური გამოკვლევა აბო თბილელის წამების შესახებ ეკუთვნის მ. ბიროს, რომელმაც გაიზიარა კ. შულცეს არგუმენტები და თითქმის სრული ბიბლიოგრაფიაც დაურთო თავის ნაშრომს. სამწუხაროდ, მ. ბროსე და დ. ბაქრაძე მის ნაშრომშიც მოუხსენიებელნი დარჩნენ.

ასეა, თუ ისე, სინქრონული მონაცემების საფუძველზე აბოს მარტვილობის თარიღად 786 წლის 6 იანვარი იმდენად კარგად არის განსაზღვრული ჩვენი მეცნიერების მიერ, რომ მასთან კამათი ძნელია, თუ საერთოდ შეუძლებელი არ არის.

როგორც ჩანს, აბო თბილელის მარტვილობის მიმართ განსაკუთრებული ინტერესი იყო სინას მთაზე, წმიდა ეკატერინეს მონასტრის ქართულ კოლონიაში. ზემოთ ჩვენ უკვე დავასახელეთ ძველი სინური კოლექციის ერთი X ს-ის ხელნაწერი, რომელიც აბო თბილელის წამების თარიღად 785 წელს აცხადებს; მისი ხსენების დღე (7 იანვარი) გვხვდება, აგრეთვე, იოანე-ზოსიმეს კალენდარში.[1] ამას გარდა, აბოს მარტვილობის ტექსტი მოთავსებული იყო ახლად აღმოჩენილი სინური კოლექციის N/Sin.geo-3 ჰაგიოგრაფიულ კრებულში. სამწუხაროდ, ამ ტექსტიდან მხოლოდ ფრაგმენტია შემორჩენილი და არ ვიცით მასში რა თარიღი იქნებოდა მოცემული.

N/Sin.geo-50-ში მოცემულ თარიღს ქართული დასაბამითგანით თუ ვიანგარიშებთ, მივიღებთ 804 წელს (6408-5604). ცხადია, რომ N/Sin. geo-50, თუ მისი დედანი, ცნობებს უშუალოდ „აბო თბილელის მარტვილობიდან" იღებს, იმდენად აშკარაა დამთხვევა მონაცემებს შორის. ამიტომ არ უნდა ველოდებოდეთ თარიღში ასეთ განსხვავებას. მართლაც, განსხვავება მინიმალური გამოვა, თუ აბოს მარტვილობის თარიღს ვიანგარიშებთ კლიმენტი ალექსანდრიელის დასაბამითგანით[2] და არა ქართული ეროვნული სათვალავით: 6408-5624=784 წელს.

ამის შემდეგ უკვე შეგვიძლია მივუბრუნდეთ ქართლის ერისმთავრების ქრონოლოგიასა და გენეალოგიას. N/Sin.geo-50-ის ცნობით ადარნერსე ნერსეს ძე გარდაიცვალა 6407 წელს. ცხადია, ამ შემთხვევაშიც თარიღი ნაანგარიშევია კლიმენტი ალექსანდრიელის დასაბამითგანით: 6407–5624=783 წელი. „აბო თბილელის მარტვილობით" ჩვენ ვიცით, რომ აბოს მარტვილობის წინ ქართლის ერისმთავარი იყო ნერსე, ხოლო მარტვილობის დროს მისი დისწული სტეფანოზ გურგენის ძე. აღნიშნულ პერიოდში ქართლის ერისმთავართა ქრონოლოგიისა და

---

[1] ჯავახიშვილი, *სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, 200-226; კეკელიძე, *იოანე ქართველის კალენდარი*, 242-281; Garitte, *Le Calendrier*, 44, 126-127.

[2] Grumel, *La Chronologie*, 23-28.

გენეალოგიის განსაზღვრისას რომ დიდ სიძნელეებს ვაწყდებით, ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია კ. კეკელიძემ. იგი წერდა:

„ჩვენი მემატიანენი (სუმბატის ქრონიკა, ქართლის ცხოვრების ვარიანტები, ვახუშტი), რომელნიც ნერსესა და სტეფანოზს ნიშანდობლივ არ ასახელებენ, ამ ხანაში სულ სხვა პირებს უჩვენებენ. გარკვეული დროიდან მათი სქემა ასეთია: სტეფანოზ, გუარამ, ვარაზ-ბაკურ და

ნერსე
↓
სტეფანოზ – ფილიპე – ადარნასე
↓
გურგენ – აშოტ კუროპალატი

ამ სქემაში, რასაკვირველია, გენეალოგიურ სიზუსტეზე ზედმეტია ლაპარაკი, სახელები კი, საფიქრებელია, რაღაც სინამდვილის გამოძახილის შემცველია. თუ სტეფანოზად მის დისშვილს, აბო თბილელის სტეფანოზს მივიჩნევთ, რომელიც 786 წელს ჩანს ერისმთავრად, მაშინ ასეთ ჩიხში შევალთ: 786 წლიდან ერისმთავრობს (ტრადიციით) აშოტი, როდისღა ერისმთავრობდა სტეფანოზი? ვთქვათ, 786 წლისათვის ის გარდაიცვალა, როდის ერისმთავრობდა ძმა მისი ადარნასე, მამა აშოტისა (თავი რომ დავანებოთ ფილიპესა და გურგენს, რომელნიც, შეიძლება არც ყოფილან ერისმთავრებად)? ამისთვის ყოველ შემთხვევაში ადგილი აღარ რჩება ისტორიაში".[1]

რა გამოსავალს გვთავაზობს შექმნილ ვითარებაში N/Sin.geo-50?

ჯერ ის უნდა ითქვას, რომ იგი კიდევ უფრო ართულებს სიტუაციას. მისი ჩვენებით, ნერსე ერისმთავრის გარდაცვალების შემდეგ ერისმთავრობდა ადარნერსე ნერსეს ძე, შემდეგ – ფილიპე და მხოლოდ ამის შემდეგ სტეფანოზ გურგენის ძე. მაგრამ საბედნიეროდ, გამოსავალს ამ ჩიხიდან თვითონ N/Sin.geo-50 იძლევა.

ირკვევა, რომ ადარნერსესა და ფილიპეს თითო წელიც კი არ უერისმთავრნიათ. ამრიგად, ნერსე ერისმთავარი აფხაზეთიდან ქართლში დაბრუნდა 781 წელს (784-3=781) და აღესრულა 782 წელს, მისი ძე ადარნერსე აღესრულა 783 წელს, ხოლო ადარნერსეს ძმა ფილიპე მის

[1] კეკელიძე, *ფეოდალური ლიტერატურა*, 108.

მომდევნო 784 წელს. ამავე წელს იწამა აბო თბილელი და მის დროს უკვე ერისმთავარი იყო ნერსეს დისწული სტეფანოზი, რომელიც 786 წელს შეცვალა აშოტ კუროპალატმა. ასე ყველაფერი მეტნაკლებად კარგად მოწესრიგდებოდა, რომ არა კვლავ „აბო თბილელის მარტვილობა", რომლის მიხედვითაც ნერსესა და სტეფანოზს შორის ქართლში სხვა ერისმთავარი არა ჩანს:

> „ხოლო იყო შემდგომად სივლტოლისა მის ნერსჱსა ქართლით, წარმოავლინა მაჰდი ამირა მუნმან ბრძანებითა ღმრთისაჲთა სტეფანოზ, ძჱ გურგენ ერისთვისაჲ, დისწული ნერსჱსი, ნაცვლად დედის ძმისა თჳსისა ნერსჱსა, ერისმთავრად ქუეყანასა ამას ქართლისასა. მაშინ მხიარულ იქმნა ნერსე, რამეთუ უფლებაჲ იგი სახლისა მისისაგან არა განაშორა უფალმან".[1]

რჩება ერთადერთი ვარაუდი: იოანე საბანის ძე კუმშავს თავის თხრობას და აღარა თვლის საჭიროდ მოიხსენიოს ის ერისმთავრები (ფილიპე და ადარნერსე), რომლებიც სულ ცოტა ხანს ზეობდნენ. ქრონოლოგიური და გენეალოგიური სქემა ასეთი იქნება:

ნერსე
↓
ადარნერსე (ნერსეს ძე)
↓
ფილიპე (ნერსეს ძე, ადარნერსეს ძმა)
↓
სტეფანოზ (ნერსეს დისწული, გურგენის ძე)

ნერსე ერისმთავარს რომ ჰყავდა ვაჟიშვილები, ამას მოწმობს თვითონ „აბოს მარტვილობის" ტექსტი:

> „და ვითარცა მიიწინეს იგინი ქუეყანად აფხაზეთისა, მთავარმან მის ქუეყანისამან შეიწყნარა ნერსე ყოვლით ერით მისითურთ. ვითარცა იხილა ნერსე დედოფალი, დედაჲ თჳსი, და ცოლი და **ძენი თჳსნი**, სიხარულითა ყოველნივე აკურთხევდეს ღმერთსა ცოცხლებით და მშჳდობით შეკრებისა მათისათჳს".[2]

---

1 *წამებაჲ ჰაბოჲსი*, 61.

2 იქვე, 59.

ამასვე მოწმობს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, რომლის სამივე რედაქცია ასახელებს ნერსეს სამ ძეს,[1] რომელთა სახელები ემთხვევა სინურ ხელნაწერში დასახელებულ ნერსეს მომდევნო სამ ერისმთავარს: ფილიპე, სტეფანოზი და ადარნერსე.

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობებთან სრულ თანხმობაშია სუმბატ დავითის ძე[2] და „ქართლის ცხოვრების“ ჩანართი.[3] „ქართლის ცხოვრების“ ჩანართის მიხედვით აქვს შედგენილი თავისი გენეალოგიური ტაბულა მ. ბროსესაც.[4]

ერთი მხრივ, „აბოს მარტვილობისა“ და N/Sin.geo-50-ს ცნობებსა და მეორე მხრივ, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ სამივე რედაქციას შორის არის სერიოზული განსხვავებაც: მათი მიხედვით სტეფანოზი ნერსეს დისწულია და არა ძე. ამასთანავე, „მოქცევაჲში“ სრულიად არა ჩანს სტეფანოზის მამა გურგენ ერისმთავარი. ეს წინააღმდეგობა ნაწილობრივ შეიძლება მოიხსნას, თუ გავიხსენებთ, როგორ გაუხარდა ნერსეს მის მაგიერ ქართლის ერისმთავრად თავისი დისწულის დასმა:

„რამეთუ უფლებაჲ იგი სახლისა მისისაგან არა განაშორა უფალმან“.[5] როგორც ჩანს, ზედიზედ ორი წლის მანძილზე ორი ვაჟიშვილის დაკარგვის შემდეგ თვითონ ნერსემ და შედეგად ისტორიამაც საერისმთავრო ტახტზე დისწულის ასვლა გვარის კანონიერ გაგრძელებად მიიჩნია. იქნებ სწორედ მაშინ მოხდა ქართლის ერისმთავრების ტახტზე გუარამიდების (გუარამ ერისმთავრის პირდაპირი ჩამომავლების ვაჟის – ადარნერსეს – ხაზით) შეცვლა მათი უახლოესი ნათესავებით – ბაგრატიდებით (გუარამ ერისმთავრის ასევე პირდაპირი ჩამომავლების ქალის – ლატავრის – ხაზით).

P.S. მე არ შემიძლია აბო თბილელის წამების დათარიღების საკითხში N/Sin.geo-50-ის ცნობებს მივანიჭო უპირატესობა მის „მარტვილობაში“ მითითებულ სინქრონულ მონაცემებთან შედარებით, მაგრამ იმედი მაქვს ამ საკითხებზე მომუშავე სპეციალისტები შემდგომში მათაც გაითვალისწინებენ.

---

1 *მოქცევაჲ ქართლისაჲ*, 97.
2 სუმბატ დავითის ძე, *ცხორებაჲ და უწყებაჲ ბაგრატონიანთა*, 376.
3 *მატიანე ქართლისა*, 252.
4 Brosset, *Additions et éclaircissements*, 155.
5 *წამებაჲ ჰაბოჲსი*, 61.

ცნობა „რუვისთაველთა“ და „მეწკევნელთა“ საგვარეულოების შესახებ[1]

შოთა რუსთაველის ვინაობის პრობლემა რამდენიმე კარდინალურ საკითხს მოიცავს:

1. „რუსთაველი“ (var. შეკუმშული ფორმა „რუსთველი“) „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის პერსონალური ზედწოდებაა, თუ მთელი საგვარეულოს აღმნიშვნელია. თუ იგი მისი პერსონალური ზედწოდებაა, რომელ საგვარეულოს ეკუთვნოდა და რომელი საზოგადოებრივი ფენის წარმომადგენელი იყო შოთა რუსთაველი. თუ „რუსთაველი“ საგვარეულოს აღმნიშვნელი სახელია, როდის და რამდენ ხანს არსებობდა ეს საგვარეულო. თუ მცირე ხანს არსებობდა, ცნობილთაგან რომელი საგვარეულოს განშტოება იყო, ან რომელს შეერწყა იგი.

2. ქართველ წარჩინებულთა გვარები, როგორც წესი, მათ სამფლობელო ტერიტორიებს, ხშირად ქალაქებს უკავშირდება წარმოშობით. „რუსთაველი“ ნათელი ეტიმოლოგიის სახელია (რუსთავ-ელ-ი) და იგი აღნიშნავს იმ პირს, რომელიც ფლობს ან წარმოშობით არის რუსთავიდან. „რუსთავი“ საქართველოში გავრცელებული ტოპონიმია და ისიც ასევე ნათელი ეტიმოლოგიისაა: „რუს(არხის)-თავ-ი (დასაწყისი)“. შოთა რუსთაველის სამშობლოს პრეტენზია ბევრ რუსთავსა აქვს, მაგრამ ტრადიცია და სამეცნიერო ლიტერატურა მათ შორის ორს ანიჭებს უპირატესობას: პირველ რიგში მესხეთის რუსთავს[2] (უმნიშვნელო დასახლებული პუნქტი სამხრეთ საქართველოში) და შემდეგ კახეთ-კუხეთის (ან კახეთ-ჰერეთის) რუსთავს (შუა საუკუნეებისა და დღევანდელი დღის მნიშვნელოვანი ქალაქი საქართველოს უკიდურეს აღმოსავლეთ პროვინციაში).[3]

---

1 ალექსიძე, *გარეჯიდან სინას მთამდე*, 60-62.

2 ხახანაშვილი, *ქართული სიტყვიერების ისტორია*, 341; Марр, *Грузинская поэма «Витязь в барсовой шкуре»*, 475-490; მაკალათია, *მესხეთ-ჯავახეთი*; შოშიაშვილი, *XII-XIV სს. საქართველო*; მისივე, *თორელთა ფეოდალური სახლი*.

3 ბაგრატიონი, *განმარტება პოემა „ვეფხისტყაოსნისა“*, 290-295; აბულაძე, *რუსთველოლოგიური ნაშრომები*, 37-53; პ. ინგოროყვა, *რუსთაველიანა*, 82-116.

3. კახეთის რუსთავის საკითხის განხილვისას თავს იჩენს კიდევ ერთი სირთულე: „რუსთაველი“ („რუსთველი“) კახეთ-კუხეთის რუსთავის ეპისკოპოსის ხარისხის აღმნიშვნელია.[1] ამ ნიადაგზე გაჩენილია ტრადიცია, რომელსაც ზოგი მეცნიერიც უჭერს მხარს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი რუსთავის ეპისკოპოსია.[2] ამავე მონაცემების საფუძველზე, ის მეცნიერები, რომლებიც გამორიცხავენ შოთა რუსთაველის საეკლესიო პირობას, ასევე გამორიცხავენ მის კახეთის რუსთავთან რაიმე კავშირს, ვინაიდან, მათი აზრით, შეუძლებელია ერთმანეთს ემთხვეოდეს საერო პირთა საგვარეულო სახელი და საეპისკოპოსო ხარისხის აღმნიშვნელი წოდება.[3]

4. ერთსულოვნება არ არის ისეთ, თითქოს უმნიშვნელო საკითხშიც კი, როგორიცაა პოეტის ზედწოდების დაწერილობა. რომელი ფორმაა უფრო სწორი და ძველი – შეუკუმშავი „რუსთაველი“ თუ შეკუმშული „რუსთველი“.

N/Sin.geo-50-მა საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის ისტორიის ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემისთვისაც მოგვცა გასაღები. ასურელ მამათა ცხოვრებაში ჩართული ცნობები რუსთაველთა საგვარეულოს და მათ საქმეთა მოხსენიებასაც შეიცავენ:

> „და ოდეს სარკინოზობაჲ აღდგებოდა, ამათ ორთა *სახლთა – რუვისთაველთა* და მეწკევნელთა – ზედაზადენს მოვიდეს და შექმნეს სამი გუადრუცი ქვისა თლილისაჲ და ბ (ორი) ლუსკუმაჲ შუენიერი; და წარვიდეს და მოიხუნეს ძუალნი მეფეთა მათთა და დედათანი, და დასხნეს ლუსკუმათა მათ შინა ზედაზადენს ეკლესიასა შინა. და მუნ არიან ლუსკუმანი არა შერევნით, კიდის-კიდე მამათანი და დედათანი ძუალნი სხენან. და მათ ორთა გუადრუც-

---

1 უძველესი ცნობა რუსთველი ეპისკოპოსის შესახებ გვხვდება „ეპისტოლეთა წიგნში“, სადაც ის მოხსენებულია დვინის 506 წლის კრებაზე დამსწრე სხვა ეპისკოპოსებს შორის, იხ. *ეპისტოლეთა წიგნი*, 97.

2 ვარაუდი, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი საეკლესიო პირი იყო, ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს გამოითქვა (იხ. ფურცელაძე, *შოთა რუსთაველი*, 4-7). ამ ვარაუდის ვრცლად დასაბუთების ცდა მოცემულია პ. რატიანის შრომებში: *ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობისათვის*, 7-21; მისივე, *ვეფხისტყაოსანი და მისი ავტორი*, 18-24.

3 შოშიაშვილი, *თორელთა ფეოდალური სახლი*, 68; საინტერესოა, რომ ამავე არგუმენტს იყენებს პ. რატიანი შოთა რუსთაველის ეპისკოპოსობის დასამტკიცებლად, იხ. რატიანი, დასახ. ნაშრომი, 21.

თა ერთისა სახლისანი ოდენ სხენან, და ერთსა მეფეთანი ვიეთნიმე არიან და ერთი ლუსკუმაჲ მამა-მძუძეთაჲ და ძუძოჲსტეთაჲ არს. და ერთი იგი ლუსკუმაჲ ვარაზ-ბაკურ მეფისა ჴიდარელისაჲ არს და ორნი ძენი მისნი – ვარაზ, ვარაზ-ჰარან და გ (სამნი) ასულნი და დედაჲ მათი სიმენავრი გუასპურაგნელი, მთავართა შვილი".[1]

რა უეჭველი დასკვნები შეიძლება გაკეთდეს N/Sin.geo-50-ში გაკეთებული ჩანაწერიდან ამოსვლით?

1. ჩვენს ხელთაა წყაროებში პირველი და ერთადერთი მოხსენიება რუსთაველთა (სახლისა) საგვარეულოსი. ჩვენ დღეს უკვე უშეცდომოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ *ძველ საქართველოში არსებობდა და აქტიურადაც მოქმედებდა „რუვისთაველთა (რუსთაველთა) სახლი (საგვარეულო)".*

2. „რუვისთავ-ელ-თა სახლი" პარალელური და უფრო ძველი ფორმაა, ვიდრე „რუსთავ-ელ-თა სახლი". იგი წარმოებულია ტოპონიმიდან „რუ-ვ-ისთავი" (<„რუ-ჲს-თავი"). უკვე მისი წარმოება გვიჩვენებს, რომ საქმე გვაქვს ძველ (კლასიკური ხანის) ქართულ ფორმასთან და არა ახალ ქართულთან, როგორც ის ჩვენ შემოგვენახა „ვეფხისტყაოსნის" ავტორის სახელწოდებით. ამრიგად, *„რუსთაველთა სახლის" აღმნიშვნელი უძველესი ფორმა,* როგორც მოსალოდნელიც იყო, *არის „რუვისთაველთა სახლი".*

3. რუსთაველთა საგვარეულოს სახელწოდება მოცემულია შეუკუმშავი ფორმით „რუვისთაველი" და არა „რუვისთველი", და ეს არ არის შემთხვევითი, ტექსტის ავტორის დამახასიათებელი წერის მანერა. იგი სხვა შემთხვევებში ანალოგიური ტიპის სახელებს ყოველთვის კუმშავს (შდრ. მაგალითად, იმავე კონტექსტში „სიმენავრი *გუასპურაგნელი,* მთავართა შვილი"). ცხადია, „რუსთაველთა (რუვისთაველთა)" საგვარეულოს აღმნიშვნელი სწორი და უძველესი ფორმა არის უკუმშველი „რუსთაველი (რუვისთაველი)" და არა შეკუმშული სახის – „რუსთველი (რუვისთველი)".[2]

---

[1] N/Sin.geo-50, 91r-v.

[2] კამათმა, იმის შესახებ, თუ რომელი ფორმაა უფრო სწორი *„რუსთაველი"* თუ *„რუსთველი"*, ხელახლა იჩინა თავი იერუსალიმში ქართული სამეცნიერო ექსპედიციის შემდეგ (აბაშიძე, შანიძე, წერეთელი, შოთა რუსთველი, 1960). მაქსიმე აღმსარებლისა და იოანე დამასკელის ფრესკებთან რუსთაველის სახელზე შესრულებულ წარწერაზე იკითხება „ამისა დამხატავ-

სხვა ყველა დანარჩენი საკითხი, რომელსაც ჩვენ წინაშე წამოჭრის N/Sin.geo-50-ში დაცული ჩანაწერი, არ არის აქსიომური და კვლევა სჭირდება. მათ შესახებ, რა თქმა უნდა, შეიძლება განსხვავებული შეხედულებები არსებობდეს.

დავიწყოთ იმ ფეოდალური საგვარეულოს ვინაობის გარკვევით, რომელიც, N/Sin.geo-50-ის მიხედვით, „რუვისთაველთა სახლთან" ერთად მოქმედებს. ეს არის „მეწკევნელთა სახლი". ჯერ ვნახოთ, რა ცნობები გვაქვს მათ შესახებ თვითონ N/Sin.geo-50-ში. იმავე ჩანაწერში, სადაც „რუვისთაველთა" და „მეწკევნელთა" ერთად მოქმედების შესახებ გვქონდა ცნობა, ცოტა ზემოთ, იქ, სადაც აღწერილია „გარერჩის, იოვანე-წმიდისა, მრავალმთის" საგანძური, ნათქვამია:

> „... საკურთხევლისა სამოსელი სხუაჲ 2 და ეზოჲ ორი *მეწკევნელთა სახლისანი* არიან და სახელები ზედა სწერია".[1]

გავიხსენოთ ახლა მთელი კონტექსტი, სადაც ეს ორი საგვარეულოა დასახელებული:

> „...საკურთხევლისა სამოსელი სხუაჲ 2 და ეზოჲ 2 *მეწკევნელთა სახლისანი* არიან და სახელები ზედა სწერია ... და ოდეს სარკინოზობაჲ აღდგებოდა, *ამათ ორთა სახლთა რუვისთაველთა და მეწკევნელთა* ზედაზადენს მოვიდეს..".[2]

პირველი, რაც ტექსტის ანალიზისას თვალში გვეცემა, არის მეწკევნელთა სახლის დასახელება რუვისთაველთა შემდეგ, როდესაც კონტექსტი, ქართული ენის სინტაქსის თანახმად, მოითხოვს პირიქით: მეწკევნელები ადრე უკვე იყვნენ დასახელებულები, ხოლო რუვისთაველთა ხსენება პირველად გვხვდება. ნაცვალსახელი „ამათ" კი აუცილებლად მოითხოვს, რომ მასში ნაგულისხმევი სუბიექტი ადრე უკვე ყოფილიყო მოხსენიებული. ასეთი ვითარება ორი ვარაუდის წინაშე გვაყენებს: ან რუვისთაველები ადრე უკვე იყვნენ მოხსენიებულნი და რამდენიმე გადაწერის შემდეგ ტექსტმა დაზიანებული სახით მოაღწია ჩვენამდე (გრამატიკული ნონსენსები სწორედ ამ კონტექსტში ჩვენ

სა შოთა შ˜ს ღ˜ნ ა˜ნ *როსთვლი*". „*როსთვლის*" ამოკითხვამ „*რუსთველად*" გაამყარა საფუძველი იმისა, რომ უფრო სწორი ფორმა „*რუსთველი*" უნდა ყოფილიყო. ჩემი აზრით, წარწერა ასე უნდა იქნას წაკითხული: „ამისა დამხატავსა შ(ეუნდო)ს ღ(მერთმა)ნ. შოთაჲ რუსთ(ა)ვ(ე)ლი, ა(მე)ნ".

[1] N/Sin.geo-50, 90v.

[2] იქვე.

სხვაცა გვაქვს), ან კიდევ, რუვისთაველები მეწკევნელებთან შედარებით უფრო მაღალ სოციალურ საფეხურზე იდგნენ და, როდესაც მათი ერთად დასახელება გახდა საჭირო, ავტორმა მათი სახელი ავტომატურად უფრო წინ დააყენა. სხვა, უფრო მყარი მონაცემების უქონლობის გამო, ჯერჯერობით ამ მეორე ვარაუდზე უნდა გავჩერდეთ.

ტექსტში ნათქვამია:

„... *ამათ* ორთა სახლთა რუვისთაველთა და მეწკევნელთა ... წარვიდეს და მოიხუნეს ძუალნი *მეფეთა მათთა* და დედათანი და დასხნეს ლუსკუმათა მათ შინა *ზედაზადენს* ეკლესიასა შინა ... ".

ცხადია, როდესაც დასახელებულ მეფეთა და მათი ოჯახის წევრთა ძვლების გადასვენება ხდება (შესაძლოა, ჩანართის გაკეთების დროსაც), რუვისთაველები და მეწკევნელები *ერთი სახელმწიფოს შემადგენლობაში იგულისხმებიან*, რადგან მათ აქვთ უფლება *თავის მეფეთა* ძვლების გადმოსვენებაზე იზრუნონ. ისინი ერთი სახელმწიფოს შემადგენლობაში იგულისხმებიან, აგრეთვე, ვარაზ-ბაკურის მეფობისას, რადგან ეს უკანასკნელი წყაროში მოხსენიებულია „მათ მეფედ".

ამრიგად, N/Sin.geo-50-ის ჩანართის მიხედვით, ჩვენ უკვე შეგვიძლია ვთქვათ:

1. რუვისთაველები და მეწკევნელები ერთად მოქმედებენ, ამიტომ მათი სამფლობელოები არ უნდა იყოს ერთმანეთს დიდად დაშორებული.

2. მათი მოქმედების არეალია ზედაზნისა და გარეჯის მიდამოები, ამიტომ მათი სამფლობელოებიც დიდად არ უნდა იყოს ამ არეალს დაცილებული.

3. რუვისთაველები მეწკევნელებზე სოციალურად უფრო მაღალ საფეხურზე უნდა იდგნენ ან ასე უნდა აღიქვამდეს მათ ჩანაწერის ავტორი.

4. რუვისთაველებს და მეწკევნელებს საერთო მეფეები ჰყავთ, ისტორიის რაღაც მონაკვეთში მაინც, და მათი მეფეების საძვალე მცხეთის სანახებშია (როდესაც „მათთა მეფეთა" ძვლების დასვენება არ შეუძლიათ მცხეთაში, ეგების არაბთა გამო, უახლოვებენ მაინც მას და ზედაზენზე კრძალავენ).

მეწკევნელთა საგვარეულოს შესახებ წყაროებში ერთადერთი ცნობა შემოგვრჩა. XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსი სუმბატ დავითის

ძე თავის ნაშრომში – „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“ – იქ, სადაც 620-იან წლებში ჰერაკლე კეისრის ქართლში ლაშქრობისა და მისი სამისიონერო საქმიანობის შესახებ მოგვითხრობს, წერს:

> „დაუტევა (ჰერაკლემ – ზ.ა.) ტფილისს ჯიბღუ ერისთავი ბრძოლად ციხესა ტფილისისასა, თჳთ წარემართა ბაღდადს, და მივიდა გარდაბანს, ვარაზ გაგელისასა და დალაშქრა ადგილსა მას, რომელსა ჰქჳან ხუზაშენი, და ნათელ-სცა ერეკლე ვარაზ გაგელსა და ყოველსა ერსა მისსა და იწყო შენებად ეკლესიასა, რომელი-იგი უბრწყინვალეს არს ყოველთა ეკლესიათა. და წარვიდა ბერდუჯს და დადგა გულსა სოფლისასა... და გარდაბნით მეფემან მიცვალა ლალს და უწოდა *მენეკევნელთა მთავარსა*, ნათელ-სცა და წარვიდა ბაღდადს“.[1]

სუმბატ დავითის ძის ძირითადი წყარო, ჩანს, არის „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ (შატბერდულის ტიპის რედაქცია და არა თვითონ შატბერდული), თუმცა მისი გამოყენებისას ისტორიკოსს ქარაგმა არასწორად გაუხსნია (გ̃გლ >გ(რი)გ(ო)ლ წაუკითხავს „გ(ა)გ(ე)ლ“-ად) და ვარაზ-გრიგოლის მაგიერ მიუღია ვარაზ-გაგელი. მენეკევნელთა შესახებ კი მას რაღაც სხვა, დღეს ჩვენთვის უცნობი, წყარო აქვს, ვინაიდან „მოქცევაჲში“ (არცერთ რედაქციაში) მათი ხსენება არ არის.

სუმბატ დავითის ძის „უწყებიდან“ არა ჩანს, ვინ არიან მენეკევნელნი, მაგრამ სახელწოდებისა და ჰერაკლე კეისრის მარშრუტის აღწერილობის მიხედვით სპეციალისტები, როგორც ჩანს, სწორად ვარაუდობენ, რომ ესენი უნდა იყვნენ არცახის „მენ კუენქის“ მფლობელები.[2] მათ შორის განსხვავებულია მხოლოდ შეხედულება „მენ კუენქის“ მდებარეობის შესახებ: არის იგი არცახის ჩრდილო-დასავლეთით (კახეთის მეზობლად) მდებარე პროვინცია,[3] თუ მისი ცენტრალური ნაწილი.[4] N/Sin.geo-50-ის მონაცემები პირველ შეხედულებას უჭერს მხარს: მენეკევნელები ან მენკევნელები კახეთის მეზობელი პროვინციის მთავრები არიან.

---

1 სუმბატ დავითის ძე, *ცხორებაჲ და უწყებაჲ ბაგრატონიანთა*, 375.

2 Երեմյան, *<Այաւտան լուո «Աշխարհացոյց»-ի*, 65; Մուրադյան, *Արցախը*, 2-3.

3 იქვე, 66, იხ. რუკა.

4 იქვე, 4; *The Geography of Ananias of Širak*, 196.

გასარკვევია, ახლა, რომელი მეფის (და მისი ოჯახის წევრთა) ნეშტი გადმოასვენეს რუვისთაველებმა და მეწკევნელებმა ზედაზენზე, საიდან გადმოასვენეს და რატომ უსვამს ხაზს ჩანაწერის ავტორი „თავიანთ მეფეთა“ ძვლები გადმოასვენესო.

ჩვენი სიტყვებით რომ გადმოვცეთ ჩანართის ტექსტი, მივიღებთ ასეთ შინაარსს:

როდესაც არაბობა გაძლიერდა, ეს ორი სახლი – რუვისთაველთა და მეწკევნელთა – მოვიდნენ ზედაზენს და გააკეთეს სამი თლილი ქვის გუადრუცი (კუბო) და ორი მშვენიერი ლუსკუმა (კიდობანი). შემდეგ წავიდნენ, მოასვენეს თავიანთ მეფეთა ძვლები და ჩააწყეს ლუსკუმებში. დედათა და მამათა ძვლები ერთმანეთში რომ არ აერიათ, ცალკ-ცალკე დააწყეს სხვადასხვა კიდეში. ორ კუბოში ერთი [სამეფო] სახლის წევრთა ნეშტი მოათავსეს, ხოლო მესამეში ჩააწყეს მეფეთა ახლობლების (მამა-მძუძეთა და ძუძუს-მტეთა) ძვლები. ერთ-ერთ ლუსკუმაში ასვენია *ვარაზ-ბაკურ მეფის – ხიდარელისა* – და მისი ოჯახის წევრთა: ორი ვაჟიშვილის – ვარაზისა და ვარაზ-ჰარანის, სამი ქალიშვილის და მათი დედის – ვასპურაკანის მთავართა ასულის – სიმენავრისა.

ამრიგად, ტექსტის გასაანალიზებლად ერთი ორიენტირი გვაქვს: მეფე, რომლის ძვლებიც გადმოასვენეს რუვისთაველებმა და მეწკევნელებმა, იყო ვარაზ-ბაკური, ზედწოდებით „ხიდარელი“.

საქართველოს ისტორიაში არაბობის ხანამდე რამდენიმე ვარაზ-ბაკურია ცნობილი, მაგრამ ამ შემთხვევაში უეჭველად იგულისხმება IV საუკუნის მეორე ნახევრის (ზუსტ თარიღებზე სხვადასხვა აზრია)[1] ქართლის მეფე. მის შესახებ ცნობას მოვიტან სინას მთაზე ახლადგამოვლენილი კიდევ ერთი უძველესი რედაქციიდან – N/Sin.geo-48-დან,

[1] პირველი ცდა ქრისტიან ფარნავაზიან მეფეთა ქრონოლოგიის დადგენისა მოცემულია ვახუშტი ბატონიშვილის შრომაში, მისი აზრით, ვარაზ-ბაქარი მეფობდა 379-393 წწ. (ვახუშტი ბატონიშვილი, *აღწერა*, 8); სხვა ავტორების ქრონოლოგია ასეთია: თ. ჟორდანია – 390-415 წწ. (ჟორდანია, *ქრონიკები*, 42, შენ. 84); ს. კაკაბაძე – 380-382 წწ. (კაკაბაძე, *ბოლნისის ტაძრის წარწერები*, 152-153; ივ. ჯავახიშვილი – 368-395 წწ. (*თხზულებანი*, I, 274-276); გ. მელიქიშვილი ვარაზ-ბაქარის მეფობას IV საუკუნის 60-70 წლებში ვარაუდობს (მელიქიშვილი, *ქართლის სამეფო ისტორიის ქრონოლოგია*, 170); ვ. გოილაძე – 368/9-382/3 წწ. (გოილაძე, *ფარნავაზიანთა სახლი*, 83-87 (სრული ბიბლიოგრაფიისათვის იხ. გოილაძის დასახელებული ნაშრომი, 18-40).

ვინაიდან სხვა რედაქციებთან შედარებით იგი ამ ადგილის უკეთეს წაკითხვას იძლევა (N/Sin.geo 50-ში ეს ადგილი შემონახული არ არის):

„და მეოთხე მისა (თრდატ რევის ძის – ზ.ა.) შემდგომად *დაჯდა ვარას-ბაკურ მეფედ* და მის ზე სპარსთა მეფისა მარზაპანნი სივნიეთა შემოვიდეს და *იგი ჴიდრად უკმოჯდა*. მთავარებისკოპოსი იყო იგივე იობ. მაშინ მოვიდა ქარზამ ხუარ ბარზადურ სპარსთა მეფისა პიტიახში ტფილის, კალად-ციხედ და ქართლი მისსა ხარკსა შედგა და სომხითი და სივნიეთი და გუასპურაგანი. და მის ზე აღაშენეს აზნაურთა ეკლესიაჲ იგი წმიდაჲ მცხეთას და დააოთაულეს დიდსა მას ეკლესიასა სოფლებითა და ქარდაგებითა“.[1]

„ქართლის ცხოვრება“ ამავე ვარაზ-ბაკურის შესახებ (იგი მას ახალი სპარსული ენის ნორმით „ვარაზ-ბაქარს“ უწოდებს) უფრო მეტს გვამცნობს. მისი წყარო ჩვენთვის უცნობია. სხვა მომენტებს თავი რომ დავანებოთ, იგი წერს: „უკუჯდა იგი ჴევსა მას *კახეთისასა* და აღაშენა ციხე *ჴიდარს* ...“.[2]

ამრიგად, სპარსელთაგან შევიწროებული ვარაზ-ბაკური არა მარტო გახიზნულა, არამედ ციხეც აუშენებია ხიდარში. ცხადია, რომ კახეთის ხიდარი მისთვის ხანგრძლივი თავშესაფარი გამხდარა, ჩანს, სიცოცხლის ბოლომდეც, რადგან მისი ნეშტი მეფეთათვის უფრო შესაფერის ადგილას გადმოსასვენებელი გამხდარა. ამის შემდეგ ისიც გასაგებია, თუ რატომ ეწოდება მას N/Sin.geo-50-ში „ხიდარელი“. „მოქცევაჲში“, ლეონტი მროველთან და N/Sin.geo-50-ში ერთსა და იმავე მეფის შესახებ არის საუბარი, რომლის *რეზიდენცია და განსასვენებელი ადგილი კახეთში მდებარეობდა*. ალბათ, ისიც უნდა ვიფიქროთ, რომ მათ თავზე რაღაც ტრაგედია დატრიალებულა: ვარაზ-ბაკური, მისი ოჯახი და ახლობლები ერთდროულად არიან ამოწყვეტილნი. სხვაგვარად გაუგებარია, როგორ იქნებოდა ერთ განსასვენებელში ყველა (მეფე და მისი მეუღლე, მათი ორი ვაჟიშვილი და სამი ასული, მამა-მძუძენი და ძუძუს-მტენი) ასე ერთად თავმოყრილი ერთ ადგილზე.

როდის გადმოასვენეს რუვისთაველებმა და მეწკევნელებმა ვარაზ-ბაკური ხიდარიდან ზედაზენზე? N/Sin.geo-50 ამის შესახებ გვამცნობს – „ოდეს სარკინოზობაჲ აღდგებოდაო“.

---

[1] *მოქცევაჲ ქართლისაჲ (სინური რედაქციები)*, 16-17.

[2] ლეონტი მროველი, *ცხოვრება ქართველთა მეფეთა*, 136; 91-92.

ქართულ წყაროებში ომონიმები „აღდგომა“ და „დაცემა“ საკმაოდ ხშირად გვხვდება. „აღდგომა“ ნიშნავს მტრის ყველაზე უფრო დასამახსოვრებელ ლაშქრობებს, ხოლო „დაცემა“ მათი ლაშქრობების მარცხს.[1]

საქართველოს ისტორიას არაბთა შემოსევებიდან ყველაზე მეტად დაამახსოვრდა მურვან ყრუსა (744-750 წწ) და ბუღა თურქის (853 წ.) ლაშქრობები. მაგრამ მათ შორის რომელს გულისხმობს N/Sin.geo-50-ის ჩანაწერის ავტორი? ვფიქრობ, ეს უნდა მომხდარიყო მაშინ, როდესაც ზედაზენიც და ხიდარიც კახეთის შემადგენლობაში შედიოდა, რათა კახეთ-კუხეთის ფეოდალებს ვარაზ-ბაკურისა და მისი ოჯახის ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვენების უფლება ჰქონოდათ. ასეთი პერიოდი კი არაბობის ხანაში არის მხოლოდ IX საუკუნის დასაწყისი და X ს-ის დამდეგი.[2] თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ საქართველოში არსებობდა ტრადიცია ბუღა თურქის ლაშქრობით მოვლენების დათარიღებისა,[3] ვფიქრობთ, ცხადი გახდება, რომ ვარაზ-ბაკურის ნეშტის გადასვენების თარიღებში უპირატესობა უნდა მიენიჭოს 853 წელს. უნდა ვიფიქროთ, აგრეთვე, რომ ამავე ხანებში მეწკევნელებიც კახეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდნენ. სხვაგვარად სრულიად გაუგებარია მათი ასეთი თავისუფალი მოქმედება დავით-გარეჯსა და

---

[1] ამ მხრივ საინტერესოა ლეონტი მროველთან დაცული დიალოგი არჩილ მეფესა და ასიმ ჭიჭნაუმს შორის. ბერძენთა მიერ არაბების დამარცხებაზე რომ ლაპარაკობენ, ასიმი კითხულობს:
„შენ უკუე იყავ *დაცემასა* მას სარკინოზთასა აფხაზეთს შინა?“
რქუა წმიდამან არჩილ: „მე ვიყავ მაშინ, რაჟამს *დასცნა* იგინი ღმერთმან“.
რქუა ასიმ: „რომელმან ღმერთმან *დასცნა* სარკინოზნი?“
მიუგო წმიდამან არჩილ და რქუა: „ღმერთმან ცხოველმან, რომელ არს შემოქმედი ცისა და ქუეყანისა..“. (ლეონტი მროველი, *ცხოვრება ქართველთა მეფეთა*, 247)
ასეთ კონტექსტში წარმოდგენილი სიტყვა „დაცემა“ თავისთავად გულისხმობს მისი ომონიმის არსებობასაც „აღდგომის“ სახით. მართლაც „ქართლის ცხოვრებაში“ გვხვდება ადგილები, როდესაც მტერთა გამანადგურებელი შემოსევები სიტყვა „აღდგომითაა“ გადმოცემული. მაგალითად, სპარსელთა შემოსევაზე თხრობისას ჯუანშერის ისტორიაში ვკითხულობთ: „... რამეთუ მას ჟამსა ბერძენნი უცალო იყვნეს: დასავლით მტერნი *აღდგომილ* იყვნეს, და ვერ შემძლებელ იყვნეს შეწევნად ქართველთა და წინააღდგომად სპარსთა“ (ჯუანშერი, *ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა*, 206).

[2] *კახეთი*, 447; მუსხელიშვილი, *საქართველოს ისტორიული გეოგრაფია*, 129-133.

[3] *ფრესკული წარწერები I*, 131.

ზედაზენზე, ქართლის მეფეთა ნეშტთა გადასვენება და შესაწირავების გაკეთება თავიანთი სახელების ზედ წარწერით (ალბათ, ქართულად, რადგან მინაწერის ავტორმა იცის მათი შინაარსი). საგანგებოდ გვინდა ყურადღება მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ მეწკევნელთა საგვარეულო სახელი დადასტურებულია მხოლოდ ქართულ წყაროებში, ქართული ფორმით და არა გვხვდება სომხურში, რომელიც რაოდენობრივად მნიშვნელოვნად აღემატება ქართულს. შეიძლება ესეც იმის მაჩვენებელი იყოს, რომ ეს საგვარეულო მხოლოდ ქართულ გარემოში მოხვედრის შემდგომაა აღზევებული.

უფრო ადვილი ჩანს IV ს-ის მერე ნახევარში მეწ კუენქის ბედის საკითხი. ანანია შირაკელის (ანონიმის?) „სომხურ გეოგრაფიაში“ იგი მოთავსებულია იმ სიაში, რომელშიც ჩამოთვლილია 387 წელს ალბანეთის მიერ მიტაცებული მიწები,[1] ხოლო რანს, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, სწორედ ამავე ხანებში ფლობდა ვარაზ-ბაკური, სანამ მას სპარსელნი წაართმევდნენ.[2]

გავიხსენოთ ახლა ის ცნობები, რომელიც შემოგვინახა ამიანე მარცელინემ ვარაზ-ბაკურის (მასთან – „ასპაგურ“) შესახებ. სპარსელთა და ბიზანტიელთა ცილობის შედეგად 368 წელს იბერია ორ, აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილად გაიყო. საზღვარი გადიოდა მტკვარსა და არაგვზე. აღმოსავლეთ ნაწილში, რომელიც ალბანეთს ესაზღვრებოდა, მეფედ იჯდა ასპაგური (ვარაზ-ბაკური), ხოლო დასავლეთში, რომელიც ლაზიკასა და სომხეთს ემიჯნებოდა – საურმაგი.[3] ძნელი არ არის შევნიშნოთ, რომ აღმოსავლეთ იბერია ამიანე მარცელინეს მიერ აღწერილ ფარგლებში ძირითადად ემთხვევა IX-X საუკუნეების კახეთის სამეფოს საზღვრებს. ამის შემდეგ შეიძლება უფრო გასაგები იყოს, „ყოველი ქართლის“ (იბერიის) მეფეთაგან რატომ მაინცა და მაინც მას მიიჩნევენ კახეთ-კუხეთის წარჩინებულნი „თავიანთ მეფედ“; რატომ თვლიან ისინი თავს ვალდებულად, იზრუნონ მის და მისი ოჯახის წევრთა ნეშტზე.

---

1 ერემეანი, *Հայաստան ըստ «Աշխարհացոյց»-ի*, 105-120; *The Geography of Ananias of Širak*, 196.

2 ლეონტი მროველი, *ცხოვრება ქართველთა მეფეთა*, 136.

3 ამიანე მარცელინე, *ისტორია*, 130.

N/Sin.geo-50-ისა და „ქართლის ცხოვრების" ცნობები ვარაზ-ბაკურის (ვარაზ-ბაქარის) ოჯახის წევრების შესახებ ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდება.[1] ჩემთვის სრულიად უეჭველია, რომ უპირატესობა N/Sin.geo-50-ის ცნობებს უნდა მიენიჭოს, მაგრამ ეს ძალიან რთული საკითხია და სპეციალურ განხილვას საჭიროებს. ახლა კი, კვლავ „რუვისთაველთა სახლს" მივუბრუნდეთ.

ზემოთ ჩვენ უკვე დავრწმუნდით, რომ „რუვისთაველთა სახლი" აშკარად კახეთ-კუხეთის რუსთავის მფლობელი საგვარეულოა. აქამდე ზოგი მეცნიერი ამას კატეგორიულად უარყოფდა იმიტომ, რომ გამორიცხულად თვლიდა რუსთავის ეპისკოპოსისა და რუსთავის მფლობელთა საგვარეულოს სახელწოდებათა დამთხვევას. დღეს ეს უკვე ისტორიული ფაქტია და ამ ფაქტს ვერსად ვერ გავექცევით. რუსთავის ეპისკოპოსები შეკუმშული ფორმით, „რუსთველებად" იწოდებიან საისტორიო დოკუმენტებში.[2] შესაძლოა, შეუკუმშავი და შეკუმშული ფორმები გამოიყენებოდა საერო ფეოდალური სახლისა და საეპისკოპოსო ხარისხის განსასხვავებლად მანამდე, სანამ ორივე აქტიურად მოქმედებდა საქართველოში (ერთგვარი არაპირდაპირი ანალოგია ამისათვის შეიძლება იყოს „ტბელი" და „მტბევარი"). შემდეგში რუვისთაველთა სახლის გადაშენებამ გამოიწვია, ალბათ, ამ ფორმების ერთმანეთში აღრევა.

საინტერესო ჩანს იმის გარკვევა, თუ რატომ არიან რუვისთაველები დაინტერესებული არა მარტო ვარაზ-ბაკურ მეფის და მისი ოჯახის წევრთა ნეშტის გადმოსვენებით ზედაზენზე, არამედ მათ მამა-მძუძეთა და ძუძუს-მტეთა ძვალთა გაპატიოსნებითაც.

---

[1] N/Sin.geo-50-ის მიხედვით, ვარაზ-ბაკურის მეუღლეა სიმენავარ გუასპურაგნელი, რომელთანაც მას ჰყავს ორი ძე: ვარაზი და ვარაზ-ჰარანი, აგრეთვე, სამი ასული; მეფეთა ცხოვრება კი ვარაზ-ბაკურის ორ ცოლს ასახელებს: „...ასული თრდატისი რევის ძისა ... და ერთი ძისწული ფეროზისი" (ლეონტი მროველი, *ცხოვრება ქართველთა მეფეთა*, 132) თრდატის ასულმა მას უშვა ორი ძე: მირდატი და თრდატი, ხოლო ფერეოზის ასულმა – ფარსმანი (იქვე, 135). ვარაზ-ბაკურის ოჯახის შესახებ ქართლის ცხოვრების ცნობების კრიტიკული განხილვისათვის იხ. გოილაძე, *ფარნავაზიანთა სახლი*, 87-89.

[2] იხ. *ქართული სამართლის ძეგლები*, I (1963), II (1965), III (1970), IV (1972), V (1974), VI (1977).

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით მირიან მეფის შთამომავლობა ორ შტოდ გაიყო: რევის ძენი და ბაქარის (ბაკურის) ძენი. ბაქარმა (ბაკურმა) ქართლის მეფობა თავის შთამომავლებს დაუმკვიდრა, ხოლო რევის შთამომავლებს „მისცა კუხეთი და დასხნა *რუსთავის ერისთავად*“.[1] ბაქარის (ბაკურის) შვილიშვილმა ვარაზ-ბაქარმა (ვარაზ-ბაკურმა) ამ ორ შტოს შორის კონფლიქტი იმით მოხსნა, რომ მეორე ცოლად შეირთო რევის შთამომავალი, რუსთავის ერისთავის ფარსმანის ქალიშვილი, რომლისაგანაც წამოვიდა სამეფო დინასტია „მამულად ბაქარიანი (ბაკურიანი), დედულად რევიანი“. რევის შთამომავალთა მამრობით შტოს კი დარჩა კუხეთი და რუსთავი. ისტორიკოსი ჯუანშერი მათ ასახელებს ვახტანგ გორგასლის მეფობისას:

„ხოლო მირიან და გრიგოლ იყვნეს ნათესავისაგან რევისა, მირიანისავე ძისა, და აქუნდა კუხეთი და *ცხოვნდებოდეს რუსთავს ციხე – ქალაქსა*, რამეთუ შემცირებულ იყვნეს ურთიერთის კვლითა“.[2]

ჯუანშერისავე ცნობით, როდესაც VI საუკუნის მეორე ნახევარში ქართლში ბიზანტიის ხელშეწყობით გამეფდა გუარამ კურაპალატი (ვახტანგ გორგასლის ჩამომავალთა კლარჯული შტო), დაჩის ჩამომავალ ბაკურის ძენი (ბაქარიანნი) „დარჩეს კახეთს. და დაიპყრეს კუხეთი და ჰერეთი იორითგან და დასხდეს უჯარმოს“.[3] ცხადია, რუსთავი ისევ რევიანებს უკავიათ, თუმცა კახეთ-კუხეთ-ჰერეთის განმგებლები უკვე ვარაზ-ბაკურის უშუალო შთამომავალნი არიან. ამრიგად, *რუვისთაველები ბაქარიანებს თავიანთ წინაპარ მეფეებად მიიჩნევენ და ჩანს, მათთან ნათესაურ კავშირში იმყოფებიან რევიანთა ხაზით როგორც რუსთავის მემკვიდრე მფლობელები.* ასე აიხსნება რუვისთაველთა და მეწკევნელთა ზრუნვა არა მარტო ვარაზ-ბაკურისა და მისი ოჯახის წევრთა ნეშტის, არამედ მათთან ერთად ოჯახის მოკიდებულთა საძვალეზეც.

თუ კვლავ მივუბრუნდებით ზემოთ ჩამოყალიბებულ რუსთველოლოგიურ საკითხებს, სინას მთაზე აღმოჩენილი ცნობების საფუძველზე მათ შემდეგი პასუხი შეიძლება გაეცეს:

---

1 ლეონტი მროველი, *ცხოვრება ქართველთა მეფეთა*, 131.
2 ჯუანშერი, *ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა*, 159.
3 იქვე, 219.

„რუსთაველი“ არ არის „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის პერსონალური ზედწოდება. იგი დამოუკიდებელი საგვარეულოს აღმნიშვნელი სახელია, რომელიც არსებობდა სულ ცოტა IX-XIII საკუნეების მანძილზე.

რუვისთაველთა (რუსთაველთა) სახლი ფლობდა კახეთ-კუხეთის რუსთავს და არაფრით არ იყო დაკავშირებული მესხეთის რუსთავთან. შოთა რუსთაველის მესხური წარმოშობის ტრადიციის გადასარჩენად ორი ასეთი საგვარეულოს (მესხური და კახურის) დაშვება არასერიოზულ ცდად მიმაჩნია.[1]

საჭიროა აღდგეს უკანასკნელ ხანებამდე გავრცელებული სწორი ფორმა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის სახელისა – „შოთა რუსთაველი“, ხოლო შეკუმშული ფორმა „რუსთველი“ რუსთავის ეპისკოპოსების აღსანიშნავად და რუსთაველთა საგვარეულოსაგან განსასხვავებლად ვიხმაროთ.

ცნობა სამშვილდის სიონის მშენებლობის შესახებ[2]

დიდი ხანია სამშვილდის სიონის წარწერა სპეციალისტთა ყურადღებას იპყრობს. იგი პალეოგრაფიულადაც საინტერესოა და შინაარსითაც. ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა თავის დროზე, როგორც ჩანს, მთლიანად გასდევდა სიონის აღმოსავლეთისა და სამხრეთის კედლებს 26 თუ 34 მეტრის (ლიტერატურაში სხვადასხვაგვარად არის მითიებული) სიგრძეზე. წარწერა ძლიერ არის დაზიანებული. გადარჩენილია მთელი ტექსტის დაახლოებით ერთი მესამედი, ამიტომ მისი მთლიანად აღდგენა დღემდე მხოლოდ პირობითი შეიძლებოდა ყოფილიყო.

სამშვილდის სიონის წარწერა პირველად გადმოიხატა ნუმიზმატმა ი. ბართოლომემ და შესასწავლად გადასცა მ. ბროსეს, რომელმაც იგი მხედრული ტრანსკრიპციითა და ფრანგული თარგმანით გამოაქვეყნა 1856 წელს.[3] 1905 წელს წარწერა ხელახლა გამოსცა ე. თაყაიშვილმა. არც ე.თაყაიშვილის ნაკითხვა იყო სრულყოფილი, მაგრამ მან მოახერ-

---

1 არაბული, *შოთა რუსთაველი*, 80.

2 ალექსიძე, *ვინ არის „სრულიად აღმშენებელი“*, 332-337.

3 Brosset, *Lettres de M.Bartholomaei*, 99-102.

ხა წარწერაში ორი მეფის (კონსტანტინე და ლეონი) სახელი ამოეკითხა, მაშინ, როდესაც მ. ბროსეს მხოლოდ ერთი (კონსტანტინე) ჰქონდა დაფიქსირებული.[1]

სამშვილდის სიონის წარწერის გადარჩენილი ნაწილი, როგორც ჩანს, სწორად გაშიფრა ლ. მუსხელიშვილმა, რომელმაც ამ საკითხზე 1942 წელს სპეციალური ნაშრომი გამოაქვეყნა.[2] მის პუბლიკაციაში კიდევ ორი ახალი პიროვნება გამოჩნდა: „ნათესავით პიტიახშნი" ვარაზ-ბაკურ და იოვანე. ტექსტის უკანასკნელი, 1980 წლის გამოცემა (ნ. შოშიაშვილი) ითვალისწინებს ყველა ადრინდელ პუბლიკაციას და ეყრდნობა ლ. მუსხელიშვილის წაკითხვას გარკვეული კორექტივებით.[3]

ქვემოთ ამ ორი ბოლო პუბლიკაციის საფუძველზე მოვიტან სამშვილდის სიონის წარწერის იმ ნაწილს, რომლის ამოკითხვის სისწორე ეჭვს არ უნდა იწვევდეს:

> „... [ნა]თესავით პიტიახშნი. წელსა კ მეფობისა კონსტანტინეჲსა დაიდვა საძირკველი ჴელითა ... ა[ღ]შენებაჲ. ვარაზ-ბაკურ შეისუ[ე]ნა და მისა უკუან[ის] ... იოვანე იწრაფჯის. აესრუ[ლა იგიცა] ... იქმნა სრულიად აღშენებაჲ წმიდისსა ამის ეკლესიისაჲ] და სტოვათა. და წელსა გ ლეონ მეფისა, დღესა ენკენიასა, ყო სატფურებაჲ გ დღე დიდითა კრებითა, განშუ[ენებად] ...".

როგორც ვხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ წარწერას დიდი ლაკუნები აქვს, ტექსტის ძირითადი აზრის დადგენა შეუძლებელი არ არის: სამშვილდის სიონი უშენებიათ „ნათესავით პიტიახშებს" – ვარაზ-ბაკურს, იოვანეს და ვიღაც მესამე პირს. მშენებლობა დაწყებულა კონსტანტინე მეფის ზეობის მეოცე წელს და დასრულებულა ლეონ მეფის მესამე წელს.

საკითხავი ახლა ის არის, რომელი მეფეები არიან კონსტანტინე და ლეონ, ანუ როდის დაიწყო და როდის დასრულდა ტაძრის მშენებლობა; ვინ არიან „ნათესავით პიტიახშნი" ვარაზ-ბაკურ და იოვანე; ვინ დაასრულა სამშვილდის სიონის მშენებლობა, განამშვენა და აკურთხა იგი.

დავიწყოთ ჩვენი ანალიზის მთავარი მიზეზით:

---

1 Такаишвили, *Археологические экскурсии*, 42-43.

2 მუსხელიშვილი, *სამშვილდის სიონის წარწერები*, 85-106.

3 *ლაპიდარული წარწერები I*, 230-236.

ვინ იყო ის მესამე პირი, რომელმაც დაამთავრა სამშვილდის სიონის მშენებლობა? ცხადია, დღემდე რაიმე არსებითი ვარაუდის გამოთქმა ამ საკთხზე შეუძლებელი იყო, ვინაიდან ტექსტი სწორედ აქ არის ყველაზე მეტად დაზიანებული. ლ. მუსხელიშვილმა მაინც გამოთქვა შემდეგი მოსაზრება: სამშვილდის სიონის მშენებლობა უნდა დაესრულებინა „ნათესავით პიტიახშს“, ანუ იმ სახლის წარმომადგენელს, რომელსაც ეკუთვნოდნენ ვარაზ-ბაკურ და იოვანე (სავარაუდოა ვარაზ-ბაკურის ძმა). იგი „უთუოდ ეპისკოპოსი ყოფილა, რადგან, როგორც ჩანს, მანვე, მშენებლობის დამთავრებისას, „ყო სატფურებაჲ“ ე.ი. აკურთხა ახალი ეკლესია“. სხვა შეხედულება ამ საკითხზე არ გამოთქმულა.

N/Sin.geo-50-ის ჩანართში, სადაც დავით-გარეჯის მონასტერში დაცული ნივთებია ჩამოთვლილი, ვკითხულობთ:

> „... და ჯუარცუმაჲ ტილოსა ზედან ოქრო-წყლითა დაწერილი ხატი, *დებორა სამშჳლდელ დედოფლისა* შეწირული, რომელმან *სამშჳლდისა ეკლესიაჲ აღაშენა განსრულებით*“.

არ შეიძლება ამ მინაწერის წამკითხველს მაშინვე არ გაახსენდეს სამშვილდის სიონის წარწერის ის ადგილი, მისი მშენებლობის მესამე ეტაპის შესახებ რომ არის ნათქვამი:

> „...ი[ქმნა] *სრულიად აღშენებაჲ* წმიდისა ამის ეკლესიისაჲ“.

ლ. მუსხელიშვილი ტექსტის ამ ნაკლულ ნაწილს ასე აღადგენს:

> „... [მისცა უფალმან] სრულიად აღშენებაჲ ამის წმიდისა ეკლესიისაჲ“.

არა მგონია, ვისმეს ეჭვი შეეპაროს, რომ სინურ ხელნაწერში გაკეთებული მინაწერის ავტორი იცნობს სამშვილდის სიონის წარწერას და დებორა სამშვილდელ დედოფლის საამშენებლო საქმიანობაზე სწორედ მისი მიხედვით გვაუწყებს:

> „... რომელმან სამშვილდის ეკლესიაჲ *აღაშენა განსრულებით*“.

ამიტომ, ვფიქრობ, უყოყმანოდ შეგვიძლია სამშვილდის სიონის წარწერაში საძიებელ მესამე პირად დებორა დედოფალი ვივარაუდოთ და ტექსტი დაახლოებით ასე აღვადგინოთ:

> „...ნათესავით პიტიახშნი. წელსა ჯ მეფობისა კონსტანტინეჲსა დაიდვა საძირკველი ჴელითა ... აღშენებაჲ. ვარაზ-ბაკურ შეისუენა და მის უკუანის ... იოვანე იწრაფდის. აესრუ[ლა იგიცა ... და

ჴელითა ... დებორა სამშჳლდელ დედოფლისაჲთა] იქმნა სრულიად აღშენებაჲ წმიდი[სა ამის ეკლესიისაჲ] და სტოვათა. და წელსა ჳ ლეონ მეფისა, დღესა ენკენიასა, ყო სატფურებაჲ ჳ დღე დიდითა კრებითა, განშუ[ენებად] ... ".

ლ. მუსხელიშვილისა და ნ. შოშიაშვილის მიერ გამოქვეყნებულ მონახაზზე „აესრულა" და „სრულიად" სიტყვებს შორის ლაკუნაა. მხოლოდ XIV ფილაზე ცდილობს ლ. მუსხელიშვილი რაღაც გაარჩიოს და კითხვის ნიშნებით „...ად..". გრაფემებს კითხულობს. დაახლოებით ამავე ადგილას 1905 წელს, როდესაც ალბათ წარწერა ჯერ კიდევ უკეთეს მდგომარეობაში იყო, ე. თაყაიშვილი „...დბ..". გრაფემებს კითხულობდა. შესაძლოა, სწორედ ეს „დბ" გრაფემებია დებორა დედოფლის სახელის ნაშთი!

ამრიგად, სამშვილდის სიონის სამივე მაშენებლის სახელი უკვე ვიცით, თუმცა ახსნა უნდა იმ წინააღმდეგობას, რომელიც ჩნდება ჩემ მიერ აღდგენილ მესამე პირსა და ლ. მუსხელიშვილის მიერ დაშვებულ ვარაუდს შორის: სამშვილდის სიონის განმასრულებელი „უთუოდ ეპისკოპოსი ყოფილა, რადგან, როგორც ჩანს, მანვე, მშენებლობის დამთავრებისას, „ყო სატფურებაჲ" ე.ი. აკურთხა ახალი ეკლესია"-ო. ცხადია, დებორა დედოფალი არ შეიძლება ეპისკოპოსი იყოს.

ვფიქრობ, ლ. მუსხელიშვილის ამოსავალი დებულება, ვინც ეკლესია აკურთხა აუცილებლად ეპისკოპოსი უნდა იყოსო, არ არის სავალდებულო. დედოფალს, და არამარტო დედოფალს, თავისუფლად შეეძლო ეთქვა თავის თავზე (ან სხვას ეთქვა მასზე) აკურთხა ახლად აშენებული ეკლესიაო, თუკი იგი ამ ფაქტის ორგანიზატორი და დამფინანსებელი იქნებოდა. ამის მაგალითად შეიძლება მოვიტანოთ ლისის ჯვრის საამშენებლო წარწერა, რომელსაც X ს-ით ათარიღებენ:

„ნებითა ღმრთისაჲთა მე, *ფებრონია, თუალოჲსა ასულმან* აღვაშენე წმიდა ესე ეკლესია, *ვაკურთხე* საფარველად ძმისა ჩემისა აბულეთისა ... ".[1]

მას შემდეგ, რაც ახალი სინური მასალა ჩაერთო სამშვილდის სიონის მშენებლობის საკითხების შესწავლაში, ბუნებრივია, კვლავ დასჭირდება მიბრუნება ძეგლის დათარიღების საკითხს, მით უფრო, რომ მისი შესწავლის დაწყებიდან განვლილი 150 წლის მანძილზე

[1] *ლაპიდარული წარწერები I*, 190.

რამდენჯერმე შეიცვალა შეხედულება ამ საკითხზე. ამის გაკეთება აუცილებელია თვითონ N/Sin.geo-50-ის ჩანაწერის დასათარიღებლადაც: სამშვილდის სიონის მშენებლობის დამთავრების თარიღი იქნება ჩანაწერის გაკეთების ქვედა ზღვარი, ვინაიდან მისმა ავტორმა იცის მშენებლობის ისტორია და, როგორც ჩანს, ნაკითხული აქვს საამშენებლო წარწერა.

მ. ბროსე, რომელსაც სამშვილდის სიონის წარწერაში ამოკითხული ჰქონდა მხოლოდ კონსტანტინე მეფის სახელი, ძეგლს 1313 წლით ათარიღებდა. ასეთი დათარიღება იმდენად შორს არის სინამდვილისაგან, რომ მისი სერიოზულად განხილვა არც კი უცდია არავის, ისე იქნა უარყოფილი.

ე. თაყაიშვილმა წარწერაში კონსტანტინესთან ერთად ლეონ მეფის სახელიც დაადასტურა და ჩათვალა, რომ სამშვილდის სიონი პაპა-შვილიშვილის, კონსტანტინე და ლეონ აფხაზთა მეფეების ზეობით უნდა დათარიღდეს (გასრულება 958 წელს). მკვლევარს არ მოუტანია ამ დათარიღების დასაცავად არცერთი არგუმენტი. მისთვის საკმარისი აღმოჩნდა X ს-ის აფხაზ მეფეთა შორის კონსტანტინე და ლეონ მეფეთა სახელების დადასტურება.

სამშვილდის სიონის წარწერის დათარიღებაზე ვრცლად და ყველა მხარის დეტალური განხილვით იმსჯელა ლ. მუსხელიშვილმა. მისი დებულებები შეიძლება ასე დაჯგუფდეს:

1. პალეოგრაფიული თვალსაზრისით წარწერა VII-X საუკუნეებს შორის უნდა მოთავსდეს, თუმცა ანალოგიები უფრო VIII საუკუნეზე მიუთითებენ.

2. წარწერაში მოხსენიებული „ნათესავით პიტიახშნი" პალეოგრაფიით განსაზღვრული თარიღის ქვედა საზღვრის სასარგებლოდ უფრო ლაპარაკობს.

3. წარწერაში დასახელებული კონსტანტინე და ლეონ მეფეები არიან არა აფხაზთა მეფეები, არამედ ბიზანტიის კეისრები, რომლებიც ერთმანეთის მომდევნოდ ზეობდნენ VIII საუკუნეში: კონსტანტინე (740-775), ლეონი (775-780). ამრიგად, სამშვილდის სიონის საფუძველი დაიდო 759 წელს (კონსტანტინეს ზეობის მეოცე წელი), ხოლო მშენებლობა დასრულდა 777 წელს (ლეონის ზეობის მესამე წელი). მშენებლობა გაგრძელებულა 19 წელიწადს.

წარწერის დათარიღების საკითხს კვლავ დაუბრუნდა ნ. შოშიაშვილი. მან გაიზიარა ე. თაყაიშვილის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სამშვილდის სიონის მშენებლობა დათარიღებულია კონსტანტინე და ლეონ აფხაზთა მეფეების ზეობით და სცადა ამ შეხედულების განმტკიცება პალეოგრაფიული არგუმენტებით:

1. წარწერაში გვხვდება ლიგატურები.

2. დ-ონი რამდენჯერმე დაწერილია ყელის გარეშე;

3. ლ-ასი თავისებურია, წრე ებმის ყელს ქვევიდან და არა გვერდიდან;

4. თ-ანი გამოსახულია კუთხოვანი, ქვევით დახრილი ფეხით;

5. რ-აე მოცემულია „ძლიერ გადახსნილი ფეხით“;

6. ბ-ანი, ვ-იე, შ-ინი, წ-არი დაწერილია „ძლიერ გადაშლილი წრეებით“.

7. რამდენიმე ადგილას წარწერაში დარჩენილია განკვეთილობის ნიშნები.

8. გრაფემები შეღებილია წითლად, რაც ქართულ ლაპიდარულ წარწერებში გვხვდება IX-X საუკუნეებიდან.

ჩემი აზრით, ლ. მუსხელიშვილის დასაბუთება სამშვილდის სიონის მშენებლობის VIII ს-ით დასათარიღებლად მანამდეც საკმარისი იყო, რომ უცვლელად დარჩენილიყო. მაგრამ რადგან საკითხი მაინც საკამათო გახდა, რამდენიმე არგუმენტს მის დასაცავად, ან კონტრარგუმენტს საწინააღმდეგოს მოსახსნელად, მეც დავუმატებ.

საკვირველია, მაგრამ არცერთ სპეციალისტს არ აღუნიშნავს ის ფაქტი, რაც მკვლევარს პირველ რიგში ეცემა თვალში, როდესაც იგი IX-X საუკუნემდელი წარწერების ანალიზს აკეთებს: *სამშვილდის სიონის წარწერის არცერთ გრაფემას არა აქვს დამატებითი მარცხნივ გაზიდული შვერილი.* მარტო ესეც საკმარისი იყო, რომ VIII და X საუკუნეებს შორის უპირატესობა VIII საუკუნისთვის მიგვენიჭებინა.

არცერთი თავისებურება („ძლიერ გადახსნილი ფეხი“, „ძლიერ გადაშლილი წრე“ და ა.შ.), რომელიც მითითებული აქვს ნ. შოშიაშვილს, არ შეიძლება ჩაითვალოს X ს-ის ქართული დამწერლობის პალეოგრაფიულ მახასიათებლად. ზოგი მათგანი გვხვდება უკვე V-VI საუკუნეებიდან მოკიდებული (მაგალითად, „თავიანი „ჲ“, უყელო „დ“, „რ“ „ძლიერ გახსნილი ფეხით“), ზოგი დადასტურებულია VII-IX საუკუნეე-

ბში („ბ", „ყ", „შ", „წ" ძლიერ გაშლილი წრეებით). ისიც უნდა ითქვას, რომ სამშვილდის სიონის წარწერაში ის გრაფემები, რომლებიც თავისებურად დაწერილებად არიან აღნუსხული ნ. შოშიაშვილის მიერ, სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვაგვარად არიან დაფიქსირებული. არ არის ქრონოლოგიის მაჩვენებელი ლ-ასის თავისებური დაწერილობაც.[1] ჯერ ერთი იმავე წარწერაში ეს და მისი ანალოგიური ზ-ანი გრაფემა კლასიკური ფორმით გვხვდება; მეორეც, მსგავსი ფორმის „ლ-ასი" შეგვიძლია ვნახოთ V ს-ით დათარიღებულ ბოლნისის ჯვრის წარწერაში.[2]

სამშვილდის სიონის წარწერაში ლიგატურით დაწერილია მხოლოდ ერთი სიტყვა – სოციალურ-პოლიტიკური ტერმინი „პიტიახშნი". მაგრამ ასევე ლიგატურით არის გადმოცემული ანალოგიური სოციალურ-პოლიტიკური ტერმინი „პატრიკიოსი" აბასთუმნის წარწერაში, რომელსაც ნ. შოშიაშვილი სრულიად დასაბუთებულად 685/711 წლებით ათარიღებს[3]. აქვე უნდა ხაზი გაესვას, რომ აბასთუმნის წარწერის დათარიღებაში სპეციალისტები VI-X საუკუნეებს შორის მერყეობენ. სწორედ ნ. შოშიაშვილია, რომელიც მას უფრო ადრინდელი ხანით ათარიღებს და თანაც პალეოგრაფიულ არგუმენტებს თითქმის იმავე სიტყვებით აყალიბებს, როგორც ეს გაკეთებული აქვს სამშვილდის სიონის X საუკუნით დასათარიღებლად:

ა) ბ, შ, ყ – რკალგახსნილი;

ბ) რ-ს მარჯვენა და მარცხენა რკალები სრულად გადახსნილია:

გ) ასევე ასო ა-ს რკალი ძლიერად გადაშლილია;

დ) ე, ლ, ვ დაწერილია დამატებითი, მარცხნივ გაზიდული განივი ხაზების გარეშე;

ე) გვხვდება ლიგატურა (გრაფემების: პ, ტ, ვ, ნ).[4]

სამშვილდის სიონის წარწერის გვიანი ხანით დასათარიღებლად არაფერს გვაძლევს, აგრეთვე, მითითება განკვეთილობის ნიშნების ნაკვალევსა და გრაფემების წითელი ფერით შეღებვაზე. ჯერ ერთი, წინა გამომცემლებს განკვეთილობის ნიშნები და საღებავი საერთოდ

---

1 *ლაპიდარული წარწერები I*, 66, 76, 84, 86, 88, 105, 107, 109, 115, 132, 133 და სხვ.

2 იქვე, 84.

3 იქვე, 103.

4 იქვე, 101-102.

ნახსენები არა აქვთ. არ არის მათზე მითითება არც ლ. მუსხელიშვილისა და ნ. შოშიაშვილის მიერ გამოქვეყნებულ წარწერის აღწერილობაში და მონახაზზე. მეორეც, განკვეთილობის ნიშნები უხვად გვხვდება VII-IX საუკუნეების ფრესკულ წარწერებში. მაგალითისათვის დავასახელებთ 739 წლის სტეფანოზ მამფალისა და 853 წლის ე.წ. ბუღა თურქის წარწერებს ატენის სიონში.[1]

ძნელია რაიმეს გადაჭრით თქმა წითელი საღებავის გამოყენების შესახებ ადრინდელი ხანის ეპიგრაფიკულ ძეგლებში, მაგრამ სომხურში რომ გამოიყენებოდა, ეს ცნობილია. ესეც რომ არ იყოს, თვითონ ნ. შოშიაშვილი შენიშნავს, წითელი საღებავი ქართულ წარწერებში IX-X საუკუნეებში გვხვდებაო. VIII საუკუნის მონუმენტური წარწერების ასეთ სიმცირეში სამშვილდის წარწერასაც თუ X ს-ში გადავიტანთ, ცხადია, საღებავის გამოყენების შემთხვევასაც ვერ დავადასტურებთ ამაზე ადრე.

აქვე უნდა მოიხსნას ლ. მუსხელიშვილის ერთგვარი ეჭვი სამშვილდის სიონის წარწერის ბიზანტიის კესართა ზეობით დათარიღებასთან დაკავშირებით. იგი წერდა: „წარწერის დათარიღების წესი (ბიზანტიის კეისრების წლებით) სრულებით უჩვეულოა, მოულოდნელი ამ დროს მაინც ... არსად საქართველოში, არც უწინ და არც მერმე, რამდენადაც ვიცი, მონუმენტალური ძეგლების დათარიღების ასეთი წესი არა გვხვდება". ამის შემდეგ მან თვითონვე მეტად საინტერესოდ და ლოგიკურად დაასაბუთა, რატომ შეიძლებოდა დათარიღების ასეთი წესი გამოეყენებინათ VIII საუკუნის საქართველოში და მოიტანა სათანადო ანალოგიები სომხური ეპიგრაფიკიდან.

1942 წელს, როდესაც ლ. მუსხელიშვილის ნაშრომი იწერებოდა, ჯერ კიდევ არ იყო სწორად ამოკითხული აბასთუმნის ეკლესიის ჯვრის კვარცხლბეკის წარწერა, რომელიც იუსტინიანე კეისრის ზეობით არის დათარიღებული. დღეს უკვე თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ დათარიღების ასეთი წესი არ არის უჩვეულო საქართველოსთვისაც.

და ბოლოს, უკანასკნელი და ყველაზე მნიშვნელოვანი არგუმენტი. N/Sin.geo-50, რომელშიც დადასტურდა სამშვილდის სიონის მშენებლობის უკანაკნელი ეტაპი, გადაწერილია ყველაზე გვიან X საუკუნის დასაწყისში და მაშინვეა შეწირული სინას მონასტრისათვის. ცხადია, მას-

[1] *ფრესკული წარწერები I*, 89, 132.

ში შეუძლებელია გაჩენილიყო ცნობა X საუკუნის მეორე ნახევარში, ლეონ აფხაზთა მეფის ზეობის მესამე წელს მომხდარი აქტის შესახებ.

ამრიგად, სამშვილდის სიონის მშენებლობა დაწყებულია ბიზანტიის კეისრის კონსტანტინე V-ის (უკანასკნელი მონაცემებით 741-775) მეოცე წელს (760) და დასრულებულია ლეონ IV ხაზარის (775-780) მესამე წელს (777) სამშვილდელ დედოფლის დებორას მიერ. 777 წელი, ამავე დროს, არის ის ქვედა თარიღი, რომელზე ადრეც არ შეიძლება იყოს შესრულებული N/Sin.geo-50-ში საქართველოს მონასტერთა საგანძურის შესახებ გაკეთებული ჩანაწერის დედანი.

„საქმენი წმიდისა იოვანე ზედაზადნელისანის“ სინური რედაქციის ტექსტოლოგიურ-წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობა

სინური რედაქციის აღმოჩენამდე იოანე ზედაზნელის ცხოვრების ამსახველი წიგნი ჩვენამდე სამი რედაქციით იყო მოღწეული. ამათგან ორი (ვრცელი და მოკლე) სათაურშივე არსენი კათალიკოსის მიერ შედგენილად („განაახლა და განავრცო“, „აღწერა“) არის დასახელებული. ეს ორი რედაქცია მიჩნეული იყო უძველესად და ერთმანეთზე დამოკიდებულად (ზოგი ვრცელს მიიჩნევდა მათ შორის არქეტიპად, ზოგი – მოკლეს). მეც სინურ რედაქციას ძირითადად მათ შევადარებ.

სინური ხელნაწერის განხილვისას ცხადად გამოჩნდა, რომ იგი უფრო ძველია, ვიდრე არსენი II კათალიკოსის ზეობა (955 – 980). ზედაზნის მამასახლისთა სია 27 წლით ადრე წყდება, ვიდრე გვიანი ხანის სია, რომელიც დაახლოებით 969 წელს უნდა იყოს შედგენილი, ანუ არსენი მეორის ზეობაში.

ამასვე ადასტურებს N/Sin.geo-50-ში შემონახული კათალიკოსთა სიაც. თუკი შატბერდულ რედაქციაში არსენი დიდის (860 – 887) შემდეგ არსენი II მეხუთე კათალიკოსია, N/Sin.geo-50-ში კათალიკოსთა სია არსენი დიდის შემდეგ მესამე კათალიკოსზე – ბასილზე წყდება. ამიტომ სრულიად ადვილად კეთდება დასკვნა, რომ: „იოვანე ზედაზნელის საქმეთა“ სინურ რედაქციას კათალიკოს არსენი მეორესთან არავითარი პირდაპირი კავშირი არა აქვს.

სხვა საკითხია სინური რედაქციის უძველესი (არა უშუალო) დედნის (არქეტიპის) თარიღი. რა თქმა უნდა, ის გაცილებით უფრო ადრინდელია არსენი მეორის ტექსტზე.

ამას კარგად აჩვენებს სინურ „იოანე ზედაზნელის საქმეთა“ ტექსტში გაჩენილი ჩანართები, რომლებიც ხელნაწერის რომელიღაც დედანს, უეჭველია, არშიებზე ან თავისუფალ გვერდებზე ჰქონდა გაკეთებული, ხოლო მრავალი გადაწერის შემდეგ შიგ ტექსტში უად-

გილო ადგილას შეტანილი აღმოჩნდა. ამ მინაწერებს, მოსალოდნელია, რომ ტექსტების გადამწერები თანდათან უმატებდნენ. მათი ძირითადი ნაწილი VI ს-ის ბოლო და VIII საუკუნის დასასრულით თარიღდება. მხოლოდ ერთს, რუვისთაველებისა და მეწკევნელების მოხსენიებას გარკვეული ალბათობით ვათარიღებ ბულა თურქის შემოსევით, ანუ IX ს-ის შუა ხანებით, ხოლო თუ, ნაკლები ალბათობით, მურვან ყრუს შემოსევით დავათარიღებთ, ეს ფაქტიც VIII ს-ის შუა ხანებში მოხვდება.

ცხადია, სინური რედაქციის სიძველეზე მიუთითებს იოანეს მოხსენიება უძველესი ფორმით, *ზედაზადნელი* (*ზედაზადენი* > *ზედაზენი*) და არა *ზედაზნელი* ან, მით უმეტეს, ზედაძნელი, როგორც იგი მოხსენიებულია ე.წ. არსენისეულ რედაქციებში.

ხელთუქმნელი ხატები

„ასურელ მამათა ცხოვრების" ყველა ვერსიის ავტორი ნანობდა, რომ არა ჰქონდათ ინფორმაცია ასურელ მამათა სირიაში საქმიანობისა და მათ წინაპართა შესახებ. სინური რედაქციის „საქმენი წმიდისა იოვანე ზედაზადნელისანი" ამაშიც ნაყოფიერი აღმოჩნდა. ტექსტის დასაწყისშივე ავტორი ურთავს ცნობებს ორი პირის – ქართული წოდებით მრეწველისა (თევდოსიოსი) და სამთავნელ ჭალაკელის (ეზდერიოზი) – შესახებ.

ეზდერიოზ ნაბუქელი (ჰიერაპოლისელი) იყო მაცხოვრის ხატის წინაშე-მდგომელი (მსახური) და მესაკმევლის შვილი. იგი ქალაქ ურჰაში შეუთანხმდა იოვანეს და წამოყვა ქართლში.

თეოდოსიოს იყო ურჰაელი (ედესელი) მთავარი, ძე მოსამართლისა. თევდოსიოსი კურთხეულ იქნა დიაკვნად და მონაზონად. ისიც ასევე წამოყვა ქართლში იოვანეს, რადგან უცხოებაში სურდა ყოფნა[1].

როდესაც ქართლში მოვიდნენ, ერთმა რეხას და მეორემ სამთავისს „აღშჱნეს საყოფელად ეკლესიანი". ძნელი სათქმელია, ეკლესიის „საყოფელად" აშენება რას გულისხმობს. ალბათ, სახელდახელოდ შენობას წირვისა და თავის შესაფარებლად. როგორც ჩანს, ორივეს გაუჭირდა ხელთუქმნელი ხატის გარეშე და ამიტომაც მაცხოვრის ხატის მაგიერ ორივემ თავისთვის, რამდენადაც შეეძლოთ, ისეთი ხატების „გამოწე-

[1] N/Sin.geo-50, 73v.

რა“ გადაწყვიტეს. ამ ხატებისთვის მოამზადა თევდოსიოსმა კედელი თავის ეკლესიაში, ხოლო ეზდერიოზმა – თავის ეკლესიაში ფიცარი.

ეზდერიოზის სავანეში მოვიდა ტყე-ტყე მავალი კაცი და ბერს შესჩივლა, ლომი მომდევსო. ეზდერიოზმა მიიღო სტუმარი და ჰკითხა, საიდან მოდიხარო. სტუმარმა უპასუხა, ხატისწერა ვიციო. ეზდერიოზი, ალბათ, ვერაფერი მხატვარი იყო, გაუხარდა და გაიქცა რეხაში თევდოსიოსისთვის მოსაყვანად. ბერები მალე დაბრუნდნენ და გაოცდნენ, როდესაც იხილეს მაცხოვრის ხატი „ქუე მდგომარს“ (ეზდერიოსს ხომ მომზადებული ჰქონდა ფიცარი, როგორც ჩანს, ეკლესიის შიდა კედელს მიყუდებული), „საშინლად ბრწინვალს“. მაცხოვრის ხატს ფერხთით ეწერა ასურულად (სირიულად): „ვისაც ხედავთ, მან მომავლინა“.

როდესაც ორი ბერი გაოცებაში იყო, მოვიდა თევდოსიოსის მოწაფე და აცნობა, რომ ვიღაც შემოიჭრა ეკლესიაში ავაზაკივით ვეფხვებისა და დათვებისაგან დევნილიო. სასწრაფოდ დაბრუნდნენ ისინი რეხას ეკლესიაში და ვერაფერი ნახეს, გარდა კედელზე ბრწყინვალე მაცხოვრის ხატისა.

ამრიგად, ვხედავთ, რომ ქართლში შემოდის ხელთუქმნელი ხატის იდეა. შინაარსით იგი ქართლში უნდა შემოსულიყო VI ს-ის ათიანი წლებიდან X ს-ის დასაწყისამდე, როდესაც სინური ხელნაწერი შეიქმნა. ვცადოთ თარღის უფრო მეტად დავიწროება.

ბერებმა მაშინვე აუწყეს იოვანეს სასწაულების შესახებ. ისიც დაუყოვნებლად მივიდა, თაყვანი სცა ორივე ხატს და დაავალა ბერებს ამ ამბის დაფარვა. თუმცა როგორ უნდა დაფარულიყო ეს სასწაული, როდესაც თეოდოსიოსს მინიმუმ ერთი მოწაფე ჰყავდა, რომელმაც ყველაფერი ნახა თავისი თვალით. მაგრამ აქ ადამიანთაგან მთავარი იყო იოვანე ზედაზნელი, ყველა გადაწყვეტილება მას შეეძლო მიეღო.

ავტორი პირდაპირ არ ამბობს, მაგრამ შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ხელთუქმნელი ხატების ისტორია იოვანე ზედაზადნელის სხვა სასწაულების წიგნთან ერთად ამასპო დედოფლის დედას წაუღია სივნიეთში. შეიძლება ესეც ერთერთი საშუალება იყო სასწაულის დაფარვისა და უნდა მომხდარიყო IX ს-ის წინა ან შუა ხანებში. მაინც უცნაურია, რომ XX ს-ის მიწურულამდე, თერთმეტი საუკუნის მანძილზე ეს წიგნი სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში ჯერ წიგნთსაცავში ინახებოდა, ხოლო შემდეგ გამოუსადეგარი წიგნების საცავში.

საქართველოში კი ანტონ მარტყოფელის მიერ ხელთუქმნელი ხატის ჩამოტანის ისტორია გავრცელდა და იმდენად პოპულარული გახდა, რომ თავად ანტონსაც კი მიაწერეს იოვანე ზედაზნელის მოწაფეობა.[1]

[1] ალექსიძე, *მანდილიონი და კერამიონი*, 9-16.

ასურელ მამათა ვინაობა

ცამეტმა ასურელმა მამამ იმდენად დიდი როლი ითამაშა საქართველოს საეკლესიო ცხოვრებაში, რომ მათი ვინაობის (ეროვნული კუთვნილების) საკითხი ძალიან მალე დადგა ქართველ მეცნიერთა წინაშე. შეიძლებოდა თუ არა არაქართველთ ასეთი დიდი მნიშვნელობის ფუნქცია შეესრულებინათ ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებაში, როგორიც მათ შეასრულეს და შეეძლოთ თუ არა უცხოელთ ასე ორგანულად ჩაწერილიყვნენ ქართულ სინამდვილეში, როგორც ეს ასურელ მამათა საქართველოში მოღვაწეობის შემთხვევაში მოხდა?! კითხვები ბუნებრივი იყო და მათი განხილვაც, ძირითადად, ორი მიმართულებით წარიმართა:

1. ასურელი მამები იყვნენ ქართველნი, ოღონდ მკვლევრები მათ ქართველობას სხვადასხვაგვარად განმარტავდნენ. 2. ასურელი მამები არ იყვნენ ქართველები.

სამეცნიერო ლიტერატურაში უპირატესობა პირველმა შეხედულებამ მოიპოვა. როგორც ჩანს, მათი ქართველებად წარმოდგენა უკეთ აკმაყოფილებდა არა მარტო პატრიოტულ განწყობებს, არამედ გასაცნობიერებლადაც უფრო ადვილი იყო.

როგორი იყო ასურელი მამების ვინაობის (ეთნიკური წარმომავლობის) მიმართ ისტორიული ტრადიცია, ანუ რას ამბობდნენ ამის შესახებ წყაროები?

ქართული წყაროები ასურელ მამათა ვინაობის შესახებ

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ იმ რედაქციების მიხედვით, რომლებიც სინური ხელნაწერების აღმოჩენამდე იყო ცნობილი, ცამეტი ასურელი მამის ვინაობის შესახებ მწირი ცნობები გვაქვს.

შატბერდული რედაქცია:

„მაშინ მოვიდა ნეტარი იოვანე ზედაზადენელი *შუა მდინარით, ასურეთისაჲთ*, იგი და ათორმეტნი მოწაფენი მის თანა მოვიდეს".[1]

ჭელიშური რედაქცია:

„მაშინ მოვიდა იოვანე ზედა-ზადენელი *შუა მდინარით*, იგი და თორმეტნი მოწაფენი მისნი".[2]

„ასურელ მამათა ცხოვრების" წიგნები

ცამეტი ასურელი (სირიელი) მამის წარმოშობის შესახებ მათი ცხოვრების იმ რედაქციების მიხედვით, რომლებიც სინური ხელნაწერის აღმოჩენამდე იყო ცნობილი, ასეთი სურათი გვაქვს:

იოვანე ზედაზნელის ცხოვრება

Ⴑ რედაქცია:

„ესე ნეტარი იოვანე იყო ქუეყანით შუამდინარით... და აღიღო უღელი მძიმე სიჭაბუკითგან თჳსით და დაჯდა თჳსაგან და დაყუდნა, რამეთუ არს სასოებაჲ თმენისაჲ. პირველად თჳსსავე ქუეყანასა ასურეთს იწყო მონაზონებად".[3]

Ⴒ რედაქცია: „ესე ნეტარი მამაჲ ჩუენი იოვანე იყო ქუეყანით შუამდინარით კერძოთაგან ანტიოქიისათა... ამან წმიდამან და ღმერთშემოსილმან თჳსსავე მას ქუეყანასა იწყო მონაზონებად".[4]

Ⴓ რედაქცია: „ესე ღირსი ხსენებისაჲ საკჳრველი და ყოვლად ქებული მამაჲ ჩუენი აღმოეცენა ქუეყანისაგან შუამდინარისა, რომელიცა ესე ქუეყანაჲ მრავალთა მომთხრობელთა მიერ ძუელ სადვე მყოფთა და კუალად შემდგომთა მათთა მრავლისა ქებისა მიმთხუეულ არს იეფობისათჳს ნაყოფთა მისთასა და ჰაერისათჳს კეთილისა და წყალთა ტკბილთა, კეთილად მდიდრად მცენარეთა აღმოდენისათჳს და უფროჲსლა კეთილთა და საჩინოთა მამაკაცთა გამოღებისთჳს, რომელთა მიერ უმეტესად შემკობილი მოქადულ არს ესევითართა სიმდიდრე-

---

1 *მოქცევაჲ ქართლისაჲ*, 94.

2 იქვე, 94.

3 *ცხორებაჲ იოვანე ზედაძნელისაჲ*, 196.

4 *ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ იოვანე ზედაძნელისა*, 196.

თა და დიდებათა მოგებისთჳს. ამისთჳს პირველ ჴსენებულისა ქუეყანისაგან მომღებელ არს ნათესაობასა მინიერისა მამულისასა სანატრელი ესე კაცი.

ხოლო უმახლობელესი ადგილი და გამომღებელი დაბაჲ და სახელისა მისისა წოდებაჲ უცნაურ არს ჩუენგან; და არცაღა მშობელთა მისთა ვინაობაჲ და რომელობაჲ სახელისაჲ გჳსწავიეს, თუ ვიეთნი იყვნეს და რომელთაგან შთამომავალნი. გარნა მხოლოდ ესე მოცემულ არს ჩუენდა უწინარესვე აღმწერელთაგან ცხოვრებისა მისისათა, ვითარმედ ქუეყანით შუამდინარისაჲთ მოაქუნდა ჴორციელი ნათესაობაჲ მახლობელად ანტიოქიასა მყოფისა რომლისამე დაბისაგან, აქა შინა წილ-ხდომილისა შობისა და აღზრდისასა და სწავლათა მიერ და საღმრთოთა მოძღურებათა სისრულედ ჰასაკისა აღწევნულსა".[1]

სვინაქსარული რედაქცია

„ესე ნეტარი იოვანე იყო ქუეყანით შუამდინარით, არამედ რომლისა დაბისაგან, ანუ მშობელთა მისთა სახელი ჩუენგან უცნაურ არს. ესე იქმნა მონაზონ მახლობელ ანტიოქიასა მონასტრად ჳამსა სიჭაბუკისასა... მეფობასა მარკიანე და ლეონ დიდისასა ანგელოზი გამოეცხადა ნეტარსა იოვანეს და ჰრქუა: „წმიდა ნინო, ოდეს ქართლი და კახეთი მოაქცია, დედაკაცი იყო და ფრიადი შრომა დადვა და მრავალნი იღუაწა, არამედ უმრავლესი თემი დაუშთა ქართლად და კახეთად მოუქცეველი. და წარვედ და მუნ ათორმეტნი მოყუასნი შენნი გამოირჩიენ და თანა წარიტანე და მიხუედ ქართლად და კახეთად, ვინაჲთგან უცხოსა ქუეყანასა ყოფა გსურის".[2]

„ცხორებაჲ შიოჲსი და ევაგრესი"

Ქ რედაქცია:

„ჟამთა მათ შინა ოდეს ღირსი *შიო იქმნა ოცისა წლისა*, დიდი იგი მნათობი და თუალი მოღუაწეთაჲ ყოველად განთქუმული იოანე ნიშებ-შემოსილი გამოჩნდა, ვითარცა ვარსკულავი მრავალ მნათობი,

---

[1] აბულაძე, *ასურელ მოღვაწეთა ცხოვრება*, 13.

[2] *იოვანე ზედაძნელისა*, 387.

რომელნი-იგი განანათლებენ ყოველთა *მკვდრთა ანტიოქიაჲსათა* და იყოფებოდა იგი უდაბნოსა ადგილსა მრავალთა თანა მოწაფეთა".[1]

„ფრიად აიძულებდა კათალიკოზი და ყოველნი იგი მღდელთ-მოძღუარნი ნეტარსა შიოს, რათა მოიღოს ჴელთა დასხმაჲ ხუცობისაჲ, რამეთუ *დიაკონად ჴელთ-დასხმულ იყო ანტიოქიასვე".*[2]

„ქართლის ცხოვრება"

ჯუანშერი:

„მისვე ფარსმანის-ზე მოვიდა იოვანე შუამდინარით".[3]

„ქართლის ცხოვრების" ჩანართები:

„იოვანე იყო ქუეყანით შუამდინარით, რომლისა მშობელნი არა უწყით".[4]

„წმიდა მამა დავით იყო ქუეყანით შუამდინარით, რომლისა მშობელთა არა მეცნიერ ვართ".[5]

„იყო წმიდა შიო ქალაქით ანტიოქიით, სიჩჩოთაგან დამტევებელი სოფლისა და დამოწაფებული მამისა იოვანესი".[6]

„იყო მამა წმიდა ისე წილკნელი მოწაფე წმიდისა მამისა იოვანესი, რომლისა არა უწყით მშობელნი, არცა ადგილსა სადაურობისა, თჳნიერ ესე ვიცით, თანა მოჰყვა იოვანესა".[7]

„ხოლო მამა ანტონი შუამდინარელი, რომელი იყო მოწაფე მამისა იოვანესი..". და შემდეგ აღწერილია მისი მოღვაწეობა ედესაში. მართყოფში მოსული ანტონი ადგილობრივ მთავარს ჟესტების ენით ელაპარაკება, ვინაიდან ქართული არ იცის.[8]

როგორც ვხედავთ, წყაროებში, როდესაც ისინი პირდაპირ ლაპარაკობენ ასურელი მამების წარმომავლობის შესახებ, არაფერი არ არის ნათქვამი ისეთი, რომლის საფუძველზეც შეიძლებოდეს მათი სირიული

---

1 აბულაძე, *ასურელ მოღვაწეთა ცხოვრება*, 72.
2 იქვე, 112.
3 ჯუანშერი, *ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა*, 207.
4 *ქართლის ცხოვრება*, 208.
5 იქვე, 209.
6 იქვე, 210.
7 იქვე, 212.
8 იქვე, 208-214.

წარმოშობის შესახებ ტრადიციაში ეჭვის შეტანა. მაგრამ არც ისეთი რამ არის ნათქვამი, რაც მათ ქართულ წარმოშობას მთლიანად გამორიცხავდა.

ასეთად შეიძლებოდა მიგვეჩნია მხოლოდ იოანე ზედაზნელის ცხოვრების Ⴊ რედაქციის ჩვენება: „ვითარმედ ქუეყანით შუამდინარისაჲთ მოაქუნდა ჴორციელი ნათესაობაჲ მახლობელად ანტიოქიასა მყოფისა რომელიმე დაბისაგან“[1] და სვინაქსარული რედაქციის ცნობა, რომლის მიხედვითაც იოანე ზედაზნელის ქართლსა და კახეთში წამოსვლა ახსნილია მისი სურვილით *უცხო ქვეყანაში* ყოფნისა. მაგრამ პირველი საკმაოდ ბუნდოვანია (შეიძლებოდა იოანე სირიაში მცხოვრები შთამომავლობით ქართველი ყოფილიყო), ხოლო მეორე გვიანია, მასში არის სერიოზული ანაქრონიზმები (მარკიანე, ლეონ დიდი).

ასურელი მამების წარმოშობის შესახებ გარკვეული მინიშნებები არის „ქართლის ცხოვრების“ ჩანართებშიც. მაგალითად, შიო მღვიმელი ქალაქ ანტიოქიაში ბავშვობიდან ეწევა სამონასტრო ცხოვრებას და მოწაფეა იოანე ზედაზნელისა: ანტონ მარტყოფელმა არ იცის ქართული. ყოველივე ეს, მართალია, ცხადად მიუთითებს, რომ ქართული ტრადიციისთვის ასურელი მამები არ იყვნენ ქართველები, თუმცა მკვლევართ ვერ აიძულებს, ტრადიციას გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭონ.

მეორე მხრივ, ყველა წყარო ერთხმად უსვამს ხაზს, რომ ასურელი მამების მშობლების შესახებ მათ არა აქვთ ცნობები და ეს ვითარება თეორიული ვარაუდებისთვის კარებს ადვილად ხსნიდა.

ისტორიოგრაფია ასურელ მამათა ვინაობის შესახებ

პირველი, ვინც ასურელ მამათა ქართველობის საკითხი წამოჭრა, იყო დ. ჩუბინაშვილი (1814–1891). მისი აზრით, ძველი მწერლები კაპადოკიელებს თვლიდნენ სირიელებად, ან მესოპოტამიელებად, ამიტომ ცამეტი ასურელი მამაც კაპადოკიელად უნდა მივიჩნიოთ. ხოლო ვინაიდან კაპადოკია ქართველთა მონათესავე ხალხით იყო დასახლებული, საქართველოში კაპადოკიიდან მოსული განმანათლებლებიც

[1] აბულაძე, *ასურელ მოღვაწეთა ცხოვრება*, 13.

(წმინდა ნინო, ასურელი მამები) ქართველები უნდა ყოფილიყვნენ. მთავარი არგუმენტი ამ დებულების დასამტკიცებლად დ. ჩუბინაშვილისთვის არის ის, რომ ქართული ენის ცოდნის გარეშე მისიონერები საქართველოში არ ჩამოვიდოდნენ და თუ ჩამოვიდოდნენ, წარმატებას ვერ მიაღწევდნენ.[1]

დ. ჩუბინაშვილის მოსაზრებას საქართველოში ნოყიერი ნიადაგი დახვდა და იგი სრულიად უკრიტიკოდ გაიმეორეს მ. ჯანაშვილმა (1855–1934),[2] ალ. ქუთათელაძემ,[3] ი. გოგებაშვილმა (1840-1912),[4] ა. ხახანაშვილმა (1864-1912),[5] ილ. ფერაძემ (1866-1928),[6] დ. ჯანაშვილმა (1840-1905)[7]. ამიტომ წყაროებში ასურელ მამებად მოხსენიებულ მოღვაწეებს ისინი ზოგჯერ კაპადოკიელ მამებსაც უწოდებდნენ ხოლმე. ძნელი არ არის შევამჩნიოთ, რომ ასურელ მამათა კაპადოკიელებად გამოცხადება მათი ქართველებად მიჩნევის არგუმენტაციის გასაძლიერებლად იყო საჭირო.

ასურელ მამათა ქართველობის იდეა განავითარა, მაგრამ მათი კაპადოკიელებად გამოცხადების გარეშე, დიმიტრი ბაქრაძემ (1826-1890). მისი აზრით,

„ახლა ჩვენს მწერლობაში ვრცელდება აზრი, ვითომც ათ-ცამეტნი მამანი ყოფილიყვნენ ქართველნი ნათესაობით. ეს აზრი ჩვენი წარმოდგენითაც უსაფუძვლო არ არის. ჩვენ ვიცით, რომ სულ ძველად ქართველნი მოღვაწენი და მთარგმნელნი ანტიოქიაში და იმის გარშემო შრომობდნენ თავიანთი მამულის სასარგებლოდ. გარდა ამისა შემოდიან თუ არა საქართველოში, ქართულად საუბრობენ; ქართულადვე ასრულებენ წირვა-ლოცვას და ჰმოძღვრებენ თვით ქართველ ერსა. ქართულმა ეკლესიამ ძველადვე შეჰრიცხა იგინი წმინდანთა შო-

---

1 ჩუბინოვი, *ეთნოგრაფიული განხილვა*, 11-12.

2 ჯანაშვილი, *საქართველოს საეკლესიო ისტორია*, 44; Джанашвили, *История грузинской церкви*, I, 45.

3 ქუთათელაძე, *კონსპექტი*, 49-53.

4 გოგებაშვილი, *წმიდა გუნდი*, 55.

5 Хаханов, *Древнейшие пределы*, 31.

6 ფერაძე, *საქართველოს საეკლესიო ისტორია*, 117-120.

7 ჯანაშვილი, *ისტორიული სურათები*, 19.

რის, როგორც „განმანათლებელნი და აღმაშენებელნი ეკლესია-მონასტერთა ქართლისათანი".[1]

როგორც ვხედავთ, დ. ბაქრაძემ არა მარტო გამოთქვა ვარაუდი ასურელ მამათა ქართველობის შესახებ, არამედ მის დასასაბუთებლად არგუმენტებიც ჩამოაყალიბა:

1. ქართველები ძველადვე მოღვაწეობდნენ ანტიოქიასა და მის შემოგარენში.

2. საქართველოში ჩამოსვლისთანავე ასურელი მამები იწყებენ ქართულად ლაპარაკს.

3. ასურელი მამები ქართულად ასრულებდნენ წირვა-ლოცვას.

4. ასურელი მამები საქართველოს ეკლესიამ წმიდანებად შერაცხა, როგორც ქართულ საქმეთა მესვეურნი.

აღნიშნული არგუმენტები, მათ ძირითად ნაწილში, იმეორებენ დ. ჩუბინაშვილის არგუმენტაციას, თუმცა დ. ბაქრაძეს საჭიროდ აღარ მიაჩნია არგუმენტად ასურელ მამათა კაპადოკიელობის შემოტანა, ვინაიდან ქართველთა ყოფნა ანტიოქიაში ამისათვის საკმარისად ეჩვენება.

ასურელ მამათა ვინაობის საკითხი ყველაზე ვრცლად და სპეციალურ ნაშრომში განიხილა კ. კეკელიძემ (1879-1962), რომელმაც მათი ქართველობის ჰიპოთეზის დასაბუთება სცადა უფრო აკადემიურად, მაგრამ ფაქტიურად იმავე არგუმენტებით, როგორც ეს გააკეთა დ. ბაქრაძემ.[2]

მოკლედ რომ გადმოვცეთ კ. კეკელიძის არგუმენტები, ასეთ სურათს მივიღებთ:

---

[1] ბაქრაძე, *ისტორია საქართველოსი*, 182-183.

[2] კეკელიძე, *საკითხი სირიელ მოღვაწეთა*, 40-44. სამწუხაროდ, მის ნაშრომში საკითხი ისეა წარმოდგენილი, თითქოს მას ისტორია საერთოდ არა ჰქონდეს („ყველა მკვლევარნი ერთხმად მოწმობენ, რომ ეს მამები იყვნენ ასურელები ან სირიელები"). როგორც დავინახეთ, საქმე სრულიად პირიქით არის და თავის დროზე ამის შესახებ მიუთითა ივ. ჯავახიშვილმა (*თხზულებანი*, *I*, 414-415).

საყურადღებოა, რომ შემდგომში (1949 წ.), მართალია გაკვრით, მაგრამ ასურელ მამათა ვინაობა და მათი ჩვენში მოხვედრის პირობები კ. კეკელიძემ ისეთ საკითხთა რიგში დაასახელა, რომელიც ჯერ კიდევ „საბოლოოდ და უცილობლად გარკვეული არაა" (კეკელიძე, *რეცენზია ლ. მენაბდის ნაშრომზე*, 177).

1. შემთხვევითი არ არის, რომ სირიიდან „გამოქცეული" მამები „შორეულ ქართლში მოდიან".

2. ქართლში მოსვლის პირველი დღიდანვე ისინი იმდენად დაუახლოვნენ ადგილობრივ მოსახლეობას, რომ ამას უცხოელები ვერ შესძლებდნენ ენისა და ზნე-ჩვეულების ცოდნის გარეშე.

3. შიო მღვიმელის ცხოვრების მიხედვით, როდესაც იოანე მოწაფეებთან ერთად შემოვიდა ქართლში, მას მიეგება ქართლის კათალიკოსი ევლავიოსი, რომელსაც იგი ქართულად ესაუბრა, ანუ „ქართველი ქართულად გამოელაპარაკა ქართველს".

4. შიო მღვიმელის „ცხოვრებაში" ნათქვამია, რომ მას ქართული კარგად შეუსწავლია ოთხ წელიწადს იოანესთან ერთად ზედაზენზე ყოფნისას. საეჭვოა, რომ სირიელს თუნდაც ოთხი წლის განმავლობაში ქართული ენა ასე კარგად შეესწავლოს, თანაც ასევე სირიელთან ურთიერთობაში.

5. იმავე შიო მღვიმელის ცხოვრების მიხედვით, შიოს ქართულთან და ბერძნულთან ერთად ასურული (სირიული) ენაც შეუსწავლია, რაც წარმოშობით ასურს (სირიელს) არ უნდა დასჭირვებოდა.

6. სირიასთან საქართველოს მჭიდრო კულტურული და რელიგიური ურთიერთობა ჰქონდა.

7. ე. წ. ასურელი მამები მონოფიზიტები იყვნენ და როდესაც სირიაში მონოფიზიტების დევნა დაიწყო, მათ თავიანთ სამშობლოს შეაფარეს თავი.

8. ქართლში დაბრუნებული ასურელი მამები დაუბრუნდნენ იმ კუთხეებს, საიდანაც ისინი წარმოშობით იყვნენ.

ასურელ მოღვაწეთა ქართველობის საკითხი ქართველ მეცნიერთა უმეტესობისათვის თანდათან აქსიომად იქცა. ამიტომ მათი მსჯელობა უკვე მხოლოდ იმას ეხებოდა, თუ რატომ დაბრუნდნენ ისინი საქართველოში და არა იმას, საერთოდ იყვნენ თუ არა ქართველები.[1]

მეცნიერთა მეორე, შედარებით მცირე, ჯგუფმა არ დაუჭირა მხარი ასურელი მამების ქართველობის იდეას.

---

[1] ნუცუბიძე, *ქართული ფილოსოფიის ისტორია*, 126; მისივე, *კრიტიკული ნარკვევები*, 360; ხიდაშელი, *ქართული ფილოსოფიის ისტორია*, 61-64. ასურელ მამათა ქართველობის იდეა კვლავ გაცოცხლდა ბოლო ხანებში გამოქვეყნებულ ნაშრომში, იხ. სიგუა, *ევსტათი მცხეთელი*, 32-33.

პირველი, რა თქმა უნდა, ამ საკითხს შეეხო ვახუშტი ბაგრატიონი, თუმცა ცოტა არ იყოს ბუნდოვნად. მისი სიტყვებით, როდესაც ფარსმან მეფისა და ევლავიოზ კათალიკოსის დროს ცამეტი ასურელი მამა მოვიდა ქართლში, მათ მიეგება კათალიკოსი და „მოიკითხა ასურულითა ენითა. ხოლო მათ ქართულ პასუხ უგეს, რამეთუ უცნობელ იყვნენ ორნივ ენათა ურთიერთთა".[1]

ცხადია, ვახუშტის ეჭვი არა აქვს, რომ ასურელი მამები სწორედ სირიელები არიან და მათი მხრივ ქართული ენის ცოდნა მხოლოდ სასწაულის გამოვლენაა.

მ. კელენჯერიძემ (1864–1942) უარჰყო ასურელი მამების ქართული წარმომავლობა და სრულიად აუარა გვერდი მათი შესაძლო კაპადოკიელობის საკითხს. მისი აზრით, წყაროები მათ ერთხმად ასურელებად მიიჩნევენ და ყველა მათგანმა (შიო მღვიმელი, ანტონ მარტყოფელი) არც იცის ქართული. გარდა ამისა, საქართველოში წამოსასვლელად გამზადებულ ბერებს ქართული შეეძლოთ ესწავლათ ანტიოქიაშიც ქართველი ბერებისგან.[2]

ასურელი მამების ქართველობის საკითხი ივ. ჯავახიშვილმა (1874-1940) საერთოდ განხილვის საგნადაც არ გაიხადა. მან მხოლოდ მიუთითა, რომ „კ. კეკელიძის დებულება მათი ქართველობის შესახებ, როგორც გამოირკვა, დ. ბაქრაძის და მის თანამედროვეთა აზრის განმეორებასა და გაცოცხლებას წარმოადგენს, ამასთანავე იმავე საბუთიანობით, რადგან წყაროთა ცნობები ერთმხრივ მათ უცხოელობას მოწმობენ და მათი ქართველობის დამამტკიცებელ საბუთთაგანს არც ერთს დამაჯერებელი ძალა არა აქვს, ამიტომ მათი ქართველობის აზრი უსაფუძვლო ჰიპოთეზად უნდა იქნეს მიჩნეული".[3]

კ. კეკელიძის არცერთი არგუმენტი ასურელი მამების ქართველობის შესახებ არ გაიზიარა გრ. ფერაძემ. მისი აზრით, კ. კეკელიძე არ ითვალისწინებს ჰაგიოგრაფიული მწერლობის ხასიათს: ცხოვრებების ავტორები წმინდანებს 700 წლით მაინც დაშორებული ქართველები იყვნენ და რა გასაკვირია, რომ მათი გმირებიც უფრო მათ თანადროულ ქართველებს დამსგავსებოდნენ. ქართულ ცხოვრებებში მოხსენიე-

---

1 ვახუშტი ბატონიშვილი, *აღწერა*, 117.

2 კელენჯერიძე, *საქართველოს საკათოლიკო ეკლესია*, 42-43.

3 ჯავახიშვილი, *თხზულებანი*, I, 414-415.

ბულ პიროვნებებსა და ადგილებს თუ შევცვლით, მათი გადატანა შეგვეძლება ეთიოპურ და კოპტურ სამყაროშიც. არც შიოს ცხოვრების ცნობა, იმის შესახებ, რომ მან შეისწავლა სირიული და ბერძნული ენა, მიაჩნია მას საკმარის არგუმენტად შიოს ქართველობის დასამტკიცებლად, ვინაიდან იქვე ნათქვამია, რომ მას ქართულიც უსწავლია „შუენიერად და მართლად". გრ. ფერაძის აზრით, ცხოვრების ავტორის მითითება, რომ შიო ლოცვისა და ფსალმუნთა გალობისას ბერძნულსა და სირიულს იყენებდა, იმის საბუთია, რომ იგი არ იყო ქართველი, წინააღმდეგ შემთხვევაში, რაში დასჭირდებოდა მას საქართველოში უცხო ენებზე ლოცვა და ფსალმუნება. სირიაში კი სწორედ ეს ორი ენა იყო მონასტრებში მსახურების ენა.[1]

ქართველ მეცნიერთა მიერ გამოთქმულ იქნა შუალედური პოზიციაც. მაგალითად, თ. ჟორდანია წერდა (დაახლოებით ასეთსავე მოსაზრებას გამოთქვამენ ს. კაკაბაძე და ვ. გოილაძე):

> „... შესაძლებელია იქიდამ მოსრულნი წმიდა მამანი ასურელნი, თუ არა ყველა, რამდენიმე მაინც ქართველნი ყოფილიყვნენ, ან ქართულის ენის მცოდნენი".[2]

ასურელ მამათა ქართველობის იდეა ყველაზე უფრო ვრცლად განიხილა და არგუმენტირებულად უარჰყო დ. მერკვილაძემ. მან თავისი მოსაზრებები ასე ჩამოაყალიბა:

1. ასურელ მამათა ცხოვრებათა მიხედვით, ქართლში შემოსვლისთანავე ქართულად ალაპარაკება ეხება მხოლოდ იოანე ზედაზნელს და არა მის მოწაფეებსაც. ცხოვრების ავტორისათვის ეს არის სასწაული, მსგავსი სული წმიდის გარდამოსვლისა მოციქულებზე, რომლებსაც სხვადასხვა ენაზე მეტყველების უნარი მიეცათ, და არა ბუნებრივი მოვლენა.

2. ასურელი მამები ქვეყნის სხვადასხვა მხარეში სარწმუნოების განსამტკიცებლად გამგზავრებამდე სათანადო მომზადებას გადიან ზედაზენზე თავის მოძღვართან. ასეთი მომზადება უნდა იგულისხმებოდეს შიო მღვიმელის ცხოვრებაში შემონახულ ცნობაში, რომლის

---

[1] Peradse, *Die Anfange*, 74; ფერაძე, *ბერმონა ზვნობის დასაწყისი საქართველოში*, 94.

[2] ჟორდანია, *ქრონიკები*, 54; კაკაბაძე, *არქეტიპები*, 16–17; გოილაძე, *საიდან და როდის მოვიდნენ სირიელი მამები*, 199.

მიხედვითაც მას ქართული ენა კარგად უსწავლია იოანე ზედაზნელთან მოსამზადებლად გატარებულ ოთხ წელიწადში. ამავე ნაწარმოებში ნათქვამია არა ის, რომ შიომ ქართულთან ერთად შეისწავლა სირიული და ბერძნული ენა, არამედ ის, რომ მას შეუსწავლია ლოცვა და ფსალმუნება ამ ენებზე.

3. დავით გარეჯელისა და ანტონ მარტყოფელის ცხოვრებები გვიჩვენებენ, რომ მათ ქართული კარგად არა სცოდნიათ.

4. საქართველოს ეკლესიის მიერ ასურელი მამების წმინდანებად შერაცხვა მათ ქართველობაზე არ მიუთითებს, რადგან მოწამის ან გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწის ეროვნულ კუთვნილებას ამ თვალსაზრისით არავითარი უპირატესობა არ ენიჭებოდა.

5. ასურელი მამები ქართველები და წარმოშობით იმ კუთხეებიდან რომ ყოფილიყვნენ, სადაც მოღვაწეობდნენ, მათი ცხოვრების აღმწერლებს მათი წარმომავლობისა და მშობლების შესახებ ცნობების მოძიება არ გაუჭირდებოდათ. და მაინც მათ ცხოვრებებში მოიძებნება მწირი ცნობები ზოგი მათგანის სირიული წარმომავლობის შესახებ.

6. ასურელი მამები თავის მშობლიურ ადგილებს რომ დაბრუნებოდნენ, იქაური მცხოვრებნი მათი ვინაობის გამოკითხვას არ დაიწყებდნენ და თვითონაც პასუხად თავიანთ უცხოელობაზე არ მიუთითებდნენ.[1]

ვფიქრობ, იმ მასალის ფარგლებში, რაც დღემდე ცნობილი იყო, დ. მერკვილაძის არგუმენტაცია სავსებით დამაკმაყოფილებელია და ასურელ მამათა ქართულ წარმომავლობაზე ისე დარწმუნებით ლაპარაკი, როგორც მანამდე იყო, უკვე შეუძლებელია. მაგრამ საკითხში სრული გარკვევისათვის ასურელ მამათა ცხოვრების ახალი რედაქციის მონაცემების გათვალისწინება მაინც აუცილებელი იქნება.

---

[1] მერკვილაძე, *ასურელ მამათა სადაურობა*, 22-32; მისივე, *ასურელი მამები: სირიელი მოღვაწენი*, 19-21; მისივე, *ასურელი მამები: სირიელი მოღვაწენი*, 159-179.

N/Sin.geo-50 და ასურელ მამათა ვინაობა

ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რის გამოც შესაძლებელი გახდა ასურელ მამათა ქართველობის მტკიცება, იყო წყაროებში მათი მშობლების შესახებ ცნობების არარსებობა. N/Sin.geo-50-მა ეს სიძნელე მოხსნა, ყოველ შემთხვევაში იოანე ზედაზნელის ორი მოწაფის მიმართ მაინც. იგი ეზდერიოზ სამთავნელისა და თევდოსიოს მრეხელის შესახებ წერს:

> „ამათნი საკჳრველნი საქმენი, რომელ უქმნიან, *დიდი წიგნი არს, თუ სადა გაზრდილ* არიან და ვითარ შედგომილ არიან იოვანჱს და რაჲ ვის თავად-თავად სასწაულნი უქმნიან. გარნა ჩუენ ესთენ ვპოვეთ მრეწველისაჲ და სამთავნელ ჭალაკელისაჲ: ნაბუქელი იყო წინაშე ხატსა მაცხოვრისასა მდგომელი, შვილი მესაკუმევლისაჲ, და შეეძრახა ურჰას შინა იოვანეს და გამოჰყვა. და ესე თევდოსიოს მრეწელი მთავარი იყო ურჰაელი, ძჱ ბჭისაჲ და სამართლის–მყოფელისაჲ გლახაკთაჲსაჲ, და კურთხეულ იყო დეაკონად და მონაზონად ხატსა წინაშე ქრისტჱსსა, და უცხოებისათჳს წარმოჰყვა იოვანეს“.[1]

ამრიგად, ტექსტის ავტორს სცოდნია, რომ არსებულა დიდი წიგნი ასურელ მამათა წარმომავლობის („სადა გაზრდილ არიან“) შესახებ, მაგრამ ეს წიგნი მას ხელთ არა ჰქონია. რაც შეეხება ეზდერიოზ სამთავნელსა და თევდოსიოს მრეხელს, მათ შესახებ კი მოუპოვებია შემდეგი ცნობები:

ეზდერიოზი ყოფილა ნაბუქელი, ანუ ჰიერაპოლისელი (სირ. მაბბუგ), ჰიერაპოლისის კერამიონის (კეცის ხატის) წინაშემდგომელი (მსახური) და მისი მესაკმევლის შვილი. ხოლო თევდოსიოსი – ურჰაელი (ედესელი) მთავარი, ძე გლახაკთა ქომაგი მოსამართლისა, შემდგომში ედესის ხატის (მანდილიონის) წინაშემდგომელი მონაზონი და დიაკვანი.

ამრიგად, სამთავნელიცა და მრეხელიც თავიანთი მშობლებით და სოციალური მდგომარეობით დაკავშირებულნი არიან სირიასთან და

[1] N/Sin.geo-50, 73 r-v.

ლაპარაკი მათი შუამდინარეთში საქართველოდან განსწავლის მიზნით წასვლის შესახებ შეუძლებელია.

„საქმენი იოვანე ზედაზადნელისანი“ პირდაპირაც ამბობს, რომ იოანე ზედაზნელის მოწაფეებისთვის, თევდოსიოსისთვის მაინც, ქართლი „უცხო“ ქვეყანაა და სწორედ ამის გამო წამოყვა იგი აქ იოანე ზედაზნელს. საქმე ის არის, რომ თევდოსიოსი წარჩინებული ჩამომავლობისა იყო და, როგორც „ცხოვრების“ ავტორი აღნიშნავს, „უცხოებისათჳს წარმოჰყვა იოვანეს“.

ასკეტური ცხოვრება მონაზონისგან ითხოვს, რომ მას ამშვენებდეს „სამი ესე: უცხოებაჲ, სიგლახაკჱ და დუმილი მოთმინებით“.[1] თევდოსიოსიც გადაწყვეტს წავიდეს „უცხო“ (სხვა) ქვეყანაში, რათა მოწყდეს თავისი ჩვეული გარემოს ცთუნებებს. ამრიგად, თევდოსიოს მრეხელი სამშობლოში კი არა ბრუნდება, არამედ პირიქით, სამშობლოს ტოვებს და მიდის უცხო ქვეყანაში, რათა თავისი მოწოდება უკეთ აღასრულოს.

მაგრამ იყვნენ თუ არა ეზდეროზ სამთავნელი და თევდოსიოს მრეხელი, ტექსტის ავტორის აზრით, ეთნიკურად სირიელები და რა იყო მათი სალაპარაკო ენა, როდესაც ისინი ქართლში მოვიდნენ? იგი თხრობას ასე აგრძელებს:

> „და რაჟამს დასხდეს ესენი აქა (სამთავისის ჭალკსა და რეხის ქვაბში – ზ. ა.) და აღაშჱნეს საყოფელად ეკლესიანი, განიძრახეს, რაჲთამცა ხატისა მის წილ მაცხოვრისა ხატები გაწერეს სასურველად. და თევდოსიოს შემზადა კედელი, ხოლო ეზდერიოზ შექმნა ფიცარი. და მოივლინა კაცი ვინმე მოგზაური ჭალაკით ვანად ეზდერიოზისა და მიზეზ-ყო ლომისა დევნაჲ. დააყენა ბერმან და ჰკითხა, თუ ვინაჲთ მოხუალ. ხოლო მან ჰრქუა, ხატისა წერაჲ ვიცი. და ვითარცა ესმა ესე, წარვიდა ბერი რეჴდ, რაჲთა მოჲყვანოს თევდოსიოს. და ვითარცა მიჲწივნეს, იხილეს ხატი ღმრთაებისაჲ ქუე-მდგომარჱ, საშინელად ბრწყინვალჱ. და წერილ იყო ფერჴთა თანა *ასურებრითა წერილითა*: ვის ეგე ჰხედავთ, მან მომავლინა“.

ამრიგად, რეხაში აშენებულ ეკლესიაში ხელთუქმნელ ხატს ქვეშ მიწერილი ჰქონდა ასურული (სირიული) დამწერლობით და სირიულ ენაზე, ვისაც ამ ხატზე ხედავთ გამოსახულს, მან გამომაგზავნაო. ცხადია, ასურულ დამწერლობაზე მითითება შემთხვევით არ არის გაკეთე-

[1] აბულაძე, *ლექსიკონი*, 439.

ბული და ტექსტის ავტორი გულისხმობს, რომ სირიიდან სულ ახლად ჩამოსულ მამებს სწორედ ამ ენაზე შეეძლოთ წარწერის წაკითხვა.

ზემოთ ჩვენ ვნახეთ, რომ ასურელი მამების ქართული წარმოშობის მომხრეთა მთავარი არგუმენტი არის ის, რომ იოანე ზედაზნელმა, მისი ცხოვრების მიხედვით, ქართლში ჩამოსვლისთანავე იწყო ქართულ ენაზე ლაპარაკი. მართალია, ჩემი აზრით, ასეთი ცნობა სრულიად არაფრის მაჩვენებელი არ არის (იოანე ზედაზნელი დათვსაც ელაპარაკება მისთვის გასაგებ ენაზე, ან კიდევ: „რომელმან მფრინველნი ცისანი და ქუეწარმავალნი ენასა მისსა დაამორჩილნა"), მაგრამ მაინც მინდა აღვნიშნო, რომ იგი არ არის N/Sin.geo-50-ში, რომელიც ასურელ მამათა ცხოვრების ყველა რედაქციაზე და ხელნაწერზე ადრინდელია (X ს-ის I ნახევრი), ხოლო წყარო, რომელზეც მისი ავტორი უთითებს, IX ს-ის შუა ხანებზე ადრინდელია.

ამავე რედაქციაში იოანე ზედაზნელის სირიული წარმომავლობის შესახებ გვაქვს სრულიად არაორაზროვანი და პირდაპირი ცნობაც:

> „ესე ნეტარი იოვანე იყო *ნათესავით ასური*, ქუეყანით შოვა მდინარით, რომელ არს ასურეთისაჲ, წინამძღურებითა სულისა წმიდისაჲთა მოივლინა ქართლად".

ზოგადად ამასვე გვამცნობს თხზულების სათაურიც სინურ რედაქციაში, თუმცა ტრადიციული ტექსტისგან იგი არსებითად არ განსხვავდება:

> „საქმენი წმიდისა იოვანე ზედაზადნელისანი, რომელი მოვიდა შოვა მდინარითა ასურეთისაჲთა შემდგომად ქართლის მოქცევითგან მეორასესა წელსა, იგი და მოწაფენი მისნი".

იოანემ „შენებაჲ არა ჲნება, არამედ *ჩუეულ ვითარცა არს ჩუეულებაჲ უდაბნოჲს მყოფთაჲ* კლდეთა ქუეშე და ხურელთა იწროებითა იყოფდა".

Ⴑ რედაქცია „ხოლო შენებაჲ არა ინება მას ადგილსა, არამედ, ვითარცა არს წესი მარტოდ მყოფობისაჲ, იყოფვოდა; ნაპრალსა მას კლდისასა *ეპოვნა ქუაბი მცირე*, რომელსა შინა აღასრულა მწირობაჲ სარწმუნოჲსა ამის ცხორებისაჲ".[1]

---

[1] *ცხორებაჲ იოვანე ზედაძნელისაჲ*, 213.

Ⴒ რედაქცია „ხოლო შენებაჲ ადგილისაჲ მის არა ინება, არამედ მარტოდ მყოფობაჲ აღირჩია, რამეთუ *პოვა მუნ ქუაბი რაჲმე მცირე* და მუნ შინა აღასრულა მწირობაჲ მისი“.[1]

ვფიქრობ, ნათელია, რომ ასურელ მამათა ცხოვრების უძველესი რედაქციის მიხედვით, ისინი წარმოშობით არიან სირიიდან, ხოლო იოანე ზედაზნელი ეთნიკურადაც სირიელია.

მაგრამ რას ნიშნავს კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით ეს დასკვნები? რა ამოცანა იდგა და როგორ შეასრულეს იგი ასურელმა მამებმა ქართული ენის ცოდნის გარეშე?

საქმე ის არის, რომ ქართლში ქრისტიანობას, მართალია, უკვე ორასი წლის ისტორია ჰქონდა, მაგრამ მაინც ისტორიული სიტუაციის გამო იგი ჯერ კიდევ „ახალნერგ იყო“ და ქრისტეს მცნებას ქვეყნის პერიფერიებში გატანასთან ერთად მაზდეანობის წნეხის მოგერიება და მართლმადიდებლობის განმტკიცება სჭირდებოდა. ასურელ მამათა „ცხოვრების“ სინური რედაქცია ლაკონურად და ზუსტად განსაზღვრავს მათი მისიის მიზანს და შედეგებს:

> „ხოლო ნეტართა მათ მოწაფეთა მისთაჲცა მოვიწყინოთ მცირედ, რომელნი *განათლდეს და სხუანი განანათლეს საზღუართა შინა ქართლისათა, რამეთუ მრავალნი მონასტერნი აღაშჱნნეს, რომელნი ვიდრე დღენდღელად დღედმდე ჰგიან შეურყეველად* და *დიდებულად* ღმრთისა მადლითა და ლოცვითა მათითა“.[2]

ასურელმა მამებმა სწრაფად შეისწავლეს ქართული ენა, რადგან ღვთისმსახურება ქართლში ქართულ ენაზე აღესრულებოდა. ამასთანავე მათ გვერდში ედგნენ მათი ქართველი მოწაფენი და მიმდევარნი, რომლებიც გვიანმა ტრადიციამ, როგორც ჩანს, სირიიდან ჩამოსულებად მიიჩნია. ამაზე მიუთითებს იოანე ზედაზნელის მოწაფეთა ერთმანეთისაგან ძლიერ განსხვავებული ტრადიციული სიები, რომელთაც ახლა მიემატა მათგან კიდევ უფრო განსხვავებული სინური ნუსხა. ასურელ მამებს მოწაფეები რომ ქართველები ჰყავდათ, ამის ნიშანია ისე წილკნელისა და აბიბოს ნეკრესელის არჩევა ეპისკოპოსებად. V ს-ის მეორე ნახევარში საქართველოში უმაღლეს იერარქებად უკვე მხოლოდ ქართველებს ირჩევდნენ. საგულისხმოა, რომ არცერთი მათ-

---

[1] *ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ იოვანე ზედაზნელისა*, 213.

[2] *Le nouveau manuscrit* Géorgien, 241-242; N/Sin.geo-50, 85r-v.

განი იოანე ზედაზნელთან ერთად სირიიდან ჩამოსულ მისიონერთა სინურ ნუსხაში დასახელებული არ არის.

ამიტომ ასურელი მამებისა და მათი მოწაფეების მიერ საქართველოს პერიფერიებში მოსახლეობის ქრისტიანობაზე მოქცევა, ეკლესია-მონასტრების მშენებლობა და სამონასტრო ცხოვრების დანერგვა, იმავე დროს მღვდელთმსახურების ქართულ ენაზე აღსრულებას, ქართული სამწერლობო ენის გავრცელების არეალის გაფართოებას ნიშნავდა. იხაზებოდა „ყოველი ქართლის" სახელმწიფო საზღვრები და უკვე მაშინ მზადდებოდა ნიადაგი გიორგი მერჩულეს განთქმული ფორმულის განსახორციელებლად. როგორც ყოველთვის შემდგომ ქვეყნის გაერთიანების თანდათანობითი პროცესი ახლაც ეკლესიამ დაიწყო: „ნელად-რე შეკრბა ქართლი". ქვეყნის სათავეში მოვიდა გუარამ კურაპალატი, რომელმაც გაერთიანებას პოლიტიკური სახე მისცა და იწყო მცხეთის ჯვრის შენება „მცველად ყოვლისა ქართლისა". სულ მალე კათალიკოსის ტახტზე ავა კირონ მცხეთელი, რომელიც სრულად გამოიყენებს ასურელ მამათა ღვაწლის შედეგებს და სასაზღვრო პროვინციებში აქტიური ენობრივი პოლიტიკის გატარებას დაიწყებს.

გვიანი ქართული მწერლობა აცნობიერებს, რომ ამ ფუნქციის შესასრულებლად ასურელ მამებს სჭირდებოდათ ქართული ენის კარგად ცოდნა. ამიტომ ისინი სპეციალურად უსვამენ ხაზს იოანე ზედაზნელის მიერ სასწაულებრივად თავიდანვე ქართულად ამეტყველებას, ხოლო მისი მოწაფეების მიერ ქართული ენის სწრაფად ათვისებას. გვიანმა რედაქციებმა იციან გიორგი მერჩულეს ფორმულა, საქართველო გაერთიანების გზაზე დგას და ერთიანი საქართველოსათვის ერთი საეკლესიო (სახელმწიფო) ენის პრობლემა მათთვის უკვე ცნობიერი აქტია. უძველეს (სინურ) რედაქციაში კი ჯერ არ არის ამის შესახებ ლაპარაკი, რადგან ამ დროს ეს ამოცანა ჯერ კიდევ არა აქვს ავტორს გააზრებული.

ასურელ მამათა ქართლში მოსვლის დრო

წყაროები

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“

შატბერდული რედაქცია:

„და მისა (ფარსმანის) შემდგომად მეფობდა ფარსმან სხუაჲ და კათალიკოზი იყო დასაბია, მკჳდრი მცხეთელი. და აქაჲთგან ორთა სახლთა აღიღეს კათალიკოზობაჲ მცხეთელთა მკჳდრთა. და მისვე მეფისა ზე კათალიკოზი იყო ევლალე. მაშინ მოვიდა ნეტარი იოვანე ზედა-ზადენელი შუვა მდინარით, ასურეთისაჲთ, იგი და ათორმეტნი მოწაფენი მის თანა მოვიდეს“.[1]

ჭელიშური რედაქცია:

„და მეათოთხმეტე სხუაჲ ფარსმან და კათალიკოზი იყო საბა, მკჳდრი მცხეთისა. აქადგან ორთა სხუათა დაიპყრეს კათალიკოზობაჲ მკჳდრთა მცხეთისათა. მაშინ მოვიდა იოვანე ზედა-ზადენელი შუა მდინარით, იგი და თორმეტნი მოწაფენი მისნი, ქართლის მოქცევითგან მეორასესა წელსა“.[2]

„ქართლის ცხოვრება“

ჯუანშერი:

„და მოკუდა კათალიკოსი ჩერმაგ, და ამანვე ფარსმან დასუა საბა. აქათგან არღარა მოიყვანებდეს კათალიკოსსა საბერძნეთით, არამედ ქართველნი დასხდებოდეს, წარჩინებულთა ნათესავნი. და მოკუდა კათალიკოსი საბა, და მანვე მეფემან დასუა კათალიკოსად ევლალი. მისვე ფარსმანის-ზე მოვიდა იოვანე შუამდინარით, რომელსა ეწოდა განმანათლებელი ქართლისა და განმწმენდელი სჯულისა, მაშენებელი

---

[1] *მოქცევაჲ ქართლისაჲ*, 94.

[2] *მოქცევაჲ ქართლისაჲ*, 94.

ეკლესიათა, რომელმან ქმნა სასწაულები და ნიშები მრავალი, მან და მონაფეთა მისთა".[1]

„ქართლის ცხოვრების" ჩანართი:

„ჟამსა მას ოდეს თჳთმპყრობელი იუსტინიანოს, მეფე ბერძენთა, ბრძოდა კერძოთა ოვსეთისათა, საზღვარსა ავაზგიასსა, ნათესავსა ხასკუნთასა, რამეთუ ექმნა მათ განდგომილება, მაშინ მოძღუანა ნიჭი დიდი იუსტინიანოს ფარსმანს, ქართველთა მეფესა, და ევედრა, რათა შეეწიოს მჴედრობასა მისსა, ყოვლითა ძალითა თჳსითა, და ბრძოლა უყოს ხასკუნთა. ისმინა უკუე ფარსმან ვედრება ბერძენთა მეფისა, და დაუტევა ევაგრე (მომავალი მოწაფე შიო მღვიმელისა – ზ.ა.), მცველ სამეფოსა თჳსსა, ხოლო თჳთ უკუე წარვიდა და შეწევნითა ღვთისათა დაიმორჩილა ნათესავი იგი ხასკუნთა".[2]

ასურელ მამათა ცხოვრებები

„ცხორებაჲ შიოჲსი და ევაგრესი":

Ქ რედაქცია:

„ოდეს-იგი აღასრულნა ნეტარმან შიო *ოცნი წელნი სხუანი* მონაზონებასა შინა, მოიწია იოანესსა ბრძანებაჲ ზეგარდამო, რათა გამოირჩინეს ათორმეტნი მოწაფეთაგან თჳსთა ძლიერნი სიტყჳთა და საქმითა და წარვიდეს ქუეყანად ქართველთა და განამტკიცნეს ერნი სარწმუნოებასა ზედა, რამეთუ ახალ-ნერგ იყვნეს მაშინ ქართველნი და *ორასნი ოდენ წელიწადნი წარსრულ იყვნეს მოქცევით* მათითგან; ოდეს-იგი ... დედამან ნინო აღმოშვნა წმიდითა ემბაზითა და განანათლნა ღმრთის მეცნიერებითა".[3]

„ხოლო მიიწივნეს რაჲ ქუეყანად ქართლისა, დაადგა *ევლავიოს კათალიკოზსა* ჩუენებასა შინა ღამისასა ანგელოზი უფლისაჲ ... აღდგა უკუე ღირსი *ევლავიოს* ყოველთა თანა ეკლესიისა შვილთა და განვიდა ზენა-სოფლამდე...".[4]

---

1 ჯუანშერი, *ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა*, 207.

2 *ქართლის ცხოვრება*, 214.

3 აბულაძე, *ასურელ მოღვაწეთა ცხოვრება*, 78; შიოსა და ევაგრეს ცხოვრების მეტაფრასული რედაქციის ბოლო გამოცემისათვის იხ. სხირტლაძე, *წმიდა შიო მღვიმელის ცხოვრების ადრეული ნუსხა*.

4 იქვე, 81.

„ან მიგითხრა თქუენ ღირსისა ევაგრისათჳს, თუ ვითარ *ძიებაჲ-ყვეს მეფემან* და მთავართა ქართლისათა, და ესმა რაჲ მონაზონებაჲ მისი, რაოდენ შეწუხნეს, რამეთუ ესე იყო შემდგომად მეფისა განმგებელ სამეფოჲსა ქართველთაჲსა და ფრიად მჴნე და განმარჯუებულ სპასპეტი. ჟამსა მას ოდეს თჳთმპყრობელი *იოსტინიანოს მეფე ბერძენთაჲ* ჰბრძოდა კერძოთა ოვსეთისათა საზღვარსა ავაზგიასასა ნათესავსა ტასკუნთასა, რამეთუ ექმნა მათ განდგომილება, მაშინ მოუძღუანა ნიჭი დიდი *იოსტინიანოს ფარსმანს ქართველთა მეფესა* და ეველდრა, რათა შეეწიოს მჴედრობასა მისსა ყოვლითა ძალითა თჳსითა..“. ფარსმან მეფე მივიდა შიოსთან და შესწირა შესაწირავი. „იჯმნა უკუე ბერისაგან და მივიდა მცხეთად და *კათალიკოზსა მაკარის* აუწყა ყოველი“.[1]

„მარტჳლობაჲ აბიბოს ნეკრესელისაჲ“:

Ⴑ რედაქცია (მცირე განსხვავებებით Ⴒ რედაქციაც):

„ხოლო ნეტარი იგი ეპისკოპოსი აბიბოს მეგობარი იყო ბრწყინვალისა მის მნათობისა *სჳმეონ მესუეტისა ანტიოქელისაჲ*, არა თუ ხილვითა ეხილვა სადამე ერთმანერთი, არამედ სულიერითა მით სიყუარულითა, რომლითა იხილვების შორეული ვითარცა მახლობელი, და კუალად წიგნითა და მოციქულითა იყო მათ შორის შესწავებაჲ“.[2]

ისტორიოგრაფია ასურელ მამათა ქართლში მოსვლის დროის შესახებ

როგორც წყაროთა ჩვენებების საფუძველზე დავინახეთ, მათი მიხედვით ასურელი მამების ქართლში მოსვლის თარიღი უნდა განისაზღვროს, ერთი მხრივ, ფარსმან მეფისა და კათალიკოს ევლალეს ზეობით, ხოლო მეორე მხრივ, მათი თანამედროვის სიმეონ მესვეტე ანტიოქელის მოღვაწეობის თარიღებით. მართლაც, ქართული ისტორიოგრაფია ასურელი მამების ქართლში მოსვლის თარიღის განსაზღვრის საკითხში ამ ნიშნებით დაჯგუფდა:

---

[1] აბულაძე, *ასურელ მოღვაწეთა ცხოვრება*, 108, 112.

[2] *აბიბოს ნეკრესელ ეპისკოპოსი*, 242-243.

ისინი, ვინც უპირატესობას აძლევდნენ ფარსმანისა და ევლალეს ზეობას, ქართლში ასურელი მამების მოსვლას, ზოგადად, VI ს-ით განსაზღვრავდნენ (ზუსტი თარიღების დადგენაში მათ შორისაც არის სხვაობები), ხოლო ისინი, ვინც სიმეონ მესვეტეში სიმეონ მესვეტე უფროსს გულისხმობდნენ – V ს-ით.

არსებობს ამ ორი მოსაზრების შემათანხმებელი შეხედულებაც, რომ ასურელი მამები ქართლში მოვიდნენ ორჯერ – V ს-ში და VI ს-ში სიმეონ მესვეტე უმცროსის დროს.[1]

ქვემოთ ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ ვარაუდებს ჩვენც ამ პრინციპით დავალაგებთ, მათ შიგნით ქრონოლოგიის დაცვით.

ვახუშტი ბაგრატიონი ფარსმან VI-ის ზეობის თარიღს განსაზღვრავს 542-557 წლებით და ამ პერიოდში მოსულად მიიჩნევს თორმეტივე ასურელ მამას. იგი უფრო აზუსტებს კიდეც თავის თარიღს: ევლავიოზ კათალიკოსის ხელდასხმასა და ფარსმანის გარდაცვალებას შორის, თუმცა ამ კათალიკოსის აღსაყდრების თარიღის შესახებ აღარაფერს ამბობს.

მ. ბროსე თვლის, რომ ასურელი მამები ქართლში მოიწვია ფარსმან V, რომლის გამეფების თარიღად ვახუშტის მსგავსად 542 წელს დებს. მაგრამ იგი თარიღის კიდევ უფრო დაზუსტებას ცდილობს შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით: იოანე ზედაზნელი აკურთხა და საქართველოსკენ გზა დაულოცა სიმეონ მესვეტემ (521-596) სანამ იგი სვეტზე ავიდოდა. ამას გარდა, ისინი ქართლში მიიღო ევლავი კათალიკოსმა, რომელიც მისი აზრით, აღსაყრდა 550 წლის ახლოს. ბოლოს, როდესაც ზუსტი თარიღის განსაზღვრა გაუჭირდა, მან ასურელი მამების მოსვლა მაინც VI ს-ის I ნახევრით, ფარსმან მეფის ზეობით დაათარიღა.[2]

აქვე მინდა შევნიშნო, რომ მ. ბროსეს თარიღები ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდის: ფარსმანი ტახტზე ავიდა 542 წელს. სიმეონ მესვეტე უმცროსი სვეტზე ავიდა 541 წელს[3] და თუ ასურელი მამები ამაზე ადრე წამოვიდნენ ქართლში, მათი „მოწვევა" ფარსმან მე-

---

[1] კეკელიძე, *საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ*, 16-19; ჯავახიშვილი, *თხზულებანი*, I, 409–410.

[2] ბროსე, *საქართველოს ისტორია*, 69-70.

[3] *Dictionnaire enciclopedique*, 2296.

ფის მიერ ვეღარ მოხერხდებოდა. კიდევ უფრო არღვევს თარიღების თანხვედრას ევლავიოსის აღსაყდრების 550 წლის ახლო ხანებით განსაზღვრა, რომლის დროსაც ასურელი მამები „მიღებულნი იყვნენ ქართლში". ეს ბოლო თარიღი არა მარტო ეწინააღმდეგება წინებს, არამედ ეჭვის ქვეშ აყენებს ასურელი მამების ქართლში მოსვლის დათარიღებასაც კი VI ს-ის პირველი ნახევრით.

ასურელი მამების ქართლში მოსვლა V ს-ით (445 ან 480 წწ.) დაათარიღა *პლატონ იოსელიანმა*.[1]

მ. საბინინი აკრიტიკებს პ. იოსელიანს და თვლის, რომ ასურელი მამები საქართველოში VI ს-ის შუა ხანებში მოვიდნენ.[2] ამისათვის მისი ერთადერთი არგუმენტია შიო მღვიმელის ცხოვრებაში მოცემული ცნობა იოანესა და მისი მოწაფეების მიერ სიმეონ საკვირველთმოქმედის (499-485) ნახვისა და მისგან ლოცვა-კურთხევის მიღების შემდეგ საქართველოში გამომგზავრების შესახებ.

თ. ჟორდანია ასურელი მამების ქართლში მოსვლას ზოგადად განსაზღვრავს 541-557 წლებით, კიდევ უფრო აზუსტებს ასეთი არგუმენტის გამოყენებით: „ჰერეთში არცერთი ასურელთაგანი არ დაემკვიდრა; ამ გარემოებაში ჩვენ საფუძველს ვპოულობთ დავასკვნათ, რომ მოსლვა წმიდათა მამათა მოხდა 550-557 წლებს შუა, შემდეგ ჰერეთის კათალიკოზის (აბაზის?) განდგომის და პირველის დვინის კრებისა 549 წ".[3]

ცხადია, თ. ჟორდანიას არგუმენტი მცდარია. აბაზ ჰერთა კათალიკოსი, ცნობილია არსენი საფარელის თხზულებიდან „განყოფისათჳს ქართლისა და სომხითისა", რომელშიც ჰერეთი აღნიშნავს კავკასიის ალბანეთს, ხოლო აბაზ კათალიკოსი ალბანეთის კათალიკოსს. ამიტომ ქართლში მოსული ასურელი მამების ალბანეთში დამკვიდრება არც იყო მოსალოდნელი.[4]

კირიონ საძაგლიშვილი (შემდგომში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კირიონ II) ასურელი მამების ქართლში მოსვლას განსაზღვრავს ფარსმან VI-ის (552–557) ზეობით და ევლავის კათალიკოსობით

---

1 Иоселиани, *Краткая история*, 37; Иоселиани, *Мардкопский монастырь;* Иоселиани, *Шио-мгвимская пустыня*.

2 *საქართველოს სამოთხე*, 225, შენ. 1.

3 ჟორდანია, *ქრონიკები*, 54.

4 არსენი საფარელი, *განყოფისათჳს*, 73, 114.

(552–560). ცხადია, მისთვის ეს თარიღი უნდა მოთავსდეს 552–557 წლებს შორის.[1]

ასურელ მამათა ქართლში მოსვლის დროისა და გარემოებათა საკითხი ვრცლად განიხილა *კ. კეკელიძემ.* მისი აზრით, ისინი ქართლში მოვიდნენ არა ერთად, არამედ VI ს-ის მანძილზე ცალ-ცალკე და ჯგუფებად.

პირველი ქართლში მოვიდა დავით გარეჯელი, შესაძლოა, ლუკიანესა და დოდოსთან ერთად, 520 წლის ახლო ხანებში: მისი ცხოვრების მიხედვით, დავითი საქართველოდან გაემგზავრა იერუსალემის მოსალოცად, მაგრამ თავი ამის ღირსად არა სცნო და ქალაქში აღარ შევიდა. ცხოვრების მიხედვით, ამ დროს იერუსალიმის პატრიარქი ყოფილა ელია, რომელიც ზეობდა 494–516 წლებში, ხოლო გარდაიცვალა 518 წელს. დავითის პილიგრიმობა იერუსალიმში უნდა მომხდარიყო ქართლში მის დამკვიდრებამდე და არა პირიქით. ქართლში დავითი უნდა გამოქცეულიყო 519–520 წლებში მონოფიზიტების დევნის გამო, ანუ 520 წლის ახლოს და შემდეგ.

ასურელი მამების მეორე ჯგუფი იოანე ზედაზნელის მეთაურობით (შიო მღვიმელი, ისე წილკნელი, ეზდერიოს სამთავნელი, იოსებ ალავერდელი, ზენონ იყალთოელი და თათა) ქართლში უნდა მოსულიყო 541 წლის შემდეგ: შიო მღვიმელის ცხოვრებაში ნათქვამია, იოანე ზედაზნელი და მისი მოწაფეები ქართლში გამოემგზავრნენ მაშინ, როდესაც სიმეონ უმცროსი მესვეტე ჯერ კიდევ თონეში იჯდა და არ ასულიყო სვეტზე (541-551). ვინაიდან ქართლში მათი წამოსვლის შესახებ ანტონ მარტყოფელს შეუტყვია 544 წელს, იოანე ზედაზნელი მოწაფეებითურთ ქართლში მოსულა 543 წლს. ეს ჯგუფიც ქართლში წამოსულა 540–42 წლებში მონოფიზიტთა დევნილობის გამო.

დაახლოებით 545 წელს ქართლში მოსულა ანტონ მარტყოფელი: მისი ცხოვრების მიხედვით ხოსრო სპარსელთა მეფემ უშედეგოდ ალყა შემოარტყა ედესას და ამის შემდეგ წამოიღო მან კერამიონი და წამოვიდა ქართლში. პროკოპი კესარიელი ედესის ალყას ათარიღებს 544 წლით. ანტონის წამოსვლასაც კ. კეკელიძე უკავშირებს 544 წელს მონოფიზიტთა შესაძლო დევნას.

---

[1] კირიონ II, *ქართველი ბერ-მონაზვნები,* 32 (პირველად გამოქვეყნდა 1899 წელს).

ბოლოს ქართლში მოსულა აბიბოს ნეკრესელი. იგი, როგორც ჩანს, გამოექცა 571 წელს მონოფიზიტთა დევნას, ხოლო ეწამა 590 წლის ახლოს.[1]

ივ. ჯავახიშვილმა ფაქტიურად გაიზიარა კ. კეკელიძის დათარიღება მცირე შენიშვნებით. მისი აზრით:

„ასურელი მამები ყველანი ერთად და ერთ დროს არ უნდა იყვნენ მოსულნი, არამედ პირველად დავით გარეჯელია გამომგზავრებული, რომელიც ეგების V ს. დამლევსაც იყოს მოსული. შემდეგ იოანე ზედაზნელი თავისი მონაფეებითურთ – VI ს. შუა წლებში. დაახლოებით ამავე დროს, მაგრამ ეტყობა დამოუკიდებლივ მოსულად მოჩანს ანტონ მარტყოფელი. VI ს. მეორე ნახევრისა და დამლევის მოღვაწე ყოფილა აბიბოს ნეკრესელი".[2]

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ასურელ მამათა ცხოვრებებში მოცემული ცნობების მიმართ კრიტიკული დამოკიდებულების გამო ივ. ჯავახიშვილი ასურელი მამების ქართლში მოსვლის თარიღთა განსაზღვრისას უფრო მეტად ქართულ მწერლობაში ასახულ ტრადიციას გულისხმობს, ვიდრე ისტორიულ ფაქტს.[3]

ს. კაკაბაძე არ ეხება ასურელი მამების საქართველოში ეტაპობრივად ჩამოსვლის საკითხს. იგი იოანე ზედაზნელის მოსვლას საქართველოში 501 წელს ან მის ახლოს ვარაუდობს, ვინაიდან მისი აზრით, ამ დროს მეფობდა „ფარსმან სხუა" და მთლიანად ასურელი მამების მოღვაწეობას VI ს-ის I ნახევარში ათავსებს.[4]

ასურელ მამათა ქართლში ჯგუფებად მოსვლა უარყო ვ. გოილაძემ. მან მხარი დაუჭირა წყაროების ცნობას მათი მოსვლის შესახებ ფარსმან მეფისა და ევლავიოს კათალიკოსის ზეობაში (525 წლის ახლოს). ყველა სხვა ქრონოლოგიური ცნობის ერთმანეთთან შეჯერებით ვ. გოილაძემ ასურელ მამათა ქართლში მოსვლის თარიღად დაასახელა 521 წ.[5] ვ. გოილაძე მხოლოდ ანტონ მარტყოფელს მიიჩნევს ანტიოქიი-

---

1 კეკელიძე, *საკითხი სირიელ მოღვაწეთა*, 34-40.
2 ჯავახიშვილი, *თხზულებანი*, I, 409-410.
3 იქვე, 406-409.
4 კაკაბაძე, *ძიებანი*, 20; მისივე, *არქეტიპები*, 8.
5 გოილაძე, *საიდან და როდის მოვიდნენ სირიელი მამები*, 199.

დან (რომელსაც იგი ედესის მეორე სახელად თვლის) იოანე ზედაზნელის ჯგუფზე უფრო მოგვიანებით – 544 წელს წამოსულად.[1]

ვრცლად განიხილა ასურელ მამათა ქართლში მოსვლის დათარიღების საკითხი დ. *მერკვილაძემ*, რომელმაც ასევე ქართული წყაროების ქრონოლოგიური მონაცემების კრიტიკულ განხილვაზე ააგო თავისი არგუმენტები. მან ასურელ მამათა ქართლში მოსვლა 532-537 წლებით განსაზღვრა.[2]

გრ. ფერაძე წყაროებში მოხსენიებულ ყველა ცნობას, რომლის მიხედვითაც ასურელი მამების ქართლში მოსვლას VI ს-ით ათარიღებენ, საეჭვოდ მიიჩნევს. მისთვის არგუმენტის ძალა აქვს მხოლოდ ელია იერუსალიმელის (496-516 წწ), როგორც ისტორიული პირის, დასახელებას „დავით გარეჯელის ცხოვრებაში", რომლის ზეობის დროსაც დავითი იერუსალიმში ჩასულა. დავითის „ცხოვრების" მიხედვით იერუსალიმში წასვლამდე იგი ქართლში კარგა ხნის ჩამოსული იყო, ამიტომ ასურელ მამათა ქართლში მოსვლის თარიღად V ს-ის შუა ხანები უნდა მივიჩნიოთ.[3]

N/Sin.geo-50 და ასურელ მამათა ქართლში მოსვლის დრო[4]

N/Sin.geo-50-ში „ასურელ მამათა ცხოვრების" სათაურია:

> „საქმენი წმიდისა იოვანე ზედაზადნელისანი, რომელი მოვიდა შოვა მდინარითა ასურეთისაჲთა შემდგომად ქართლის მოქცევითგან მეორასესა წელსა, იგი და მოწაფენი მისნი".

ასეთი სათაური არა აქვს ასურელ მამათა ცხოვრების არცერთ გვიანდელ ვერსიას. მხოლოდ „შიოს და ევაგრეს ცხოვრებაში" არის ნათქვამი:

> „წარვიდეს ქუეყანად ქართველთა და განამტკიცნეს ერნი სარწმუნოებასა ზედა, რამეთუ ახალ-ნერგ იყვნეს მაშინ ქართ-

---

[1] იქვე, 197.

[2] მერკვილაძე, *ასურელი მამები*, 13–16; მისივე, *ასურელი მამები: სირიელი მოღვაწენი*, 2006.

[3] Peradse, *Die Anfange*, 71; ფერაძე, *ბერმონა ზვნობის დასაწყისი*, 48.

[4] ალექსიძე, *„მოქცევაჲ ქართლისაჲს ქრონიკა"*, 241-250.

ველნი და *ორასნი ოდენ წელიწადნი წარსრულ იყვნეს მოქცევით* მათითგან".

ცხადია, ეს ორივე ცნობა მოდის ქართლის მოქცევის „ქრონიკიდან", თუმცა იგი შემოინახეს მხოლოდ სინურმა (N/Sin.geo-48, N/Sin. geo-50) და ჭელიშურმა რედაქციებმა, შატბერდულში იგი დაცული არ არის.

N/Sin.geo-48:

„მაშინ მოვიდა იოვანე ზედაზადნელი შოვა მდინარით, იგი და :იბ: (12) მოწაფენი მის თანა, *ქართლის* მოქცევითგან *მეორასესა წელსა*, მეფობასა *ფარსმანისსა* და *მეთოთხმეტესა* მის მეფობასა *მირიანისით*.."[1]

N/Sin.geo-50:

„[მაშინ მოვიდა] *იო[ვანე] ზედაზა[დენელი* შოვა] მდინარით და *იბ (12)* მონ[აფენი მი]ს თანა *ქა[რ]თლის* მოქც[ევითგან] *ს (200)* წელსა, მეფობასა *ფარს[მანის]ა* მე-*იდ (14)*-სა მეფობასა *მირიანისითგან*, და *:ჱ: (8)* კა[თა]ლიკოზისა *ელალის* ზე".[2]

ჭელიშური:

„მაშინ მოვიდა *იოვანე ზედა-ზადენელი შუა მდინარით*, იგი და თორმეტნი მოწაფენი მისნი, *ქართლის* მოქც[ე]ვითგ[ა]ნ *მეორასესა წელსა*".[3]

ამრიგად, ქართული ტრადიცია სრულიად მყარია: ასურელი მამები ქართლში მოსულნი არიან მეორასე წელს ქართლის მოქცევიდან, მაგრამ სიძნელე ის არის, რომ რთულია გარკვევა, იგივე ტრადიცია რას ამბობს ქართლის მოქცევის თარიღის შესახებ, იმდენად არეულია თარიღები ხელნაწერებში.

არცერთი რეალია, რომელიც კ. კეკელიძეს და მის მიმდევრებს დასახელებული აქვთ ქართლში ასურელი მამების მოსვლის შესახებ, არ არის მათი ქართლში მოსვლის დასათარიღებლად სანდო. ერთადერთი, რასაც მეტნაკლები საიმედოობით შეიძლება დაეყრდნოს მკვლევარი, ეს არის ელია იერუსალიმის ეპისკოპოსის დასახელება დავით გარე-

---

1 *მოქცევაჲ ქართლისაჲ* (სინური რედაქციები), 18.

2 იქვე, 18.

3 *მოქცევაჲ ქართლისაჲ*, 94.

ჯელის „ცხოვრებაში“. დავითი და ლუკიანე დამკვიდრნენ გარეჯის უდაბნოში.

ხოლო ვითარ წარხდეს ამას შინა *ჟამნი რაოდენნიმე* და განმრავლდა სიმრავლე ძმათაჲ“, დავით გარეჯელმა მოისურვა იერუსალიმის მოლოცვა, თან გაიყოლია რამდენიმე ძმა და გზას გაუდგა. მადლობის მთას რომ მიაღწია და იერუსალიმს გადახედა, დავითი შეჩერდა, მადლი შესწირა ღმერთს, რომ წმიდა ქალაქის შორიდან ხილვა აღირსა, მაგრამ შიგ შესვლის ღირსად აღარ ჩათვალა თავი და მხოლოდ ძმები მიავლიანა. უკან გამობრუნებისას დავითმა აიღო „მადლოვნების“ მთაზე სამი ქვა და თან წამოიღო. ამასობაში *იერუსალიმის პატრიარქს ელიას* ძილში გამოეცხადა ღმრთისგან მივლენილი ანგელოზი და ამცნო: დავითმა იერუსალიმის მთელი მადლი წაიღო, მალემსრბოლნი დააწიე და ორი ქვა უკან დააბრუნებინე და ერთი თან გაატანე, ამით იერუსალიმის მადლის მესამედს მიიტანს თავის უდაბნოშიო. ელია პატრიარქი ასეც მოიქცა და დამატებით უბრძანა მალემსრბოლებს დავითი იერუსალიმში დაებრუნებინათ. მისმა მოციქულებმა დავალება მხოლოდ ნაწილობრივ შეასრულეს: ორი მადლის ქვა დააბრუნეს თავის ადგილას, ოღონდ დავითის მობრუნება კი ვეღარ შეძლეს.

მთელს ამ ისტორიაში ქრონოლოგიური გასაღები, რა თქმა უნდა, ელია იერუსალიმელის პატრიარქობის წლებია, რომელიც კარგად არის ცნობილი – 494-516 წლები. დავით გარეჯელს, მისი „ცხოვრების“ მიხედვით, სწორედ ამ პერიოდში უნდა ემოგზაურა იერუსალიმისკენ, ანუ მისი იერუსალიმთან მისვლის ზედა თარიღი, ამავე „ცხოვრების“ მიხედვით, უნდა იყოს 516 წელი. ქართლში იგი მოსული უნდა იყოს 516 წელზე უფრო ადრე.

კ. კეკელიძე სწორედ ამ თარიღებიდან ამოდის, როდესაც ამტკიცებს, რომ დავით გარეჯელი ასურელ მამათაგან ყველაზე ადრე მოვიდა ქართლში, მაგრამ ამ ერთი შეხედვით სრულიად ნათელ ცნობას მოულოდნელ ინტერპრეტაციას აძლევს ასურელი მამების სარწმუნოებრივ ორიენტაციაზე თავის შეხედულებასთან კავშირში. იგი თვლის, რომ დავით გარეჯელი საქართველოდან ვერ წავიდოდა იერუსალიმში, ვინაიდან იგი ამ დროს გარეჯაში დიდი ხნის დამკვიდრებული იყო და უკვე ძლიერ მოხუცი იქნებოდა. გარდა ამისა, გაუგებარია, რატომ მოისურვებდა იგი იერუსალიმში წასვლას მაინცა და მაინც საქართ-

ველოდან და არა ანტიოქიიდან, რომელიც გაცილებით უფრო ახლოს არის წმიდა მიწასთან. მისი აზრით, დავითი მონოფიზიტი იყო, ხოლო მონოფიზიტებს სირიაში 518 წლიდან, განსაკუთრებით 519-520 წლებში, სასტიკად სდევნიდნენ. ამიტომ დავითი გაიქცა იერუსალიმში, „სადაც მუდამ მტკიცე იყო მონოფიზიტური ტრადიციები". მაგრამ იგი არ შეუშვეს იერუსალიმში, ან თვითონ ვერ გაბედა შესვლა, რადგან ამ დროს პალესტინაშიც სდევნიდნენ მონოფიზიტებს. ამ დევნის „მებაირახტრე" იყო ელია პატრიარქი, რომელიც იმ დროს, მართალია, უკვე ერთი წლის მკვდარი იყო, მაგრამ „მებრძოლ დიოფიზიტობას ჯერ კიდევ თავისი სახელითა და ავტორიტეტით ამოძრავებდა". დავითს ისღა დარჩენოდა, რომ საქართველოში წამოსულიყო, რაც 520 წლის მომდევნო ხანებით უნდა დათარიღდეს.

სამწუხაროდ, კ. კეკელიძის ყველა არგუმენტი ერთმანეთს ეწინააღმდეგება და წინააღმდეგობაშია წყაროთა ცნობებთანაც.

დავით გარეჯელის ცხოვრების მიხედვით, დავითი იერუსალიმში წავიდა გარეჯაში დამკვიდრებისა და მოწაფეების შემოკრების შემდეგ, როდესაც გავიდა „ჟამნი რაოდენნიმე", რაც სრულიადაც არა გულისხმობს დიდ დროს, მით უფრო, რომ არ ვიცით, რამდენი წლისა იყო დავითი, როდესაც ქართლში ჩამოვიდა. დავითი ბერად შედგა და სულიერ სიმაღლეებს მიაღწია გარეჯაში და სწორედ ამის შემდეგ უნდა ჩაეთვალა მას თავი ღირსად იერუსალიმის მოლოცვისა და არა სირიაში ყოფნის დროს. მაგრამ მთავარი გაუგებრობა მაინც ის არის, რომ დავითი მეზობელი სირიიდან დიოფიზიტების მიერ დევნილი მიდის იერუსალიმში და არ იცის, რომ აქაც სდევნიან მონოფიზიტებს. საინტერესოა ისიც, რომ დავით გარეჯელის „ცხოვრების" მიხედვით ელია პატრიარქი სთხოვს მას შევიდეს იერუსალიმში, ანუ წყარო არაფერს არ ამბობს მრწამსების კონფლიქტის შესახებ. ერთი სიტყვით, არც მსჯელობის ლოგიკა და არც წყაროთა ცნობები არ გვაძლევს საშუალებას დავითი ქართლში წამოსულად მივიჩნიოთ 520-იანი წლების შემდეგ.

ასურელი მამების ქართლში მოსვლის თარიღის გამოსაანგარიშებლად საინტერესო მეთოდი შემოგვთავაზა ვ. გოილაძემ (1992 წელს),[1] რომელიც შემდეგში (2002 წელს) თვითონვე უარყო.[2] თარიღების გამო-

[1] გოილაძე, *საიდან და როდის მოვიდნენ სირიელი მამები*, 5-6.

[2] გოილაძე, *ასურელ მამათა სამშობლო*, 152-153.

საანგარიშებლად მან აიღო ზედაზნელ მამასახლისთა სიები, რომლებშიც მოცემულია იოანე ზედაზნელიდან სიის შედგენამდე ყველა მამასახლისი მათი წინამძღვრობის წლების მითითებით. იმ სიების მიხედვით, რომლებიც მისთვის ცნობილი იყო, ერთ-ერთი მამასახლისი – იოანე 12 წლის წინამძღვრობის შემდეგ ზედაზენზე მოკლეს სარკინოზებმა. ს. კაკაბაძის სამართლიანი ვარაუდით, ეს უნდა მომხდარიყო 853 წელს ბუღა თურქის ლაშქრობისას. ამის შემდეგ უკვე ადვილი იყო ასურელ მამათა ქართლში მოსვლის დროის გამოანგარიშება. ვ. გოილაძემ შეკრიბა ყველა თარიღი იოანე ზედაზნელიდან სარკინოზთაგან მოკლული იოანეს ჩათვლით და მიიღო 221 წელი. სხვათა შორის დაახლოებით ასეთივე ანგარიშით და იმავე სიაში თავისი კონიექტურების შეტანით ს. კაკაბაძე ასურელი მამების მოსვლას ქართლში 501 წლით ათარიღებდა. ქვემოთ წარმოვადგენ სიას ისე, როგორც არის A-160 ხელნაწერში და ვნახავთ, რომ იოანე ზედაზნელის მოსვლა ქართლში ასეთივე ანგარიშით გამოვა 535 (853-318=535) წელს.

„ცხოვნდა ნეტარი იოვანე შემდგომად მოსლვისა მისისა ასურეთით 30 წელ; ელია დიაკონი – 11 წელ; იოსებ – 24 წელ; ამბა ვაჰმან, რომელმან გზასა მისლვასა მისსა ჟამი შეწირა ქუჹმო ზედანით შინამდე – 35 წელ; ამბა ბენი – 50 წელ; ამბა თუალ – 31 წელ; სამუელ დიდი, რომელმან ქუაბი ქმნა ჯუარისაჲ – 28 წელ, ზედაძენს დაჯდა, მამაჲ იქმნა 3 წელ, მცხეთას კათალიკოსად დაჯდა ათოთხმეტ წელ; გრიგოლ – 24 წელ; იონა – 15 წელ; გაბრიელ, რომელმან სტოვა აღაშენა – 15 წელ; თევდორე – 21 წელ; თევდორე მეორე – 19 წელ; იოვანე, რომელი მოიკლა სარკინოზთაგან ზედაძენს შინა მახჳლითა – 12 წელ; ქურდის – 9 წელ; ჭოროს – 10 წელ; კჳრიაკე – 25 წელ; შიო – 3 წელ; მიქაელ, რომელმან სადიაკონე აღაშენა – 24 წელ; მისაელ, აკლდამასა თანა ეგუტერი ქმნა – 3 წელ; ზაქარია, რომელმან ეკლესია განადიდა – 4 წელ; იოანე – 2 წელ; ომარ – 1 წელ; ელია – 5 წელ; მიქაელ 1 – წელ; სამოელ, რომელმან მარანი ქვითკირითა ქმნა – 20 წელ".[1]

საქმე ის არის, რომ ზემოთ მოტანილი სია გვიანდელია და, მართალია, მასში ტრადიცია შენახულია, მაგრამ გადამწერებს მაინც შეცდომები დაუშვიათ. საბედნიეროდ, დღეს ჩვენ უკვე გვაქვს იგივე სია

[1] A-160, 215v; *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A კოლექცია*, I$_2$, 227-228.

X ს-ის პირველი ნახევრის ხელნაწერით, რომელიც დიდად არა, მაგრამ მაინც განსხვავდება იმ ხელნაწერის მონაცემისგან, რომლითაც სარგებლობდნენ თ. ჟორდანია, ს. კაკაბაძე და ვ. გოილაძე. აი, ის სიაც:

„ცხონდა ნეტარი იოვანე **ლ** (30) წელ, ელია (მოწაფჱ მისი) **ია** (11) წელ, იოსებ **კდ** (24) წელ, ამბა ვალან **ლე** (35) წელ, ამბა ბენი **ნ** (50) წელ, ამბა თუალ **ლა** (31) წელ, სამოელ **კჱ** (28) წელ, გრ[ი]გოლ **კდ** (24) წელ, იონა **იე** (15) წელ, თევდორე **კა** (21) წელ, თევდორე მეორჱ **ით** (19) წელ, აჰარონ **მ** (40) წელ, იოვანე **იბ** (12) წელ, ქურდიკ **თ** (9) წელ, მეორჱ ქურდიკ **ი** (10) წელ, კჳრიკე **იე** (15) წელ, შიონ **გ** (3) წელ, მიქაელ **კბ** (22) წელ, მისაელ, ზაქარია, იოვანე".[1]

ამ სიის მიხედვით, სარკინოზთაგან მოკლული (ეს ტრადიციული ცნობა, ცხადია, მართალია) იოანეს წინამძღვრობის ჩათვლით (853 წელი) იოანე ზედაზნელამდე უკან რომ წამოვიდეთ, მივიღებთ 513 წელს. ეს წელი იქნება არა ასურელი მამების ქართლში მოსვლის წელი, არამედ იოანე ზედაზნელის მამასახლისობის დასაწყისი წელი. ამის შემდეგ მან 30 წლის განმავლობაში უწინამძღვრა ზედაზნის მონასტერს და გარდაიცვალა 543 წელს. ქართლში მოსვლას, ზედაზნის ძმობის შექმნას და იოანეს მამასახლისად არჩევას, ცხადია, რამდენიმე წელი დასჭირდებოდა. ასეთი დაანგარიშებით უნდა ვთქვათ, *თუ ასურელი მამები ერთად მოვიდნენ ქართლში, ისინი მოსულან 513 წელზე ადრე, ალბათ, დაახლოებით 510 წლის მახლობლად.* ამის შემდეგ უკვე ადვილად გამართლდება დავით გარეჯელის იერუსალიმში წასვლა დაახლოებით 516 წლის ახლოს, ჯერ კიდევ ელიას პატრიარქობის დროს. მაგრამ ჩნდება სხვა წინააღმდეგობები.

შიო მღვიმელის „ცხოვრებაში" (Ქ რედაქცია) ვკითხულობთ:

> „ამათ ჟამთა შინა აღსრულ იყო დიდი მნათობი სჳმეონ საკჳრველთ-მოქმედი მთასა საკჳრველსა, გარნა არა და სუეტსაცა ზედა, არამედ თორნესა შინა მჯდომარე იყო. და *ნეტარმან იოანე და მოწაფეთა მისთა იხილეს იგი და ლოცვაჲ მისი მოიღეს* და ესრეთ წარემართნეს გზასა ქართლად მიმყვანებელსა".[2]

ამ ცნობას იყენებდა კ. კეკელიძე იმის დასასაბუთებლად, რომ ასურელ მამათა მეორე ჯგუფი ქართლში წამოვიდა 541-551 წლებს

---

[1] N/Sin.geo-50, 89v.

[2] აბულაძე, *ასურელ მოღვაწეთა ცხოვრება*, 81.

შორის, ვინაიდან სიმეონ უმცროსი მესვეტე სწორედ ამ წლებში იჯდა თონეში. იგი კიდევ უფრო აზუსტებს ამ თარიღს: ვინაიდან ანტონ მარტყოფელს 544 წელს შეუტყვია ასურელ მამათა საქართველოში წამოსვლის შესახებ, ისინი წამოსულან 543 წელს 541-542 წლების დევნულობის გამო.

ვფიქრობ, ამ ცნობისათვის დიდი მნიშვნელობის მინიჭება არც აქამდე შეიძლებოდა, ვინაიდან სიმეონ მესვეტე საერთოდ მოხსენიებულიც კი არ არის იოანე ზედაზნელის „ცხოვრებაში“, სადაც იგი უნდა ყოფილიყო პირველ ყოვლისა. ამიტომ იგი შეტანილი უნდა იყოს შიო მღვიმელის „ცხოვრებაში“ გვიან და ასურელ მამათა მოღვაწეობის მთელი კონტექსტის გაუთვალისწინებლად. ამას მოწმობს შემდეგი:

> „შიოს და ევაგრეს ცხოვრებაში“ ჩამოთვლილია თორმეტი ასურელი მამის სახელი, რომელთა შორისაც დასახელებულია აბიბოსი, შემდეგში ნეკრესელი. „ცხოვრების“ მიხედვით თორმეტივე მოწაფე ერთად და ცალ-ცალკე აკურთხა იოანემ და ამის შემდეგ მიიყვანა ისინი სიმეონ მესვეტესთან. როგორც ზემოთ ვნახეთ „ნეტარმან იოანე და მოწაფეთა მისთა იხილეს იგი (სიმეონ მესვეტე) და ლოცვაჲ მისი მოიღეს და ესრეთ წარემართნეს გზასა ქართლად მიმყვანებელსა“.[1]

ვნახოთ ახლა, რას ვკითხულობთ აბიბოს ნეკრესელის „მარტვილობაში“:

„ხოლო ნეტარი იგი ეპისკოპოსი აბიბოს მეგობარი იყო ბრწყინვალისა მის მნათობისა სჳმეონ მესუეტისა ანტიოქელისაჲ, *არა თუ ხილვითა ეხილვა სადამე ერთმანერთი, არამედ სულიერითა მით სიყუარულითა, რომლითა იხილვების შორიელი ვითარცა მახლობელი,* და კუალად წიგნითა და მოციქულითა იყო მათ შორის შესწავებაჲ“.[2]

წინააღმდეგობა შიო მღვიმელის „ცხოვრებასა“ და აბიბოს ნეკრესელის „მარტვილობას“ შორის ცხადია. თუ ერთი გვაუწყებს, რომ აბიბოსმა სხვებთან ერთად ნახა სიმეონ მესვეტე, მეორე გვარწმუნებს, რომ მათ ერთმანეთი არასოდეს არ უნახავთ.

ყოველგვარ წინააღმდეგობას ხსნის N/Sin.geo-50. ამ კრებულში სიმეონ მესვეტე არცერთ მამასთან დაკავშირებით ნახსენებიც კი არ

---

[1] აბულაძე, *ასურელ მოღვაწეთა ცხოვრება*, 81.

[2] *აბიბოს ნეკრესელ ეპისკოპოსი*, 242.

არის, გარდა აბიბოს ნეკრესელის „მარტვილობისა“, რომელშიც იგივეა ნათქვამი, რაც აქამდე ცნობილ რედაქციებში:

„ხოლო ნეტარი ებისკოპოზი მეგობარ იყო ბრწყინვალისა მის მნათობისა სჳმიონ მესუეტისა და *არათუ ხილვით ეხილვა სადა ერთმანერთი, არამედ სულიერითა მით სიყუარულითა, რომლითა ეხილვების შორიელი ვითარცა მახლობელი*, და კუალად წიგნითა და მოციქულითა იყო მათ შორის შესწავებაჲ“.[1]

როგორც ვხედავთ, ასურელ მამათა „ცხოვრების“ ახალი რედაქციის მიხედვით, სიმეონ მესვეტე მათი თანამედროვე კი იყო, აბიბოს ნეკრესელისა მაინც, მაგრამ ამით საქართველოში მათი წამოსვლის დათარიღება შეუძლებელია.

დავუბრუნდეთ ახლა ასურელი მამების ქართლში მოსვლის დათარიღებას „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით. როგორც ვნახეთ, ჭელიშური და სინური რედაქციების თანახმად, ასურელი მამები ქართლის მოქცევიდან ზუსტად მეორასე წელს მოსულან (შატბერდულში ეს თარიღი დასახელებული არ არის). ვნახოთ ეხლა, როგორ განსაზღვრავენ ქართლის მოქცევის თარიღს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ „ქრონიკის“ რედაქციები.

N/Sin.geo-48	შატბერდული	ჭელიშური
და მის წინაშე მისცა წიგნი *სალომეს ელენე* დედოფლისაჲ, რომელი მიეწერა *ნინოჲსა* მოციქულობით და მახარებლობით შემკობილი, და ძელი ცხორებისაჲ წარსცა *ნანა* დედოფალსა.	და მის წინაშე მისცა წიგნი იგი *ჰელენე დედოფლისა* მოწერილი, რომელი მოეწერა *ნინოჲსა*, დედოფლობით და მოციქულად და მახარებელად შეემკო. და ძელი ცხორებისაჲ წარმოეცა დედოფლისა *ნანაჲსა*.	და მისცა წიგნი *სალომეს ელენე დედოფლისა*, რომელი მიუწერა *ნინოს* მოციქულობით და მახ[ა]რებლობით შემკობილი. და ძელი ცხორებისაჲ *ნანა* დედოფალსა მიანიჭა.

[1] N/Sin.geo-50, 101r.

N/Sin.geo-48	შატბერდული	ჭელიშური
და შეწირა ჟამი იოვანჱ და აზიარა *ნინოჲ* განმაცხოველებელსა ჴორცსა და სისხლსა ქრისტჱსსა, და წარიღო ესე საგზლად საუკუნოდ. და შეჰვედრა სული თჳსი ჴელთა ღმრთისათა *ქართლს* მოსლვითგან მისით *ოცდამეხუთმეტესა* წელსა და ქრისტჱს ამაღლებითგან ***სამას ოცდათურამეტსა წელსა, დასაბამითგან ხუთ ათას რვაას ოცდათურამეტსა წელსა.***[1]	და შეწირა ჟამი *იოვანე,* და აზიარა *ნინო* ჴორცსა და სისხლსა ქრისტჱსსა, და წარიღო ესე საგზლად სულისა. და შეჰვედრა სული თჳსი ჴელთა ღმრთისათა *ქართლად* მოსლვითგან ***მეათხუთმეტესა*** წელსა და ქრისტეს აღმაღლებითგან ***ტლჱ*** წელსა, დასაბამითგან ***ჶყლჱ*** წელსა.	და შეწირა ჟამი მთავარებისკოპოსმან. და აზიარა სანატრ[ე]ლი *ნინო* განამცხოველ[ე] ბ[ე]ლსა სისხლსა და ჴორცსა ქრისტესსა, და წარიძღ[უა]ნა საგზლად საუკუნოდ. და შეჰვედრა სული თჳსი ჴელთა უფლის[ა]თა და მიიძინა ძილი იგი სანატრელი (და ან მეოხ არს ჩუენთჳს წინაშე ღმრთისა) *ქართლს* მოსლვითგან მისით ***ოც და მეათხუთმეტ[ე]სა*** წელსა და ქრისტეს ამაღლებითგ[ა]ნ ***სამ[ა]ს ოც და ათურამეტსა*** წელსა, დასაბამითგან ***ხუთი ათას რვაას ოცდა მეათურამეტ(ე)სა*** წელსა. ამ[ა]თ ჟამთა ზე იქმნა მიცვალებაჲ წმიდისა და სანატრელისა ღირსისა დედის[ა] და განმანათლებ[ე]ლისა ჩუენისა ნეტარისა *ნინო(ი)სი.*[2]

N/Sin.geo-48 და ჭელიშური რედაქციები გვამცნობენ, რომ წმ. ნინო გარდაიცვალა 338 წელს, მისი ქართლში მოსვლიდან ოცდამეთხუთმეტე წელს. ანუ იგი ქართლში მოსულა 302 წელს, სამი წელი იმალებოდა მაყვლის ბუჩქში, მეოთხე წელს იწყო ქადაგება, მეექვსე წელს მოაქცია ნანა დედოფალი, ხოლო მეშვიდე წელს მირიან მეფე. ანუ ქართლის მოქცევას „მოქცევაჲს ქრონიკა" ვარაუდობს 309-310 წლებში.

---

[1] *მოქცევაჲ ქართლისაჲ (სინური რედაქციები)*, 16.

[2] *მოქცევაჲ ქართლისაჲ*, 90.

ამრიგად, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ის ხელნაწერები, რომლებიც ასურელი მამების ქართლში მოსვლას ქართლის მოქცევიდან მეორასე წლით ათარიღებენ, ამ ფაქტს 509-510 (309-310+200) წლებით განსაზღვრავენ.

შატბერდული რედაქციით ქართლის მოქცევა უნდა მომხდარიყო 329-330 წლებში, ვინაიდან იგი წმ. ნინოს მოსვლას ქართლში განსაზღვრავს მის გარდაცვალებამდე (338) თხუთმეტი წლით ადრე (323). შესაბამისად, ქართლის მოქცევა შატბერდულის მიხედვით თარიღდება 329-330 წლებით. მაგრამ შატბერდული რედაქცია არაფერს ამბობს ასურელი მამების ქართლში მოსვლის თარიღის შესახებ. ამიტომ არა გვაქვს საფუძველი მის ტრადიციაში ეს ორი მოვლენა ერთმანეთს დავუკავშიროთ.

საინტერესოა ვნახოთ, როგორ არის „მოქცევაჲ ქართლისაჲს ქრონიკაში“ სხვა მოვლენის დასათარიღებლად ანალოგიური მეთოდი გამოყენებული. პეტრეს ქართლში კათალიკოსად დასმა სამივე რედაქციას განსაზღვრული აქვს ერთნაირად: ქართლის მოქცევიდან ას სამოცდამეათე წელს.

N/Sin.geo-48	*შატბერდული*	*ჭელიშური*
ხოლო მეფემან წარავლინნა მოციქულნი *საბერძნეთა* და ითხოა მეფისაგან და პატრიაქისა კათალიკოზი. და მოსცეს კათალიკოზი *პეტრე*.	ხოლო მეფემან წარავლინნა მოციქულნი *საბერძნეთა* და ითხოვა მეფისაგან და პატრეაქისაგან კათალიკოზი. ხოლო მან მოსცა *პეტრე* კათალიკოზი.	და მსწრაფლ წარავლინნა მოციქულნი *საბერძნეთად* და ითხოვა მეფის[ა] გ[ა]ნ და პატრიაქისა კათალიკოზი. და მოსცეს კათალიკოზი *პეტრე*.

და თანა ჰყვანდა *სამოელ მონაზონი*, კაცი წმიდაჲ და ღირსი. და აღაშჱნა ქუემოჲ ეკლესიაჲ ვახტანგ მეფემან და დასუა მუნ შიგან *პეტრე* კათალიკოზი. და ესე იყო *ქართლის მოქცევითგან მეას სამეოცდამეათესა წელსა.*[1]

და თანა ჰყვანდა მას *სამოველ* მონაზონი, წმიდაჲ და ღირსი. და აღაშენა ქუემოჲ ეკლესიაჲ *ვახტანგ* მეფემან. და დასუა *პეტრე* კათალიკოზი. და ესე იყო *ქართლის* მოქცევითგან : რო : (ას სამოცდაათი – ზ.ა.) წელსა. მეფენი გარდაცვალებულ იყვნეს ათნი და მთავარ ებისკოპოსნი ათცამეტნი. ხოლო პირველი კათალიკოზი იყო *პეტრე*.

და თანა ჰყვანდა *სამუელი*, მონაზონი კაცი წმიდაჲ და ღირსი. და აღაშენა ქუემოჲ ეკლესიაჲ *ვახტანგ* მეფემან. და დასუა მუნ შიგან *პეტრე* კათალიკოზი. და ესე იყო *ქართლისა მოქცევისაგან ას სამეოც და მეათესა წელსა*. მაშინ გარდაცვალებულ იყვნეს მეფენი ათნი და კათალიკოზნი ცამეტნი. აქათგან იწყეს კათალიკოზთა მამადმთავრობად. პირველი კათალიკოზი იყო *პეტრე ვახტანგ მეფისა* ზე.[2]

N/Sin.geo-48 და ჭელიშური გაცილებით უფრო სანდო თარიღს (479-480 წწ.) იძლევიან პეტრეს კათალიკოსობის დასაწყისისა, ვიდრე შატბერდული (499-500 წწ.). ასურელი მამები ქართლში მოვიდნენ პეტრეს აღსაყდრებიდან 30 წლის შემდეგ.

ამრიგად, ვფიქრობ, „მოქცევაჲ ქართლისაჲს ქრონიკის“ ტრადიციით (სინური და ჭელიშური რედაქციები) ასურელი მამების ქართლში მოსვლის თარიღი უნდა იყოს 509-510 წლები. ვინაიდან ეს თარიღი ძალიან ახლოს არის იოანეს ზედაზნის მამასახლისად გახდომის თარიღთან, ასურელ მამათა ქართლში მოსვლა 510 წლის ახლო ხანებით შეიძლება დათარიღდეს.

---

[1] *მოქცევაჲ ქართლისაჲ (სინური რედაქციები)*, 17.

[2] *მოქცევაჲ ქართლისაჲ*, 93.

ასურელ მამათა რიცხვი, სახელები და მათი მოღვაწეობის ადგილები

ასურელ მამათა რიცხვი, სახელები და მათი მოღვაწეობის ადგილები განსაზღვრული აქვს სინურ რედაქციას.

ასურელ მამათა სახელები და რიცხვი:

„შიო, დავით, იოსებ, ზენონ, თევდოსიოს, ეზდერიოზ, სოლომოზ, თათა, პრობოზ, ვათა, პიმენ, ნათან".[1]

როგორც ვხედავთ, ასურელ მამათა რიცხვი სინურ ვერსიაში თორმეტია. ვნახოთ ახლა, რამდენად ზუსტად არის ჩამოთვლილი მათი სახელები და განწესების ადგილები:

> „ესე დავით დაუტევა გარერჩას, იოსებ – ალავერდს, ზენონ – მადალოთს, პიმენ – იყალთოს, და იგი მოვიდა ზედაზადენს. და მოვლო ქუეყანაი ზენა სოფლისაი და დაჰნერგნა ადგილსა, რომელსა უწყის სულმან წმიდამან და დაუტევა მთათა ზედაზადენს: პრობოზ – ბრეთს, ნათან – ძეგოს, შიო – მღუიმეს, ეზდერიოზ – ჭალაკსა სამთავისისასა, თევდოსიოს – ქუაბსა რეჭისასა, სომლოზ – ქცის".[2]

სინური რედაქცია ზუსტად განსაზღვრავს ასურელ მამათა სამოღვაწეო მხარეებსაც: იოვანე ზედაზადნელმა დავითი, იოსები, ზენონი და პიმენი კახეთ-კუხეთში განაწესა, ხოლო პრობოზ, ნათან, შიო, ეზდერიოზ, თევდოსიოს, სოლომოზ (სომლოზ) – ზენა-სოფელში (შიდა ქართლში). არ არის მხოლოდ ზუსტი სამოღვაწეო ადგილები განსაზღვრული თათასა და ვათასთვის. შესაძლოა, მათ არც ჰქონდათ დამოუკიდებელი მონასტრები და ზედაზადენზე იმყოფებოდნენ იოვანესთან ერთად. მე მგონია, ყველაფერი თავის ადგილზე დადგება, თუ დღეს ცოტათი ბუნდოვანი ფრაზა:

---

[1] N/Sin.geo-50, 72v.

[2] N/Sin.geo-50, 72v-73r.

„და იგი (იოვანე) მოვიდა ზედაზადენს და მოვლო ქუეყანაჲ ზენა სოფლისაჲ და დაჰნერგნა ადგილსა, რომელსა უწყის სულმან წმიდამან და დაუტევა მთათა ზედაზადენს...“.

ასე გასწორდება:

„და იგი (იოვანე) მოვიდა ზედაზადენს და დაუტევა მთათა ზედაზადენს თათა და ვათა. და მოვლო ქუეყანაჲ ზენა-სოფლისაჲ და დაჰნერგნა ადგილსა, რომელსა უწყის სულმან წმიდამან..“. შესაძლოა, გადამწერმა დედნის ტექსტი („და იგი მოვიდა ზედაზადენს და დაუტევა თათა და ვათა“) ვერ ამოიკითხა სწორად და თავისი შეხედულებისამებრ გაასწორა („თათა“ > „მთათა“): „და იგი (იოვანე) მოვიდა ზედაზადენს და დაუტევა მთათა ზედაზადენს...“.

იოანე ზედაზნელის სვინაქსარულ ცხოვრებაში მოხსენიებული თათე (თათა) [სა]მთებელი ნამდვილად იოანე ზედაზნელის ასურელ მოწაფეთაგანია, რომელიც მისმა მოძღვარმა „დაუტევა მთათა ზედაზადენს“.[1] კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული [სა] მის ზედწოდებას ხელნაწერში სხვა ხელით აქვს მიწერილი. შესაძლოა, ტრადიცია მას თათა „მთებელს“ უწოდებდა, ხოლო მკითხველმა ქართული ენისათვის ეს საკმაოდ უხერხული ზედწოდება ვეღარ გაიგო. სინური რედაქციის მიხედვით, მას ზედაზნის მთის ქვეშ ქვემო მონასტერი აუშენებია და მისი მამასახლისიც გამხდარა.

ამრიგად, ასურელ მამათა მოღვაწეობის ფარგლებია შიდა ქართლი და კახეთ-კუხეთი (კხუეთი). თუ გვიანდელ სიებში ამ ფარგლებიდან გამოსული მოღვაწეები აღმოჩნდებიან, ისინი ავტომატურად უნდა მივიჩნიოთ არაავთენტურად.

იოანე ზედაზნელის მოწაფეთა რაოდენობის, სახელებისა და მოღვაწეობის ადგილის შესახებ განსხვავებულმა ცნობებმა მეცნიერთა შორის დაბადა შეხედულება, რომ ასურეთიდან (სირიიდან) მოვიდა არა ცამეტი მოღვაწე, არამედ მეტი და ცამეტი მხოლოდ საკრალური რიცხვია ქრისტეს და მის მოციქულთა მიხედვით გვიან შემუშავებული.

ჩემი აზრით, საქმე ასე რთულად არ უნდა იყოს და ასურეთიდან მართლაც ცამეტი მამა ჩამოვიდა. დანარჩენები, როგორც ჩანს, იყვნენ იოანე ზედაზნელის ადგილობრივი, ქართველი მონაფეები, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ასურელ მამათა მისიის აღსრულებაში.

---

[1] *იოანე ზედაძნელისა*, 388.

მოგვიანებით, ალბათ, უკვე ძნელი იყო იმის გარჩევა, თუ ვინ ჩამოვიდა ასურეთიდან და ვინ დახვდა მათ ქართლში. შთამომავლობისათვის ყველანი ასურელი მოღვაწეები იყვნენ. სხვა არგუმენტების გარდა, ამის აშკარა ნიშანი უნდა იყოს ისეს და აბიბოსის შერჩევა ქართლის კათალიკოსის მიერ წილკნისა და ნეკრესის ეპისკოპოსებად, რადგან უკვე ამ დროს საეკლესიო კათედრებს მხოლოდ ქართველები იკავებდნენ. ასურელ მამათა დიდი დამსახურება სწორედ ის არის, რომ თავის მისიონერულ მოღვაწეობაში მათ ქართველი მოწაფეებიც ჩართეს, რადგან, კარგად ესმოდათ, რომ სრულ წარმატებას მხოლოდ ამ გზით მიაღწევდნენ.

„იოვანე ზედაზნელის ცხოვრება"

Ⴑ რედაქცია

ამ რედაქციაში არა გვაქვს ასურელ მამათა ჩამონათვალი. მოცემულია მხოლოდ მათი განაწილების საზღვრები:

„და წარავლინნა (იოვანემ – ზ.ა.) რომელნიმე მათგანნი *კახეთად* და რომელნიმე *კუხეთად* კერძო, და რომელნიმე *ზენა კერძო სოფლით*, და ერთი ვინმე *გარეშეთად*, და სხუანი *გარემო ქალაქსა ამას ჩუენსა სამეუფოსა*. ხოლო იგი[ნი] წარვიდეს და დაემკჳდრნეს რომელნიმე ჭალაკთა და რომელნიმე მთათა, ქუაბთა და ჴურელთა ქუეყანისათა".[1]

Ⴒ რედაქცია.

წერს ფაქტიურად იმასვე, რასაც Ⴑ რედაქცია, მაგრამ ზოგ ცნობას კონკრეტული სახელითა და მისამართით აზუსტებს:

„და წარავლინნა (იოვანემ – ზ.ა.) მათგანნი რომელნიმე *კახეთით* და რომელნიმე *კუხეთით* და სხუანი *ზენა სოფლით*, ხოლო ნეტარი *დავით გარესჯისა უდაბნოსა*, და სხუანი *გარემო ქალაქსა ჩუენსა*. ხოლო იგინი წარვიდეს და დაემკჳდრნეს რომელნიმე ჭალაკთა და რომელნიმე ქუაბთა და ჴურელთა ქუეყანისათა. ხოლო *ეზდერიოზ ჭალაკსა სამთავისისასა*. და ესრეთ განეშორნეს ურთიერთას და დაეყუდნეს, ვითარცა სულმან წმიდამან სათნო-იყო".[2]

---

1 *ცხორებაჲ იოვანე ზედაძნელისა*, 207.

2 *ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ იოვანე ზედაზნელისა*, 207.

„ხოლო ნეტარი მამაჲ ჩუენი იოვანე დაბერდა ქუაბსა მას შინა და აღასრულა სრბაჲ თჳსი მრავლითა ღუაწლითა. მოუძლურდა და იწყო მოკლებად. და მოუწოდა მოწაფეთა რომელთამე და *თათას*, რომელი იყოფებოდა ქუეშე მთასა მას, და *ელია დიაკონსა*...“.[1]

Ⴇ რედაქცია.

„განმსწავლელმან თჳსთა მოწაფეთამან სანატრელმან მამამან იოვანე წარავლინნა იგინი ქადაგებად მოახლებასა ცათა სასუფეველისასა. ხოლო იგინი ვიდოდეს გზასა მათთჳს ბრძანებულსა ... რამეთუ რომელნიმე კახეთით წარვიდეს, ხოლო ღირსი დავით გარესჯისა უდაბნოდ მიიწია. და სანატრელი ეზდერიოს სამთავისისა ჭალაკსა დაემკვიდრა. ხოლო ღმერთ-შემოსილი და საკჳრველთ-მოქმედი შიო მღჳმესა მცხეთისასა, ქუაბსა რასმე მცირესა მპოვნელი, მუნ შინ დაეყუდა. და ნეშტნი მათგანნი წარვიდეს უდაბნოთა ადგილთა მიმართ, მთათა შინა და ქუაბთა და ჴურელთა ქუეყანისათა მოქმედნი მკჳდრობისანი“.[2]

„მოუწოდა (იოვანემ – ზ.ა.) მოწაფეთა თჳსთა რომელთამე, და *ელიას დიაკონსა და თათას*, რომელსა აღეშენა მონასტერი ქუეშე კერძო მთისა მის..“.[3]

„... იოვანე განაშუენა ქუეყანაჲ ქართუელთაჲ ... არა მხოლოდ თავისა თჳსისა მიერ, არამედ და მოწაფეთაცა მიერ თჳსთა, რამეთუ ერთმან მოწაფეთა მისთაგანმან ეკლესიაჲ ალავერდისაჲ აღაშენა ... ხოლო სხუამან ქუაბი იულთისაჲ ... და ერთმან მათგანმან ზენა-სოფელსა აღაშენა მონასტერი, რომელსა შინა დედალი არარაჲ შევალს ... და სხუათა კუალად მონასტერნი აღაშენნეს კახეთს შინა ..“.[4]

შიო და ევაგრეს ცხოვრება

Ⴇ რედაქცია:

„ხოლო ამის ნეტარისა იოვანეს მოწაფეთაგანმან აღაშენა *ალავერდი* ... და სხუამან *ქუაბი იულთისაჲ* და სხუათა აღაშენნეს *კახეთს* მონასტერნი. ხოლო *დავით აღაშენა უდაბნოჲ იგი გარესჯისაჲ*

---

1 *ცხორებაჲ შიოჲსი და ევაგრესი*, 227.
2 აბულაძე, *ასურელ მოღვაწეთა ცხოვრება*, 39.
3 იქვე, 62.
4 იქვე, 66-67.

და დაყუნა მრავალნი ჟამნი ... ხოლო ერთმან *ზენა სოფელს* აღაშენა მონასტერი, რომელსა შინა დედალი ვერარაჲ შევალს ... და წმიდაჲ *ისე წილკანს* ებისკოპოს იქმნა და აქამომდე ჩანს სამარხოჲ მის ნეტარისაჲ".[1] ეს ნაწილი Ⴑ რედაქციას აკლია.

როგორც ვხედავთ, იოანე ზედაზნელის ცხოვრების არსენი მეორე კათალიკოსის ვერსიაზე დამოკიდებული რედაქციების მიხედვით შეგვიძლია განვსაზღვროთ მხოლოდ ასურელ მამათა განაწილების საზღვრები (კახეთ-კუხეთი და ზენა-სოფელი) და დავადგინოთ ხუთი მამის სახელი და მოღვაწეობის ადგილი: დავით გარეჯელი, ეზდერიოზ (ეზდერიოს) სამთავნელი, შიო მღვიმელი, ალავერდელი, ისე წილკნელი. ამათ გარდა ტექსტში დასახელებულნი არიან ელია დიაკონი და თათა, როგორც იოანეს მოწაფენი. თუ მათაც ასურელ მამებად მივიჩნევთ, მაშინ სია ასეთ სახეს მიიღებს: დავით გარეჯელი, ეზდერიოზ სამთავნელი, შიო მღვიმელი, [იოსებ] ალავერდელი, ისე წილკნელი, თათა, ელია დიაკონი.

შიოს და ევაგრეს ცხოვრება

Ⴑ რედაქციას აკლია.

Ⴒ რედაქცია:

ამ რიგის თხზულებათა შორის პირველად ჩნდება ასურელ მამათა სია სამოღვაწეო ადგილთა დასახელების გარეშე: შიო, დავით, იოსებ, ანტონი, თეოდოსიოს, თათა, პიროს, ელია, პიმენ, ნათან, აბიბოს, იოანე.

ვნახოთ ახლა ასურელ მამათა სახელების შედარებითი ცხრილი სხვადასხვა რედაქციის მიხედვით:

N/Sin.geo-50	*იოანე ზედაზნელის ცხოვრება*	*შიო და ევაგრეს ცხოვრება*	*სია, რომელიც ყველა რედაქციაში ემთხვევა*	*სია, რომელიც ემთხვევა სინურს ერთ რედაქციაში მაინც*
შიო	შიო	შიო	შიო	შიო
დავით	დავით	დავით	დავით	დავით

[1] *ცხორებაჲ შიოჲსი და ევაგრესი*, 229.

	სტეფანე			
იოსებ	იოსებ	იოსებ	იოსებ	იოსებ
ზენონ	ზენონ			ზენონ
	ანტონ	ანტონ		
თევდოსიოს		თეოდოსიოს		თევდოსიოს
ეზდერიოზ	ისიდორე			ეზდეროზ (ისიდორე)
სოლომოზ				
	ისე			
თათა	თათა	თათა	თათა	თათა
პრობოზ				
	ელია			
ვათა				
პიმენ		პიმენ		პიმენ
	მიქაელ			
	პიროს	პიროს		
ნათან		ნათან		ნათან
		ელია		
	აბიბოს	აბიბოს		
		იოანე		

მოტანილი ცხრილის მიხედვით უნდა ვივარაუდოთ, რომ ცხრა ასურელი მამის სახელი (შიო, დავით, იოსებ, ზენონ, თევდოსიოს, ეზდერიოზ (ისიდორე), თათა, პიმენ, ნათან) ახლა მეტი ალბათობით ვიცით, ვიდრე აქამდე.

გავაკონტროლოთ ასურელ მამათა სახელები მათი მოღვაწეობის ადგილების მიხედვით: თუ მოღვაწეობის ადგილის სახელდებები

დაემთხვევა, ხოლო თვითონ პირთა სახელებიც რაიმე ნიშნით ახლოს იქნება ერთმანეთთან, ვცნოთ მათი იდენტობის დიდი ალბათობა.

სინური რედაქცია	*ტრადიციული*
შიო **მღვიმელი**	შიო **მღვიმელი**
დავით **გარეჯელი**	დავით **გარეჯელი**
იოსებ **ალავერდელი**	იოსებ **ალავერდელი**
ზენონ მადალოთელი	ზენონ **იყალთოელი**
თევდოსიოს მრეწველი	ისიდორე **სამთავნელი**
ეზდერიოზ **სამთავნელი**	სტეფანე ქისიყელი
სომლოზ (სოლომოზ) ქციელი	ანტონ მარტომყოფელი
თათა	ისე წილკნელი
პრობოზ **ბრეთელი**	თათა სტეფანწმინდელი
ვათა	პიროს **ბრეთელი**
პიმენ **იყალთოელი**	ელია დიაკონი
ნათან ძეგველი	მიქაელ ულუმბოელი
	აბიბოს ნეკრესელი

როგორც ვხედავთ, ასეთია მხოლოდ ერთი: პრობოზ ბრეთელი (სინური) და პიროს ბრეთელი (ტრადიციული). ამრიგად, ჩვენ უკვე მეტი ალბათობით, ვიცით ათი სირიელი მამის სახელი და მათი მოღვაწეობის ადგილი: შიო, დავით, იოსებ, ზენონ, თევდოსიოს, ეზდეროზ (ისიდორე), თათა, პიმენ, ნათან, პრობოზ (პიროს).

მაგრამ გარკვეულ სიძნელეს ქმნის მათი მოღვაწეობის ადგილებში განსხვავებანი. მაგალითად, სინური: ზენონ მადალოთელი – ტრადიციული: ზენონ იყალთოელი, მაშინ, როდესაც სინურ რედაქციაში ზენონ მადალოთელთან ერთად გვყავს აგრეთვე პიმენ იყალთოელი. საინტერესოა, რომ „იოანე ზედაზნელის ცხოვრების“ გვიანდელ რედაქციაში ასურელ მამათა ჩამონათვალში მოხსენიებულია „ზენონ“, მაგრამ ვერა ვხედავთ „პიმენს“. „შიო მღვიმელის ცხოვრებაში“ კი პირიქით – მოხსენიებულია „პიმენ“ და არ არის „ზენონის“ ხსენება. ასეთი ვითარება საფუძველს მაძლევს ვივარაუდო, რომ „ასურელ მამათა ცხოვრების“ არქეტიპში იქნებოდა ორივე სახელი, რასაც მხარს უჭერს სინური რედაქციაც. ამდენად, ვფიქრობ, სწორი იქნება, თუ ასურელ მამათა სიის საბოლოო ვერსიაში აღვადგენთ „ზენონ მადალოთელსა

და პიმენ იყალთოელს". საქმე ის არის ახლა, შეიძლება თუ არა „მადალოთ" ტოპონიმის დადასტურება ქართულ ისტორიულ სინამდვილეში.

რაც შეეხება იულთას, ასეთი ტოპონიმი და ნასახლარები შემორჩენილია კახეთში, სოფელ ართანასთან, ალავერდიდან ალაზნის გადაღმა[1]. სინურ ვერსიაში ვკითხულობთ:

„ერთმან მათგანმან აღაშჱნა ალავერდი, რომლისაგან გამოვლენ ვიდრე დღენდღელად დღედმდე დიდნი საკჳრველებანი და მრავალნი კურნებანი განთქუმულ გარემო ყოველსა ამას სოფელსა. და სხუამან – **ქუაბი იულთისაჲ,** და სხუათა დაჰნერგეს კხუვეთს ეკლესიანი და მონასტრები".[2]

თითქმის ასეთივე ტექსტით „იულთა" მოხსენიებულია, აგრეთვე, „შიოსა და ევაგრეს ცხოვრების" Ⴒ რედაქციაში, „იოანე ზედაზნელის ცხოვრების" Ⴓ რედაქციასა და „აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის" Ⴝ რედაქციაში. ამდენად, ამ ტოპონიმის დასახელება „იოანე ზედაზნელის ცხოვრების" არქეტიპში ეჭვს არ იწვევს.

ამრიგად, ასურელ მამათა ცხოვრების სხვადასხვა რედაქციებში მოხსენიებული ასურელი მამების სიების შეჯერებამ ცხადად აჩვენა, რომ სინურ ხელნაწერში წარმოდგენილი ასურელ მამათა სია ყველაზე ახლოს უნდა იდგეს არქეტიპთან.

---

[1] *ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა,* 153.

[2] N/Sin.geo-50, 92r-v.

სინური ხელნაწერი დავით-გარეჯის შესახებ

ბოლო ხანებში გართულდა პოლემიკა ქართველ და აზერბაიჯანელ მეცნიერთა შორის დავით-გარეჯის მონასტრის კუთვნილებასთან დაკავშირებით. ვნახოთ, რას გვეუბნება ამ საკითხზე სინური ხელნაწერი.

„ასურელ მამათა საქმეთა" სინური ვერსიის სათაური

„საქმენი წმიდისა იოვანე ზედაზადნელისანი, რომელი მოვიდა შოვამდინარითა ასურეთისათა, შემდგომად **ქართლის** მოქცევითგან მეორასესა წელსა".

როგორც არ უნდა მოვინდომოთ, მაინც უნდა ვთქვათ, რომ სათაურიდანაც კი ჩანს: ასურელი მამები შუამდინარეთის სირიიდან მოვიდნენ ქართლში (509-510 წწ-ის ახლოს) და არა სხვაგან სადმე, სხვა, თუნდაც მეზობელ, ქვეყანაში.

პირველი წინადადება ტექსტში

პირველსავე წინდადებაში ავტორი აცხადებს, რომ ასურელი მამები „მოვიდეს **სანახებსა მას ქართლისა** იგი და 12 მოწაფენი მის თანა", მათ შორის იყო დავითიც: „ესე დავით დაუტევა გარერჩას".

ვფიქრობ, ნათელია, რომ ასურელი მამები მოვიდნენ ქართლის ტერიტორიაზე და სხვაგან არსად არც მისულან, არც წასულან და არც აპირებდნენ სადმე წასვლას. მათ მიმღებთაც კარგად იცოდნენ, რა სახელმწიფო მნიშვნელობა ჰქონდა ასურელ მამათა ჩამოსვლას ქართლში და ქართლისათვის (იხ. სათაური).

რატომ მოვიდნენ ასურელი მამები ქართლში?!

იოანე [ზედაზადნელი]: „მოივლინა ქართლად ... რამეთუ **ქართლი** ახალნერგ იყო ქრისტიანობასა“.

როგორც ვხედავთ, არა მარტო ის ვიცით, რომ ასურელი მამები ქართლში მოვიდნენ, არამედ ისიც ვიცით, რატომ მოვიდნენ და ვინ მოავლინა („მოივლინა“) ისინი. ყველაფერი, რაც ხდება, ეხება ქართლს და ჩვენი მეზობელი ქვეყნები არაფერ შუაში არ არიან. მათ თავიანთი ისტორია აქვთ და გულშემატკივრებმა იმ ისტორიას უნდა მიხედონ.

„მოწაფენი მიმოდაენერგნეს“

„ხოლო სხუანი იგი მოწაფენი მისნი მიმოდაენერგნეს **ქართლს** შინა, ნათობად სოფლისა (ქვეყნისა – ზ. ა.)“.

კარგადა ჩანს, რომ ასურელი მამები ქართლის გარეთ არ გასულან. ამის დოკუმენტიც დატოვეს („მიმოდაენერგნეს ქართლს შინა“), თითქოს ელოდებოდნენ, რომ ვინმე, ბევრი საუკუნის შემდეგაც კი, უსამართლოდ გამოედავებოდათ და მზად უნდა ყოფილიყვნენ.

„საზღვართა შინა ქართლისათა“

„ხოლო ნეტართა მათ მოწაფეთა მისთაჲცა მოვიხსენოთ მცირედ, რომელნი განათლდეს და სხუანი განანათლეს **საზღუართა შინა ქართლისაჲთა**, რამეთუ მრავალნი მონასტერნი აღაშჱნეს, რომელნი ვიდრე დღენდღელად დღედმდე ჰგიან შეურყეველად“.

ყველგან ხაზს უსვამს ავტორი, რომ მონასტრები (მათ შორის გარეჯა) **ქართლის საზღვარში** შენდებიან და დღემდე შეურყევლად დგანან. ვინაიდან ხელნაწერი X ს-ით თარიღდება, ამ ქრონოლოგიაში VI-X სს. უნდა დავინახოთ.

სად მოვძებნოთ ახლა ადგილები მეზობელი ქვეყნებისათვის? უჩვენოდაც მოიძებნა ეს ადგილები: „13 სირიელი მამა აღმოსავლური ქრისტიანობის ტრადიციით (?!) დასახლდნენ სამხრეთ კავკასიის ცენ-

ტრალურ ნაწილში. დავითმა (გარეჯა), სტეფანოზმა (ხირსა), პიროსმა (ბრეთა) და აბიბოსმა (ნეკრესი) შეძლეს შეექმნათ ქრისტიანულ-რელიგიური საგანმანათლებელო ცენტრი, ეკლესიები და ქვაბები დასავლეთ ალბანეთში". ჩამოთვლილი პირებისა და ტოპონიმების მიხედვით, ჩანს, რომ „დასავლეთ ალბანეთში" გულისხმობენ კახეთს.

სამწუხაროდ, არ უნდათ იმის ცოდნა, რომ ბრეთა შიდა ქართლშია და „დასავლეთ ალბანეთში" ვერ მოხვდებოდა. არც ის იციან, რომ ნეკრესის მიდამოებში სულ გვიან მეხუთე საუკუნის ცხრა ქართული წარწერა აღმოაჩინეს არქეოლოგებმა, ხოლო ნეკრესიდან პირდაპირი ხაზით თუ ავთვლით, ერთი კილომეტრის მანძილზე მათვე გათხარეს ორი უზარმაზარი, მეოთხე და მეხუთე საუკუნეების ქართული ეკლესიები. ეს აღმოჩენები რომ შემთხვევითი არ არის, ამას ადასტურებს მეათე საუკუნის დიდი ქართული წარწერა ლაგოდეხში. სად არის ალბანური წარწერები? ხომ ვიცით, რომ ალბანელებს ჰქონდათ დამწერლობა!

საგანძური „გარერჩას, იოვანე-წმიდას, მრავალმთას"

IX ს-ში გარეჯის საგანძურში ინახებოდა 25 წიგნი. როდის იყო ეს წიგნები შექმნილი და რა ენაზე, პირდაპირი ცნობა არ არის, თუმცა არც იყო საჭირო, რადგან საქართველოს წიგნთსაცავში, რა თქმა უნდა, წიგნებიც, პირველ რიგში, ქართული იქნებოდა. ისიც ნათელია, რომ წიგნები მეცხრე საუკუნეზე ადრინდელია და შესაძლოა, ბევრად ადრინდელიც. საგანძურის სათაური („გარერჩას, იოვანე-წმიდას, მრავალმთას") სუფთა ქართულით არის შესრულებული და საგანძური შეწირულია ქართლის ერისმთავრების მიერ. ამაზე ქვემოთ.

„ძელი ცხორებისა"

გარეჯის საგანძურში ყურადღებას იპყრობს ძვირფასი „ძელი ცხორებისა", რომელიც გარეჯისთვის შეუწირავს უმეფობის დროს ქართლის მმართველს, პირველ ერისმთავარ გუარამ კურაპალატს (575-600 წწ). მაშასადამე, ეს შეწირულება შეიძლება იყოს ქართლის მმართველთა ერთ-ერთი პირველი დიდი შეწირულობა გარეჯისათვის.

„ძელი ცხორებისა" მეორე

მეორე „ძელი ცხორებისა" გარეჯის მონასტრისათვის შეუწირავს გურგენ ერისთავს (881-891 წწ.). გვაქვს უფლება ვთქვათ, რომ 575-891 წლებს შორის გარეჯას ფლობენ ქართლის ერისმთავრები და, რა თქმა უნდა, ყველას ექნებოდა წარწერები. ვნახოთ ქვემოთ.

დედოფალ დებორას შესაწირი

სამშვილდის დედოფალმა დებორამ, რომელმაც სამშვილდის ქართული ეკლესიის აშენება დაამთავრა 777 წლის 13 სექტემბერს, გარეჯას შესწირა ტილოზე ოქროწყლით დახატული ჯვარცმის ხატი, რა თქმა უნდა, შესაბამისი წარწერებით. სხვაგვარად ვის ეცოდინება ვინ და ვის შესწირა განძი.

მეწკევნელები

გარეჯის საგანძურისათვის მეწკევნელთა სახლსაც შეუწირავს საკურთხევლის სამოსელი, რომელსაც ოჯახის წევრების სახელები ეწერა, უეჭველია, ქართულად. ეს უნდა ხდებოდეს მეცხრე საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში.

ვფიქრობ, ნათელია, რომ გარეჯა X ს-მდე კარგად იყო დაცული გარეშე ძალებისაგან.

რუვისთაველთა საგვარეულო

რუვისთაველთა საგვარეულო უშუალოდ არის დაკავშირებული გარეჯასთან. რუვისთაველი და მეწკევნელი წავიდნენ ზედაზენს **მათი მეფის,** ვარაზ-ბაკურ ხიდარელის (IV ს-ის მეორე ნახევარი) და მისი ოჯახის წევრთა ნეშტის გადმოსასვენებლად. რაღაც ხუთიოდე საუკუნის შემდეგ რუვისთაველთა და მეწკევნელთა საგვარეულოებს მეოთხე საუკუნის ქართლის მეფე თავის მეფედ მიაჩნიათ. ისინი ვერ გაერკვეოდნენ, ვის ეკუთვნოდა გარეჯის მონასტერი? სად იყვნენ ამ ხანებში ალბანელი მმართველები?

გარეჯის ეტიმოლოგია

იმისათვის, რომ გაამყარონ საკუთარი პოზიციები, სახელწოდება „გარეჯელი“ აზერბაიჯანულ სამეცნიერო წრეებში შემდეგნაირად არის ახსნილი, „გარეჯელი“ ინგლისურად ნიშნავს “alien, outsider, stranger” (ქართულად: „უცხო, გარეშე პირი, უცნობი“).

რატომ ნიშნავს გარეჯელის სახელწოდება უცხოელს? გარეჯა/გარესჯა ტოპონიმია და ტოპონიმს არაფერი კავშირი არა აქვს მისი მატარებლის საქმიანობასთან. რატომ წარმოუდგენია, რომ “გარე” მაინცა და მაინც უცხო ქვეყანაში ყოფნას გულისხმობდეს? რატომ არაფერს ამბობენ სიტყვის მეორე ნაწილზე (სჯა/შჯა) რაიმეს? გარდა ამისა, ტოპონიმის ძველი ფორმა „გარესჯა“, „გარეშჯა“, „გარერჯა“, „გარერჩა“ წმინდა ქართულია. სანუგეშოა, რომ ამ ტოპონიმის ქართულობაში ეჭვი არ შეაქვთ (სამართლიანადაც), როცა მას ინგლისურად თარგმნიან.

მაგრამ არა ღირს ამ საკითხზე ბევრი მსჯელობა.

კამბეჩოვანი

„კამბეჩოვანი“ ან „კამბეჩანი“ ქართულად წარმოებული ტოპონიმია და ასე იშლება: კამბეჩ-ოვან-ი ან კამბეჩ-ან-ი (სდრ. კლდ-ოვან-ი, წიწ-ოვან-ი). ნიშნავს ტერიტორიას, რომელზედაც დიდი რაოდენობით მოშენებულია ან ველურ მდგომარეობაში იმყოფებიან კამბეჩები/კამეჩები. სახელწოდება გავრცელებულია მთელს საქართველოში.

„კამბეჩოვანი“, ქართულის გარდა, არცერთი ქვეყნის ლექსიკაში არა ჩანს. ეს სახელწოდება (კამბისენე) რომ ძალიან ძველია, ადასტურებენ ბერძენი ისტორიკოსები. ბერძნულ ენას არა აქვს თანხმოვანი „ჩ“, რომელსაც ცვლის „ს“ თანხმოვნით. აქედან დასკვნა: ვის ხელშიც არ უნდა ყოფილიყო კამბეჩოვანი სხვადასხვა დროს, ის თავის ქართულობას მაინც ინარჩუნებდა.

ალბანელები და დავით-გარეჯის ფრესკები

ჩვენი აზერბაიჯანელი კოლეგები წერენ, რომ სირიელი მამები მონოფიზიტები იყვნენ, მით უმეტეს, დავით გარეჯელი. ირანის მარზპანმა, რომელიც დიოფიზიტებს მხარს არ უჭერდა, მას ნება დართო ალბანთა კამბეჩანში დასახლებულიყო.

მეექვსე საუკუნის შუა ხანებიდან მეშვიდე საუკუნის 20-იან წლებამდე ქართველებიც და ალბანებიც დიოფიზიტები იყვნენ. ეს კარგად ჩანს დვინის მეორე კრებაზე მონაწილეობის უარყოფითა და მეშვიდე საუკუნის დასაწყისში საეკლესიო განხეთქილების დროს ქართლისათვის მხარის დაჭერით (რისთვისაც ალბანეთის ეკლესია შეჩვენებულ იქნა სომეხთა პატრიარქის მიერ). მერვე საუკუნის ოციან წლებში სომხებმა და ალბანებმა ქართლთან ერთიანობის შესახებ ყველა ცნობა ამოშალეს.

730 წლიდან დაიწყო ხატმებრძოლეობა და არსებითად დამთავრდა 843 წელს. სომხეთი მხარს უჭერდა ხატმებრძოლეობას, ამიტომ დღემდე არა აქვთ თავის ეკლესიებში ფრესკები. ცხადია, მის გვერდით იყო ალბანეთიც და არც მათ ჰქონდათ ფრესკები და არც შემორჩა ისინი. საქართველოში კი უდიდესი რაოდენობით ბრწყინვალე ფრესკები იყო და დღემდე შემორჩა. განსაკუთრებით ითქმის დავით-გარეჯის კომპლექსზე. აი, რატომ არ შემორჩა (რაც არ იყო, ვერც შემორჩებოდა) დავით-გარეჯში ალბანური დამწერლობის ერთი გრაფემაც კი და ფრესკის თუნდაც მცირე ფრაგმენტი.

ალბანური დამწერლობა

ქართველი ხალხი და სამეცნიერო საზოგადოება დიდი ინტერესით შეხვდა სინას მთის ქართულ ხელნაწერებში ალბანური დამწერლობის აღმოჩენასა და გაშიფვრას. მე მქონდა პატივი ამის შესახებ ინფორმაცია მიმეწოდებინა საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებისათვის. გამოქვეყნდა დიდი წიგნებიც. პირველად ცნობა ბაქოში ედუარდ შევარდნაძემ ჩაიტანა, ძალიან მალე რამდენიმე ლექცია-მოხსენება წავიკითხე ბაქოში. ქართველ არქეოლოგებს ვთხოვე ექსპედიციების დროს კახეთსა და

კუხეთში ყურადღება მიექციათ, გამოვლინდებოდა თუ არა ალბანური დამწერლობის ნიმუში, თუნდაც სულ მცირე გრაფიტო, რათა ინფორმაცია გამეზარდა. არაფერი არ აღმოჩნდა, იმ დროს, როცა გარეჯა გადავსებულია ქართულის გარდა სხვა ენითა და დამწერლობით შესრულებული წარწერებით.

„საქმენი წმიდისა იოვანე ზედაზადნელისანი“ რედაქციათა შედარება

სინურ ხელნაწერში დაცული იოანე ზედაზნელის „საქმენი“ თავისი სტრუქტურით განსხვავდება „იოანე ზედაზნელის ცხოვრების“ ჩვენამდე მოღწეული ყველა რედაქციისაგან. „საქმენი იოვანე ზედაზადნელისანი“ რამდენიმე ნაწილისაგან შედგება, ზოგს აქვს სათაურები და ქვესათაურები (მათ შორის, ჩანართებსაც, რომლებიც უშუალოდ იოანე ზედაზნელის „საქმეთა“ ნაწილს არ შეადგნენ – 5, 6, 7, 8, 9), რომლებიც აადვილებენ ტექსტის აღქმას, ნაწილის გამოყოფა კი შინაარსობრივად არის შესაძლებელი.

აი, ისინი:

1. „საქმენი წმიდისა იოვანე ზედაზადნელისანი, რომელი მოვიდა შოვამდინარითა ასურეთისაჲთა შემდგომად ქართლის მოქცევითგან მეორასესა წელსა, იგი და მოწაფენი მისნი“;
2. [„ჩუენ ესთენ ვპოვეთ მრეჯელისაჲ და სამთავნელ ჭალაკელისაჲ“];
3. „ლოცვანი და შრომანი და კურნებანი იოვანე ზედაზადნელისანი“;
4. „სასწაულნი ნეტარისა იოვანე ზედაზადნელისანი“. ქვესათაურები: ა, [ბ];
5. „ესე კუალად მუნვე მოვედ, რომელსა ესე მიწყიეს“. ქვესათაურები: [გ], დ, ე;
6. „სახელები წმიდათა ზედაზადნელთა ბერთა მამასახლისთაჲ და ქრისტჱს მიერ აღსრულებულთაჲ“;
7. „იადგარი წიგნთა ზედაზადნელთაჲ“;
8. „იადგარი წიგნთა ჯუარისთაჲ“;
9. „გარერჩას, იოვანე-წმიდას, მრავალ[მ]თას“;
10. [ერისმთავართა გენეალოგია და ქრონოლოგია];
11. „წმიდისა აბიბოზ ნეკრესელ ეპისკოპოზისაჲ, და ნეტარი იოვანე ზედაზადნელი; და ღირსებით მოჴსენებული წილ ეპისკოპოზი;

და მადლითა სავსჱ ბერი შიო ანუ სხუანი მოწაფენი მისვე ნეტარისა ზედაზადნელისანი, რომელთა შუენიერითა მით სლვითა მათითა შეამკვეს ეკლესიაჲ";

12. „გარდაცვალებაჲ ნეტარისა იოვანე ზედაზადენელისაჲ".

ცხადია, დასათაურებები სინური ხელნაწერის გადამწერს არ ეკუთვნის და ტექსტი ხელნაწერის არქეტიპიდან უნდა მომდინარეობდეს, რასაც ადასტურებს გადამწერის ან გადამწერების შეცდომებიც, მაგალითად, სასწაულების ნუმერაციაში ბ-ანისა და გ-ანის გამოტოვება და სხვა მრავალი.

ვფიქრობ, რომ ხელნაწერის არქეტიპი სასწავლო წიგნი იყო სათაურებითა და ქვესათაურებით, მონიშვნისა და ხმამაღლა კითხვის შესაძლებლობით. ასე მგონია, რომ ძალიან საინტერესო და არც თუ ისე რთულია „წმიდისა იოვანე ზედაზადნელის საქმენის" დედნის აღდგენა, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დამატებული ნაწილიც არანაკლებ მნიშვნელოვანია.

განსხვავებულია ტექსტის არქიტექტონიკა გვიანდელ რედაქციებშიც. სწორედ ამ გარემოებამ აიძულა ილ. აბულაძე სხვადასხვა რედაქციების ერთმანეთის პარალელურად გამოცემისას გადაელაგებინა თხრობათა მიმდევრობა ისე, რომ მსგავსი შინაარსის ტექსტები ერთმანეთის გვერდით აღმოჩენილიყო.

სტრუქტურათა არაერთგვაროვნების ნათლად საჩვენებლად სინური ხელნაწერის ტექსტი პარაგრაფებად დავყავი, წარმოვადგენ ცხრილს სინური ტექსტის პარაგრაფებისა და მათი შესაბამისი ადგილების გვერდების მითითებით იოანე ზედაზნელის ცხოვრების გვიანდელი რედაქციების გამოცემებიდან:

N/Sin.geo-50	ჰაგიოგრაფიული ძეგლები	ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნი
1-4	---	---
5	196/207-208/213	12/40/42
6-8	შდრ.: 228-229	შდრ.: 65-66
9-10	211-213	48-50/51
11-16	214-215	52-58
17-18	216-217	58-60

18-19	---	---
20-21	217	60
22	209	44/46/48
23	217	61
24-27	217	61-62/92/95/96
28-33	219	98-99
34	---	---
35-39	---	---
40-45	247-248 / 207(?)	195-196
46-58	227-228	66-67

იოანე ზედაზნელის „საქმეთა“ პირველ პარაგრაფში თორმეტი ასურელი მამის სრული ჩამონათვალი (სახელები) ამ სახით არა გვხვდება „იოანე ზედაზნელის ცხოვრების“ აქამდე ცნობილ არცერთ რედაქციაში, თუ არ ჩავთვლით გვიანდელ ხელნაწერში დაცული „იოანე ზედაზნელის ცხოვრებისათვის“ დართულ გვიანდელ სიას, რომელსაც ჩვენ ტრადიციულ სიას ვეძახით. სამაგიეროდ, განსხვავებული შედგენილობით ეს ჩამონათვალი მოცემულია „შიოსა და ევაგრეს ცხოვრების“ Ქ რედაქციაში (იხ. გამოკვლევა „ასურელ მამათა რიცხვი, სახელები და მათი მოღვაწეობის ადგილები“).

სინური ტექსტის მეორე, მესამე და მეოთხე პარაგრაფებში საუბარია ხელთუქმნელი ხატების ისტორიებზე (სამთავნელისა და მრეხელის ისტორია), რომლებიც ტექსტისათვის დართული ავტორისეული კომენტარიდანაც კარგად ჩანს, რომ არ შედიოდა იოანე ზედაზნელის „საქმენში“ (იხ. გამოკვლევა „ხელთუქმნელი ხატები“).

უკვე აღვნიშნე, რომ იოანე ზედაზნელის გარდაცვალებას, სინური რედაქციის მიხედვით, მოჰყვება ქვეთავი ზედაზნელის სასწაულების შესახებ: „სასწაულნი ნეტარისა იოვანე ზედაზადნელისანი“. აქ მოთხრობილია ხუთი სასწული, თუმცა ხელნაწერში ცალკე ნუმერაციით გამოყოფილია პირველი, მეოთხე და მეხუთე სასწაული. ცხადია, დანარჩენი სასწაულებიც დანომრილი იქნებოდა არქეტიპში, ხოლო ჩვენს გადამწერს ან მის წინაპარ გადამწერებს ისინი გამორჩენია. ხუთივე ეს სასწაული (1. წყაროს აღმოყვანება; 2. დათვის ისტორია; 3. ლრეკილის განკურნება; 4. ეშმაკეულის განკურნება; 5. ეშმაკთა განდე-

ვნა) საერთო ჯამში არის იოანე ზედაზნელის ცხოვრების მეტაფრასულ რედაქციებში, ოლონდ დანომვრის გარეშე, განსხვავებული თანმიმდევრობითა (1. ეშმაკთა განდევნა; 2. წყაროს აღმოყვანება; 3. დათვის ისტორია; 4. ღრეკილის განკურნება; 5. ეშმაკეულის განკურნება) და განსხვავებული მოცულობით.

რომელ თანმიმდევრობას შეიძლება მივანიჭოთ უპირატესობა?

სინურ და გვიანდელ რედაქციებში წარმოდგენილ სასწაულთა თანმიმდევრობას საკუთარი ლოგიკური განვითარება აქვს. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ სინურ ხელნაწერში და, შესაბამისად, მის დედანშიც სასწაულები დანომრილი იყო, არქეტიპის აღდგენისას უპირატესობა ისევ სინურ რედაქციას უნდა მიენიჭოს.

სინურ ხელნაწერში დაცული ტექსტი დედანს რომ არ წარმოადგენს, ბევრჯერ აღვნიშნე, ვფიქრობ, ის მრავალჯერ გადაწერილი ტექსტის ერთ-ერთი ნუსხა უნდა ყოფილიყო. ამას ადასტურებს სინურ ტექსტში ენობრივად და შინაარსობრივად გაუმართავი ადგილები, რომელთა ნაწილიც შეიძლება კონკრეტულად სინური ხელნაწერის გადამწერის გადაწერის შეცდომები იყოს, ნაწილი კი უშუალოდ სინური ხელნაწერის დედნიდან მომდინარეობდეს.

იოანე ზედაზნელის გარდაცვალების ამბავი ასრულებს ერთ-ერთ ქვეთავს „ლოცვანი და შრომანი და კურნებანი ნეტარისა იოვანე ზედაზადნელისანი“. ტექსტის ამ ნაწილს პარალელი არ ეძებნება „იოანე ზედაზნელის ცხოვრების“ არც ვრცელ C და არც მოკლე L რედაქციებში. ტექსტის მიხედვით, მიუხედავად იოანე ზედაზნელის სურვილისა, მისი ნეშტი გარდაცვალების შემდეგ თათა მონაზონმა და ელია დიაკონმა სხვა მონაფეებთან ერთად თათას მიერ აშენებულ მონასტერში გადაასვენეს. ამ თხრობას სინურ ხელნაწერში მოსდევს სიტყვები, რომელთაც ამბობს თათა მონაზონი – *„და ვითარცა პირველმან მან რჩეულმან მონაზონმან თათა: „სიტყუაჲ მიგჴადო წინაშე ქრისტჱსსა, უკუეთუ მისცეთ გუამი ჩემი სოფლად“, ეგრეცა ამის ნეტარისა ნაწილნი ვიდრე შიდა მონასტერსა იყუნეს, სასწაულნი და ძრვანი და გუემანი მრავალნი იყოფოდეს..“.* შინაარსი ცხადად აჩვენებს, რომ ეს ფრაზა არქეტიპში იოანე ზედაზნელს ეკუთვნოდა და არა თათა მონაზონს, რადგან ტექსტში საუბარია სასჯელზე, რომელიც წმინდა მამის სურვილის წინააღმდეგ წასვლას მოჰყვებოდა შედეგად.

სინური ხელნაწერის დედნისეულ შეცდომად შეიძლება ჩაითვალოს ოცდამეშვიდე პარაგრაფის ბოლო წინადადებაც. პარაგრაფი შიოს შესახებ მოგვითხრობს და სრულდება ფრაზით, რომელიც არანაირ კავშირში არ არის წინამავალ ტექსტთან: „და ესრჱთ მისვე ნათლისაგან გამობრწყინებული გამოჩნდებოდა ესერა სიტყჳთა მოძღუარი უძიროთა ფილაფოზთაებრ ჴელოვნებით, ვითარცა ნაყოფი უდაბნოჲსაჲ, სასწაულთა მიერ და საკჳრველებათა, რომელთა აღასრულებდა და გამობრწყინდებოდა ყოველთა კიდეთა, ***და მოულო და სასოებისა განმზადებულისა მის ცხორებისასა (!)***".

ტექსტის ეს ფრაგმენტი სხვა შინაარსის შემცველია და აქ უადგილოდ არის მოტანილი. სამწუხაროდ, სინური ტექსტის გამართვის საშუალებას არ გვაძლევენ გვიანდელი რედაქციები, რადგან Ⴑ რედაქცია ამ ნაწილში ნაკლულია, Ⴒ რედაქცია კი მთელს ამ თხრობას მოკლედ წარმოგვიდგენს.

ტექსტოლოგიური თვალსაზრისით, ძალიან საინტერესოა „ღრეკილის" განკურნების სასწაული (იხ. §§ 17, 18, 19). სამწუხაროდ, ეს ნაწილი „იოანე ზედაზნელის ცხოვრების" Ⴑ რედაქციას აკლია, Ⴒ რედაქციაში კი მოკლედ არის მოთხრობილი. სინური ხელნაწერის ამ სასწაულში, ერთი შეხედვით, სრულიად უადგილოდ არის ჩართული ოთხთავისეული „ლაზარესა და მდიდრის" იგავის თავისებული ვერსია (§18), რასაც პირველ პირში ნათქვამი ტექსტი მოსდევს (§19). ეს ტექსტი შეიძლებოდა იოანე ზედაზნელის „საქმეთა" ავტორისეულ კომენტარად მიგვეჩნია, მაგრამ სრულიად აშკარაა, რომ როგორც იგავი, ისე ამ ორ პარაგრაფში (§§18-19) მოცემული ტექსტი იოანე ზედაზნელის პირდაპირ ნათქვამს წარმოადგენს და სინური ხელნაწერის დედნიდან უნდა მომდინარეობდეს, რომელიც აშკარად უფრო ვრცელი იყო, ვიდრე მისი სინური ნუსხა.

„17. შემდგომად ამისა მოართუეს მთად ღრეკილი ... ევედრებოდა იგი დაღებულითა მით ჴმითა თჳსითა: „შემიწყალე, მე, წმიდაო ღმრთისაო...". 18. ხოლო ნეტარსა იოვანეს დაღაცათუ მძიმე უჩნდა საქმჱ ესე მის მიერ, არამედ მოჴსენა მდიდრისაჲ მის და ლაზარჱს იგავი და რაჲთა არა უნაწილე ყოს მოღებულისა ქრისტჱს მიერ მადლისა და კუალად, რომელსა იგი პავლე იტყჳს: „თქუენ, ძლიერთა მაგათ, უძლურებანი იგი უსუსურთანი იტჯრთენით". მაშინ რქუა მას:

„განგკურნებს შენ უფალი ჩუენი იესუ ქრისტე“. და მუნქუესვე იქმნა ცოცხალ ... ჰმადლობდა თჳსსა მას კეთილისმყოფელსა, ჰხედვიდა იგი თავსა თჳსსა, ვითარ მსწრაფლ განიკურნა, უკჳრდა, აკურთხებდა და ადიდებდა ღმერთსა.

„მოვიდა ლაზარე მდიდრისა მის, არა უწყალოჲსა, ფრიად განთქუმულისა, რომელი განმდიდრებულ იყო ღმრთეებითა და ითხოვდა მისგან წყალობასა ზეაღსრულისა მის კაცისაგან ქუემდებარჱ იგი, და ფრიადისა მოღებულისაგან ნაბიჭნევისა ეძიებდა. ხოლო მან ძლიერისა მის სახელისაგან უფლისა იესუ ქრისტჱსა მდიდრად მოღებული უხუებული მოჰმადლა და აჩუენა თჳსი დამბადებელი მის თანა.

19. ჲ განრღუეულო, რაჲსა გიკჳრს, რამეთუ წიაღსა აბრაჰამისსა მოხუედ? ხოლო მას წიაღსა მარადის უხრწნელებაჲ აქუს და არა შეჲწყნარების მუნ უძლურებაჲ იგი წიაღ, მფუფუნებელ არს დამაშურალთა და ენატრების მდიდართაგან, ხოლო მიცემულ არს გლახაკთაგან. არამედ წარვედ და უჩუენე თავი შენი მღდელსა და შეწირენ კეთილნი საქმენი შენნი განწმედისა შენისათჳს“. ხოლო იგი წარვიდა და თჳსსა მას მკურნალსა მიმოსდებდ“.

დედნისეულ შეცდომად უნდა ჩათვალოს სინური ხელნაწერის ორმოცდამეორე პარაგრაფის ფრაგმენტიც – „და ვითარ განშუენებულ არიან ყოველნი ადგილნი ამათ წმიდათანი და ყუავიან დღეს. ***უკუეთუმცა ვის უხილავს იგი მათი იგი კადნიერებაჲ წინაშე ღმრთისა თჳსსა ადგილთა მათგან“.*** ტექსტი გრამატიკულად გაუმართავია და ამ ბუნდვანებას ასწორებს „აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის“ C რედაქციისათვის დართული ე.წ. ეპილოგი[1]: *„და ვითარ-იგი განშუენებულ არიან ყოველნი ადგილნი მათ წმიდათანი და ყუავიან დღეს,* ***უკუეთუმცა ვისმე უხილავი იგი მათი დიდებაჲ არა ჰრწმენა, ვითარ გულისჴმა-ყოსმცა მათი იგი კადნიერებაჲ წინაშე უფლისა ადგილთა მათთაგან?!“***

„იგი მათი დიდებაჲ“ და ***„მათი იგი კადნიერებაჲ“***-ს შორის გადამწერმა გამეორებული „იგი“-ს გამო ამ ორ ლექსემას შორის არსებული ტექსტი გამოტოვა. ეს შეცდომა დაუშვა არა სინური ხელნაწერის, არამედ მისი დედნის გადამწერმა, რადგან სინურ რედაქციაში უკვე ჩანს მცდელობა ტექსტის გასწორებისა და ასე აღმოჩნდა *„უკუე-*

[1] ე.წ. ეპილოგის შესახებ იხ. გამოკვლევა, 178-180.

*თუმცა ვისმე **უხილავი იგი მათი დიდებაჲ**“*-ს ნაცვლად *„უკუეთუმცა ვის **უხილავს იგი მათი იგი კადნიერებაჲ**“*, სადაც ორი „იგი“-დან ერთი აშკარად ზედმეტია.

ამ ტიპის შეცდომების გარდა, ტექსტში გვაქვს ისეთი „ლაფსუს-კალმებიც“, რომლებიც სინური ხელნაწერის გადამწერის შეცდომა უნდა იყოს. მაგალითად, ოცდამეერთე პარაგრაფის ბოლოს მოცემულია ციტატა იოანეს სახარებიდან: *„რომელსა ჰრწმენეს ჩემდა მომართ, **საქმეთა ძალითა** მე ვიქმ, ქმნეს. უფ[რ]ოჲსი ამისსა ქმნეს“* (შდრ. იოანე 14:12). სრულიად აშკარაა, რომ ტექსტში „ძალითა“ (ძლთა) არასწორად ამოკითხული დაქარაგმებული „რომელთაა“ (რლთა), რასაც ადასტურებს კიდევაც „იოანე ზედაზნელის ცხოვრების“ Ⴒ რედაქცია: *„რომელსა ჰრწმენეს ჩემდამო, **რომელსა** მე ვიქმ, მანცა ქმნეს და უფროჲს ჩემსა ქმნეს“*. ამ ვარაუდის ირიბ მტკიცებულებას იოანეს სახარების ადიშის ოთხთავისეული წაკითხვა წარმოადგენს: *„რომელსა ვჰრწმენე მე **საქმეთა** მათ **რომელთა** მე ვიქმ, იგიცა იქმოდის..“*.

სინურ ხელნაწერში იოანე ზედაზნელის გარდაცვალება ორჯერ არის მოთხრობილი: პირველად, მოკლედ, პირველი თავის დასასრულს, შემდეგ კი ცალკე სათაურით გამოყოფილ ქვეთავში („გარდაცვალებაჲ ნეტარისა მის იოვანე ზედაზადნელისაჲ“). მცირე ქვეთავის ნაწილობრივი დამთხვევა „იოანე ზედაზნელის ცხოვრების“ Ⴒ რედაქციასთან აჩვენებს (Ⴑ რედაქცია ამ ადგილას ნაკლულია), რომ მათ საერთო არქეტიპი უნდა ჰქონოდათ. ამასვე ადასტურებს ორივე რედაქციაში დაცული ცნობა ზედაზენზე კლემენტოზ კათალიკოსის მიერ ეკლესიის აშენების შესახებ. ტექსტების შედარებიდან ჩანს, რომ სინური ხელნაწერის გადამწერი (ან წინა გადამწერები) ცუდად იწერს ტექსტს. გამოტოვებულია ისტორია „ძვრის“ შესახებ, რომელიც იოანეს ნეშტის თათას მონასტერში გადასვენებას მოჰყვა. ტექსტში არაფერია ნათქვამი წმინდანის ნაწილების უკან, მის სამოღვაწეო ადგილას დაბრუნებაზე, სამაგიეროდ თხრობა შემდეგნაირია: „არამედ ვიდრე ქუემო-ღა იყუნეს ნაწილნი იგი წმიდისა იოვანეჲსნი, **იქმნებოდეს** ფერად-ფერადთა სენთა განკურნებასა. დღესცა ძუალთა მათ მის მართლისათა, რომელნი სარწმუნოებით მოვლენ საფლავსა მისსა, მიჲღებენ კურნებასა“. ამ კონტექსტში ზმნის პირიანი ფორმა („იქმნებოდეს“) არასწორად არის გამოყენებული – „იქმნებოდეს ფერად-ფერადთა განკურნებათა“, რაც

ტექსტის ნაკლულობაზე მიუთითებს, სავარაუდოდ, უნდა ყოფილიყო „იქმნებოდეს ძრვანი", რასაც იოანეს წმინდა ნაწილების უკან, მთაზე გადასვენება უნდა მოჰყოლოდა, შემდეგ კი წმინდანის ნაწილთა მიერ განკურნების სიუჟეტი – „[ნაწილნი – ზ.ა.] იქმოდეს ფერად-ფერადთა განკურნებათა". აშკარაა, რომ სინურ ხელნაწერში ტექსტი გამოტოვებულია „იქმნებოდეს" – „იქმოდეს" ლექსემათა მსგავსების გამო.

სინურ ტექსტში გადამწერის მიერ ბევრი შეცდომაა დაშვებული (გამეორებული ფრაზები, გამოტოვებული სიტყვები), რომლებიც აისახა კიდევაც გამოცემაში სათანადო მითითებით: „არამედ ზედა სასანთლესა <რაჲთა ჰნათობდეს სასანთლესა>, რაჲთა ჰნათობდეს კაცთა...".; „თუ რაჲ არს, ეგრეჲთვე ნეტარისა <ნეტარისა> იოვანჱსი...". „მიუთხრობელი სატანჯველი<ლი>...". და სხვ.

სინური ხელნაწერის აღმოჩენამ სიცხადე შეიტანა „იოანე ზედაზნელის ცხოვრების" გვიანდელი რედაქციების ურთიერთმიმართების საკითხშიც.

ტექსტოლოგიურმა კვლევამ დაადასტურა, რომ სინური ტექსტი რედაქციულად გაცილებით უფრო ახლოს დგას „იოანე ზედაზნელის ცხოვრების" Ⴑ რედაქციასთან. ამას მოწმობს მრავალი თანმხვედრი ადგილი ორივე ტექსტში, რომლითაც ისინი უპირისპირდებიან Ⴒ რედაქციას და მის ადრეულობას გამორიცხავენ (იხ. შედარებითი ცხრილები). ამასვე უნდა ადასტურებდეს ისიც, რომ ორივე რედაქციის (სინური და Ⴑ რედაქციების) საშუალებით შესაძლებელი ხდება თითოეულ ტექსტში გადამწერების მიერ დაშვებული შეცდომების (არასწორი ამოკითხვა, ტექსტის გამოტოვება და ა.შ.) გასწორება. მაგალითად, ტექსტში დათვის სასწაულთან მოტანილი ბიბლიური ალუზია დანიელ წინასწარმეტყველის შესახებ იოანე ზედაზნელის ცხოვრების Ⴑ რედაქციაში შემდეგი სახით გვხვდება: „მიხედ[ვ]ენ და ***ნათელსა***. რომელი-იგი ჯურღმულსა შორის მჭეცთასა შთავარდა და პირი დაუყო პირველითგან საზრდელ-მოკლებულთა...". ცხადია, „და ნათელსა" არასწორად ამოკითხული „დანიელსა" უნდა იყოს (დნლს/დნთს). ამას მოწმობს სინური ტექსტის წაკითხვაც: „მაშინ მო-ღა-ჰხედე ***დანიელს***, რომელი-იგი ჯურღმულსა მას ლომთა მათ შორის შთავარდა და პირი დაუყო პირველით საზარდელ-მოკლებულთა...".

სინურმა ტექსტმა ნათელი მოჰფინა ერთ გაუგებარ სიტყვას, რომელიც „იოანე ზედაზნელის ცხოვრების“ Ⴑ რედაქციაში გვხვდება: „ქებულ არს შური – სიყუარული იგი სიკუდილისათჳს, ესე ცხორებისათჳს მჴსნელ და ***აღჭექილებ*** (!)..“. სინური ხელნაწერის პარალელურმა ტექსტმა გაასწორა გადმოწერის შეცდომა: „ქებულ არს შური, ვითარცა სიყუარული იგი სიკუდილისათჳს, და ესე ცხორებისა მჴსნელ, და იგი ***ქლიბ***..“. შეცდომა დაშვებული უნდა იყოს ნუსხური გრაფიკის არასწორად ამოკითხვის გამო: „იგი ქლიბ“ – იგის პირველი „ი“ გადამწერმა „ა“-დ წაიკითხა, „გ“ გრაფემა „ჭ“-დ, მეორე „ი“ გრაფემა „ე“-დ და ამგვარად მიიღო გაუგებარი „აღჭექილებ“.

„იოანე ზედაზნელის ცხოვრების“ Ⴑ რედაქცია, თავის მხრივ, საშუალებას გვაძლევს გავასწოროთ სინური ტექსტის არასწორი წაკითხვები: „და ჩუენ მჴეცთა უბოროტჱსად გამოვჩნდებით ***ყოფითა***, მათ მარადის აღმოვიკითხავთ და მოცემულნი იგი მცნებანი გუესმიან...“. Ⴑ რედაქციაში ტექსტი გაცილებით უკეთ არის გამართული: „და ჩუენ მჴეცთა უბოროტესად აღმოვჩნდით, ***ყოფილთა*** მათ შორის აღმოვიკითხავთ და მოცემულნი იგი მცნებანი გუასმიან...“.

ტექსტში დანიელ წინასწარმეტყველს, მისი სულიერი სიმტკიცის საჩვენებლად, ავტორი ანდამატის ქვას ადარებს, თუმცა სინურში დაშვებულ შეცდომას – „მათ შორის ვითარცა ქვაჲ ადამანტი[ს]აჲ ***განტეხილი*** ჲდვა...“., Ⴑ რედაქცია ასწორებს: „მათ შორის ვითარცა ქვაჲ ანდამატისაჲ ***განუტეხელი*** იდვა...“.

თავისი ექსკლუზიური შეხვედრები სინურ ტექსტს „იოანე ზედაზნელის ცხოვრების“ Ⴓ რედაქციასთანაც მოეპოვება. ამის კარგი მაგალითია იოანე ზედაზნელის სასწაულების ბოლოს დართული შემაჯამებელი ტექსტი, რომელიც თითქმის იდენტურად არის წარმოდგენილი ორივე (სინურ და Ⴓ) რედაქციაში (იხ. შედარება). თუმცა ეს თანხვედრები Ⴑ რედაქციის ადრეულობის საკითხს Ⴓ რედაქციასთან მიმართებით არ ცვლის.

წარმოვადგენ სინური რედაქციის ტექსტს შესაბამისი პარალელებით Ⴑ და Ⴓ რედაქციებიდან განსხვავებული ადგილების მითითებითა და შენიშვნების სახით მცირე კომენტარებით:

N/Sin.geo-50	Ⴑ რედაქცია	Ⴓ რედაქცია
5. ესე ნეტარი იოვანე იყო *ნათესავით ასური,* ქუეყანით შოვამდინარით, *რომელ არს ასურეთისაჲ,* წინამძღურებითა სულისა წმიდისაჲთა *მოჲვლინა* ქართლდ	ესე ნეტარი იოვანე იყო ქუეყანით შუამდინარით, *და* წინამძღურებითა სულისა წმიდისაჲთა *მოწოდნა* ქუეყანასა ქართლისასა, მახლობელად *დედა-ქალაქსა* ამას ჩუენსა მცხეთას, რომელმან განუკუთნა თავი თჳსი სიყრმითა თჳსითგან ქრისტესა.	ესე ნეტარი მამაჲ ჩუენი იოვანე იყო ქუეყანით შუამდინარით *კერძოთაგან ანტიოქიისათა. ხოლო* წინამძღურებითა სულისა წმიდისაჲთა *მოიწია* ქუეყანასა ამას ქართლისასა, მახლობელად წმიდასა *დედა-ქალაქსა* მცხეთასა.
აგებული დიდითა სიმრავლითა წმიდათაჲთა, რომელთა თანა აქუნდა ნაწილი – ძუალები მარტჳლთაჲ და მოწაფენიცა მრავლად თანა ჰყვანდეს და იგინიცა მადლითა სავსე იყუნეს ჭეშმარიტნი მქადაგებელნი, რამეთუ ქართლი ახალნერგ იყო ქრისტეანობასა და მთასა ამასცა სასწაულითა და ღმრთისა მიერ ჩუენებითა მოემართა.	... ხოლო რომელნი-იგი წარმოეყვანნეს თანა მოსლვასა მისსა წმიდასა იოვანეს *წმიდათა მოწამეთა ნაწილნი ურიცხუნი ფრიად, აქუნდეს იგინი წინაშე თუალთა მისთა,* უფროჲს ყოველთა საფასეთა ხედავნ მათ, ვითარცა გუნდთა მრავალთა გარე მოდგომილთა მისა. და ესვენ და ნუგეშინის- ცემულ არიან მათ მიერ; და ნანდჳლვე დიდნი იგი საფასენი ყოველთა თუალთა უპატიოსნესნი, ძუალნი მოწამეთანი, მჴნეთა მჴედართანი, ღუაწლსა შინა უძლეველნი, რომელთა დასთხიენეს სისხლნი მათნი მისთჳს, რომელმან-იგი თჳსითა სისხლითა მოგჳყიდნა ჩუენ ზღუდენი კაცთა ნათესავისანი. ჭირვეულ თუ ვინმე არნ, მათდა მიიელტინ, მოხარული მათვე მიირბიეს (!) ევედრებიედ მათ ჴმელისანი და ზღჳსანიცა.	... ხოლო წმიდასა მამასა იოვანეს *წარმოეტანნეს ქუეყანით თჳსით ნაწილნი წმიდათა მოწამეთანი.* და წარგზავნასა მას მოწაფეთა მისთასა მისცა ნაწილთა მათგან, რაჲთა მათითა მადლითა იცვებოდიან ყოველთაგანვე საფრჴეთა ეშმაკისათა.

ხოლო მამასა იოვანეს წინაშე ეპყრნეს ნაწილნი იგი წმიდათანი, ვითარმცა ხედვიდა დღესა მას ღუაწლისა მათისასა, ეგრეთ ზრახავნ მათ და განიცდინ თითოეულისა სატანჯველთა გონებითა თჳსითა. ყოველთა დღეთა ეწამებინ და შრომათა თჳსთა შემატებნ, ევედრებინ მათ და ამბორს-უყოფნ სურვილითა დიდითა. ოდესმე წარავლინებდა მოწაფეთა თჳსთა, მისცა მათ ნაწილთაგანი წმიდათა მოწამეთაჲ, რაჲთა აქუნდეს საფარველად თავისა მათისა და ეკლესიათაცა აღაშენებდენ სახელითა მათითა თჳთოეულისა საყოფელთა, რომელთა განემზადებოდის მადლისაგან ღმრთისა.

და დაიმჭირნა თავისაცა თჳსისა თანა, რაჲთა ყოველადვე მათ მიხედვიდეს და გონებითა მათ თანავე იწამებოდის ყოველსა ჟამსა და იგინი აქუნდენ ნუგეშინის-საცემელად სულისა და ჴორცთა.

და დაემკჳდრა დამართებულად ცხოველსა ჯუარსა მცხეთისასა, განშორებულად ერთი ოდენ ფრასახით. და იყოფოდა წუერსა ზედა მთისასა მარტოდ ცხორებით.და აქუნდა ერთი ნეტარი დეაკონი, სახელით ელია, და იგიცა სათნოებითა შემკულ იყო. [1]

[1] იოანე რომ ნათესავით ასურია, აქვს მხოლოდ სინურ რედაქციას. იგი აზუსტებს ზედაზნის ადგილსაც: მცხეთის ჯვრიდან დაახლოებით ერთი ფრასახის დაშორებით. იოანეს მიერ თან წამოღებულ სიწმინდეებზე სამივე რედაქციაშია საუბარი, სინური ლაკონურია და აერთიანებს: ნაწილების წამოღებას, მოწაფეთა წამოყვანასა და მიზანს – „რამეთუ ქართლი ახალნერგ იქმნა ქრისტიანობასა“. Ⴊ რედაქცია ამ ნაწილში Ⴑ რედაქციაზე ან მის მსგავს ტექსტზე ჩანს დამოკიდებული. ელია დიაკონს სინური რედაქცია თავიდანვე ახსენებს მაშინ, როდესაც სხვა ტექსტებში იგი გვიან ჩნდება.

N/Sin.geo-50	Ⴑ რედაქცია	Ⴒ რედაქცია
შენებაჲ არა ჲნება, არამედ ჩუეულ ვითარცა არს ჩუეულებაჲ უდაბნოჲს მყოფთაჲ, კლდეთა ქუეშე და ხურელთა იწროებითა იყოფ[ო]და.	*ხოლო* შენებაჲ არა ინება მას ადგილსა, არამედ ვითარცა არს წესი მარტოდ მყოფობისაჲ, იყოფვოდა; ნაპრალსა მას კლდისასა *ეპოვნა ქუაბი მცირე,* რომელსა შინა აღასრულა მწირობაჲ სარწმუნოჲსა ამის ცხორებისა[ჲ]...	*ხოლო* შენებაჲ ადგილისაჲ მის არა ინება, არამედ მარტოდ მყოფობაჲ აღირჩია, რამეთუ *პოვა მუნ ქუაბი რაჲმე მცირე* და მუნ შინა აღასრულა მწირობაჲ მისი.

პირველი სასწაული

N/Sin.geo-50	Ⴑ რედაქცია	Ⴒ რედაქცია
9. ამან ნეტარმან იოვანე ზედაზადნელმან ქრისტჱს მიერ ლოცვითა მისითა წყაროჲ გამოადინა შუენიერი ტკბილი და წმიდაჲ, რამეთუ მთაჲ ესე ურწყული იყო, რომელი დღეს დის მოუკლებლად და რომელთა წარაქუს ევლოგიად, ფრიად სარგებელ ეყოფვის.	რამეთუ მთაჲ ეს[ე] პირველ ურწყული იყო და ყოლადვე ვერ საპოვნებელ წყალი გარემო[ჲ]ს მისა, დაღათუ მრავალი ღონისძიებაჲ იყო პირველთა მათ გოდოლსა შინა მყოფთა წარმართთაჲ, რამეთუ ვერ შემძლებელ იყვნეს წყლისა აღმოყვანებად ფიცხელითა თხრითა ჴმელსა მას ქუეყანასა.	*ხოლო* მთაჲ იგი იყო პირველ ურწყული და

Ⴑ რედაქცია	Ⴒ რედაქცია
ხოლო ნეტარი იოვანე ხედვიდა თუსისა მის მოწაფისა შრომათა დიდთა, ვითარ-იგი აღიკიდის წყალი ძირით მის მთისაჲთ და აღიღის საჴმარად მის ბერისათჳს. რამეთუ არს ადგილი იგი ყოვლით კერძო აღსავალი ფიცხელ და აღმართი გრძელ.	წმიდაჲ იოვანე ხედვიდა მოწაფისა მის ფიცხელთა შრომათა და ოფლთა, რამეთუ აღიკიდის წყალი ძირისა მისგან მთისა და მოართჳს საჴმარად ბერსა.
და შეეწყალა ბერსა მოწაფე იგი თუსი ელია, ილოცვიდა და ევედრებოდა უფალსა თუსსა, რაჲთა მოსცეს მას წყალი მახლობელად.	შეეწყალა და ცრემლით ევედრა ღმერთსა, რაჲთა აღმოუცენოს წყალი მაღალსა მას ქედსა ზედა.
მაშინ რომელმან მოსცა წყალი უდაბნოსა ერსა თუსსა ისრაელსა ჴელითა მოსესითა, მონისა თუსისაჲთა, და გამოუტევნა მდინარენი კლდისაგან ჴმელისა ცემითა კუერთხისაჲთა, ***განარინნა*** ათორმეტნი ნათესავნი, ძენი ისრაელისანი, ბანაკი დიდი იგი დიდი არა ერთგზის, ანუ ორგზის, არამედ მრავალგზის, ვითარცა იტყჳს პავლე მოციქული: „რამეთუ სუმიდეს იგინი სულიერისა მისგან კლდისა, რომელსაცა შეუდგეს, ხოლო კლდე იგი იყო ქრისტე“. კლდე იგი სახე ქრისტესი იყო და კუერთხი იგი – აჩრდილი ჯუარისაჲ. და რამეთუ ნეტარიცა იგი ყოლადვე შეუდგა ქრისტესა, რომელმან ისმინა ლოცვაჲ მისი,	ხოლო ძუელ ოდესმე, რომელმან მოსცა წყალი ისრაჱლთა უდაბნოს მოსეს მიერ, მონისა თუსისა, და კლდესა ჴმელსა გამოეცნეს წყალნი, და ***განაძღნა*** ათორმეტნი ნათესავნი, მანვე სახიერმან ღმერთმან შეისმინა ვედრებაჲ წმიდის მის ბერისაჲ და ჴმელსა ქუეყანასა მთასა მას ზედა აღმოუცენა წყალი ტკბილი და გრილი,

Ⴑ რედაქცია	Ⴒ რედაქცია
და იყო მეყსეულად ვედრებასა მისსა ადგილსა მას, სადა ჯუარი ქრისტესი აღემართა, და ვითარცა კუერთხისა მის წილ მოსესისა ჯუარითა მით სცა ჴმელსა მას ქუეყანასა, რომელი არავის ეხილვა ყოლად წყალი მუნ, და გამოჴდა წყალი ტკბილი, გრილი და ფრიად შუენიერი მდიდრად, ***რომელი დღეს დის მყოფთათჳს მის მონასტრისათა*** და არა ხოლო თუ მათ კმაეყოფვის, არამედ სიმრავლისათჳს დიდძალისა.	***რომელი მოაქამომდე დის*** სადიდებელად ღმრთისა მამისა და ძისა და წმიდისა სულისა.
და ვითარცა იქმნა სასწაული ესე დიდი, მოვიდეს ყოვლით კერძო ხილვად, რამეთუ იცოდეს გარემო[ი]ს მკჳდრთა მათ, ვითარმედ წყალი არა იყო ადგილსა მას. ხოლო მადლითა მის წმიდისა[ი]თა წყაროჲ იგი იქმნა არა თუ სამსახურებელად, არამედ კურნებანიცა მრავალნი იქნებოდეს. მოაქუნდა უძლურები ფერად-ფერადი და ეშმაკეულები, და რაოდენნი იცხებდეს მის წყარო[ი]საგან, განიკურნებოდეს. და წარაქუნდა იგი შორად სოფლად. ხოლო რომელნი სარწმუნოებით მოვლენ, დღენდელად დღედმდე სარგებელ ეყოფვის.	და ვითარცა იქმნა სასწაული ესე და განითქუა მათ მიერ, რომელნი გარემოჲს მთასა მას მკჳდრ იყუნეს, რამეთუ ყოველთა იცოდეს, ვითარმედ არა იყო წყალი ყოლად მთასა მას, ამისთჳსცა მოვიდოდეს ყოვლით კერძო და მოაქუნდა უძლურები, და სჳან რაჲ და იცხიან, ყოველნი განიკურნებოდეს. და რომელნიცა სარწმუნოებით მოვლენ, ვიდრე აქამომდეცა სარგებელ ეყოფვის.

N/Sin.geo-50	Ⴑ რედაქცია	Ⴒ რედაქცია
10. და ვითარ განამრავლებდა უფალი მის მიერ სასწაულებსა მას, და განჴდა ***ჰამბავი*** მისი ქუეყანასა ქართლისასა, და გამობრწყინდა იგი, ვითარცა ცისკარი განთიადისაჲ, რომელმან ფარულად ადიდა ღმერთი, მის მიერ განავრცნა წიაღნი მისნი, დაეტია ნათელი იგი დიდი, მაღლით მოვლინებული,	...და ვითარ განამრავლებდა უფალი მის მიერ სასწაულებსა მას, განჴდა ***ამბავი*** მისი ქუეყანასა ქართლისასა და გამოუბრწყინდა ვითარცა მთიები განთიადისა[ჲ], როელმან ფარულად ადიდა ღმერთი და მის მიერ განავრცნა წიაღნი მისნი და დაიტია ნათელი იგი დიდი მაღლით მოყვანებული,	...და განჴდა ჰანბავი მისი ქუეყანსა ქართლისასა,
რამეთუ ვერ შესაძლებელ არს, ვითარმცა ვინ აღანთო სანთელი და და|ფარა იგი ქუეშე ჴმირსა, არამედ ზედა სასანთლესა, რაჲთა ჰნათობდეს კაცთა, დაღა-ცა-თუ უნებნ მათ, რაჲთამცა დაფარნეს თავნი თჳსნი.	რამეთუ ვერ შესაძლებელ იყო, ვითარმცა ვინ აღანთო სანთელი და დაფარა ქუეშე ჴმირსა, არამედ ზედა სასანთლესა, რაჲთა ნათობდეს კაცთა. დაღათუ უნებნ მათ, რაჲთამცა დაფარნეს თავნი თჳსნი,.	რამეთუ ვერ შესაძლებლ არს, რომელმანცა აღანთო სანთელი და ქუეშე ჴმირსა დადგა, არამედ სასანთლესა, რაჲთა ჰნათობდეს კაცთა. დაღაცათუ ენება დაფარვაჲ თავისა თჳსისაჲ, ეგრეცა ვერ დაფარა,
ვითარცა მენელსაცხებლემან აღავსის შივშაგი სურნელითა და ***ჩადგის*** იგი სხუასა ჭურჭელსა და შეხჳის იგი კეთილად და აღჰკიდის იგი წარღებად ადგილსა, სადა ჰნებავნ, და ჰგონებნ მესურნელმ, ვითარმედ დაფარულად აქუს მას, ყოველთა, რომელნი მიეახლნიან, ეცემინ ***სინელმ*** იგი მის ***საცხებლისაჲ***. ესრმთვე კეთილნი საქმენი ვერ დაჲფარნიან, და-ღა-თუ არა ჰნე|ბავნ მოქმედთა მათ.	ვითარცა მენელსაცხებლემან რაჲ აღავსის შივშაგი სულნელითა და ***შთააგდის*** იგი სხუასა ჭურჭელსა და შეხჳის იგი კეთილად, ***და[ჰ]კიდის იგი წარღებად, სადაცა [ჰ]ნებავნ.*** და [ჰ]გონებნ მესურნელე იგი, ვითარმედ დაფარულად აქუს მას, ***ხოლო*** ყოველთა მათ, რომელნი მიეახლნენ, ეცემინ ***სისურნელე*** მის ***ნელსაცხებელისაჲ***. ესრეთვე კეთილნი საქმენი ვერ დაიფარნიან, დაღათუ არა [ჰ]ნებავნ მოქმედთა მათ	ვითარცა მენელსაცხებლემან რაჲ აღავსის შივშაგი ნელსაცხებელითა და ***შთადგის*** სხუასა ჭურჭელსა და შეხჳის და ჰგონებდის დაფარვად მისსა. ხოლო რომელნი მიეახლნიან, ეცის ***სულნელებაჲ ნელსაცხებელისაჲ***. ესრეთ ადიდა იგი ღმერთმან და ღმერთიცა იდიდებოდა მის მიერ.

N/Sin.geo-50	C რედაქცია	Ł რედაქცია
11. *და* დღესა ერთსა მსახური იგი მისი ნეტარი ელია დეაკონი *მივიდოდა* წყაროსა მას ღმრთივ-მოცემულსა, მოღებად წყლისა. დგა წყაროსა მას თანა დათვი მაღნარისაჲ დიდი და საშინელი ფრიად. და შეეშინა ნეტარსა ელიას, გარე-შეჰქცა და უთხრა დიდსა იოვანეს. ხოლო იგი მივიდა და ეტყოდა დათუსა მას: „უკუეთუ არა გისუამს წყალი იგი, სუ და ვიდოდე“. და შჯული დაუდვა მას და რქუა: „სახელითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსითა გეტყჳ, ნუმცა გაქუს ფლობაჲ ბოროტებად და ვნებად მათა, რომელთა შეემთხუეოდი კაცთა მთასა *ამას* ზედა“.	დღესა ერთსა მსახური იგი მისი ნეტარი ელია დიაკონი *მივიდა* წყაროსა მას ღმრთივ მოცემულსა მოღებად წყლისა. *და მუნ* დგა, წყაროსა მას თანა, დათუ მაღნარისაჲ დიდი და საშინელი ფრიად. და შეეშინა ფრიად ნეტარსა ელიას და გარე იქცა და უთხრა დიდსა იოვანეს. ხოლო იგი მოვიდა და ეტყოდა დათუსა მას: „უკუეთუ არა გისუამს წყალი ეგე, სუ და ვიდოდე“. და რჩული დაუდვა მას და [ჰ]რქუა: „სახელითა უფლისა ჩუენ[ისა] იესუ ქრისტესითა გეტყჳ, ნუღარამცა გაქუს ფლობაჲ ბოროტებად და ვნებად მათა, რომელთა შეემთხუეოდე კაცთა მთასა *მას* ზედა“.	*ხოლო* დღესა ერთსა *მივიდა* წყაროსა მას ზედა მოწაფე იგი მისი, რაჲთა მოიღოს წყალი. *და* ზედა დგა დათჳ დიდი. და შეეშინა და უკუნიქცა და უთხრა ბერსა. ხოლო ბერი მივიდა და ჰრქუა დათუსა მას: „უკეთუ არა გისუამს, სუ და წარვედ. და გეტყჳ: ამიერითგან ნუ ვის ავნებ კაცთაგანსა, რაჟამს შეგემთხჳოს კაცი მთასა *ამას* ზედა“.
12. და ვითარ მოჲღო ბრძანებაჲ ესე მჴეცმან მან ბერისაგან და განისწავლა არავისა ვნებად, წარემართა და ვითარცა მეგობარსა, ტკბილად მეტყუელსა, უკუმოჰხედვიდა, თავი მოედრიკა და ყუდროებით მორჩილებისა სახესა მას აჩუენებდა.	და ვითარ მოიღო ბრძანებაჲ მჴეცმან მან ბერისაგან, განსწავლა არა ვისა ვნებად, წარემართა და ვითარცა მეგობარსა ტკბილად მეტყუელსა უკუმოხედვიდა, თავი მოედრიკა და მყუდროებით მორჩილებისა სახესა აჩუენებდა.	და ეგრეთცა იქმნების აქამომდე, არა რას ავნებს დათჳ ყოლად. ხოლო ვითარცა ეს ჰრქუა ბერმან დათუსა მას, მორჩილ ექმნა ვითარცა მონაჲ, და თავ-დადრეკით და მყუდროებით წარვიდა.

N/Sin.geo-50	Ⴑ რედაქცია	Ⴒ რედაქცია
და ყოვლადვე არა იყო მწეცობრივი ბუნებაჲ და არცა სივლტოლაჲ, რამეთუ ცვალა თჳსი იგი სიბოროტჱ და გარდააქცია კეთილად. და ლოცვითა მის წმიდისაჲთა მოაქამდე რომელთა ***შეემთხუევის,***[2] ვითარცა ცხოვარი მშჯდი თანა წარჰვალს. და არა საკჳრველ არს ესე, რამეთუ იციან მწეცთა პატივ-ცემაჲ ***მმარხველთა.***	და ყოლადვე მწეცებრივი ბუნება[ჲ], არცა სივლტოლაჲ [ეჩინა][1], რამეთუ ცვალა თჳსი იგი სიბოროტე და გარდაიქცა კეთილად. და ლოცვითა მის წმიდისაჲთა მოაქამომდე რომელთა ***შეემთხუეოდა,*** ვითარცა ცხოვარი მშჯდი თანა-წარვალს. და არა საკჳრველ არს ესე, რამეთუ იციან მწეცთაცა პატივისა ცემაჲ, ***მმართებლთა***	
13. მაშინ მი-ღა-ჰხედე ***დანიელს,*** რომელი-იგი ჯურღმულსა მას ლომთა მათ შორის შთავარდა და პირი დაუყო პირველით საზარდელ-მოკლებულთა და ფრიად მშიერთა ლომთა, მათ შორის ვითარცა ქვაჲ ადამანტისაჲ ***განტეხილი*** ჲდვა და ყოვლადვე ვერ იკადრებდეს მიხედვად მისა მწეცნი იგი,	მიხედ[ვ]ენ და ***ნათელსა.*** რომელი-იგი ჯურღმულსა შორის მწეცთასა შთავარდა და პირი დაუყო პირველითგან საზრდელ-მოკლებულთა და ფრიად მშიერთა ლომთა, მათ შორის ვითარცა ქვაჲ ანდამატისაჲ ***განუტეხელი*** იდვა და ყოლადვე ვერ იკადრებდეს შეხებად მისა მწეცნი იგი,	ჭ ძმანო, რომელთა გესმის, გულისჴმა-ყავთ აწ საკჳრველებაჲ და დიდებაჲ ღმრთისაჲ, რამეთუ ვითარცა ძუელ ოდესმე ***დანიელ*** დაამდოვრნა მწეცნი მღჳმესა მას შინა მარხვისა მისთჳს, რომელი საღმრთოჲსა სჯულისათჳს დაიმარხა, და არა შეეხო ყოლად საზრდელსა ქალდეველთასა, ეგრეთვე ლოცვითა წმიდისა ამის მამისა ჩუენისაჲთა მშჯდ და უვნებელ იქმნეს მწეცნი მთისა მის მისისანი.

[1] სინურ რედაქციაში ზმნები დროში შეთანხმებულია („შეემთხუევის“ – „თანა-წარჰვალს“), Ⴑ რედაქციაში დროში შეთანხმება დარღვეულია („შეემთხუეოდა“ – „თანა-წარვალს“).

[2] Ⴑ რედაქციის ტექსტი დაზიანებული და აღდგენილია გამომცემლის მიერ. სინური ტექსტი ამ აღდგენის საშუალებას არ გვაძლევს.

N/Sin.geo-50	Ⴑ რედაქცია	Ⴒ რედაქცია
არამედ მოუჴდეს და *ჰლოშნიდეს* ფერჴთა მისთა. და ვითარცა იტყოდეს: „ესე არა იგი ჴორცნია, რომელნიმცა ჩუენ საზრდელ გუექმნა?“ ვინაჲთგან არა თავს-იდვა მან ტაბლისაგან სამეუფოჲსაჲ სანოაგეთა გემოჲს-ხილვაჲ, გარნა თესლსა ხოლო. ამან სამთა შჳდეულთა პური არა ჭამა და წყალი არა სუა. ჯერ არს ჩუენდა, რაჲთა ვისწაოთ მმარხველისა პატივის-ყოფაჲ.	არამედ მოუჴდეს და *ლოშნიდეს* ფერჴთა მისთა. და ვითარცა იტყოდეს, ესე იგი ჴორცნი არა არიან, რომელნიცა ჩუენ საზრდელ გუექმნეს, ვინაჲთგან არა თავს-იდვა მან ტაბლისაგან სამუფოჲსა სანოვაგეთა გემოჲს-ხილვაჲ, გარნა თესლსა ხოლო. ამან სამთა შჳდეულთა პური არა ჭამა და წყალი არა სუა. ჯერ-არს ჩუენდა, რაჲთა, ვისწავლნეთ მმარხველთა იგი პატივისა პყრობაჲ.	
14. ხოლო ნეტარმან მან ბერმან ფიცხლითა მარხვისა შრომისაჲთა არა თავისა თჳსისაგან ხოლო განეყენა[1] მჴეცი იგი ჴორცის მჭამელი, არამედ ვითარცა მოციქული წარავლინა თჳსთა მიმართ მოყუასთა მთასა მას, და არა ხოლო მოყუასთა, არამედ ნაშობის ნაშობთა მათთა ნათესავთა, რაჲთა არავის ავნონ. და მცნებაჲ იგი აღჳრ-ექმნა მათ პოლოტიკ, და კბილნი მათნი მოალბნა და ჰგიან ვიდრე დღენდღელად დღედმდე მთასა მას და არა ავნებნ.	ხოლო ნეტარმან მან ბერმან თჳსითა ფიცხელითა შრომითა მარხვისა[ჲ]თა არა თავს-იდვა, [რაჲთამცა] თჳსისაგან ხოლო განეყენა მჴეცი იგი ჴორცის მჭამელი, არამედ ვითარცა მოციქული წარივლინა თჳსთა მიმართ მოციქულთა, ნათესავთა და მოყუარეთა, რამეთუ ნაშობნი ნაშობთაცა მათთა ნათესავთა [...], რაჲთა არავის ავნონ. და მცნებაჲ იგი აღჳრ-ექმნა მათ პოლოტიკ, და კბილნი მათნი მოალბნა, და ჰგიან ვიდრე დღენდელად დღედმდე მთასა მას და არავის ავნებენ.	

[1] „განეყენა“ ფორმა სინურ რედაქციაში არასწორად არის გამოყენებული, რის გამოც წინადადება სინტაქსურად გაუმართავია, ამ გაუმართავ წინადადებას ასწორებს Ⴑ რედაქცია. ცხადია, სინურ ხელნაწერში შეცდომა ტექსტის გამოტოვებით არის გამოწვეული.

N/Sin.gec-50	Ⴑ რედაქცია	Ⴒ რედაქცია
15. მრცხუენინ და შევნუხდი, ესე-ღა მესმინ, ვიდრე მჴეცობრივსა მას ბუნებასა უტყუსა და უგუნურსა ესმეს სიტყუანი იგი წმიდათანი, და ჩუენ მჴეცთა უბოროტ[1]სად გამოვჩნდებით *ყოფითა,*[1] მათ მარადის აღმოვიკითხავთ და მოცემულნი იგი მცნებანი გუესმიან და ვნებად მოყუასთა ჩუენთა არა დავსცხრებით. დაყენებულ ვართ ჴორცისა ჭამისაგან და ჴორცთა მოყუსისა ჩუენისათა დავსცოხნით, მჴეცთა მათ თუ ვემსგავსენით და არა ვიქმნეთ მჭამელ კაცთა. მოგჳლებიეს მცნებაჲ ღმრთისაგან, რაჲთა შევიყუაროთ მოყუასი ვითარცა თავი თჳსი. ხოლო ჩუენ ***მოვიძულეთ***[1] იგი თავისავე თჳსისა თანა, რამეთუ სიძულილი მოყუასისაჲ სიძულ არს თავისა თჳსისაჲ, და მომატყუებელ ამისა არს შური – სიკუდილ არს.	მრცხუენინ და შევნუხდი, ესე-ღა მესმინ, ვითარ მჴეცებრივსა მას ბუნებასა უტყუსა და უგუნურსა ესმინა სიტყუაჲ იგი წმიდათაჲ, და ჩუენ მჴეცთა უბოროტესად გამოვჩნდით, ***ყოფილთა*** მათ შორის აღმოვიკითხავთ და მოცემულნი იგი მცნებანი გუასმიან და ვნებად მოყუასთა ჩუენთა არა დავსცხრებით. დაყენებულ ვართ ჴორცის ჭამისაგან და ჴორცთა მოყუსისა ჩუენისათა [ვცოხნით], მჴეცთა მათღა თუ ვემსგავსნეთ და არა [ჴორცის ?[2]] მჭამელ[თა] კაცთა. მიგჳლებიეს მცნებაჲ ღმრთისაგან, [რაჲთა] შევიყუაროთ მოყუასი ვითარცა თავი თჳსი, ხოლო ჩუენ ***ვაიძულეთ*** იგი თავისა თჳსისა თანა, რამეთუ სიძულილი მოყუსისაჲ სიძულილი არს თავისა თჳსისაჲ, მომატყუებელ ამისსა არს შური.	ხოლო მრცხუენის ამისთჳს, რამეთუ მჴეცებრივისა ბუნებასა და უტყუსა ესმნეს სიტყუანი მისნი და აწ ნაშობნი და ნაშობის ნაშობნი აღასრულებენ ბრძანებასა წმიდისა მამისა იოვანესსა, ხოლო ჩუენ მჴეცთა და პირუტყუთა უბოროტეს გამოჩენილ ვართ, რამეთუ დღითი-დღე აღმოვიკითხავთ ყოფილთა მათ და მოცემულნი მცნებანი გუესმიან და ვნებად მოყუასთა ჩუენთა არა დავსცხრებით. განყენებულ ვართ ჴორცისა ჭამისაგან და ჴორცსა მოყუასთა ჩუენთასა ვცოხნით. მცნებაჲ მოგჳლებიეს, რაჲთა ვიყუარებდეთ ურთიერთას, ხოლო ჩუენ უდებ გვიქნიეს ბრძანებაჲ იგი უფლისაჲ და უწყოდეთ, რამეთუ თანამდებ ვართ სასჯელისა.

---

[1] თუ შევადარებთ სინურსა და Ⴑ რედაქციებს, ნათელია, სინური ისევ გადაწერის შეცდომას უშვებს, რითაც ტექსტი ბუნდოვანი ხდება: „უბოროტ[ს]სად გამოვჩნდებით ყოფითა, მათ მარადის აღმოვიკითხავთ“ / „უბოროტესად აღმოვჩნდით, ყოფილთა მათ შორის აღმოვიკითხავთ“.

[2] Ⴑ რედაქციის ტექსტი აღდგენილია გამომცემლის მიერ. სინური რედაქცია Ⴑ რედაქციის ნაკლული ადგილის სწორად აღდგენის საშუალებას იძლევა.

[3] ამ შემთხვევაში შეცდომას უკვე Ⴑ რედაქცია უშვებს.

N/Sin.geo-50	Ⴑ რედაქცია	Ⴒ რედაქცია
16. ჳ მოშურნეო, განეყენე შურსა, ივლტოდე მისგან, რაჲთა არა მოჰკუდე. ნუ ***ეშურობ*** წარმატებულთა სათნოებასა და აღიარე, ვითარმედ მოშურნე ხარ. ქებულ არს შური, ვითარცა სიყუარული იგი სიკუდილისათჳს, და ესე ცხორებისა მჴსნელ და იგი ***ქლიბ***, რომელმან განკაფნის გონებანი ***მომგებელთა*** თჳსთანი, არამედ ერჩდი წერილთა და პოვე გამოჴსნაჲ და ჰბაძევდი განსრულებულთა სათნოებასა შინა. და ნუ ეშურვობ, რაჲთა განერე მცირედ საფრჴესა მტერისასა.	ჳ მოშურნეო, განეყენე შურსა. შური სიკუდილი არს, ევლტოდე მისგან, რა[ჲ]თა არა მოკუდე. ნუ ***შურობ*** წარმატებულთა სათნოებათა და აღიარე, ვითარმედ მოშურნე ხარ. ქებულ არს შური – სიყუარული იგი სიკუდილისათჳს, ესე ცხორებისათჳს მჴსნელ და ***აღჭექილებ*** (!), რომელმან განკაფნის გონებანი ***მომგონებელთა*** მისთანი, არამედ ერჩდი წერილთა და პოვე გამოჴსნაჲ, და ბაძევდი განსრულებულთა სათნოებასა შინა. ნუ შურობ, რაჲთა განერო მცირედ საბრჴესა მტერისასა.	განვიფრთხოთ ამიერითგან, ძმანო ჩემნო, განვიფრთხოთ და განვაგდოთ ჩუენგან შური და მედგრობაჲ და ძჳრის ზრახვაჲ მოყუსისაჲ და ყოველივე უკეთურებაჲ მოვსპოთ და ღმრთისა სათნოდ ვმოქალაქობდეთ, რაჲთა არა დავიკარგნეთ საუკუნოდ.
და კუალად მუნვე მოვედ, რომელსა-ესე მიწყიეს.	და კუალად მუნვე მოვიდე, რომელსა-იგი მიწყიეს	ხოლო მე პირველსავე ვიტყოდი.

N/Sin.geo-50	Ⴑ რედაქცია	Ⴒ რედაქცია
17. შემდგომად ამისა მოართუეს მთად ღრეკილი, შეკრული ვითარცა რკინითა და ძნიად განრღუეული, რამეთუ წყლულ იყუნეს ყოველნი ჴორცნი მისნი, რამეთუ გუემულ იყო დღეთა მრავალთა ფიცხლისა მისგან სენისა	შემდგომად ამისსა მოართუეს მათდა ღრეკილი, შეკრული ვითარცა რკინითა, და ძნიად განრღუეული, რამეთუ წყლულ იყვნეს ყოველნი ჴორცნი მისნი, რამეთუ გუემულ იყო იგი ჟამთა მრავალთა ფიცხელ ...	ამას წმიდასა მამასა ჩუენსა იოვანეს მოართუეს ოდესმე ცხედრითა ღრეკილი და განრღუეული. და დაჴსნილ იყუნეს ყოველნი ასონი მისნი.

N/Sin.geo-50	Ⴒ რედაქცია
და სასოებაჲ ყოვლადვე წარეკუეთა ცხორებისაჲ ამის. და ვითარ ესმეს საქმენი წმიდისა იოვანესნი, ითხოვდა, რაჲთა მიჲღიან იგი მის ნეტარისა. და ვითარ მიჲწია იგი, დადგეს ფერჴთა თანა ბერისათა, ევედრებოდა იგი დაღებულითა მით ჴმითა თჳსითა: „შემიწყალე, მე, *წმიდაო* ღმრთისაო, რამეთუ ვიქმენ მე ყოველთა დღეთა ჩემთა დაუფლველ მკუდარ. შენი არს საქმეჲ ესე, მკურნალთ-მოძღუარო. ამისთჳს მოივლინა ქუეყანასა ქართლისასა, რაჲთა ჭირვეულთა ლხინებაჲ პოონ ლოცვათა შენთაგან, მომმადლე მე მცირედ ნაბიჭნევი მადლთა შენთაჲ, რაჲთა განვერე“.	შეიყვანეს წინაშე მისსა, ევედრებოდეს წმიდასა იოვანეს: *„შეიწყალე, წმიდაო ღმრთისაო, განრღუეული ესე, რამეთუ გურწამს, ვითარმედ შემძლებელ ხარ განკურნებად ქრისტეს ძალითა*“. და კუალად განრღუეული იგი ჴმობდა: „შემიწყალე, *მონაო* ღმრთისაო, მკუდარი ესე დაუფლველი და მომმადლე მცირედ მადლი, რაჲთა განვიკურნო“.[1]

[1] სინური რედაქციისაგან განსხვავებით, Ⴒ რედაქციაში სასწაულის ტექსტი მოცულობით მცირეა. Ⴒ რედაქციაში იოანე ზედაზნელს ჯერ განრღვეულის მოყვასნი სთხოვენ მის განკურნებას, შემდეგ კი თავად განრღვეული მიმართავს იოანეს. Ⴑ რედაქცია ამ ადგილას წყდება.

N/Sin.geo-50

18. ხოლო ნეტარსა იოვანეს დაღაცა-თუ მძიმე უჩნდა საქმჲ ესე მის მიერ, არამედ მოჲწვენა მდიდრისაჲ მის და ლაზარჱს იგავი და რაჲთა არა უნაწილე ყოს მოღებულისა ქრისტჱს მიერ მადლისა და კუალად, რომელსა-იგი პავლე იტყჳს: „თქუენ, ძლიერთა მაგათ, უძლურებანი იგი უსუსურთანი იტკრთენით“. მაშინ რქუა მას: „განგკურნებს შენ უფალი ჩუენი იესუ ქრისტე“. და მუნქუესვე იქმნა ცოცხალ და აღემართა ფერჴთა თჳსთა ზედა, რამეთუ ასუნი იგი მისნი დაჴსნილნი მსწრაფლ ***შეჲბრძოლნეს***, და წყლულებანი განკურნნეს და იქმნა იგი ყოვლადვე გუამ-ცოცხალ, ჰმადლობდა თჳსსა მას კეთილის-მყოფელსა, ჰხედვიდა იგი თავსა თჳსსა, ვითარ მსწრაფლ განიკურნა, უკჳრდა, აკურთხებდა და ადიდებდა ღმერთსა.

Ც რედაქცია

ხოლო ნეტარსა იოვანეს დაღაცათუ მძიმე უჩნდა საქმე ესე მის მიერ, არამედ მოეჴსენა სიტყუაჲ იგი პავლესი, რომელ იტყჳს, ვითარმედ: „ძლიერთა უძლურნი იტკრთენით“, ამისთჳსცა ჰრქუა: „განგკურნებს შენ უფალი ჩუენი იესუ ქრისტე“, და მასვე ჟამსა აღემართა იგი ფერჴთა ზედა თჳსთა და ასონი იგი დაჴსნილნი მსწრაფლ ***განიკურნნეს***. და რომელთა იხილეს, ჰმადლობდეს ღმერთსა და წმიდასა იოვანეს.

მეოთხე სასწაული

N/Sin.geo-50

20. კუალად მოვიდა მისა მთად ეშმაკისაგან გუემული ***ძნიად***. მრავალ ჟამითაგან სიტყუადცა ვერ შემძლებელ იყო გინა ვედრებად ბერისა. იხილა იგი იოვანე და შეეწყალა. მიუგო ეშმაკსა მას და რქუა: „სულო უკეთურო, რაჲსა სტანჯავ მაგას. მიცემულ არს შენდა უდაბნოჲ და ურწყული ადგილი. განვედ მის მაგისგან“. და მუნქუესვე განვიდა კაცისა მისგან ეშმაკი იგი. ***და კაცი განმრთელებული, ვითარცა მადლისა მიმცემელი, მოვიდის ნეტარისა მის და აღიკიდის შეშაჲ ზურგსა ზედა თჳსსა და შეართუა მან ქუაბსა მას შინა.***

Ც რედაქცია

კუალად მოიყვანეს ეშმაკეული ***ფრიად*** გუემული, რომელ სიტყუადცა ვერ შემძლებელ იყო. ***და*** იხილა იგი და შეეწყალა. მიუგო წმიდამან ***იოვანე*** და ჰრქუა: „სულო უკეთურო, რაჲსა სტანჯავ მაგას, რამეთუ მიცემულ არს შენდა ადგილი უდაბნოჲ და ურწყული. გეტყჳ შენ სახელითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, განვედ კაცისა მაგისგან!“ ხოლო იგი ბრძანებასავე თანა მისსა განვიდა. და განიკურნა კაცი იგი, და ყოველთავე დაუკჳრდა.

N/Sin.geo-50	Ⴒ რედაქცია
21. ხოლო ნეტარი იგი ბერი ეტყჳნ ყოველთა მათ განკურნებულთა: „რაჲსა მხედავთ მე, ვითამცა ჩემ მიერ რაჲმე ჲქმნებოდეს საკჳრველებანი ესე, არამედ სახელის-დებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსითა ივლტის ყოველი ძალი ბნელისაჲ. და არა საკჳრველ არს ესე, რამეთუ აღთქუმასა მას მჴსნელისასა საქმით მოაქუს სრულებაჲ მისი. არს სიტყუაჲ ესე: ***„რომელსა ჰრწმენეს ჩემდა მომართ, საქმეთა ძალითა მე ვიქმ, ქმნეს, უფ[რ]ოჲსი ამისსა ქმნეს“.***	და ბერი ესრეთ ეტყოდა: „და რასა განკჳრვებულ ხართ, რამეთუ არა ვარ მკურნალი, არამედ სახელის-დებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა ივლტის ყოველი სენი და ყოველი ძალი ბნელისაჲ. რამეთუ მან თავად-მან ბრძანა: ***„რომელსა ჰრწმენეს ჩემდამო, რომელსა მე ვიქმ, მანცა ქმნეს და უფროჲს ჩემსა ქმნეს“.***

მეხუთე სასწაული

N/Sin.geo-50	Ⴒ რედაქცია	Ⴑ რედაქცია
	ნეტარი იგი ბერი მარტოდ იქცეოდა ერთისა მსახურისა თანა მათისა მთასა მას ზედა მოღუანებითა დიდითა. და ლოცვაჲ მისი აღვიდოდა ცად, აერთა განსწმედდა და განვლიდა ***ათიერსა***. ხოლო კეთილის მოძულენი იგი ეშმაკნი, რომელნი დამკჳდრებულ იყუნეს პირველითგან მთასა მას, ვერ დაითმენდეს მამისა ჩუენისა იოვანეს ლოცვათა და ვედრებათა, რამეთუ საწერტელ ექმნებოდეს, ვითარცა ისარნი ***განჴურვებულნი.***	ხოლო ჰყვა ერთი მოწაფეცა, რომლისა მიერ ნუგეშინის-იცემებოდის, ხოლო ლოცვაჲ მისი აღიწეოდა და ჰაერსა განსწმედდა და განჰვლიდა ***ათერსა***. ხოლო კეთილის მოძულენი იგი ეშმაკნი, რომელნი მუნ მკჳდრ იყუნეს პირველითგან, ვერ დაითმენდეს იოვანეს მამისა ჩუენისა ლოცვასა, და რამეთუ საწერტელ ექმნებოდეს, ვითარცა ისარნი.

N/Sin.geo-50	Ⴑ რედაქცია	Ⴒ რედაქცია
	დღესა ერთსა აღიძრნეს ***ყოველნი იგი ძალნი ბნელისანი და ვითარცა*** მიუჴდეს წმიდასა იოვანეს და იწყეს ბრძოლად მისა ბევრითა მანქანებითა, შეშფოთნეს გარემოს მისსა, აშინებდეს, დღე და ღამე ზედა დაესხმოდეს, რეცა თუ ძალ რაჲმე ედების. და აზმნობდეს კლდესა მას ჩამოგდებად.	***ხოლო*** დღესა ერთსა აღიძრნეს და ზედა-მოუჴდეს წმიდასა იოვანეს და იწყეს ბრძოლად მრავლითა და თითოსახითა მანქანებითა. და გარე მოადგეს, აშფოთებდეს და ეტყოდეს: „ვინ ხარ, ანუ ვინაჲ, რამეთუ ჩუენი არს ადგილი ესე. და უკუეთუ არა წარხჳდე ამიერ, დიდნი და განსაკჳრვებელნი განსაცდელნი მოვაწიენეთ შენ ზედა“.
	ხოლო ნეტარი იგი ბერი აღიჭურვოდა ჯუარითა ქრისტესითა და არად შე[ჰ]რაცხდა მათსა მას ოცნებასა და „აჰა – ეტყჳნ – ესერა ვარ, უკუეთუ შენდობაჲ მიგიღებიეს“.	ხოლო მან ჯუარითა ქრისტესითა აღიბეჭდა თავი თჳსი და ჰრქუა: „აჰა ესერა, აქა ვარ, და უკუეთუ შენდობაჲ მოგიღებიეს ქრისტესგან, იქმოდით, რაჲცა გნებავს, რამეთუ მე მონაჲ ვარ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი და არა მეშინის საფრჴეთაგან თქუენთა“.
22. და მერმე ამისა შემდგომად მოვიდა სიმრავლჱ ეშმაკთაჲ და გარე მოადგეს ნეტარსა იოვანეს და ეტყოდეს: „აქა რად მოსრულ ხარ?“	დღესა ერთსა ყოველი იგი სიმრავლე აღიძრა და გამოჩნდა ცხადად. გარე მოადგეს ნეტარსა იოვანეს და ეტყოდეს: „რაჲსათჳს მოხუედ აქა?“	

N/Sin.geo-50	Ⴑ რედაქცია	Ⴒ რედაქცია
ერთმან ეშმაკმან უჴმო სახელი: „იოვანე, იოვანე, რად მოხუედ აქა? ჩუენი არს ადგილი ესე. შენ რაჲ გიც აქა?“	და ერთმან მათგანმან, უმთავრესმან ეშმაკთამან, უჴმო საჴელით: „იოვანე, რაჲსათჳს *გუაცილობ*, ანუ ვინ[აჲ] მოიწიე, ჩუენი არს ადგილი ესე და შენ ვერ ძალ-გიც ყოფად აქა. ანუ არა უწყია, რამეთუ კადნიერებამან მაგან შენმან ჩუენდა მომართ წარგწყმიდოს შენ სრულიად, რამეთუ ვერ ძალ-გიც ყოველსა მას სიმრავლესა წინააღდგომად, და თავსა თჳსსა ნუ იცთუნებ“.	ხოლო უმთავრესმან მან ეშმაკთამან უჴმო სახელით: „იოვანე, იოვანე, რაჲსათჳს *გუაწყენ* და ვინაჲ მოხუედ აქა? აწ წარვედ ამიერ, რამეთუ ჩუენი არს ადგილი ესე და ვერ ძალ-გიც ყოფაჲ ჩუენ თანა. და უკუეთუ არა მისმინო, წარსწყმიდო თავი შენი. რამეთუ ვერ-წინა-დაუდგამ სიმრავლესა ამას, რომელ გუხედავ. წარვედ და ნუ აცთუნებ თავსა შენსა“.
მიუგო იოვანე და რქუა: „თქუენი ადგილი ბნელი არს. ვიდოდე ბნელთა!“	მიუგო ნეტარმან იოვანე და [ჰ]რქუა მათ: „კეთილისა განზრახვაჲ არა ოდეს მიგიღებიეს ნათესავისა ჩუენისათჳს და მე ვითარ ვისმინო თქუენი? არამედ ადგილი თქუენი ბნელეთი არს, ივლტოდეთ მუნ“.	ხოლო მიუგო წმიდამან იოვანე: „კეთილისა განზრახვაჲ არა ოდეს გწადის ნათესავისათჳს ჩუენისა, რამეთუ უკეთურ ხართ და მზაკუვარნი და მტყუარნი და ამაონი. და აწ ვითარ ვისმინო თქუენი? ესე ყოელი ზედა-მიწევნით ვიცი, რომელ არა გნებავს კეთილი კაცთათჳს. და რაჲ გეყვის ადგილი ესე, რამეთუ ცანი და ქუეყანაჲ ღმრთისა ჩუენისა შექმნილნი არიან და მას დაუბადებიან განსასუენებლად ჩუენ მონათა მისთათჳს?! ხოლო თქუენთჳს განუმზადებია ბნელი გარესკნელი და ცეცხლი უშრეტი, რომელსა შინა დასჯად ხართ საუკუნოდ შენ და ყოველნი შემწენი შენნი და ყოველნი, რომელნი ნებასა შენსა ჰყვებიან.

ჳ მასმენელო, არა შენ ხარა, რომელმან ადგილი იგი მიმიღე, სამოთხე ფუფუნებისაჲ, რამეთუ ჩემი იყო და შენ ღონისძიება[ჲ] ესევითარი მოიღე-ვე ადამისთჳს და გამოჴადე იგი მიერ. და იყო გზა და ვიქმნენით საზრდელ სიკუდილისა შენითა მანქანებითა. ხოლო ღმერთმან ვერ დაითმინა თჳსისათჳს ხატისა სრულიად შეურაცხებაჲ, არამედ მოვიდა და პოვა იგი დაფლული სიღრმესა შინა და აღმართა იგი, განაახლა და განკურნა ყოველი იგი ნაგურემი შენი. და აჰა ესერა დღეს იდევნები ყოვლით კერძო ნაშობთა მისთაგან, რამეთუ განეფინნეს ნიჭნი იგი ყოველსა სოფელსა და არა არს შენდა ადგილ გარეშე ბნელეთი[სა], ვითარცა-იგი თჳთ თავით თჳსით მოიძულე ნათელი და შეიყუარე ბნელი, რამეთუ ანგელოზ იყავ და მჴდომ იქმენ, მაქებელ იყავ და და მასმენელ დაგედვა. ხოლო ჩუენ შენ მიერ იგი ზაკ[უ] ვით აღთქმული ადგილით მოვიღოთ სრულებით. და აჰა ესერა საყოფელისა ამისგან ცად მივიცვალებით“.

და არა შენ ხარა, რომელმან სამოთხე იგი ფუფუნებისაჲ მომიღე ჩუენ, რამეთუ მოიღე ღონისძიებაჲ და მამაჲ ჩუენი ადამ სამოთხისაგან გამოჰხადე და შენითა მანქანებითა სიკუდილსა მიეცენით. ხოლო ტკბილი იგი და კეთილის მოყუარე ღმერთი კუალად მოწყალე იქმნა ხატად მისსა დაბადებულსა ზედა და შენ მიერ შეურაცხ-ქმნილი იგი და სიღრმეთა ჯოჯოხეთისათა დაფლული მოწყალებით კუალად აღადგინა და ზე აღმოიყვანა და სასუფეველი მიანიჭა. და რომელი-იგი შენ ზაკუვით უქადე და არქუ, ვითარმედ „განღმრთობაჲ მოგეცესო“, ან ესერა მიგკღებიეს უფლისა ჩუენისა იესუ ქრიტეს მიერ. და აწ ესერა ადამის ნაშობთა მიერ იდევნები ყოვლით კერძოვე და არა არს ადგილი შენი თჳნიერ ბნელისა მის გარესკნელისა, რამეთუ თჳთ მოიძულე ნათელი და შეიყუარე ბნელი. რამეთუ ანგელოზი იყავ და მჴდომ იქმენ და დაეცი უკეთურებისა შენისათჳს. ან ძალითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა ივლტოდე მთისა ამისგან, რამეთუ ქრისტესა მოუნიჭებიეს ესე ჩემდა“.

N/Sin.geo-50	Ⴑ რედაქცია	Ⴒ რედაქცია
და მსწრაფლ უჩინო იქმნა ეგოდენი იგი სიმრავლ̃ ეშმაკთაჲ მათ, ***მხილი*** ქრისტ̃ს იესუჲს მიერ, ამენ.	და მსწრაფლ ივლტოდეს ეგეოდენი იგი სიმრავლე ძალითა ქრისტესითა, საწყალობელითა ჴმითა იტყოდეს: „ვაჲ ჩუენდა, რამეთუ სახელის-დებაჲ იესუჲსი ყოვლით ადგილით განგუასხამს ჩუენ, ხოლო მისცემს ძალსა, რომელნი შეუდგეს მას, არამედ წარვიდეთ და ***უშინარესთა*** ნარმართთასა დავემკჳდრნეთ მუნ". და მყის, ვითარცა ნისლი ჴშირი და ბნელი, გამოჴდა მთისა მისგან და უჩინო იქმნა და მიმართა ჩრდილოჲთ კერძო. ხოლო ნეტარი იოვანე მად[ლობდა] ღმერთსა, ვითარ იხილა დაცემაჲ და ნარწყმედაჲ მათი.	ხოლო ესე ყოველი რაჲ ჰრქუა წმიდამან იოვანე, აღუტევეს ყოველთა მათ ეშმაკთა ჴმაჲ გოდებისა და ვაებისაჲ და იტყოდეს: „ჲ, რამეთუ სახელის-დებითა იესუჲსითა ყოველთა ადგილთაგან ვიდევნებით და ყოველთა მისცემს ძალსა, რომელნიცა შეუდგენ მას. გუალე, გუალე, წარვიდეთ ***უშინაგანეს-თა*** წარმართთასა და დაკემკჳდრნეთ მუნ". და მეყსეულად ვითარცა ნისლი ჴშირი გამოჴდა მთისა მისგან და მიჰმართა ჩრდილოჲთ კერძო და უჩინო იქმნეს.

N/Sin.geo-50	Ⴒ რედაქცია
23. ესე მრავალთა საქმეთა მისთაგან მცირედი დავწერეთ დაყოვნებითა ჟამისაჲთა. ხოლო გემოჲს სახილავად საკჳრველისა მის კაცისა, კმა არიან, ვითარცა ყოველისა ამის მდინარისა ***მტკურისა*** ტაკუკითა ერთითა იხილვების გემოჲ, თუ რაჲ არს, ეგრეთვე ნეტარისა იოვანჱსი, რომელ შემძლებელ იქმნა, ამათ საქმეთა ჩას, რამეთუ სხუაჲცა მრავალი ძალ-ედვა. არამედ ადიდებდით ღმერთსა, მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.[1]	ესე მცირედი მრავალთაგან დიდთა საქმეთა დავწერეთ მიმყოვრებისათჳს ჟამისა. ხოლო გემოჲს-ხილვად ღმერთშემოსილისა მის კაცისათჳს კმა არიან. ვითარცა მდინარისა დიდისაჲ ტაკუკითა ერთითა, იხილვების თუ რაჲ გემოჲ აქუს, ეგრეთვე ნეტარისა იოვანესი, რომელთაცა ენებოს. ხოლო მრავალ არიან სასნაულნი, რომელნი ქმნნა მამამან ჩუენმან წმიდამან იოვანე.

[1] სინური რედაქციის 23-ე პარაგრაფის პირველი ფრაზა – „ესე მრავალთა საქმეთა მისთაგან მცირედი დავწერეთ დაყოვნებითა ჟამისაჲთა" – გვიჩვენებს, რომ ის არქეტიპიდან მომდინარეობს და არ ეკუთვნის ტექსტის გვიანდელ გადამკეთებელს, ამასთან სინური ტექსტი ასახელებს მდინარე მტკვარს, მაშინ როდესაც Ⴒ რედაქციაში მდინარის სახელწოდება არ დასტურდება.

N/Sin.geo-50

24. ხოლო ნეტართა მათ მოწაფეთა მისთაჲცა მოვიწსენოთ მცირედ, რომელნი განათლდეს ***და სხუანი განანათლეს საზღვართა შინა ქართლისათა, რამეთუ მრავალნი მონასტერნი აღაშჱნნეს,*** რომელნი ვიდრე ***დღენდღელად დღედმდე*** ჰგიან შეურყეველად და დიდებულად ღმრთისა მადლითა და ლოცვითა მათითა. და ძალნი ***და კურნებანი გამო/ვლენ აქა დღედმდე, რომელთა მითხრობილად ყოვლისა მის ვერ ძალ-მიც*** და არცა ყოელად დატევებაჲ თჳნიერ ჴსენებისა.

Ჳ რედაქცია

ხოლო ან ნეტართა მოწაფეთა მისთათჳს ვიტყოდით, ***მადლითა საღმრთოჲთა და სხუანიცა განანათლნეს და მონასტერნი აღაშენნეს,*** რომელნი ვიდრე აქამომდე ჰგიან და ***კურნებანი იქმნებიან, რომელთაჲ თჳთეულად მოთხრობაჲ ვერ ძალ-გჳც.***

თათა

N/Sin.geo-50

25. ერთმან მისთავე წმიდათა ***მოწამეთაგანმან,***[1] რომლისა სახელი თათა, მამისა იოვანჱს ზევე მონასტერი აღაშჱნა ქუეშე მთასა მას. და განმრავლდეს მას შინა მონაზონნი, ფრიად შუენიერითა ნესიერებითა იქცეოდეს, რომელი მცირედრე შემდგომად კუალად იჴსენოს.

Ჳ რედაქცია

ერთმან ***მოწაფეთაგანმან*** სახელით თათა, ქუეშე ძირსა მის მთისასა აღაშენა მონასტერი, რომელსა შინა განმრავლდეს მონაზონნი და ყოვლითავე ნესიერებითა იქცეოდეს. ხოლო სხუანი შემდგომად ამისსა მოვიჴსენნეთ და ღმერთსა ვადიდებდეთ, რომლისაჲ არს დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე, ამენ!

---

1 Ჳ რედაქცია ასწორებს სინური ტექსტის არაწორ წაკითხვას: „მონამეთაგან“ – „მოწაფეთაგან“.

N/Sin.geo-50

„შიოსა და ევაგრეს ცხოვრება“
ზ რედაქცია

26. ხოლო ერთი იგი მათ ნეტართაგანი, რომლისა სახელი მისი შიო, მივიდა და დასავალით ***კერძო ქალაქსა მცხეთას,***[1] პოვა მუნ ჴევი ფრიად ღრმაჲ და ფიცხელი, უდაბნოჲ ურწყული, ნაკლულევანი ყოველთა საჴმართაგან, ჰაერი ზაფხულისაჲ ცხელ. და პოვა მუნ ქუაბი და დამალა თავი თჳსი მას შინა სასოებითა ღმრთისაჲთა ხოლო.

27. ***და არავინ იცოდა ადგილი იგი. არამედ ზეგარდამოჲთა შეწევნითა*** ამას ჴელ-ყო და ვითარმცა სიკუდილსა თავი თჳსი მისცა მისთჳს, რომელმან-იგი არა უგულებელს-ყუნის მოსავნი თჳსნი.

მრავლითა ჭირითა, და შეინროვებულითა ცხორებითა და დღჱ და ღამჱ განლიგებულითა დგომითა და ნაკადულთა მათ ცრემლთა თჳსთა დათხევითა, განმზადა თავი თჳსი ***აგარაკად*** შუენიერად, ზეცისა იგი მარგალიტი მას შინა დაამკჳდრა და მის მიერ განძლიერდა, უხილავთა მათ მიმართ მტერთა ბრძოლასა ადგილად თანა-წარჰვიდოდა და ესრჱთ მისვე ნათლისაგან გამობრწყინებული გამოჩნდებოდა ესერა სიტყჳთა მოძღუარი უძიროთა ფილაფოზთაებრ ხელოვნებით, ვთარცა ნაყოფი უდაბნოჲსაჲ სასწაულთა მიერ და საკჳრველებათა, რომელთა აღასრულებდა და გამობრწყინდებოდა ყოველთა კიდეთა ***და მოულო და სასოებისა განმზადებულისა მის ცხორებისასა.***

ხოლო ნეტარი ესე და ღმრთივე განბრძნობილი მამაჲ ჩუენი წმიდაჲ შიო მოვიდა წინამძღურობითა სულისა წმიდისაჲთა და ***დაემკჳდრა*** დასავალით ***კერძო დედა-ქალაქსა მცხეთას.*** და პოვა ჴევი ღრმაჲ ფრიად ფიცხელი, უდაბნოჲ ***და*** ურწყული და ნაკლულევანი ყოველთა საჴმართაგან, და ჰაერი ზაფხულისაჲ ფიცხელ და ***ეგრეთვე ზამთრისაჲ უფიცხლეს.*** და ***პოვა*** მუნ მცირე ქუაბი და დაჯდა მას შინა დაყუდებით სასოებითა ღმრთისა მინდობისაჲთა, ჴელ-ყო საქმესა ამას და სიკუდილად მისცა თავი თჳსი მისთჳს, რომელმან არაოდეს უგულებელს ყჳნის მოსავნი მისნი.

ესე წმიდაჲ მამაჲ ჩუენი იყოფებოდა რაჲ ქუაბსა მას შინა, ილოცვიდა და იტყოდა: „ჱ იესუ სახიერო, რომელი მოხუედ ქუეყანად ცხორებისათჳს კაცთაჲსა და იშუე წმიდისაგან ქალწულისა, რაჲთა აცხოვნნე, რომელნი მჴურვალითა გულითა შეგიდგენ და გმსახურებდენ შენ. აწ მომეც მეცა მოთმინებაჲ, რაჲთა სათნოდ შენდა აღვასრულნე მცირედნი ესე დღენი ცხორებისა ჩემისანი და ღირს მყავ კეთილთა შენთა საუკუნეთა მეოხებითა უხრწნელისა დედოფლისა ჩუენისა და დედისა შენისა მარადის ქალწულისა მარიამისითა და მეოხებითა დიდებულთა წმიდათა მოციქულთა შენთაჲთა და წმიდისა მამისა ჩუენისა იოვანესითა“.

---

[1] სინურ რედაქციაში გამოტოვებულია ზმნა „დაემკჳდრა“, მის გარეშე წინადადება გაუმართავია.

ამას იტყოდა ცრემლითა და განგრძე-
ლებითა ლოცვსაჲთა *იატაკსა* დაალ-
ტობდა, და განჰმზადა თავი თჳსი
იატაკად შუენიერად. და ვითარცა
დაადგრა სამარადისოდ მოუწყინე-
ბლად ლოცვასა და იხილა ღმერთმან
გულს-მოდგინედ მოთმინებაჲ მისი და
ვითარ არარაჲ იპოვებოდა უდაბნოსა
მას ნუგეშინის-საცემელი ჴორცთაჲ,
მანვე სახიერმან და დაფარულთა
მჴედველმან ღმერთმან, რომელმან
გამოზარდა ელია და უდაბნოსა შინა
ყორნისა მიერ, ეგრეთვე წმიდაჲ ესე
მამაჲ ჩუენი გამოზარდა, რამეთუ
ტრედისა მიერ დღითი-დღე უბოძებ-
და საზრდელსა, ხოლო მარჯუენით
კერძო ქუაბისა მის უბოძა წყალი
მცირე კლდისაგან ჴმელისა, რომე-
ლი კმა-საყოფელ მისდა იყო. ხოლო
ესევითარი რაჲ ღმრთისა წყალობაჲ
იხილა მის ზედა, მადლობასა შესწირ-
ვიდა ღმრთისა და იტყოდა: „ჱ უფალო
დიდებისაო, კურთხეულ არს სახელი
შენი და დიდ არს წყალობაჲ შენი კაც-
თა ზედა და ვინაჲ ვარ მე უღირსი ესე
წყალობისაჲ, გარნა ყოველსავე ზედა
ვჰმადლობ სახიერებასა შენსა“.
და იხარებდა სულითა და ადიდებდა
ღმერთსა. და მიერითგან განძლიერ-
და უხილავთა მტერთა ზედა.

28. და ვითარ მრავალნი ჟამნი განვლნა ფიცხელსა მას შინა აგზებულსა საჯუმილსა მარტოდმყოფებისასა, დაითმენდა ანგელოზებრსა ცხორებასა ამიერ განსრული და მათ თანა მძრახველი, მაშინ რომელსა-იგი ჰნებავს ყოველთა კაცთა ცხორებაჲ მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა მოსლვაჲ, იხილა იგი, რამეთუ განიკურნა თავი თჳსი. ენება, რაჲთამცა წარმოავლინა იგი კურნებად მრავალთა და გამოცხადდა იგი შემდგომად ჟამთა მრავალთა. და ესე არს მიზეზი იგი გამოცხადებისა მისისაჲ, შუენიერად შეზავებულისა საკუმეველისაჲ, თავით თავისა შემწირველისა ევანგელ[ი]სი.

და ვითარ მრავალნი ჟამნი წარვლნა აღგზნებულსა მას საჯმილსა შინა მარტოდ მყოფობისასა, ინება ზეგარდამომან განგებამან, რაჲთა არა იყოს დაფარულ ბრწყინვალე იგი ვარსკულავი. ამისთჳს გამოაცხადა იგი კაცთა შორის. ხოლო სახე გამოცხადებისა მისისაჲ ესრეთ იყო.

29. მოვიჴსენოთ, ვითარ იყო დაწყებაჲ მონაზონებისა მისისაჲ და გამოცხადებაჲ წმიდისა შიოჲსი, რამეთუ ესე ნეტარი ევაგრე[1] მთავარი იყო *მორწმუნეთა ქრისტიანეთა ნაშობი* და საღმრთოთა წიგნთაგან სწავლული და ღმრთის-მოშიშებითა აღზრდილი თჳსსა სახლსა შინა, სიმდიდრითა დიდითა შუებული სოფელსა თჳსსა შინა – *ციხედიდს*.[2]

რამეთუ მას ჟამსა იყო ვინმე მთავარი, სახელით ევაგრე, ქრისტეს მოყუარე და საღმრთოთა წიგნთაგან სწავლული და ქრისტეანეთა შვილი.

ჩუენებისაებრ[3] დღესა ერთსა უბრძანა ყოველთა მათ შვილთა და მონათა თჳსთა, რაჲთა განვიდენ ნადირობად. და ასხნეს ცხენთა თჳსთა და განვიდეს ველად ნადირობად პირსა მტკურისასა, *მართებით* მღჳმისა, ჴევსა მას.

ხოლო განგებითა ღმრთისაჲთა დღესა ერთსა ჰრქუა შვილთა თჳსთა და მონათა: „განვიდეთ ნადირობად“. და განვლეს მტკუარი და განვიდეს *დამართებით* ადგილსა მას, სადა მჯდომარე იყო ბერი.

---

[1] სინურ რედაქციაში ტექსტის დაწყება სიტყვებით – „ესე ნეტარი ევაგრე“, გვიჩვენებს, რომ ევაგრე ტექსტში ადრეც უნდა ყოფილიყო ნახსენები, თუმცა რეალურად ის სინურ ტექსტში პირველად გვხვდება, რაც მოწმობს, რომ სინური ხელნაწერის დედანი გაცილებით უფრო ვრცელი იყო.

[2] Ქ რედაქცია სინურთან შედარებით ვრცლად მოგვითხრობს ევაგრეს შესახებ, თუმცა ევაგრეს აღზრდის ადგილს – ციხედიდს – არ ასახელებს (ციხედიდი ჩანს „შიოსა და ევაგრეს ცხოვრების“ გვიანდელ, Ქ რედაქციაში).

[3] გადანერის შეცდომებად შეიძლება ჩაითვალოს ტექსტში „ჩუენებისაებრ“ და „მართებით“. უნდა ყოფილიყო „ჩუეულებისაებრ“ და „დამართებით“.

30. და ვითარ მიმოდაბნია ერი იგი ძებნად ნადირისა, ხოლო მთავარი იგი ევაგრი დგა მახლობელად მდინარესა. და აჰა, მფრინველი იხილა, რომელსა აქუნდა ჴუეზაჲ პური პირსა მისსა და შეაქუნდა ჴევსა მას, სადაცა ჯდა ბერი შიო ქუაბსა კლდისასა, რამეთუ არღა აღშენებულ იყო მონასტერი იგი, არამედ გარნა მარტოჲ ხოლო მისრულ იყო უდაბნოსა მას უქმსა და მის მიერ იზარდებოდა, რომელმან-იგი ორმეოც წელ მანანაჲთა გამოზარდა ისაჲლი.

ხოლო ყოველნივე მიმოდაიბნივნეს და ევაგრე დგა მარტოჲ და მიმოიხედვიდა, რაჲთა იხილოს ნადირთაგანი რაჲმე. ხოლო მიშუებითა ღმრთისაჲთა იხილა ტრედი იგი, რომელი მიართუმიდა საზრდელსა შიოს. ხოლო ევაგრე განიცდიდა მკჳრსედ და იხილა, სადა-იგი შევიდა.

31. ხოლო ევაგრის დაუკჳრდა მფრინველისაჲ მის გზაჲ იგი და არარაჲ თქუა, არამედ წარვიდა სახიდ თჳსა.

ხოლო ვითარცა ინადირეს, წარვიდეს სახედ თჳსად.

და ხვალის დღეჲ კუალად განვიდა ნადირობად და კულად იხილა მფრინველი იგი, და აქუნდა პური პირსა თჳსსა და შევიდა იგი მასვე გზასა, სადა პირველად იხილა.

და ხვალისა დღე კუალად განვიდეს. და ვითარცა ყოველნი მოვიდოდეს და მთავარი ევაგრე დგა მახლობელად ქუაბისა მის, სადა მჯდომარე იყო ბერი. და აჰა კუალად იხილა ტრედი იგი და მოაქუნდა საზრდელი ბერისათჳს. და ვითარცა განიცადა ნეტარმან ევაგრე ტრედი იგი, განკჳრდა და შეუდგა კუალსა მისსა

32. ხოლო ნეტარი ევაგრე არღარა მიიქცა სახიდ თჳსა, არმედ მსწრაფლ შეუდგა კუალსა მის მფრინველისასა და ძიება ყო. და, აჰა, პოვა ნეტარი ბერი ქუაბსა შინა და გულისჴმა-ყო, რამეთუ მისთჳს იყო ხილვაჲ დიდისაჲ მის სასწაულისაჲ. არათუ სხუაჲ რაჲმე ყო, არამედ მეყს დაადგრა მის თანა და ჰრქუა ბერსა: „ცხოველ არს უფალი ღმერთი ჩემი, მამაო, არღარა წარვალ მიერ“. ხოლო მან ჰრქუა: „შვილო, ვერ ძალ-გიც ტჳრთად სიფიცხლესა ამის უდაბნოჲსასა“, რამეთუ იხილა ჭაბუკი იგი ფუფუნებულად ფრიად.

და იხილა წმიდაჲ იგი შიო მჯდომარე ქუაბსა შინა, დაუკჳრდა და ჰრქუა: „რაჲ ხარ, ანუ ვინაჲ?“ ხოლო ბერმან ჰრქუა: „კაცი ვარ უცხოჲ და ქრისტეს მოსავი და ვარ ქუაბსა ამას შინა მცირესა, რაჲთა დაყუდებით აღვასრულნე დღენი ცხორებისა ჩემისანი და ესრეთ უშფოთველად სათნო-ვეყო ღმერთსა“. ხოლო ნეტარმან ევაგრე ჰრქუა ბერსა: „ცხოველ არს უფალი, არა დაგიტეო შენ და არცა წარვიდე სახედ ჩემდა“. ხოლო ბერმან ჰრქუა: „შვილო, ვრ ძალ-გიც ტჳრთად სიფიცხლესა ამას უდაბნოჲსასა, რამეთუ გხედავ მრავლითა ფუფუნებითა აღზრდილსა“.

ჰრქუა ნეტარმან ევაგრე: „ვესავ ღმერთსა და ლოცვასა შენსა, მამაო, ვითარმედ დავითმინო ყოველი, რაჲცა ბრძანოს სიწმიდემან შენმან“.
მაშინ დაიყენა მის თანა.

ხოლო ევაგრე ჰრქუა: „დაღაცა თუ დღესვე იყოს სიკუდილი ჩემი შენ თანა, არავე დაგიტეო“.

33. ხვალის დღე, ვითარ აგრძნეს, მოვიდა სიმრავლჱ ერისა მის მისისაჲ ფრიადი და უნდა, რაჲთამცა განიყვანნეს იგი მიერ, სიმდიდრჱ იყო მისი არა მცირედ, რაჲთამცა განაგო, ვითარცა ინებოს. და არა თავს-იდვა ყოვლადვე იძულებაჲ იგი მათი და ტირილი მოწყალედ. არამედ მის ზევე აღაშენა წმიდაჲ იგი მონასტერი, რომელი დღეს საჩინო არს მოწყალებითა კაცთმოყუარისა ღმრთისაჲთა. და დიდნი შრომანი თავს-ისხნა სანატრელმან ევაგრე, რომელ ვერ შემძლებელ არიან პირნი კაცთანი მიწდომად ქებისა და გამოთქუმად დღეთაცა განგრძობითა და მეოხ არს ჩუენ ცოდვათათჳს.

იოანეს გარდაცვალება

46. ხოლო ნეტარი ბერი, მამაჲ ჩუენი იოვანე დაბერდა მასვე ქუაბსა შინა და აღასრულა სრბაჲ თჳსი მრავლითა ღუანლითა *თქუმულებისაებრ მოციქულისა, ვითარმედ: „ქრისტე იესუჲსთა მათ ჯუარს აცუნეს ჴორცნი თჳსნი ნებითურთ თჳსით, გულის-თქუმით. უკუეთუ ცოცხალ ვართ, სულითაცა ვეგნეთ“.*

ხოლო ნეტარი მამაჲ ჩუენი იოვანე დაბერდა ქუაბსა მას შინა და აღასრულა სრბაჲ თჳსი მრავლითა ღუანლითა.

რამეთუ განცხოველდა ესე ჭეშმარიტად სულითა საქმეთაგან კეთილთა, რომელ არიან: სარწმუნოებაჲ, სიყუარული და მოთმინებაჲ, ტკრთვაჲ ურთიერთას სიმძიმისაჲ. რამეთუ მას შინა აღესრულების რჩული ქრისტჱსი, რამეთუ იჩინა იგი უფალმან ჩუენმან წინაჲსწარითა ცნობითა მისითა და უწოდა, და განამართლა და განსრულებული, თჳნიერ ცხორებისა და ყოვლისა ნაკლულევანებისა, შემდგომად სიკუდილისა ადიდა. ხოლო მასმენელი იგი, რომელი ძჳრსა იტყოდა მისთჳს, დაამჴუა ამისთჳს, რამეთუ დაადგრა სიყუარულსა მისსა, ვერ განაშორა იგი რომელმანმე ჭირმან ანუ ჲწროებამან, გინა თუ ამის სოფლისა განსუენებამან ანუ დიდებამან.

47. ***და ვითარცა აღასრულა წელნი მრავალნი,*** მოუძლურდა და იწყო მოკლებად და დასნეულდა მუცლითა. და მოუწოდა ნეტარსა ელია დეაკონსა და ***თათას, მამასახლისსა ქუემოჲსა მონასტრისასა,*** აღივსო იგი ცრემლითა და რქუა მათ: „შვილნო ჩემნო, ჟამი ***მიქცევისა*** ჩემისა მოწევნულ არს და მსურის, რაჲთა მივიდე უფლისა ჩემისა. და მეშინის მე ფრიად, დაღა-ცა-თუ მსგავსად ძალისა ჩემისა მინდა ყოვლითა გულითა, რაჲთა სათნო ვეყო მას. მოუძლურდა და იწყო მოკლებად. და მოუწოდა მოწაფეთა რომელთამე და ***თათას, რომელი იმყოფებოდა ქუეშე მთასა მას,*** და ელია დიაკონსა და ჰრქუა: „შვილნო, ჟამი ***აღსასრულისა*** ჩემისაჲ მოწევნულ არს და მივალ უფლისა ჩემისა და ფრიად მეშინის ***ჰაერის-მცველთაგან,*** რამეთუ საზარელ არიან, დააყენებენ სულსა, რაჲთა არ აღვიდეს სასუფეველად.

ხოლო შეძრწუნებულ ვარ სარჩელისა მისისაგან, რომელ საშინელ არს დღე იგი მისი და ვითარცა თქუმულ არს, მართალთათჳს მისაგებელი. რამეთუ თუალმან არა იხილა, და ყურსა არა ესმა, და გულსა კაცისა ცოდვილისასა არა მოჴდა, ესრეთვე არს ცოდვილთათჳს, რომელთა არა შეინანეს და განაგდეს შიში მისი ზარის საჴდელი და მოუგუნებელი და მიუთხრობელი სატანჯველით. ამის გამო მეშინის და ძნის გული ჩემი თავისა ჩემისათჳს და თქუენთჳსცა, საყურელნო ჩემნო.

აწ გლოცავ, რაჲთა ყოველსა ჟამსა მარადის დღე და ღამე ცრემლით ევედრებოდეთ უფალსა, რაჲთა ვიჴსნეთ საფრჴისა მისგან მტერისა, რომელ-იგი განმზადებულ არს შეპყრობად ჩუენდა. და ვინმცა მიჴსნა მე უბადრუკი ესე ჴორცთა ამათგან სიკუდილისათა, არათუმცა ღმერთმან ძე თჳსი მოავლინა ცოდვათათჳს და დასაჯე (!) ცოდვაჲ იგი ჴორცითა თჳსითა, რამეთუ ქრისტე იესუჲს მიერ განთავისუფლებულთა სიკუდილისაგან, უკუეთუ თავნი ჩუენნი დაგჳცვან საქმეთაგან ამის სოფლისათა. არამედ სასოებით მოველით მის მიერსა წყალობასა, რომელმან-იგი მცირედნი მიზეზნი საქმით მიჲთუალნის და უმადლოთაცა ზედა აჩუენის სახიერებაჲ მისი, რამეთუ დაუსრულებელ არს წყალობაჲ მისი ჩუენდა მომართ.

და ამას თქუენცა მოელოდეთ, შვილნო ჩემნო საყუარელნო, და აწვე განკრძალენით თავნი თქუენნი და ჩემთჳს ილოცევდით. და ვინმცა გჴსნა სხუამან ჴელთაგან მათთა, გარნა ღმერთმან, რომელმან მოავლინა ძე თჳსი, უფალი ჩუენი იესო ქრისტე, და მან განმათავისუფლნა სიკუდილისაგან და ყოვლისა საეშმაკოჲსა ვნებისა, გარნა იგინი ოდენ, რომელნი მხურვალითა გულითა შეუდგენ და სიწმიდით ჰმსახურებენ მას. და ამისთჳს გეევედრები, რაჲთა სიწმიდით და სიმართლით ვიქცეოდით“.

48. და ვითარცა დაასრულნა სიტყუანი ესე, ჲქცია პირი მისი აღმოსავალით და თქუა: „მოიწია ჟამი“. და მოელოდა სიკუდილსა, რომლისათჳს იგი მარადის განმზადებულ იყო.

და ამცნო მოწაფეთა თჳსთა, რაჲთა ჴორცნი მისნი დაჰმარხნენ მასვე ადგილსა, სადაცა მწირობისა ესე ჟამნი აღასრულნა. მაშინ აღიხილნა თუალნი მისნი ზეცად და ჰხადოდა თჳსსა ნუგეშინისმცემელსა, მხიარულითა პირითა ჰხედვიდა ვიეთმე, და ეგრე ყუნა თუალნი მისნი, ვითარცა კაცი მეგობართა თჳსთა თანა წარვალნ გზასა, ეგრჱთ სიხარულით შეჰვედრნა სულნი თჳსნი თჳსსა უფალსა.

ხოლო ამცნო, რაჲთა ჴორცნი მისნი დასხნენ მასვე ადგილსა მწირობისა მისისასა. და მოიხუნა სიწმიდენი და აღიხილნა თუალნი და მხიარულითა პირითა ხედვიდა ვიეთმე ნუგეშინის-ცემად მისსა მოსრულთა. და მიაყვანნა თუალნი ვითარცა მეგობართა და განუტევა სული და შეჰვედრა უფალსა.

49. მას ჟამსა კიბჱ იგი იაკობისი კუალად აღემართა და ანგელოზთა იგი გარდამოსულაჲ და აღსლვაჲ იხილვებოდა თჳსისა მის უფლისა ტაძარსა. პატივ-უპყრობდეს, რომელსა შინა დამკჳდრებულ იყო მამაჲ და ძჱ და სული წმიდაჲ, და ესრჱთ წარიყვანეს სული იგი ნეტარისა იოვანე ზედაზადნელისაჲ გალობითა მაღალთა შინა.

ხოლო კიბე იგი იაკობისი აქაცა იხილვებოდა და ანგელოზნი ღმრთისანი გარდამოვიდოდეს.

ხოლო უფალი დამტკიცებულ იყო თავსა ზედა მის კიბისასა, რომელმან ჰრქუა მას: „მე ვარ ღმერთი აბრაამისი, მამისა შენისაჲ. მიიღე სამოსელი პირველი და მოვედ ჩემ თანა, რამეთუ განგესუენოს შრომათა შენთაგან“. 50. და არა საკჳრველ არს ესე, ძმანო, უკუეთუ სიხარული არნ ცათა შინა ღმრთისაჲ და ყოველთა ანგელოზთაჲ ერთისა ზედა ცოდვილისა მოქცევასა.

ხოლო უფალი დამტკიცებულ იყო თავსა ზედა მის კიბისასა, რომელმან ჰრქუა მას: „მე ვარ ღმერთი აბრაჰამისი, მამისა შენისაჲ; აწ მოვედ ჩემდა, რაჲთა განგისუენო შრომათა შენთათჳს“. ესრეთ ადიდებს, ძმანო, ღმერთი მადიდებელთა მისთა!

ვითარმცა არა უფროჲს ადიდნა ღმერთმან მადიდებელნი თჳსნი, და ვითარ არა დიდი სიხარულიმცა იყო ყოველთა დასთა წმიდათაჲ ესევითარისა პატიოსნისა მარგალიტისაჲ შერთვაჲ რიცხუსა მათსა.

51. ხოლო მოწაფენი მისნი ტიროდეს ფრიად და განიძრახვიდეს ვითარ-რაჲ დაჲღუანნენ წმიდანი იგი ჴორცნი მისნი.

ხოლო მოწაფენი მისნი ტიროდეს განშორებისათჳს მათგან წმიდისა მამისა.

მაშინ უდებ-ყვეს სიტყუაჲ იგი ბერისაჲ, დაწუნებულ უჩნდა ადგილი იგი ეგემილევანისა მის კაცისათჳს და წარავლინეს გარემოჲს და აუწყეს ნეტარისა იოვანჱს გარდაცვალებაჲ.

ხოლო სიტყუაჲ ბერისაჲ უდებ-ყვეს, რამეთუ საწუნელ უჩნდა ადგილი იგი, სადა ეუწყა დასხმაჲ ჴორცთა მისთაჲ, რამეთუ მოვიდეს მღდელნი და დიაკონნი და სიმრავლე ერისაჲ

52. მაშინ მოკრბა სიმრავლჱ მღდელთა და დიაკონთაჲ და ერი დიდძალი. და აიხუნეს ჴორცნი იგი ნეტარისა ბერისანი და *ჩამოჲხუნეს პირველ-მოწყსენებულსა ქუემოსა მონასტერსა, თათაჲს შჱნებულსა,* დიდითა პატივითა, კერიონებითა და საცეცხურებითა, ფსალმონებით, ვითარცა არს წესი ქრისტეანთაჲ.

და წარმოიხუნეს ნაწილნი ბერისანი, *დასხნეს მონასტერსა თათაჲსსა, მოწაფისა მისისასა,*

და შთასხნეს იგინი ლუსკუმასა და დაჰკრძალნეს იგინი ეკლესიასა შინა. და ადიდებდეს ყოველნი (!) იგი სიმრავლჱ ერისაჲ უფალსა და მიჲქცეოდეს ტირილით და გლოვით თჳსა ადგილად.

და შექნეს ლუსკუმაჲ პატიოსანი და მუნ შინა დაჰკრძალნეს წმიდანი იგი ჴორცნი ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესნი.

53. ხოლო სიმრავლჱ იგი მონაზონთაჲ იქმნეს უმწყემსო, ვითარცა ცხოვარნი და იტყოდეს: „კეთილო მამაო, რაჲსათჳს დაგჳტევენ? აწ ვისგან ვისწაოთ სიტყუაჲ ცხორებისაჲ, ანუ ვის თანა ვიხილოთ სახჱ ანგელოზებრივი, ანუ ვინ იყოს მკურნალ უძლურებასა კაცთასა, ანუ აღმმართებელ ***დაცემულთა, გონებათა დამამტკიცებელ, დაცემულთა აღმმართებელ***[1] და ***წამალთა წყლულთა ეშმაკისაგან***, ანუ ვისითა ცრემლითა განათლდების სოფელი ესე ჩუენი და დაჴსნდებოდიან მრავალფერნი საცთურნი მტერისანი? ჲ რაბი, კეთილი მიგჳლო ჩუენ ყოველთა“.

ხოლო მოწაფენი იგი მისნი ტიროდეს და იტყოდეს: „კეთილო მამაო, რაჲსათჳს დაგჳტევენ ჩუენ? ვის თანა-ღა ვიხილოთ სახე ანგელოზებრი, ანუ ვინ იყოს მკურნალი უძლურებასა კაცთასა, ***ანუ ვინ აღმადგინებელი გონებითა დაცემულთაჲ და წამალი ეშმაკთა მიერ მოწყლულთაჲ***, ანუ ვინ რწყვიდეს ცრემლთა მიერ წმიდათა სოფლებსა ჩუენსა?“ და ესრეთ მტირალნი წარვიდეს.

54. და წარვიდოდა კაცად-კაცადი ვანად თჳსა და აკურთხევდეს ღმერთსა – მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, რომლისაჲ არს პატივი და დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე, ამენ!

54. ხოლო ნეტარმან მამამან ჩუენმან იოვანე შემდგომად სიკუდილისა არა თავს-იდვა სიტყჳსა მისისაჲ უდებყოფაჲ, სადა-იგი მოეპოა ცხორებისა მისისა მადლი, ზედა მთასა მას მაღალსა ზედაზადენს, ვინაჲ-იგი მიჲწია ზეცისა კამარასა და კუალად რაჲთა მისა შემდგომად გარდაცვალებისა მისისა და რამეთუ ცხოველ არს იგი მის წინაშე, რომლისა (!) უპყრიეს ყოველი, უფალი ჩუენი იესუ ქრისტე და იქმს, რაჲ ენებოს, უნდა თჳსთა მათ ჴორცთა მუნვე მიცემაჲ,

ხოლო წმიდამან იოვანე არა თავს-იდვა უდებ-ყოფაჲ სიტყჳსა მისისაჲ, არამედ სადა-იგი მოეპოა დაყუდებით მადლი და რაჲთა ვიხილოთ და გურწმენეს, ვითარმედ შემდგომად მიცვალებისათა ცხოველ არს და აქუს კადნიერებაჲ წინაშე ღმრთისა, ამისთჳსცა ინება ნაწილთა მისთა მუნვე დასხმაჲ.

---

[1] სინურ ტექსტში ფრაზა „აღმმართებელ დაცემულთა“ ორჯერ არის გამეორებული, რაც გადამწერის შეცდომა უნდა იყოს.

N/Sin.geo-50

რაჲთა არა ცარიელ იყოს ადგილი იგი ბრძოლისა და ძლევისაჲ, სადაცა დაეცნეს ეშმაკნი, და ივლტოდეს, რაჲთა აღეშჱნოს საწამებელად ყოველთა მათ საქმეთა, რომელ თქუეს მისთჳს. არამედ ვიდრე ქუემო-ღა იყუნეს ნაწილნი იგი წმიდისა იოვანეჲსნი, ჲქმნებოდეს ფერად-ფერადთა სენთა განკურნებასა. დღესცა ძუალთა მათ მის მართლისათა, რომელნი სარწმუნოებით მოვლენ საფლავსა მისსა, მიჲღებენ კურნებასა.

Ქ რედაქცია

და იქმნეს ადგილსა მას, სადა ისხნეს ჴორცნი მისნი, სასტიკნი ძრვანი, და კაცნი მის ადგილისანი იგუემნეს. და მოეჴსენა მცნებაჲ იგი ბერისაჲ და გულისჴმა-ყვეს, ვითარმედ მისთჳს არიან ძრვანი იგი. ამისთჳსცა აუწყეს მამათ-მთავარსა. ხოლო იგი განკჳრდა და წარვიდა მღდელთა თანა და დიაკონთა და დიდითა პატივითა აღიყვანეს ადგილსავე თჳსსა და მითვე ლუსკუმითა დაასუენნეს ნაწილნი მისნი. და შემდგომად მისსა აღაშენეს ეკლესიაჲ. ხოლო შემდგომად აღმოყუანებისა დასცხრა ძრვაჲ იგი. და სხუანიცა მრავალნი სასწაულნი იქმნნეს ნებითა ქრისტესითა და მადლითა წმიდისა იოვანესითა. რამეთუ მრავალნი სნეულნი, ღრეკილნი და ეშმაკეულნი განიკურნნეს აღმოყვანებასა და ყოველნი, რომელი ხედვიდეს, ღმერთსა ადიდებდეს. და უკუეთუ ოდენ [სარ]წმუნოებით მივიდეს, აწცა იქმნებიან მის მიერ კურნებანი.

N/Sin.geo-50

56. ხოლო მოღუაწებითა დეაკონისაჲთა შეკრბა სიმრავლჱ მონაზონთაჲ, და განითქუა ადგილი იგი და მოვიდოდეს ყოვლით კერძო, რამეთუ ფრიად გულსმოდგინედ შურებოდა აღშჱნებასა ნეტარი ელია, იყო შექმნულ ყოვლითა სათნოებითა, ვიდოდა იგი გზათა მოძღურისა თჳსისათა და იქმნა მკუიდრ სათნოებათა მისთა.

Ქ რედაქცია

57. და მრავალნი დიდ-დიდნი და სულიერნი მამანი გამოჩნდეს მას ადგილსა, რომლისათჳს ლოცვითა მათითა ჰგიეს ადგილი იგი შეურყეველად ვიდრე დღენდღელად დღედმდე.

ხოლო შემდგომად მრავალისა ჟამისა წმიდამან კლემენტოზ კათალიკოზმან მასვე ადგილსა აღმოსავალით ეკლესიაჲ აღაშჱნა წმიდისა ნათლის-მცემელისაჲ სადიდებელად სამებისა წმიდისა არსებით და ერთი არსებაჲ სამებით, რომლისაჲ არს დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე, ამენ!

ხოლო შემდგომად მრავლისა ჟამისა წმიდამან კლემენტოზ კათალიკოზმან აღმოსავალით კერძო ეკლესიისა *სხუაჲ* ეკლესიაჲ აღაშენა სახელსა ზედა წმიდისა ნათლისმცემელისასა სადიდებელად სამებისა წმიდისა ერთარსებისა.

58. და განაწესა დღესასწაული მისი შემდგომად ამაღლებისა მეოთხესა დღესა კჳრიაკესა, ზატიკსა მეექუსესა.

„აბიბოს ნეკრესელის მარტვილობა“

რედაქციები

„აბიბოს ნეკრესელის მარტვილობა“ სულ უკანასკნელ ხანებამდე ჩვენამდე მოღწეული იყო ორი რედაქციით: პირობითად რომ ვთქვათ, შედარებით ვრცელი და შედარებით მოკლე.[1] ტექსტოლოგიური თვალსაზრისით ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელიც მათმა ერთმანეთთან შედარებამ წარმოშვა, ეს არის ვრცელი რედაქციის საკითხი: არის თუ არა იგი მეტაფრასული.

ე. წ. ვრცელი რედაქციის მეტაფრასულობის საკითხი

კ. კეკელიძე ვარაუდობდა, რომ „აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის“ თავდაპირველი, კიმენური რედაქცია დაუწერია მეცხრე საუკუნის მეორე ნახევარში კათალიკოზ არსენი დიდს, საფარელს. სამწუხაროდ, ეს შრომა არ შენახულა იმ სახით, როგორითაც ის არსენის ხელიდან გამოვიდა. შემდეგში ის გადაუკეთებიათ და გადაუმუშავებიათ იმ დროს გაბატონებული ლიტერატურული გემოვნებისა და მიმართულების შესაბამისად. გადამკეთებელს, მეტაფრასტს თავდაპირველი რედაქცია ალაგ-ალაგ შეუმოკლებია, ზოგი რამ დაუმატებია მისთვის, მაგალითად, თავში პროლოგი, ბოლოში ეპილოგი და შუაში მსჯელობა იმის შესახებ, რომ ცეცხლი არაა ღმერთი“.[2] სხვაგან ავტორი კიდევ უფრო აზუსტებს, თუ რა გადარჩა არსენი საფარელის შრომიდან და რა დაუმატა მეტაფრასტმა. იგი წერს: „არსენის შრომა ძირითადად გადარჩენილია სიტყვებს შუა: „დაეპყრა ქართლი მეფესა სპარსთასა“ და „დაფლეს ადგილსა მას დიდებითა დიდითა“. ამ ნაწილშიაც ცეცხლ-

---

[1] *აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, I, 240-248.

[2] კეკელიძე, *ლიტერატურის ისტორია*, 537.

თაყვანისმცემლობის წინააღმდეგ მიმართული პოლემიკა მეტაფრასტის წვლილია“[1].

კ. კეკელიძის არგუმენტაცია აღნიშნულ საკითხში არ გაიზიარა ილ. აბულაძემ. მისი აზრით, „არა ერთი ცხოვრება-წამების წიგნი მოგვეპოვება, რომელთაც საგანგებო პროლოგი მიუძღვის და არც თუ ნაკლები მოცულობისა, ზოგჯერ საღვთისმეტყველო-ფილოსოფიურ საკითხზედაც კი (ავიღოთ თუნდ გიორგი მერჩულეს ნაწარმოები, იოანე საბანის ძის თხზულება ან ზემოთ განხილული არსენ კათალიკოზის ცხოვრება იოანე ზედაზნელისა, რომელიც ანასეული „ქართლის ცხოვრების“ ბოლოსაა მოთავსებული და სხვ.), მაგრამ ამათ გამო ისინი მეტაფრასულ ნაწარმოებად არ მიიჩნევიან. ისეთი მრავალსიტყვაობა, როგორიც აბიბოს ნეკრესელის ვრცელ რედაქციას ახასიათებს, სხვაგანაც გვაქვს კიმენურ ნაწარმოებებში“.[2]

კ. კეკელიძემ, როდესაც ხელმეორედ დასტამბა თავისი ნაშრომი „საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ“, ცხადია, პასუხი გასცა ილ. აბულაძეს და სცადა თავისი შეხედულების განმტკიცება იმავე არგუმენტების ახლებურად ვარირებით.

> 1. „რასაკვირველია, იშვიათია ისეთი აგიოგრაფიული ნაწარმოები, რომელსაც რაიმე პროლოგი არ ჰქონდეს, მაგრამ პროლოგიცაა და პროლოგიც: საჭიროა გავითვალისწინოთ ლექსიკა, ფრაზეოლოგია, სინტაქსურ-სტილისტიკური თავისებურებანი პროლოგისა და მისი მიმართება ნაწარმოებთან მთლიანად, რომ გავერკვეთ ამ პროლოგის ბუნებაში“.[3]

სამწუხაროდ, ამ კარგი პროგრამის რეალიზება, მოცემულ შემთხვევაში, მას არც უცდია, ალბათ, იმიტომ, რომ იგი ამის შესახებ მსჯელობდა უფრო ადრე თავის ნაშრომში „ანტიმაზდეისტური პოლემიკის ფილოსოფიური დასაბუთება უძველეს ქართულ მწერლობაში“.[4] მაგრამ აქვე მინდა შევნიშნო, რომ რაიმე სერიოზული არგუმენტი ამ თვალსაზრისით არც ამ ნაშრომშია ჩამოყალიბებული.

---

1 კეკელიძე, *ლიტერატურის ისტორია*, 142.

2 აბულაძე, *ასურელ მოღაწეთა ცხოვრება*, XXIX-XXX.

3 კეკელიძე, *საკითხი სირიელ მოღვაწეთა*, 49.

4 კეკელიძე, *ანტიმაზდეისტური პოლემიკა*, 49-60.

2. მეტაფრასული თხზულების ავტორია ვინმე „ნეკრესის კათედრის ან ეპარქიის ეპისკოპოზი"[1]. ამ არგუმენტს აქ არ შევეხები, რადგან ამ რიგის საკითხებზე ქვემოთ ვრცლად მექნება ლაპარაკი. ბოლოს, კ. კეკელიძემ თავისი პოზიცია ხელახლა ასე ჩამოაყალიბა:

> „ამრიგად, ამ ახალი გამოცემის შემდეგაც აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის ლიტერატურული ისტორია ჩვენ ასე წარმოგვიდგება: მეცხრე საუკუნეში კათალიკოზ არსენი დიდ საფარელს შეუდგენია აბიბოს ნეკრესელის მარტვილობა, რომელიც ჩვენამდე არ შენახულა. ეს შრომა ხელში ჰქონია მეთორმეტე საუკუნის მეტაფრასტს, ნეკრესის უცნობ ეპისკოპოზს, და მას ის გადაუმეტაფრასებია იმ სახით, რა სახითაც ის ახალ გამოცემაში გვაქვს".[2]

როგორც ჩანს, თავისი პოზიციის განმტკიცებაზე ფიქრი კ. კეკელიძეს შემდეგაც არ შეუწყვეტია. შ. ხიდაშელთან პოლემიკაში (შემდეგში მან იგი უმაღლესი სასწავლებლებისთვის დაწერილ სახელმძღვანელოშიც ჩართო) ერთი ახალი დაკვირვება შემოიტანა. მისი აზრით, „თავისი მეტაფრასული ნაშრომის დაწერისას მას (ავტორს ზ.ა.) გამოუყენებია, სხვათა შორის, ქართული თარგმანი გიორგი ამარტოლის „ხრონოგრაფისა". ეს იმ ნაწილში, სადაც მსჯელობაა იმაზე, რომ ცეცხლი არ არის ღმერთი". ამის შემდეგ კ. კეკელიძეს მოაქვს შესადარებლად ციტატები „ხრონოგრაფიდან" და შესატყვისი ადგილები „აბიბოს ნეკრესელის მარტვილობიდან" თავისი სიტყვებით. „რადგანაც „ხრონოგრაფი", როგორც ცნობილია, ნათარგმნია კონსტანტინეპოლში, მანგანის მონასტერში, არსენ იყალთოელის მიერ 1114 წლამდე, აბიბოს ნეკრესელის მეტაფრასული მარტვილობა, რომელიც, როგორც ითქვა, „ხრონოგრაფს" იცნობს, დაწერილი უნდა იყოს არა უგვიანეს მეთორმეტე საუკუნის შუა წლებისა, დაახლოებით იმავე ხანებში, როდესაც დაუწერიათ დანარჩენ „ასურელ მამათა" მეტაფრასული ცხოვრებანი".[3]

ვნახოთ, რას გვაძლევს N/Sin.geo-50 სადავო საკითხის გადასაწყვეტად.

---

[1] კეკელიძე, *საკითხი სირიელ მოღვაწეთა*, 47-50.

[2] იქვე, 50.

[3] კეკელიძე, ბარამიძე, *ლიტერატურის ისტორია*, 73; კეკელიძე, *ანტიმაზდეისტური პოლემიკა*, 53-59.

N/Sin.geo-50 ნაკლულია და არ ვიცით როგორ მთავრდებოდა თხზულება (ე.წ. ეპილოგის შესახებ იხ. ქვემოთ). რაც შეეხება პროლოგს და ცეცხლთაყვანისმცემლობასთან პოლემიკას, ესენი, მართალია, სხვა რედაქციით, მაგრამ სრულად არის დაცული N/Sin.geo-50-ში.. თვალსაჩინოებისათვის მოვიტან შესაბამის ტექსტებს პარალელურად.

N/Sin.geo 50

ხოლო ჯერ არს, რამეთუ მცირედ შოვა [შემოვიღოთ] ჴსენებაჲ ნმიდისა მონამისაჲ და უბინოჲსაჲ მღდელთ-მოძღურისაჲ, რომელსა-იგი სამართლად მინიჭებულ იყო პატივი განმზადებისა მისისაჲ, სასოებისა დიდებისა საყდარი, უჟეჟშთაეს შორის მართალთა დიდისა მისისა სიწმიდისათჳს, უმეტჩსად ყოველთა მიერ წამებულთა ჭეშმარიტებისათჳს ***დამამტკიცებელი წამებისაჲ სისხლთათჳს, რომელმან-იგი შენირა მსხუერპლად თავი თჳსი მისთჳს, რომელმან-იგი სისხლითა თჳსითა ჩუენ მოგჳყვანა*** და დაიდგა გკრგჳნი ძლევისაჲ თჳთ მოტაცებითა, აფრინებითა მაღლად, რომელმან ნაყოფნი გამოჲხუნა თჳთ თავით თჳსით შეწევნითა მაღლისაჲთა, სიწმიდისა იგი სამეოცი და მოღუაწებისა ასეული თავისა თჳსისა თანა შეერთებითა შჳდეულისაგან განმასრულებელი ***იოვანე*** იგი მღდელთ-მოძღუარი მადლისაჲ, შუა-მდგომელი ღმრთისაჲ და კაცთაჲ ნეტარი აბიბოზ ნეკრესელ ქალაქისა ებისკოპოზი, რამეთუ ***ორთაგან წყობათა*** კრებულსა ნმიდათასა წარმოდგა მღდელი საყდრის-მოდგამთა თანა, უბინოდ საყდარი ეპყრა და კუალად მჴნეთა მათ თანა მონამეთა ღუანწლსა მიჲსწრაფა და ასპარეზი იგი მსწრაფლ ნარიტაცა და გკრგჳნითა ***პატივცემულითა*** იპოვა შურის მეძიებელი სამართალთა რჩულისათა.

„აბიბოს ნეკრესელის“ ვრცელი რედაქცია

ხოლო ჯერ არს, რათა მცირედ შუეა შემოვიღოთ ჴსენებაჲ ნმიდისა და უბინოჲსა მღდელთ-მოძღურისა და მონამისაჲ, რომელსა-იგი სამართლიე მონიჭებულ იყო პატივი განმზადებულისა მის სასოებისაჲ დიდებისა საყდარი, უზეშთაესი შორის მართალთა დიდისა მისისა სიწმიდისათჳს, უმეტესად ყოველთა მიერ წამებულ ჭეშმარიტებისათჳს, ***დამამტკიცებელი სისხლითა თჳსითა, რომელმან-იგი შეწირა მსხუერპლად თავი თჳსი მისა, რომელმან-იგი თჳსითა სისხლითა მიჴსნნა ჩუენ.*** დაიდგა გკრგჳნი ძლევისაჲ თჳთ მოტაცებითა, აღფრინებითა მაღლად, რომელმან ნაყოფნი გამოუხუნა თჳსით თავით თჳთ შეწევნითა მაღლისაჲთა, სიწმიდისა იგი სამეოცი და მონამებისა ასეული, და თჳთ თავისა თჳსისა თანა შეერთებითა შჳდეულისა განმასრულებელ ***იპოვა*** იგი მღდელთ-მოძღუარი მადლისაჲ, შუამდგომელი ღმრთისა და კაცთაჲ ნეტარი აბიბოს ნეკრესელ ქალაქისა ეპისკოპოსი, რომელი ***ორთა განწყობილთა*** კრებულსა წმიდათასა წარმოდგა მღდელობისა საყდრისა მოდგამთა მათ თანა უბინოთა საყდარი დაიპყრა. და კუალად მჴნეთა მათ თანა მონამეთა ღუანწლსა მიისწრაფა და ასპარეზი იგი მსწრაფლ ნარიტაცა და გკრგჳნითა ***პატივ-ცემულთა შორის*** იპოვა შურის - მეძიებელთა მართალთა რჩულისათა.

ჩემი არს მოწამჱ ესე და არა სხჳსაჲ, ჩემისა ამისგან საყდრისა, ნაყოფი შუენიერი, მხიარულებისაჲ ჩუენდა მოღებული, სპეტაკი ვარდი ესე, ***ერისა სურნელ-მყოფელი***, ჩუენდა მომართ მომფენელი, რომელმან სანთელი თჳსი აღანთო ზედა მაღალსა მთასა, რაჲთა ყოველი სოფელი ჰხედვიდეს ნათელსა მას ***დაუვსებელსა უპირატჱსს*** მნათობელსა ღმრთისა მიმართ შემწირველსა. თჳთ მისი სიტყუაჲ დაუსაბამოჲსაჲ ჴორცისაჲ უკუანაჲსკნელ მასვე სანატრელსა საკურთხეველსა ზედა თავი თჳსი შეწირა მრგულად მისა მიმართ, რომელსა-იგი შესწირვიდა ჴელითა ურჩულოჲს მარზაპნისაჲთა, რომელმანცა შეწირა იგი.	ჩემი არს მოწამე ესე და არა სხჳსა, ჩემისა ამისგან საყდრისა, ნაყოფი შუენიერი, მხიარულებისა ჩემდა მომღებელი, სპეტაკი ვარდი, ***ჰაერისა სულნელ მყოფელი***, ჩემდა მომფენელი, რომელმან სანთელი თჳსი აღანთო ზედა მაღალსა მთასა, რაჲთა ყოველი სოფელი ჰხედვიდეს მას ნათელსა ***დაუშრეტელსა***, ***ორპირად*** მანათობელსა ღმრთისა მიმართ შემწირველსა თჳთ მის სიტყჳსა დაუსაბამოჲსა ჴორცსა, უკუანაჲსკნელ მასვე სანატრელსა საკურთხეველსა თავი თჳსი შეწირა, მრგულიად დასაწუელად მისსა მიმართ შესწირვიდეს ჴელითა უსჯულოჲსა მის მარზაპნისაჲთა, რომელმანცა შეწირა.
ან მნებავს, საყუარელნო, რაჲთა უწყოდით მიზეზი საქმისაჲ ამის, რამეთუ მას ჟამსა დაეპყრა ქართლი მეფესა სპარსთასა...[1]	ან მნებავს, საყუარელნო, რათა უწყოდით მიზეზი საქმისა ამის. რამეთუ დაეპყრა ქართლი მეფესა სპარსთასა...[2]

ამრიგად, მკითხველი ადვილად დაინახავდა, რომ „აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის“ პროლოგის საკითხი გარკვეულია: იგი მთლიანად და ზუსტად იმ ფარგლებში, რომელზეც მიუთითებდა კ. კეკელიძე, დაცულია X საუკუნის პირველი ნახევრის ხელნაწერში. ცხადია, ასეთი ვითარება გამორიცხავს ყოველგვარ ვარაუდს, რომ პროლოგი გვიან, მეტაფრასტის მიერ არის დამატებული. ვნახოთ ახლა, რა ვითარება გვაქვს ტექსტის შუაში, სადაც აბიბოსი ცეცხლთაყვანისმცემლობასთან კამათობს.

N/Sin.geo-50	*ვრცელი რედაქცია*
მაშინ წარმოადგინეს წმიდაჲ აბიბოზ ებისკოპოზი და რქუა მას მარზაპანმან მან: „რაჲსთჳს უარ-ჰყავ უფლებაჲ მეფეთა მეფისაჲ და მოჰკალ უფალი ჩუენი?“	მაშინ წარმოადგინეს წმიდაჲ აბიბოს ეპისკოპოსი და ჰრქუა მას მარზაპანმან მან: „რაჲსათჳს უვარ-ჰყავ უფლებაჲ მეფეთ-მეფისაჲ და მოჰკალ ღმერთი ჩუენი?“

[1] N/Sin.geo-50, 98v-100r.

[2] აბულაძე, *ასურელ მოღვაწეთა ცხოვრება*, 188-189.

მიუგო წმიდამან მან ებისკოპოზმან და რქუა: „მე არავინ ვიცი მეუფჱ, გარნა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე. ცეცხლი იგი, რომელ დაუშრიტი, იგი არა არს ღმერთი და დაუშრიტე იგი, რაჲთა განქარდეს საცთური ეშმაკისაჲ. ხოლო გლოცავ შენ მე, რაჲთა განეყენო უნდოსა მას სამსახურებელსა და ღმერთი მხოლოჲ იცნათ, რომლისა მიერ დაებადა ყოველი, მას მხოლოსა მსახურებდით, რომელი წერილ არს: „უფალსა ღმერთსა შენსა მსახურებდე და მას მხოლოსა თაყუანის-სცემდე“.

რქუა მას მარზაპანმან მან: „რაჲსათჳს მოჰკალ ღმერთი ჩუენი და გინებს, რაჲთამცა შენისა ღმრთისა წარგკყვანენ“.

მიუგო ნეტარმან აბიბოზ და რქუა: „უწყებულ იყავნ ესე შენდა, ვითარმედ ღმერთი არა მოჲკლვის, ხოლო ცეცხლი დაუშრიტე და არა არს იგი ღმერთ, არამედ ოთხთა ბუნებათაგანისა ერთისა ნივთისა მცირედ ნაწილი, რომლისაგან ერთი-ერთისა პყრობელობა აქუს სიმრგულესა მას შინა ესრჱთ განსწორებითა ყოველთაჲთა დგანან, და უკეთუმცა ერთი-ერთა აღემატა, განქარდამცა მეორეჱ იგი.

მიუგო აბიბოს და ჰრქუა: „მე არავინ ვიცი მეუფედ, გარნა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე, ხოლო ცეცხლი იგი, რომელ დაუშრიტე იგი, რათამცა საცთური განვაქარვე ეშმაკისაჲ. ხოლო გლოცავ, რათა განეყუენნეთ უნდოსა მას მსახურებასა და ღმერთი მხოლოჲ იცნათ, რომლისა მიერ დაებადა ყოველი, და მას მხოლოსა ჰმსახურებდეთ, რამეთუ წერილ არს: „უფალსა ღმერთსა შენსა თაყუანის-სცე და მას მხოლოსა ჰმსახურებდე“.

ჰრქუა მას მარზაპანმან მან: „მე გკითხავ, რაჲსათჳს მოჰკალ ღმერთი ჩუენი და შენ გნებავს, რაჲთამცა შენისა ღმრთისა წარგკყვანნე?“

ხოლო ნეტარმან მან აბიბოს ჰრქუა: „უწყებულ იყავნ შენდა, ვითარმედ ღმერთი არა მომიკლავს, ხოლო ცეცხლი დაუშრიტე. არა არს ღმერთი იგი, არამედ სხუათა ბუნებათაგანი არს, ერთისა ნივთისაგან მცირედ ნაწილი, რომელთაგან აღჰმართა ღმერთმან სოფელი ესე. განსწორებით დაბადებულ არიან ნოტიაჲ, ცივი, ჴმელი და ცეცხლი, რომელ ერთიერთისა მპყრობელობაჲ აქუს სიმრგულესა მას შინა, ესრეთ განსწორებითა ნაწილთაჲთა დგანან ესენი, და უკუეთუმცა ერთიერთსა აღემატა, გან-მცა-ქარდა მეორე იგი.

N/Sin.geo-50	*ვრცელი რედაქცია*
ხოლო თქუენ იგი ცეცხლი მისვე ცეცხლისა ბუნებისა ნაწილითა ჴმელითა ცივით აღდგომილი შეშისა ჭამითა და მყოფი კონქი ერთი მცირეჱ წყალი დავასხ და მძლე ექმნა და მოკლა, რამეთუ უფროჲსლა მისსა იპოვა. აწ მიკჳრს თქუენგან, ვითარ არა სირცხჳლ გიჩს მისი სახელის-დებაჲ ღმრთად, რომელსა ესოდენ აქუს ძალი, რამეთუ თქუენი ცეცხლი ჩუენდავე მონაჲ არს. და კერპთა შეურაცხის-მყოფელთა ვერ მიჰხედავს, უკუეთუ ღმერთი არა არს, ვითარცა ეგე თქუენ იტყჳთ, ვითარ ოდესმე თქუენსავე სოფელსა განმზადეთ მსახურებად მის კერპისა, რომელ-იგი ჰქმენით ოქროჲსაჲ, სატანჯველ – დადებულსა თქუენ მიერ მაშინდელსა, აწ ღმერთ გიწოდებია.[1]	ხოლო თქუენი იგი ცეცხლი მისვე ცეცხლისა ბუნებისა ნაწილ [არს] ჴმელითა და ცივითა, აღმდგომი შეშისა ჭამითა მყოვარჟამიერ. ერთი მცირე წყალი დავასხ, მძლე ექმნა და მოკლა იგი, რამეთუ უფროჲს მისა იპოვა წყალი იგი. აწ მიკჳრს თქუენი ესევითარი სიცოფე, ვითარ არა სირცხჳლ გიჩნს მისი სახელის-დებად ღმრთად, რომელსა ესოდენი სული აქუს (რამეთუ თქუენი ესე ცეცხლი თქუენდავე მონა არს და კერპთა შეურაცხის-მყოფელთა ვერვის ჰხედავს), უკუეთუ ღმერთ არს ეგე? თქუენ იტყჳთ, რამეთუ ოდესმე თქუენსავე სოფელსა განჰმზადეთ მსახურებაჲ მის კერპისაჲ, რომელ-იგი ჰქმენით ოქროჲსაჲ; სატანჯველად განმზადებულსა მას თქუენ მიერ მაშინდელსა აწ ღმერთ ეწოდების!?[2]

როგორც ვხედავთ, მაზდეანობასთან პოლემიკის საკითხიც გარკვეულია: არც ის შეიძლება იყოს XII ს-ის შუაში დამატებული, ვინაიდან იგი შემონახულია X ს-ის პირველი ნახევრის ხელნაწერში.

უფრო ძნელი გასარკვევია „აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის“ ე.წ. ეპილოგის საკითხი, ვინაიდან N/Sin.geo-50-ში ტექსტი ნაკლულია. კ. კეკელიძე ვარაუდობდა, რომ არსენი დიდის მიერ დაწერილი ტექსტი მთავრდებოდა სიტყვებით: „და აღიხუნეს ნაწილნი იგი წმიდისა აბიბოჲსნი და დაფლნეს ადგილსა მას დიდებითა“. ამის შემდეგ რაც მოდის, მას მეტაფრასტის დამატებული ჰგონია. საბედნიეროდ, N/Sin.geo-50-ში ამ ადგილიდან მოკიდებული კიდევ არის დარჩენილი ტექსტის ნაწილი, თუმცა კი საგრძნობლად დაზიანებული. შესადარებლად მოვიტანოთ ისიც:

---

[1] N/Sin.geo 50, 103v-104v.

[2] *აბულაძე, ასურელ მოღვაწეთა ცხოვრება*, 192-193.

N/Sin.geo-50	*ვრცელი რედაქცია*
...დაჰკრძალნეს ადგილსა მას. და ესრჱთ შეჱნირა წმიდაჲ ა[ბი]ბოზ, ვითარცა მსხუერპლი კეთილი დ[ა] მართლად მსგავს არს ზ[აქარიაჲ]სი]..... არა სახელითა [არამედ სახი]თა..... .... სი[სხლიცა].....	...და დაჰფლ[ნ]ეს ადგილსა მას დიდებითა დიდითა. და ესრეთ შეინირა წმიდაჲ აბიბოს, ვითარცა მსხუერპლი წმიდაჲ და მართლიადმცა ვინმე თქუა, ვითარმედ: „სეხნა არს იგი ზაქარიაჲსსა, მამისა იოანესსა, არა თუ სახელითა, არამედ სახითა, რომელსა-იგი წილი ხუედრებულ იყო მღდელთ-მოძღურებისაჲ და კუალად სისხლიცა მისი წმიდად დაითხია“.
ამას გაუწყებ თქუენ, საყუარელნო, ნეტარისა აბიბოს ებისკოპოზისა, არა თუ ყოველთა საქმეთა და შრომათა და ღუაწლთა მისთა, გაუწყებ თქუენ, ვითარ აბიბოს უფრეთისა დალეწნა კერპნი და უღმრთოთა არწმუნა უფალი ქრისტე და ნათელ-სცა სახელითა სამებისაჲთა; ანუ ვითარ დედაკაცსა მას უწინაწარმეტყუელა შემდგომად მისა მოსლვაჲ ბერძენთაჲ და დაპყრობაჲ ქუეყანისა ამის ჩუენისაჲ, რომელიცა-იგი იქმნა მსწრაფლ... მისვე დედაკაცისა ზე მოვიდეს [ბერძე]ნნი და განასხნეს ურჩულონი...[39]	ამას რაჲ გითხრობ თქუენ ნეტარისა ეპისკოპოსისა აბიბოსისსა არა თუ ყოველთა საქმეთა და შრომათა და ღუაწლთა მისთა გაუწყებ თქუენ, ანუ ვითარ-იგი დალეწნა კერპნი და უღმრთოთა მათ არწმუნა ქრისტე და ნათელ-სცა მათ სახელითა წმიდისა სამებისაჲთა, ანუ ვითარ დედაკაცსაცა მას უწინასწარმეტყუელა შემდგომად ხოლო მისსა მოსლვაჲ ბერძენთაჲ და დაპყრობაჲ ქუეყანისა ამის ჩუენისაჲ, რომელიცა-იგი იქმნა მსწრაფლ, მისსავე დედაკაცისა ზე; მოვიდეს ბერძენნი და განასხნეს უსჯულონი...[40]

განსხვავებულად აყენებს ეპილოგის საკითხს ე. გაბიძაშვილი. მისთვის ეპილოგია ის, რაც მეტი აქვს ე.წ. ვრცელ რედაქციას მოკლესთან შედარებით.[3] აი, ამ ე.წ. ეპილოგს მიიჩნევს იგი არსენი მეორე კათალიკოსის დანამატად.

მიუხედავად იმისა, რომ N/Sin.geo-50, ერთი შეხედვით, ნაკლულია, ვფიქრობ, აბიბოს ნეკრესელის ტექსტს ბევრი არ უნდა აკლდეს, რადგან ყველაფერი, რაც მოჰყვება ბერძენთა მოსვლის შესახებ წინასწარმეტყველებას აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის C რედაქციაში ვრ-

---

1 N/Sin.geo 50, 105r-v.

2 *აბულაძე, ასურელ მოღვაწეთა ცხოვრება, 194; აბიბოს ნეკრესელ ებისკოპოსი,* 246.

3 გაბიძაშვილი, *ასურელი მოღვაწეები,* 88.

ცლად და Ლ რედაქციაში მოკლედ, გარკვეული ცვლილებებით იძებნება იოანე ზედაზნელის „საქმენის“ ტექსტში ცალკე ქვესათაურით და მას არანაირი კავშირი არა აქვს აბიბოს ნეკრესელის მარტვილობასთან.

ე.წ. ვრცელი და მოკლე რედაქციების ურთიერთმიმართების საკითხი

„აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის“ მოკლე რედაქციის პირველი გამომცემლები მ. ჯანაშვილი და ს. კაკაბაძე თვლიდნენ, რომ იგი ქრონოლოგიურად უფრო ადრინდელია, ვიდრე ვრცელი.[1] ს. კაკაბაძემ მას, ისევე როგორც მის მიერ გამოქვეყნებულ ასურელ მამათა ცხოვრების წიგნებს, არქეტიპიც კი უწოდა. მიუხედავად შემდგომში გამოთქმული საპირისპირო აზრებისა, ეს სახელი (ჩემი აზრით, უსაფუძვლოდ) მის მიერ გამოქვეყნებულ ტექსტებს მაინც ფაქტიურად დღემდე შემორჩა.

თუ არა ვცდები, კ. კეკელიძეს ვრცელი და მოკლე რედაქციების ურთიერთმიმართების საკითხი არ დაუყენებია. მისთვის, ცხადია, ორივე რედაქცია მეტაფრასულია, ვინაიდან პროლოგი და ეპილოგის ნაწილი ორივეშია დაცული, ხოლო მაზდეანობასთან პოლემიკის შემცველი ადგილი ე.წ. მოკლე რედაქციაში დაკარგულია. კ. კეკელიძე ფაქტიურად უგულებელყოფდა ამ ორ რედაქციას შორის მნიშვნელოვან განსხვავებას.[2]

თავიდანვე ინტერესით მოეკიდა აღნიშნული რედაქციების ურთიერთმიმართების საკითხს ივ. ჯავახიშვილი. მან დეტალურად შეისწავლა შინაარსობლივად და ტერმინოლოგიურად ორივე მათგანი და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ვრცელი რედაქცია უფრო ადრინდელია, ვიდრე მოკლე[3].

ილ. აბულაძემ, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა და გამოაქვეყნა ასურელ მამათა ცხოვრების ყველა წიგნი, ყველა ხელნაწერის მიხედვით, ტექსტოლოგიის თვალსაზრისითაც გაიზიარა ივ. ჯავახიშვილის დასკვნა იმის შესახებ, რომ „აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის“ შედარებით ვრცელი რედაქცია ძველია მომცროზე (როგორც იგი

---

[1] Джанашвили, *Описание рукописей*, 25-29; კაკაბაძე, *არქეტიპები*.

[2] კეკელიძე, *საკითხი სირიელ მოღვაწეთა*, 22, 47-50; კეკელიძე, *ქართული ლიტერატურის ისტორია*, 141-142, 537-538.

[3] ჯავახიშვილი, *თხზულებანი*, I, 398-403.

უწოდებს). მას მოკლებული აქვს პროლოგი, რომელშიც ლაპარაკია ასურელ მოღვაწეთა საქმიანობაზე ქართლ-კახეთში და მარტივად აქვს წარმოდგენილი ვრცელის რთული წინადადებები.[1]

ე. გაბიძაშვილი კვლავ დაუბრუნდა ძველ შეხედულებას იმის შესახებ, რომ მოკლე რედაქცია არქეტიპია ვრცელის მიმართ, ოღონდ გაცილებით უფრო უკეთ დაასაბუთა იგი, ვიდრე მისმა წინამორბედებმა. მისი აზრით, მოკლე რედაქცია უნდა ყოფილიყო დამოუკიდებელი თხზულება (შედგენილი IX ს-ში), რომელიც სპეციალურად გადააკეთა X ს-ის მეორე ნახევარში არსენ კათალიკოსმა, რათა ჩაერთო მის მიერ დაწერილ თხზულებაში „ცხორებაჲ და მოქალაქეობაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა იოვანე ზედაძნელისაჲ და მოწაფეთა მისთაჲ“. ამას, მისი აზრით, ამტკიცებს შემდეგი გარემოებები:

1. ვრცელ წამებას დამატებული აქვს ეპილოგი, რომელშიც „ავტორი თითქმის თავიდანვე იმეორებს შიო მღვიმელის „ცხოვრების“ ბოლო ნაწილს, რომელიც იოანე ზედაზნელის ზოგიერთი მოწაფის საქმიანობას ეხება და უმატებს მას შიოს გარდაცვალების, დასაფლავებისა და მისი დღესასწაულის დაწესების ფაქტებს. ერთი სიტყვით, აბიბოს ნეკრესელის ვრცელი „წამების“ ეპილოგით ავტორმა ერთ მთლიან თხზულებად შეკრა „იოვანე ზედაზნელისა და მისი მოწაფეების ცხოვრება“. 2. აბიბოს ნეკრესელის ვრცელი „წამება“ იწყება სიტყვებით: „ხოლო ჯერ არს, რაჲთა მცირედ შუჳა შემოვიღოთ ჴსენებაჲ წმიდისა და უბიწოჲსა მღდელთ-მოძღურისა და მოწამისაჲ...“. ასე თხზულების დაწყება არ შეიძლება, თუკი იგი წინა ტექსტის გაგრძელებას არ წარმოადგენს.[2]

ძალიან საინტერესო შთაბეჭდილებას ტოვებს ბ. მარტენ-იზარის სპეციალური ნაშრომი ასურელ მამათა ცხოვრებების შესახებ, თუმცა, ჩემი აზრით, მიღებული შედეგები, ახლადაღმოჩენილი ხელნაწერის შუქზე, ხშირ შემთხვევაში მცდარი ჩანს. რაც შეეხება „აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის“ რედაქციების ურთიერთმიმართების საკითხს, იგი სიძველის თვალსაზრისით უპირატესობას ანიჭებს ე.წ. მოკლე რედაქციას[3]. საყურადღებოა, რომ მისი გონებამახვილური არგუმენტები საერთოს ნახულობენ ე. გაბიძაშვილის არგუმენტებთან, თუმცა ავტორი მისი წინამორბედის ნაშრომს სრულიად არ იცნობს.

---

[1] აბულაძე, *ასურელ მოღვაწეთა ცხოვრება*, XXVI-XXXII.

[2] გაბიძაშვილი, *ასურელი მოღვაწეები*, 83-89.

[3] Martin-Hizard, *Les «Treis Saints pères»*, 159-165.

ვნახოთ, რომელ მოსაზრებებს დაუჭერს მხარს ან რა ცვლილებებს შეიტანს მათში ახლადაღმოჩენილი N/Sin.geo-50.

N/Sin.geo-50-ში შემონახული „აბიბოს ნეკრესელის მარტვილობა" მთლიანად ვრცელი რედაქციის ტიპისაა. მას არა აქვს ე.წ. ეპილოგის ნაწილი იმიტომ, რომ სინურ რედაქციაში ეს ნაწილი არანაირ კავშირში არ არის აბიბოს ნეკრესელის მარტვილობასთან და როგორც უკვე აღვნიშნე, ცალკე ქვეთავად შეტანილია იოანე ზედაზნელის „საქმენში". მოვიტან შესაბამის ტექსტებს N/Sin.geo-50-ისა და „აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის" Ⴑ რედაქციის ტექსტიდან:

N/Sin.geo-50	„აბიბოს ნეკრესელის მარტვილობა" Ⴑ რედაქცია
ერთმან მათგანმან აღაშჱნა ალავერდი, რომლისაგან გამოვლენ ვიდრე დღენდღელად დღედმდე დიდნი საკჳრველებანი და მრავალნი კურნებანი *განთქუმულ* გარემო ყოველსა ამას სოფელსა. და სხუამან ქუაბი იულთისაჲ, და სხუათა დაჰნერგეს კხუეთს ეკლესიანი და მონასტრები, და ერთმან – წმიდასა უდაბნოსა *გარერჩისასა* და მრავალნი საკჳრველებანი ქმნნა.	ერთმან ვინმე მათგანმან აღაშენა ალავერდი, რომლისაგან გამოვლენ ვიდრე დღენდელად დღედმდე დიდნი საკჳრველებანი და მრავალნი კურნებანი, *განთქუმულნი* გარემოს ყოველსა მას სოფელსა; და სხუამან ქუაბი იულთისაჲ, და სხუათა დაჰნერგნეს კუხეთს მონასტერნი, და ერთმან უდაბნოჲ *გარესჯისაჲ* და მრავალნი საკჳრველებანი ქმნნა.
ხოლო ერთმან ზენა-სოფელს აღაშჱნა მონასტერი და დადვა სასწაული ესე, რაჲთა არარაჲ დედალი შევიდეს მას შინა; რომელმან მფრინველნი ცისანი და ქუენარმავალნი ენასა მისსა დაამორჩილნა, ვერ იკადრებენ დაბუდებად მას შინა, რომელსა ესე თუალნი ჩუენნი ჰხედვიდეს.	ხოლო ერთმან ზენა-სოფელსა აღაშენა მონასტერი და დადვა სასწაული ესე, რათა არარაჲ დედალთაგანი შევიდეს მას შინა. რომელმან მფრინველნი ცისანი და ქუენარმავალნი ენასა თჳსსა დაამორჩილნა, ვერ იკადრებდეს დაბუდებად მას შინა, რომელსა-ესე თუალნი ჩუენნი ხედვიდეს დღეს.
და ვითარ-იგი განშუენებულ არიან ყოველნი ადგილნი ამათ წმიდათანი და ყუავიან დღეს. *უკუეთუმცა ვის უხილავს იგი მათი იგი კადნიერებაჲ წინაშე უფლისა თჳისსა ადგილთა მათგან.*	და ვითარ-იგი განშუენებულ არიან ყოველნი ადგილნი მათ წმიდათანი და ყუავიან დღეს, *უკუეთუმცა ვისმე უხილავი იგი მათი დიდებაჲ არა ჰრწმენა, ვითარ გულისჴმა-ყომცა მათი იგი კადნიერებაჲ წინაშე უფლისა ადგილთა მათთაგან?!*

ხოლო სხუათა მათ ყოველთაჲ ვერ ძალ-მიც მოჴსენებად, მცირედითა ამით სიტყჳთა, დიდი იგი *ვცანით* და გემოჲ ვიხილოთ წმიდათა მათგან წყაროთა და ადიდებდით მამასა თქუენსა ზეცათასა.

ხოლო ნეტარმან შიო მღუმესა მას შინა პოვა ზეცისა იგი მარგალიტი და მოიღო თავსა შინა მისსა და *დაჲმკვდრა*, და ისწრაფდა მისლვად მის წინაშე, რომელმან-იგი *მოაქცია*, მან *მოიყვანა* ადგილსა მას, რომლისათჳსცა ჰსუროდა და შეისუენა დიდითა განცხადებულებითა. და შეკრბა სიმრავლჱ მონაზონთაჲ, მსგავსად ჩუეულებისა, და დაჰმარხნეს ჴორცნი მისნი მასვე ადგილსა და განაწესეს დღესასწაული მის ნეტარისაჲ *ე* ზატიკსა, დღესა კჳრიაკესა.

და შემდგომად *მისსა* წმიდაჲ და კეთილად მსახური ღმრთისაჲ ევაგრე, ჩაჯდა მღუმესა, რაჲთა არა დააცარიელოს ადგილი თჳსისა მოძღურისაჲ, რაჲთა სათნოებითა მისთა მკჳდრ იქმნეს, რომელმან წმიდაჲ იგი სრბაჲ აღასრულა საქმით".[1]

ხოლო სხუათა მათ ყოველთა ვერ ძალ-მიც მოჴსენებად, არამედ მცირედითა ამით სიტყჳთა დიდი იგი *ვცნათ* და გემოჲ ვიხილოთ წმიდათაგან წყაროთა და ადიდებდით მამასა თქუენსა ზეცათასა.

ხოლო ნეტარმან შიო მღუმესა მას შინა პოვა ზეცისა იგი მარგალიტი და მოიღო თავსა შინა თჳსსა და *დაამკვდრა*, და ისწრაფდა მისლვასა მის წინაშე, რომელი-იგი *მოიქუა* მან, *მიიყვანა* ადგილსა მას, სადაცა სუროდა და შეისუენა დიდითა განცხადებულებითა. და შეკრბა მუნ სიმრავლე მონაზონთაჲ, მსგავსად ჩუეულებისა დაჰმარხნეს ჴორცნი მისნი მას ადგილსა, და განაწესეს დღესასწაული მის ნეტარისაჲ *მეხუთესა* ზატიკსა, დღესა კჳრიაკესა.

და შემდგომად *ამისა* წმიდაჲ და კეთილად მოღუაწე ევაგრე ჩაჯდა მღუმესა მას, რათა არა დააცალიეროს ადგილი თჳსისა მის მოძღურისაჲ და რაჲთა სათნოებათა მისთა მკჳდრ იქმნეს, რომელიცა აღასრულა საქმით".[2]

ამდენად, ცხადია, რომ სინური ხელნაწერისათვის ეს მონაკვეთი იოანე ზედაზნელის ცხოვრების ნაწილია და არა აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის ე.წ. ეპილოგი, როგორი სახითაც ის გვხვდება აბიბოს ნეკრესელის ვრცელ და მოკლე რედაქციებში.

როგორ აღმოჩნდა იოანე ზედაზნელის ცხოვრების ტექსტის ნაწილი აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის ბოლოს?

შესაძლოა, ე. გაბიძაშვილი და ბ. მარტენ-იზარი მართლები არიან მათი დებულების იმ მუხლში, რომლის მიხედვითაც გვიანდელმა რე-

---

1 N/Sin.geo-50, 92r-93v.

2 აბულაძე, ასურელ *მოღვაწეთა ცხოვრება*, 196; *აბიბოს ნეკრესელის მარტვილობა*, 246-248.

დაქტორმა იოანე ზედაზნელის ცხოვრების ნაწილი აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის ე.წ. ეპილოგად გადაიტანა – აბიბოსის „მარტვილობის“ ასურელ მოღვაწეთა ციკლში შეტანის მიზნით.

რაც შეეხება ვრცელ და მოკლე რედაქციებს შორის უპირატესობის მინიჭებას, რომელია უფრო ადრინდელი, გადაწყვეტილების ერთადერთ საშუალებად რჩება ის მეთოდი, რომელიც გამოიყენა ივ. ჯავახიშვილმა. სახელდობრ, სხვადასხვა რედაქციაში გამოყენებულ ისტორიულ ტერმინთა სიძველე. ამ თვალსაზრისით კი, როგორც ჩანს, მაინც უპირატესობა ვრცელ რედაქციას უნდა მიენიჭოს, რომელშიც გვხვდება: „ჩუენსა ამას სოფელსა“ საპირისპიროდ გამოთქმისა „ქუეყანასა ამას ჩუენსა“; „ჴევისა კახეთისაჲ“ საპირისპიროდ შესიტყვებისა „სამთავროჲსა კახეთისაჲ“. ამის მაჩვენებელი უნდა იყოს, აგრეთვე, მოკლე რედაქციის მიერ სრულიად გამოტოვება შესაბამის პარაგრაფში სპარსელთა ცეცხლთაყვანისმცემლობის აღწერისა, რომელიც დაცულია როგორც ვრცელში, ისე N/Sin.geo-50-ში. ამ შეხედულების სასარგებლოდ ალბათობას ისიც ზრდის, რომ იგი აღმოჩნდა დღეისათვის ცნობილ ყველაზე ძველ ხელნაწერში.

საინტერესო ის არის, რომ ე.წ. მოკლე რედაქცია საერთოს პოულობს როგორც ვრცელთან, ისე N/Sin.geo-50-თან ისეთ ადგილებში, სადაც ეს უკანასკნელნი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მაგალითად:

N/Sin.geo-50	ვრცელი რედაქცია	მოკლე რედაქცია
ჩემი არს მოწამჱ ესე და არა სხჳსაჲ, ჩემისა ამისაგან საყდრისა, ნაყოფი შუენიერი, მხიარულებისაჲ *ჩუენდა* მოღებული, სპეტაკი ვარდი ესე, ერისა სურნელ-მყოფელი, *ჩუენდა მომართ მომფენელი...*	ჩემი არს მოწამე ესე და არა სხჳსა, ჩემისა ამისგან საყდრისა, ნაყოფი შუენიერი, მხიარულებისა *ჩემდა* მომღებელი, სპეტაკი ვარდი, ჰაერისა სულნელ-მყოფელი, *ჩემდა მომფენელი.*	ჩემი არს მოწამე ესე და მღდელთ-მოძღუარი უბიწოჲ, ნაყოფი შუენიერი, მხიარულებისა *ჩუენდა* მომღებელი და სულნელებისა ჩუენისა *ჩუენდა მომფენელი...*

N/Sin.geo-50	ვრცელი რედაქცია	მოკლე რედაქცია
ან მნებავს, საყუარელნო, რაჲთა უწყოდით მიზეზი საქმისაჲ ამის, რამეთუ *მას ჟამსა* დაეპყრა ქართლი მეფესა სპარსთასა და იგინი ჴელმწიფე იყვნეს ჩუენსა ამას სოფელსა...	ან მნებავს, საყუარელნო, რაჲთა უწყოდით მიზეზი საქმისა ამის, რამეთუ დაეპყრა ქართლი მეფესა სპარსთასა და იგინი ჴელმწიფე იყვნეს ჩუენსა ამას სოფელსა...	ხოლო მიზეზი ნამებისა მისისაჲ ესრეთ იყო. რამეთუ *ჟამსა მას*, ოდეს სამეუფოჲ ესე ჩუენი ქართლი სპარსთა მეფესა დაეპყრა....
ხოლო ნეტარი აბიბოზ ნეკრესელ ქალაქისა ებისკოპოზი, ჴევისა კახეთისაჲ, აღიძრა შურითა საღმრთოჲთა *გულსმოდგინებითა*, [ვერ თავს-იდვა] უცხოჲსა მის სამსახურებელისა მახლობელად ყოფაჲ, *დაასხა წყალი და ხენეში იგი დაშრიტა*. ესე რაჲ ცნეს ურჩულოთა მათ სპარსთა, ფრიად გუემნეს კნინ მო-მცავიდრემე-კლეს ნეტარი იგი, შეაყენეს საპყრობილესა, იწროებითა მრავლითა. სატანჯუელისა შემდგომად მსწრაფლ მიწერეს ზენა-სოფლად *მეფისა* მარზაპნისა საქმჱ ესე. ხოლო მან ბრძანა მსწრაფლ *შეკრულისაჲ* წარყვანებად მუნ მის წინაშე.	ხოლო ნეტარი აბიბოს ნეკრესელ ქალაქისა ეპისკოპოსი, ჴევისა კახეთისაჲ, აღიძრა შურითა საღმრთოჲთა და ვერ თავს-იდვა უცხოჲსა მის სამსახურებელისა მახლობელად მისა ყოფად და *დაასხა მცირედ წყალი ხენეში და დაშრიტა იგი*. ესე რაჲ ცნეს უსჯულოთა მათ სპარსთა, ფრიად გუემეს, კნინღა ვიდრემეღა მოკლეს ნეტარი იგი, და საპყრობილესა შეაყენეს დიდითა იწროებითა და მრავლითა ტანჯვითა. ამისა შემდგომად მიწერეს მსწრაფლ ზენა სოფლად მარზაპნისა საქმე ესე. ხოლო მან ბრძანა მსწრაფლ მისი *შეკრვაჲ* და მიყვანებაჲ მისი მის წინაშე.	ხოლო ნეტარი აბიბოს ნეკრესელ ქალაქისა ებისკოპოსი, სამ[თავ]როჲსა კახეთისაჲ, [აღიძრა] საღმრთოჲთა შურითა *გულს-მოდგინედ* და მივიდა მახლობელად უცხოჲსა მის სამსახურებელისა მათისა, *დაასხა წყალი და ხენეში იგი [ღმერთი], ცეცხლი მათი დაშრიტა*. ესე რაჲ ცნეს უსჯულოთა მათ სპარსთა, შეიპყრეს და ესოდენ გუემეს, ვიდრეღა სიკუდიდ საგონებელ იყო ნეტარი იგი, და მერმე შეაყენეს საპყრობილესა იწროებითა დიდითა. და შემდგომად მრავლისა ტანჯვისა მიწერეს ზენა სოფლად *მეფისა* მათისა მარზაპნისა თანა. ხოლო მან მიუმცნო, რაჲთა *შეკრული* მსწრაფლ მიიყვანონ მის წინაშე.
ხოლო ნეტარი ებისკოპოზი მეგობარ იყო ბრწყინვალისა მის მნათობისა *სჳმიონ მესუეტისა*...[1]	ხოლო ნეტარი იგი ეპისკოპოსი *აბიბოს* მეგობარი იყო ბრწყინვალისა მის მნათობისა *სჳმეონ მესუეტისა ანტიოქელისაჲ*...	ხოლო ნეტარი ესე ებისკოპოსი მეგობარი იყო ბრწყინვალისა მის მნათობისა *სჳმიონ მესუეტისა ანტიოქელისაჲ*...[2]

[1] N/Sin.geo-50, 92r-93v.

[2] *აბულაძე, ასურელ მოღვაწეთა ცხოვრება*, 196; აბიბოს ნეკრესელის *მარტვილობა*, 247-248.

სამივე რედაქციიდან მოტანილი მაგალითები, და ასეთი შემთხვევები მრავალია, ვფიქრობ, ცხადად გვიჩვენებენ, რომ მოკლე რედაქცია პირდაპირ კავშირში არ არის არც N/Sin.geo-50-თან და არც ე.წ. ვრცელ რედაქციასთან. უნდა ვივარაუდოთ კიდევ ერთი სხვა რედაქციის არსებობა, რომელიც წინ უსწრებდა სამივე მათგანს.

„აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის“ ავტორი

„აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის“ ვრცელ რედაქციას სათაურად აქვს წამძღვარებული: „წმიდისა მღდელ-მოწამისა აბიბოს ნეკრესელ ეპისკოპოსისა, რომელი ინამა ცეცხლის-მსახურთა მიერ ქართლს, თქუმული არსენი დიდისა ქართლისა კათალიკოსისაჲ“. მცირე რედაქციის სათაურია: „მოქალაქობაჲ და წამებაჲ წმიდისა აბიბოს ნეკრესელისაჲ“.[1]

როგორც ვხედავთ, ვრცელი რედაქცია ავტორად ასახელებს ქართლის კათალიკოსს არსენი დიდს, ხოლო მოკლე – ანონიმურია. ასეთმა ვითარებამ, სხვა დაკვირვებებთან ერთად, „აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის“ ავტორის შესახებ წარმოშვა სხვადასხვა შეხედულება.

კ. კეკელიძემ შემდეგი ჰიპოთეზა ჩამოაყალიბა: პირველი თხზულება შექმნა IX ს-ის მეორე ნახევარში ქართლის კათალიკოსმა არსენი I-მა დიდმა, როგორც ის უწოდებს, საფარელმა. ეს თხზულება დაკარგულია, მაგრამ მისი ძირითადი ნაწილი შემოინახა XII ს-ის მეტაფრასულმა რედაქციამ, რომლის ავტორია ჩვენთვის უცნობი ვინმე ნეკრესის ეპისკოპოსი. მისი აზრით, მეტაფრასული რედაქციის ავტორის ვინაობას ამჟღავნებს ტექსტის შემდეგი სიტყვები: „ჩემი არს მოწამე ესე და არა სხჳსა, ჩემისა ამისგან საყდრისა ნაყოფი შუენიერი“. ასეთი ფრაზის თქმა ნეკრესის ეპისკოპოსის შესახებ შეეძლო ეთქვა მხოლოდ ისევ ნეკრესის ეპისკოპოსს.[2]

---

[1] აბულაძე, *ასურელ მოღვაწეთა ცხოვრება*, 188.

[2] კეკელიძე, *ლიტერატურის ისტორია*, 537-538.

ივ. ჯავახიშვილი არსენი დიდს ვრცელი რედაქციის ავტორად მიიჩნევს, მაგრამ არა თავდაპირველი, კიმენური ტექსტისა, რომელიც დაიწერა VI ს-ის გასულს ან VII ს-ის დამდეგს.[1]

ს. კაკაბაძე მსჯელობს მხოლოდ იმ ტექსტის შესახებ, რომელსაც თვითონ „არქეტიპს" უწოდებს (ეს არის ე.წ. მოკლე რედაქცია) და თვლის, რომ იგი შექმნილია უცნობი ავტორის მიერ VII საუკუნის მიწურულს.[2]

ილ. აბულაძემ უარყო კ. კეკელიძის ვარაუდი, რომ „აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის" ვრცელი რედაქციის ავტორი შეიძლება იყოს ნეკრესის ეპისკოპოსი და ტექსტის სათაურში მოხსენიებული არსენი დიდი კათალიკოსი მიიჩნია ავტორად როგორც აბიბოსის მარტვილობის, ისე მთლიანად იოანე ზედაზნელისა და მის მოწაფეთა ცხოვრების წიგნებისა. ამის დასტურად მან ჩათვალა ისეთი გამოთქმები, როგორიცაა: „ვითარ მოიწივნეს მახლობელად ჩუენსა ამას სამეუფოსა ქალაქსა მცხეთისასა..".; „ვითარ მოიწივნეს სამეუფოსა ქალაქსა მცხეთასა..". და ა.შ.[3] უნდა სპეციალურად შევნიშნოთ, რომ არსენი დიდი კათალიკოსი ილ. აბულაძესთვის არის X ს-ის კათალიკოსი არსენი მეორე.[4]

ე. გაბიძაშვილი თვლის, რომ „აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის" ვრცელი რედაქციის ავტორია არსენი II ქართლის კათალიკოსი, რომელმაც შეადგინა იოანე ზედაზნელისა და მის მოწაფეთა ცხოვრების წიგნი. მან ამისათვის გამოიყენა მანამდე არსებული „მარტვილობა" (ე.წ. მოკლე რედაქცია), გადააკეთა იგი და ისე შეიტანა ზემოთ დასახელებულ წიგნში. ვრცელი რედაქციისთვის სათაური გვიანი შერქმეულია იმ ტრადიციის მიხედვით, რომელიც იოანე ზედაზნელისა და მის მოწაფეთა ცხოვრებას არსენი კათალიკოსს მიაწერდა. „არსენის ტიტულატურისათვის „დიდის" დამატება მას შემდეგ უნდა მომხდარიყო, როდესაც ეს თხზულება დამოუკიდებელ თხზულებად აღიქვეს და ძირითად თხზულებას მოაცილეს".[5] ჩემთვის ეს ბოლო დებულება ნათელი არ არის. ავტორი არ განმარტავს, ვინ იგულისხმება „არსენი დიდში" – არსენი პირველი თუ მეორე.

---

1 ჯავახიშვილი, *თხზულებანი*, I, 398-399, 401.

2 კაკაბაძე, *არქეტიპები*, 11-14.

3 აბულაძე, *ასურელ მოღვაწეთა ცხოვრება*, XXIX-XXXIII.

4 იქვე, XXX-XXXI.

5 გაბიძაშვილი, *ასურელი მოღვაწეები*, 88.

ბ. მარტენ-იზარი მიიჩნევს, რომ „აბიბოს ნეკრესელის მარტვილობა" დაიწერა VII საუკუნეში უცნობი ავტორის მიერ. ეს იყო დღეისათვის ჩვენთვის ცნობილი, ანუ მოკლე რედაქცია. X საუკუნის ბოლოს მას რედაქცია გაუკეთა და შეიტანა იოანე ზედაზნელისა და მის მოწაფეთა ცხოვრებაში არსენი მეორე ქართლის კათალიკოსმა.[1] ის გარემოება, რომ ვრცელი რედაქციის ავტორად თხზულების სათაურში დასახელებულია არსენი დიდი, მას სერიოზულ არგუმენტად არ მიაჩნია. მისი აზრით, „დიდი" არის უბრალოდ ეპითეტი, რომელმაც შეიძლება შეცვალოს, ვთქვათ, „ნეტარი". ეს ეპითეტი შეიძლება მიემართებოდეს ნებისმიერ გამორჩეულ პიროვნებას და ვერც კ. კეკელიძე ასახელებს ისეთ ტექსტს, რომელშიც „დიდი" მხოლოდ არსენისთვის იქნებოდა გამოყენებული. ცხადია, ბ. მარტენ-იზარი არ იზიარებს კ. კეკელიძის იმ მოსაზრებასაც, რომ ჩვენამდე მოღწეული ტექსტების ავტორია უცნობი ნეკრესის ეპისკოპოსი. იგი საერთოდ გაუმართლებლად თვლის ისეთი არგუმენტების გამოყენებას, როგორსაც იყენებდა კ. კეკელიძე ავტორის ნეკრესის ეპისკოპოსად გამოსაცხადებლად, ხოლო ილ. აბულაძე იმავე ავტორის მცხეთის კათალიკოსად მისაჩნევად.[2]

როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, N/Sin.geo-50 „აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის" ვრცელი რედაქციის რიგის თხზულებაა, მაგრამ მისი სათაური უფრო ახლოს არის მოკლე რედაქციასთან:[3]

N/Sin.geo-50	*ვრცელი რედაქცია*	*მოკლე რედაქცია*
ცხორებაჲ და წამებაჲ წმიდისა აბიბოჲ ნეკრესელ ქალაქისა ებისკოპოზისაჲ	წმიდისა მღდელ-მოწამისა აბიბოს ნეკრესელ ეპისკოპოსისა, რომელი იწამა ცეცხლის მსახურთა მიერ ქართლს, თქუმული არსენი დიდისა ქართლისა კათალიკოსისაჲ	მოქალაქობაჲ და წამებაჲ წმიდისა აბიბოს ნეკრესელ ებისკოპოსისაჲ[3]

1 Martin-Hizard, *Les «Treis Saints pères»*, 1985, 158-165; მისივე, *Les «Treize Saint pères»*, 1986, 75-76.

2 Martin-Hizard, *Les «Treis Saints pères»* 1985, 159, n. 72, 73.

3 *აბულაძე, ასურელ მოღვაწეთა ცხოვრება*, 188.

როგორც ვხედავთ, ავტორი დასახელებული არ არის არც N/Sin. geo-50-ში და არც მოკლე რედაქციაში. ამიტომ უნდა დავასკვნათ, რომ ვრცელი რედაქციის სათაური გვიანი რედაქტორის ნახელავია და „არსენი დიდიც“ გვიან არის მასში ჩაწერილი. აქვე მინდა ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ მთელს N/Sin.geo-50-ში არსენი ქართლის კათალიკოსი, არც „დიდი“ და არც ამ ეპითეტის გარეშე, ნახსენები არ არის, როგორც ასურელ მამათა ცხოვრების წიგნთა რედაქტორი ან შემდგენელი. ამიტომ თავიდანვე უნდა მოიხსნას ერთი ჰიპოთეზა: არსენი მეორე კათალიკოსი არ შეიძლება იყოს „აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის“ ე.წ. ვრცელი რედაქციის ავტორი.

მაშ, ვინ არის ვრცელი რედაქციის სათაურში დასახელებული არსენი დიდი ქართლის კათალიკოსი? მე ვფიქრობ, ცდებიან ის მეცნიერები, რომლებიც არ უწევენ სათანადო ანგარიშს ეპითეტ „დიდს“ და მასში მაინც არსენი მეორე ქართლის კათალიკოსს ხედავენ. რა თქმა უნდა, „დიდიც“, „ნეტარიც“ და სხვა ეპითეტებიც შეიძლებოდა ბევრის მიმართ თქმულიყო, მაგრამ როგორც საკუთარი სახელის შემადგენელი ნაწილი ამნაირად ტრადიციაში იშვიათად რჩებოდა. სხვაა, რომელიც გნებავთ, ავგუსტინე და სხვაა „ნეტარი ავგუსტინე“; სხვაა უამრავი ბასილი, მაგრამ სხვაა „ბასილი დიდი“. ასევე კარგად არჩევს ძველი ქართული ტრადიცია გუარამ კურაპალატსა და გუარამ დიდ კურაპალატს, ან გუარამ ყრმას და ა.შ. არსენი პირველი ქართლის კათალიკოსი ნამდვილად ცნობილი რომ იყო ძველ ქართულ სამყაროში როგორც „არსენი დიდი“ და არა სხვა ვინმე, ამას გვიდასტურებს კვლავ N/Sin.geo-50: „მოქცევაჲ ქართლისაჲსთვის“ დართულ ქართლის კათალიკოსთა სიაში არსენი პირველი დასახელებულია სწორედ როგორც „არსენი დიდი“.

ამრიგად, ტრადიცია შესაძლოა ცდება, მაგრამ „აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის“ ვრცელ რედაქციას იგი მიაწერს არსენი პირველს და არა მეორეს. მე აქ სრულიად არ შევეხები არსენი დიდისა და არსენი საფარელის იგივეობის საკითხს. ამ იდენტიფიკაციას არავითარი დასაყრდენი არ მოეპოვება და იგი მე განხილული მაქვს სხვა ნაშრომში.[1]

---

[1] არსენი საფარელი, *განყოფისათჳს*, 9-15.

ვინაიდან N/Sin.geo-50-ში პირდაპირი მითითება ავტორზე არა გვაქვს, უნდა შევეცადოთ არაპირდაპირი მონაცემებით მის მიგნებას.

ჯერ შევამოწმოთ, გვაქვს თუ არა არაპირდაპირი მითითება იმაზე, რომ ტექსტის ავტორი არის ქართლის კათალიკოსი. აქვე მინდა განვაცხადო, რომ ვეთანხმები ილ. აბულაძის არგუმენტაციას, რომლის მიხედვითაც „აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის" ვრცელი რედაქცია ქართლის კათალიკოსის ხელიდან არის გამოსული და არ ვიზიარებ იმ არგუმენტებს, რომლებზე დაყრდნობითაც ამას უარყოფს კ. კეკელიძე.

მკითხველს შევახსენებ, რომ N/Sin.geo-50-ის სათაურში და, მით უმეტეს, ტექსტში ქართლის კათალიკოსი მოხსენიებული არ არის. გარდა ამისა, ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ვრცელი რედაქციის კონტექსტი ავტორს (ვრცელისათვის არსენი დიდ ქართლის კათალიკოსს) მცხეთაში მჯდარს გვავარაუდებინებს, N/Sin.geo-50 ასეთ შესაძლებლობას უარყოფს. საინტერესოა, რომ მოკლე რედაქცია ამ თვალსაზრისით მერყეობს მათ შორის, მაგრამ უფრო მეტად მაინც N/Sin.geo-50-ს უჭერს მხარს. მაგალითად:[1]

N/Sin.geo-50	*ვრცელი რედაქცია*	*მოკლე რედაქცია*
ვითარ *მიიწივნეს* სამეუფოსა ქალაქსა მცხეთასა...	ვითარ *მოიწივნეს* მახლობელად *ჩუენსა ამას* სამეუფოსა ქალაქსა მცხეთისასა	ვითარ *მიიწივნეს* სამეუფოსა ქალაქსა მცხეთას...[1]

როგორც ვხედავთ, N/Sin.geo-50 და მოკლე რედაქცია, ვრცელისაგან განსხვავებით, ტექსტის ავტორის სატახტო ქალაქად არ ასახელებენ მცხეთას. უფრო მეტიც, ისინი მოძრაობის მიმართულებასაც, ასევე ვრცელი რედაქციის საწინააღმდეგოდ, რომლის ავტორიც თავს მცხეთაში გულისხმობს („მოიწივნეს"), უჩვენებენ თავისი ადგილსამყოფელიდან მცხეთისაკენ („მიიწივნეს").

რადგან მოქმედების მიმართულებას მცხეთის მიმართ სხვადასხვა რედაქციაში განსხვავება შევამჩნიეთ, მოდით, ყველა სხვა შემთხვევაც შევამოწმოთ. ვნახოთ, სად მოიაზრებს თავის თავს N/Sin.geo-50-ში

[1] *აბულაძე, ასურელ მოღვაწეთა ცხოვრება*, 191.

დაცული „აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის" ავტორი ვრცელი და მოკლე რედაქციების ავტორებთან შედარებით.

აბიბოს ნეკრესელმა ნეკრესის ახლოს აღმართული ცეცხლის საგზებელი წყლით დაშრიტა. სპარსელებმა იგი შეიპყრეს, აწამეს და მისწერეს ამის შესახებ სპარსეთის მეფის მარზპანს, რომელიც სოფელ რეხაში იჯდა. მარზპანმა ბრძანა შეეკრათ აბიბოსი და ისე მიეგვარათ მისთვის. ამის შემდეგ

N/Sin.geo-50	*ვრცელი რედაქცია*	*მოკლე რედაქცია*
და ***ამოვიდეს მივლინებულნი*** იგი მრავალნი და წარიყვანესა, მრავალ-ფერითა ჭირითა მიჰყვანდა იგი... ოდეს ***მოჰყვანდა*** წმიდაჲ აბიბოზ ებისკოპოზი, ემთხჳა მას მოციქული ნეტარისა სჳმიონ მესუეტისაჲ სოფელსა, რომელსა ჰრქჳან იალდოჲ, და **მოართუა** მას წიგნი და ევლოგიაჲ და კუერთხი წმიდისა სჳმიონ მესუეტისა ანტიოქელისა საკჳრველთ-მოქმედისაჲ.[1]	და ***მივიდეს მივლინებულნი*** იგი მტარვალნი და წარიყვანეს, ვითარცა ბრძანებულ იყო; მრავალფერითა ჭირითა **მიიყვანეს** იგი. ოდეს ***მიჰყვანდა*** წმიდაჲ აბიბოს, დაემთხჳა მას მოციქული იგი წმიდისა სჳმეონ მესუეტისაჲ სოფელსა, რომელსა ჰრქჳან იალდო, და **მოართუა** მას წიგნი, ევლოგიად და კუერთხი წმიდისა სჳმეონ მესვეტისა ანტიოქელისა საკჳრველთ-მოქმედისაჲ.	და ***მოვიდეს მოვლინებულნი*** იგი და წარიყვანეს წმიდაჲ აბიბოს მრავალ-ფერითა ჭირითა მგზავრ. ოდეს ***მიჰყვანდა*** წმიდაჲ აბიბოს, დაემთხჳა მას მოციქული ნეტარისა სჳმიონ მესუეტისაჲ სოფელსა, რომელსა ჰრქჳან იალდოს და **მისცა** წიგნი ევლოგიაჲ და კუერთხი წმიდისა მამისა ჩუენისა სჳმეონ საკჳრველთ მოქმედისაჲ.[2]

ამრიგად, აშკარაა, რომ N/Sin.geo-50-ის ავტორი ტექსტის ნერისას თავს მოიაზრებს კახეთში მყოფად. ამაში მას სისტემურად უჭერს მხარს „აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის" მოკლე რედაქცია. ხოლო როდესაც მარზპანის მიერ გამოგზავნილთა შესახებ იგი ამბობს „ამოვიდესო", სხვა ვერაფერს წარმოიდგენს კაცი, თუ არა იმას, რომ ტექსტის ავტორი თვითონაც ნეკრესში ზის.

---

1 N/Sin.geo-50, 101r.

2 *აბულაძე, ასურელ მოღვაწეთა ცხოვრება,* 190.

ამის შემდეგ უნდა გავიხსენოთ ის არგუმენტი, რომელსაც კ. კეკელიძე საკმარისად თვლიდა, რათა „მარტვილობის“ XII საუკუნეში გადამკეთებლად მიეჩნია ვინმე ნეკრესის ეპისკოპოსი. ეს არის ის ფრაზა, რომელიც შემონახული აქვს სამივე რედაქციას (მოკლეს მნიშვნელოვანი განსხვავებებით):

N/Sin.geo-50	*ვრცელი რედაქცია*
ჩემი არს მოწამჱ ესე და არა სხჳსაჲ, ჩემისა ამისაგან საყდრისა ნაყოფი შუენიერი...	ჩემი არს მოწამე ესე და არა სხჳსა, ჩემისა ამისგან საყდრისა, ნაყოფი შუენიერი...

ასეთი პირდაპირი ჩვენების უარყოფა შეიძლებოდა მხოლოდ მაშინ, როცა თვლიდნენ, რომ ტექსტის ავტორია ქართლის კათალიკოსი და მას აქვს უფლება თავისი საპატრიარქოს ეპისკოპოსი თავისად და თავის საყდრისაგანად გამოაცხადოს. მაგრამ, როდესაც უკვე დავრწმუნდით, რომ მცხეთის კათალიკოსს ამ ტექსტთან საქმე არა აქვს, ვფიქრობ, გაგვიძნელდება ამ ჰიპოთეზას გვერდი ავუაროთ.

არის კიდევ ერთი მომენტი, რომელიც კვლავ ნეკრესს გაახსენებს მკითხველს, თუმცა კი ტექსტი გადატანითი მნიშვნელობითაც შეიძლება წავიკითხოთ. მე ვფიქრობ, რომ იგი ისეა დაწერილი, რომ მას თავისუფლად წავიკითხავთ ორივე მნიშვნელობით:

„ჩემი არს მოწამჱ ესე ..., რომელმან სანთელი თჳსი აღანთო ზედა მაღალსა მთასა, რომელსა ყოველი სოფელი ჰხედვიდეს ნათელსა დაუვსებელსა, უპირატჱს მნათობელსა ღმრთისა მიმართ შემწირველსა“.

საინტერესოა, რომ მოკლე რედაქციის ავტორმა, რომელმაც სხვა შემთხვევებში ბევრგან შემოინახა არქეტიპის კვალი, ველარ იგრძნო, როგორც ჩანს, ეს კონკრეტული მითითება და ფრაზა მთლიანად გადატანითი მნიშვნელობით დატვირთა:

„ჩემი არს მოწამე ესე ... სანთელი მაღლად მნათებარე, მნათობი და განმანათლებელი ყოველთა მხილველთა მისთაჲ“.

როდის არის დაწერილი „აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის“ არქეტიპი?!

ზემოთ მე სპეციალურად ამ საკითხზე არ მიმსჯელია, მაგრამ რედაქციების მიმართებასა და ავტორის ვინაობას რომ ვეხებოდი, მოკლედ მაინც მომიხდა „აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის“ თავდაპირველი ვარიანტის დათარიღების შესახებ განსხვავებული შეხედულებების მოხსენიება. მკითხველი დაინახავდა, რომ „ძალები“ ასე განაწილდა: ერთ მხარეს არიან ფილოლოგები (კ. კეკელიძე, ე. გაბიძაშვილი), რომლებიც ძეგლის შექმნას IX ს-ით ათარიღებენ (მაგრამ ამისათვის სპეციალური არგუმენტები არ მოაქვთ) და მეორე მხარეს ისტორიკოსები (ივ. ჯავახიშვილი, ს. კაკაბაძე, ბ. მარტენ-იზარი), რომლებიც „მარტვილობის“ დაწერას VI-VIII სს-ში ვარაუდობენ და ამისათვის სათანადო არგუმენტებიც მოაქვთ. მეორე ჯგუფს ფილოლოგთაგან ივ. ჯავახიშვილის ავტორიტეტზე დაყრდნობით მხარს უმაგრებს ფილოლოგი ილ. აბულაძე.

ივ. ჯავახიშვილი „აბიბოს ნეკრესელის მარტვილობას“ VI ს-ის დამლევით ან VII ს-ის დამდეგით ათარიღებს, ხოლო თავის არგუმენტებს შემდეგნაირად აყალიბებს:

1. არსენი დიდი კათალიკოსი ერცელი „მარტვილობის“ მხოლოდ გადამკეთებელია. ტექსტში მას მითითებული აქვს, რომ თავისი თხზულებისათვის „უძველესი ცხოვრებით უსარგებლია“. პირვანდელ ტექსტში გაცილებით მეტი ცნობები ყოფილა, ვიდრე მას მოუყვანია თავის განახლებულ „ცხოვრებაში“. ამ თხზულების სათაური ყოფილა „წიგნი წამებისა აბიბოს ნეკრესელისაჲ“.

2. არსენი დიდის თხზულებაში დარჩენილია პირვანდელი „მარტვილობის“ კვალი. ამიტომ არის მასში შერეული ლექსიკა: ძველი, რომელიც VIII ს-ის დამლევამდე იხმარებოდა და ახალი, რომელიც ამ ხანის შემდეგ გამოიყენებოდა.

3. „აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის“ მიხედვით, ქართლი სპარსელებს ჰქონდათ დაპყრობილი და „ქვეყანას მათი მეფეთა-მეფის მარზპანი განაგებდა“, ხოლო XI ს-ის ისტორიკოსის ჯუანშერის მიხედვით მაშინ საქართველოში მეფედ იყო ფარსმანი. ცხადია, სინამდვი-

ლესთან უფრო ახლოს არის „აბიბოსის მარტვილობა“, რაც მის სიძველეზე მიუთითებს. ასევე ძეგლის სიძველეზე მიმანიშნებელია აბიბოს ნეკრესელის წინასწარმეტყველება და მისი ახდომა. „ამ მცირე ეპიზოდის ცოდნა მხოლოდ თანამედროვეს შეიძლებოდა ჩარჩენოდა მეხსიერებაში“ (ივ. ჯავახიშვილი).[1]

ს. კაკაბაძე „აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის“ დაწერის თარიღს კიდევ უფრო აზუსტებს. მისი აზრით, იგი დაწერილი უნდა იყოს 685-701 წლებს შორის. მისთვისაც მთავარი არგუმენტია აბიბოსის წინასწარმეტყველება და მისი აღსრულების ცოდნა ავტორის მიერ. „აბიბოს ნეკრესელის ზემოდ მოყვანილი ცნობა, რომელიც უნდა გულისხმობდეს ცხოვრების დაწერის დროს როგორც ერისთავების ბატონობას, ისე აგრეთვე (თუმცა ეს გარემოება ცხოვრების ავტორს მთლად გარკვევით არა აქვს ნაჩვენები) შიდა-ქართლში ბერძნების პოლიტიკურ გავლენას, შეიძლება VII ს-ის მეორე ნახევარში ყველაზე უფრო უდგებოდეს სწორედ 685-701 წლების ხანას“.[2]

ბ. მარტენ-იზარი VII ს-ის პირველი ნახევრით ათარიღებს „აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის“ თავდაპირველი რედაქციის შექმნას და ამისათვის შემოაქვს კიდევ ახალი ისტორიული არგუმენტი. მან ყურადღება მიაქცია ჯუანშერის ერთ მეტად მნიშვნელოვან ცნობას, რომლის თანახმადაც სტეფანოზ II ერისმთავრის დროს მცხეთის საეპისკოპოსო ეკლესიაში (ეტყობა სამთავროში) სამშაბათობით დაუდიათ ხსენება სტეფანე პირველმოწამისა და იმ მოწამეთა (მათ შორის აბიბოს ნეკრესელისა, რომელმაც მოაქცია არაგვის აღმოსავლეთით მცხოვრები მთიულები) „დიდისა მისგან ძლიერებისა სპარსთასა რომელ წამებულ იყვნეს“. ამავე დროს გადმოუსვენებიათ აბიბოსის ნეშტი „მცხეთას, საეპისკოპოსოსა, სამარხავსა ეპისკოპოსთასა. და დღესასწაულსა მისსა უფროს ყოველთა დღესასწაულთასა შეკრბიან და ადიდებდიან ღმერთსა“. ბ. მარტენ-იზარი ვარაუდობს, არც თუ უსაფუძვლოდ, რომ „აბიბოს ნეკრესელის მარტვილობა“ შეითხზა VII ს-ის პირველ ნახევარში აბიბოს ნეკრესელის კულტის გავრცელებასთან დაკავშირებით, ოღონდ უფრო ადრე, ვიდრე მის ნეშტს მცხეთაში გადმოასვენებდნენ,

---

[1] ჯავახიშვილი, *თხზულებანი*, I, 398-401.

[2] კაკაბაძე, *არქეტიპები*, 9-14.

რადგან „მარტვილობის" არცერთმა რედაქციამ ამ ფაქტის შესახებ არ იცის არაფერი[1].

ვფიქრობ, „აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის" არქეტიპის დასათარიღებლად სინურსა და ვრცელ რედაქციებში მოცემულია საკმაოდ ზუსტი რეალია. მათში ნათქვამია, რომ „ნეტარი აბიბოზ" იყო „ნეკრესელ ქალაქისა ებისკოპოზი (ეპისკოპოსი), ჴევისა კახეთისაჲ". ცხადია, როდესაც იგი იწერება, კახეთი „ყოველი ქართლის" ნაწილია, მისი ხევია და არა დამოუკიდებელი სამეფო ან სამთავრო (VIII ს-მდე). დამახასიათებელია, რომ ასე მოიხსენიება იგი ანონიმურ „სომხურ გეოგრაფიაშიც", რომელიც უეჭველად VII ს-ზე ადრინდელია.[2] როდესაც მოკლე რედაქცია იწერება, კახეთი უკვე დამოუკიდებელი სამთავროა და ამიტომ არის მასში „ნეტარი აბიბოს ნეკრესელ ქალაქისა ებისკოპოსი, სამთავროჲსა კახეთისაჲ" (VIII ს-ის II ნახევრის შემდეგ).[3]

სინური რედაქცია საშუალებას იძლევა კიდევ უფრო დავაზუსტოთ არქეტიპის დაწერის თარიღი. როგორც უკვე ვნახეთ, ტექსტი სრულდება აბიბოს ნეკრესელის სასწულების ჩამოთვლით, რომელთა შორისაცაა ბერძენთა მიერ ქართლის აღების წინასწარმეტყველება:

N/Sin.geo-50	აბიბოს ნეკრესელის მარტვილობა Ⴑ რედაქცია	აბიბოს ნეკრესელის მარტვილობა Ⴒ რედაქცია
„...ანუ ვითარ დედაკაცსა მას უწინაწარმეტყუელა შემდგომად მისა მოსლვაჲ ბერძენთაჲ და დაპყრობაჲ ქუეყანისა ამის ჩუენისაჲ,	„...ანუ ვითარ დედაკაცსაცა მას უწინაწარმეტყუელა შემდგომად ხოლო მისსა მოსლვაჲ ბერძენთაჲ და დაპყრობაჲ ქუეყანისა ამის ჩუენისაჲ,	„...ანუ ვითარ დედაკაცსაცა მას უწინაწარმეტყუელა შემდგომად მისა მოსლვაჲ ბერძენთაჲ და დაპყრობაჲ ქუეყანისა ამის ჩუენისაჲ,

---

1 Martin-Izari, *Les «Treises Saints pères»*, 1985, 164-165.

2 Ერემյան, *Հայաստան ըստ «Աշխարհացույց»-ի*, 61, 89, 119; მუსხელიშვილი, *საქართველოს ისტორიული გეოგრაფია*, 35.

3 იქვე, 129.

N/Sin.geo-50	აბიბოს ნეკრესელის მარტვილობა Ⴑ რედაქცია	აბიბოს ნეკრესელის მარტვილობა Ⴓ რედაქცია
რომელიცა-იგი იქმნა მსწრაფლ მისვე დედაკაცის ზე. მოვიდეს [ბერძე]ნნი და განასხნეს ურჩულონი..".[1]	რომელიცა-იგი იქმნა მსწრაფლ. მისსავე დედაკაცის ზე მოვიდეს ბერძენნი და განასხნეს ურჯულონი იგი სპარსნი და დაიპყრეს ქუეყანაჲ ესე ჩუენი, მიერითგან ერისთავნი იქმნეს მპყრობელ ქართლისა და სხუანი მრავალნი, ვითარცა წერილ არიან წიგნსა მას წამებისა მისისასა".	რომელცა-იგი იქმნა მსწრაფლ. მისვე დედაკაცისა ზე მოვიდეს ბერძენნი და განასხნეს უსჯულონი იგი სპარსნი და დაიპყრეს ქუეყანაჲ ესე ჩუენი, მიერითგან ერისთავნი იქმნნეს მპყრობელად ქართლისა. და სხუანი მრავალნი საქმენი და საკჯრველებანი არიან ამის წმიდისანი, რომელნი არა დაწერილ არიან წიგნსა ამას წამებისა მისისასა".[2]

გავიხსენოთ „მოქცევაჲ ქართლისაჲს" N/Sin.geo-50-ში შემონახული ცნობები ჰერაკლე კეისრის ქართლში მოსვლის შესახებ:

„და ოდეს ერაკლე [მეფე] მოვიდა, [მაშინ] დაამჴუნა სპარსნი ... მაშინ ჩამოვლო *ერაკლე*, მეფემან ბერძენთამან. და უჴმო ციხისთავემან კალაჲთ *ტფილისით* მეფესა *ერაკლეს* ვაც-ბოტობით. ხოლო მან ფერჴი დაიპყრა და *დანიელი წიგნი* მოიღო და მოიძია სიტყუაჲ ესე მას შინა: „მოვიდეს ვაცი იგი მზის დასავალისაჲ და შემუსრნეს რქანი იგი ვერძისა მზის აღმოსავალისანი".

და თქუა *ერაკლე*: „უკუეთუ ესე ესრჱთ იყოს სიტყუაჲ წინაწარმეტყუელისაჲ ჩემთჳს, მე მიგაგო მრჩობლი მისაგებელი შენ". და დაუტევა *ჯიბღუ* ერისთავი კალას ბრძოლად და იგი წარვიდა ბაბილონდ *ხუასრო* მეფისა. ხოლო ამან *ჯიბღუ* მცირეთა დღეთა შემდგომად კალაჲ გამოიღო და იგი ციხისთავი შეიპყრა, და პირი დრაჰკნითა აუვსო და მერმე ტყავი გაჰჴადა და მეფესა უკუანა მისწია გარდბანს *ვარაზ გრიგოლისსა* შინა.

---

[1] N/Sin.geo-50, 105v.

[2] *აბულაძე, ასურელ მოღვაწეთა ცხოვრება*, 194.

და წარვიდა *ერაკლე ბაბილონდ*, და შეიპყრა *ხუასრო* მეფჱ და შემუსრა ბაღდადი და ბაბილონი. და მოაღებია ძელი ცხორებისაჲ და იწყო ბრძანებითა ღმრთისაჲთა შჱნებად *იერუსალჱმისა*. და *მოდისტოს* დასუა პატრიაქად და წარვიდა აქაჲთვე. მეშჳდესა წელსა, ვიდრე მოსლვადმდე მისა ტფილის[ს], სიონი გაეშორა მკჳდრთა, ხოლო ჯუარისა ეკლესიასა აკლდა-ღა. ამან ერაკლე ტფილის[ს] და მცხეთას და უჟარმას გაავლინნა ქადაგნი, რაჲთა ყოველნი ქრისტეანენი ეკლესიათა შინა შემოკრბენ და ყოველნი მოგუნი, ანუ ცეცხლის მსახურნი, ანუ მოჲნათლნენ ანუ მოჲსრნენ. ხოლო მათ მონათლვაჲ არა ჲნებეს, ზაკუვით თანა აღერიენეს ქრისტეანეთა, ვიდრემდის ყოველთა ზედაცა წარჰმართა მეფემან მახკლი და ეკლესიათა შინა მდინარენი სისხლთანი დიოდეს. და განწმიდნა მეფემან *ერაკლე* რჩული ქრისტჱსი და წარვიდა. და ერისთვობდა იგივე დიდი სტეფანოზ და კათალიკოზი ჲყო ბართლომე მეორჱ *იე*".[1]

ვფიქრობ, სრულიად აშკარაა, რომ აბიბოსის მარტვილობის ტექსტში ბერძენთა მოსვლა ჰერაკლეს მიერ ქართლის აღებას უნდა გულისხმობდეს (VII ს-ის 20-30-იანი წლები). გასაოცარია ამ ორ სხვადასხვა ტექსტს შორის ფრაზეოლოგიური დამთხვევაც ურჯულოთა „განსხმის" შესახებ საუბრისას. ამდენად, აბიბოსის მარტვილობის არქეტიპი, სავარაუდოდ, VII საუკუნის 30-იან წლების ახლოს უნდა იყოს დაწერილი. ამასთანავე, ცხადია, მარტვილობის ტექსტი არქეტიპში ჰერაკლე კეისრის მიერ ქართლის დაპყრობისა და ურჯულოთაგან განმენდის ფაქტის აღნიშვნით მთავრდებოდა ისევე, როგორც „მოქცევაჲ ქართლისაჲს ქრონიკა", რომელშიც უკანასკნელი ისტორიული მოვლენა ჰერაკლე კეისრის ქართლში ლაშქრობაა.

არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ კიდევ ერთი გარემოება. რა თქმა უნდა, „აბიბოს ნეკრესელის მარტჳლობის" არქეტიპს ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ მასთან უფრო ახლოს, ცხადია, არის ე.წ. ვრცელი რედაქცია.

---

[1] *მოქცევაჲ ქართლისაჲ (სინური რედაქციები)*, 19-20.

ასურელ მამათა ღვაწლი
(შეჯამება)

451 წლის ქალკედონის მსოფლიო კრება მართლმადიდებლობის გამარჯვებით დამთავრდა, მაგრამ დიოფიზიტებსა და მონოფიზიტებს შორის შეურიგებელი ბრძოლა ამის შემდეგ უფრო მწვავე აღმოჩნდა. აღმოსავლეთის ეკლესიის უმთავრესი საყდარი, კონსტანტინეპოლის საპატრიარქო ხელიდან ხელში გადადიოდა. ბიზანტიის იმპერია შეარყია და დაასუსტა ამ მწვავე დაპირისპირებამ. მისი მუდმივი მეტოქე, ირანი ოსტატურად იყენებდა იმპერიაში შექმნილ სიძნელეებს და მხარს ქრისტიანობის იმ მიმართულებას უჭერდა, რომელიც ხელისუფლებასთან ოპოზიციაში აღმოჩნდებოდა. ასეთი გორდიას კვანძის გადაჭრა ბიზანტიამ დიოფიზიტებისა და მონოფიზიტების შერიგებით სცადა და 482 წელს იმპერატორმა ზენონმა გამოსცა ე. წ. „ჰენოტიკონი", რომელიც ქრისტეს ბუნებების შესახებ კამათს კრძალავდა.

V ს-ის მეორე ნახევარი ქართლმა საეკლესიო რეფორმების ჩატარებასა და მაზდეანობასთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში გაატარა. მას ფაქტიურად არავითარი მონაწილეობა არ მიუღია მსოფლიო ეკლესიაში მიმდინარე პროცესებში და მხოლოდ VI ს-ის დასაწყისში ჩაერთო მასში. 506 წელს შედგა ამიერკავკასიის ქვეყნების – სომხეთის, ალბანეთისა და ქართლის ეკლესიების კრება, რომელმაც მიიღო ზენონის „ჰენოტიკონის" დიოფიზიტთა და მონოფიზიტთა შემარიგებლური ფორმულა. მაგრამ მალე გამოირკვა, რომ „ჰენოტიკონი" მკვდრად იყო შობილი. იმპერიამ გადაუხვია შემარიგებლობას და მცირე ხნით მონოფიზიტობა აირჩია სახელმწიფო სარწმუნოებად. სომხეთმაც მონოფიზიტობისკენ დაიწყო გადახრა, ხოლო ქართლის ეკლესიისა და სახელმწიფოს ორიენტაცია ამ პერიოდში ჩვენთვის უცნობია. თუმცა სწორედ ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ იგი შემარიგებლურ პოზიციაზე რჩებოდა.

525 წელს ბიზანტიის იმპერატორის ტახტი იუსტინიანე კეისარმა დაიკავა და საბოლოოდ აღადგინა მართლმადიდებლობა იმპერიაში.

ირანმა ბიზანტიის საპირისპიროდ ახლა უკვე აშკარად დაიწყო მონოფიზიტობის მხარდაჭერა. შედეგად, 551-555 წლებში გამართულ დვინის ადგილობრივ კრებებზე სომხეთის ეკლესიამ ირანის ზედამხედველობით თავის ოფიციალურ მრწამსად მონოფიზიტობა გამოაცხადა, ხოლო 551 წელი თავისი ეროვნული წელთაღრიცხვის დასაბამად. ირანმა სცადა დვინის ეს კრებებიც საერთო კავკასიურ კრებად ექცია, მაგრამ ალბანეთმა, სივნიეთმა და ქართლმა მასში მონაწილეობა არ მიიღეს. როგორც ჩანს, სწორედ ამ ვითარებამ მისცა საფუძველი იუსტინიანე კეისრის კარის ისტორიკოსს პროკოპი კესარიელს, განეცხადებინა: ირანის ქვეშევრდომ ხალხში ყველაზე უფრო ნამდვილი ქრისტიანები ქართველები არიანო. ცხადია, იგი ამ სიტყვებში დიოფიზიტობას გულისხმობდა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ეს ქართლის ეკლესიას ჯერ კიდევ არ განეცხადებინა საქვეყნოდ და ოფიციალურად. ეს რომ გაეკეთებინა, ქართლი აშკარად უნდა დაპირისპირებოდა ირანს. ამისათვის ქვეყანას სახელმწიფოებრივი და რელიგიური გაერთიანება სჭირდებოდა. მოდიოდა ძლიერი მმართველების, ძლიერი პიროვნებების გუარამ კურაპალატისა და კირონ ქართლის კათალიკოსის ხანა.

მაგრამ რა მოხდა ამ ხანებში ქართლში? რატომ გააკეთა მთელს აღმოსავლეთის ქვეყნებში მან ერთადერთმა არჩევანი დიოფიზიტობაზე? რამ მოუმზადა ნიადაგი გუარამ კურაპალატისა და კირონ მცხეთელის საქმეს?

VI ს-ის I ნახევარში ქართლში მოვიდა 13 ასურელი მამა, 13 მისიონერი სირიიდან. ძნელია, საქართველოს ისტორიაში სხვა ისეთი მოვლენა მოინახოს, ქვეყნისათვის ასეთი მნიშვნელობისა იყოს და რომლის შესახებაც მეცნიერებაში იმდენი განსხვავებული აზრი იყოს გამოთქმული, რამდენიც გამოთქმულია 13 ასურელ მამასთან დაკავშირებით. განსხვავებულია შეხედულებები მათი იმ ქვეყნის ან თუნდაც ქალაქის ლოკალიზაციის შესახებ, საიდანაც ისინი წამოვიდნენ, მათი ეთნიკური წარმომავლობის, აღმსარებლობის, ქართლში მოსვლის ხანის, რაოდენობისა და ასკეტური ცხოვრების ტიპის შესახებაც კი. შესაძლოა, ამდენი განსხვავებული შეხედულებების არსებობის მთავარი მიზეზი არის ასურელ მამათა შესახებ წყაროების გვიანდელობა და

განსხვავებული შეხედულებები თვით ამ წყაროთა დათარიღებასა და შეფასებაში.

იოანე ზედაზნელისა და მის მოწაფეთა ცხოვრების ის რედაქცია, რომელიც ჩვენთვის ცნობილი იყო ბოლო ხანებამდე, დაწერილია X ს-ში არსენი კათალიკოსის მიერ. შესაძლოა, ამავე საუკუნეში იყოს დაწერილი დავით გარეჯელის ცხოვრებაც. ამის შემდეგ XI-XVII სს-ის მანძილზე იქმნება ძველი თხზულებების საფუძველზე მეტაფრასული, სვინაქსარული რედაქციები და ახალი ნაწარმოებებიც ცალკეულ მამათა შესახებ. ყველაზე ადრინდელი თხზულება უნდა იყოს „აბიბოს ნეკრესელის მარტვილობა“, რომლის ჩვენამდე მოღწეულ რედაქციას თვლიდნენ IX ს-ში არსენი დიდი კათალიკოსის მიერ დაწერილად.

სინას მთაზე წმ. ეკატერინეს მონასტრის ახლადაღმოჩენილ ხელნაწერთა ქართულ კოლექციაში გამოვლენილი კრებული (N/Sin.geo-50) ასურელ მამათა შესახებ არსებულ ყველა რედაქციაზე უფრო ძველია და შეიცავს ზოგ ისეთ ცნობას, რომელთაც შეუძლია გარკვეული სინათლე შეიტანოს სადავო საკითხებში.

„ასურელ მამათა ცხოვრების“ სინური რედაქციის (ხელნაწერი X ს-ს პირველი ნახევრით თარიღდება) მიხედვით, 13 ასურელი მამა იოანეს (შემდგომში ზედაზნელის) მეთაურობით საქართველოში წამოვიდა სირიის ქალაქ ურჰადან (ედესიდან). მათი სახელებია: შიო, დავით, იოსებ, ზენონ, თევდოსიოს, ეზდერიოზ, სოლომოზ, თათა, პრობოზ, ვათა, პიმენ, ნათან.

სინური რედაქცია საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ, აგრეთვე, რამდენიმე ასურელი მამის წარმომავლობისა და ეთნიკური ვინაობის შესახებ.

იოანე ზედაზნელი წარმოშობით იყო შუამდინარეთიდან, „ნათესავით“ (ეროვნებით) ასური (სირიელი).

ეზდერიოზი (შემდგომში სამთავნელი) იყო ჰიერაპოლისში (ნაბუქ) მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის (კერამიონის) წინაშე მსახური, მესაკმევლის შვილი.

თევდოსიოსი (შემდგომში მრეხელი) იყო ედესაში (ურჰაში) მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის (მანდილიონის) წინაშე დიაკვანი და მონაზონი, ედესის (ურჰას) ყოფილი მთავარი, მოსამართლის ვაჟი.

ორივე მათგანი ედესაში შეხვდა იოანეს და შეუთანხმდა მას ქართლში წამოსვლის შესახებ. თევდოსიოსი წარჩინებული ჩამომავლობისა იყო და „უცხოებისათჳს წამოჰყვა იოვანეს". თუ გავითვალისწინებთ, რა მოეთხოვებოდა სამონასტრო ცხოვრების ტრადიციით მონაზონს, ცხადი გახდება, რის თქმაც უნდა „ცხოვრების" ავტორს. ეს თვისებები კი მამათა ცხოვრებების მიხედვით შემდეგია: „შუენის მონაზონსა სამი ესე: უცხოებაჲ, სიგლახაკჱ და დუმილი მოთმინებით". თევდოსიოსიც გადაწყვეტს წავიდეს „უცხო" (სხვა) ქვეყანაში, რათა მოწყდეს თავისი სამშობლოს ჩვეული გარემოს ცთუნებებს და თავისი სულიერი ვალი უკეთ აღასრულოს.

თუ რას აკეთებდნენ თავის ქვეყანაში სხვა მამები, ამის შესახებ უძველეს წყაროში ცნობები არა გვაქვს. უფრო გვიანდელ, მეტაფრასულ ცხოვრებებში შეიძლება ამოვიკითხოთ მცირეოდენი ცნობები კიდევ რამდენიმე მათგანის შესახებ, თუმცა მათ უცთომელობაში დარწმუნებული არ შეიძლება ვიყოთ.

შიო (შემდეგში მღვიმელი) წარმოშობით ასურეთიდან იყო, ქალაქ ანტიოქიიდან. მისი მშობლები წარჩინებული გვარისანი იყვნენ და ფრიად მდიდარნი. თექვსმეტი წლისამ წმიდა წერილების კვლევა და განმარტება დაიწყო. 20 წლისა მივიდა იოანესთან, რომელიც ანტიოქიის მახლობლად უდაბნო ადგილას დაყუდებულიყო და შეუერთდა მის მოწაფეებს. ასე კიდევ ოცი წელი გაატარა შიომ მონაზონობაში, სანამ იოანემ თავის მოწაფეთაგან თორმეტი საუკეთესო არ გამოარჩია ქართლში წამოსასვლელად. მათ შორის იყო შიოც.

დავით გარეჯელის შესახებ მისი ცხოვრების ავტორმა იცის მხოლოდ ის, რომ იგი „თანამონათესავე იყო მამულით" იოვანესი, ანუ წარმოშობით შუამდინარეთიდან, ასურეთიდან, ქალაქ ანტიოქიიდან. ვინ უნდა ყოფილიყვნენ მისი მშობლები, მან არ იცის და მხოლოდ ვარაუდებს გამოთქვამს.

ცნობები ანტონ მარტყოფელის ასურეთში ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ დაუცავს მხოლოდ გვიანდელ სვინაქსარულ რედაქციებს. უფრო ადრინდელი თხზულებები მის შესახებ საერთოდ არც არსებობს. თუმცა ანტონ მარტყოფელის მიერ მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის საქართველოში ჩამოტანის შესახებ ცნობა უკვე XIII ს-ის ტექსტებში გვხვდება.

მისი „ცხოვრების“ მიხედვით, ანტონი ედესელი იყო. როდესაც მან გამოიძია თავისი მოძღვრის, იოანეს გზა საქართველოსკენ და გამოარკვია, რომ იგი წამოსულა სომხეთზე გავლით დავით, დოდო, შიო ანტიოქელებთან და სხვა თავის თორმეტ მოწაფესთან ერთად, თვითონაც მოისურვა წამოსვლა, მაგრამ გულს აკლდა, რომ კეცის ხელთუქმნელი ხატი ედესაში ნესტორიანთა ეკლესიაში იყო დაცული, ფარულად წამოიღო იგი და ანგელოზის მიერ გზის სწავლებით მოაღწია საქართველოს.

ქართლში ჩამოსვლისთანავე იოანემ თავისი მოწაფეები ისე გაანაწილა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ანუ „ყოველი ქართლის“ (ქართლი და კახეთ-კუხეთი) დიდი ნაწილი დაეფარათ.

სინური რედაქციის მიხედვით, იოანემ ჯერ თვითონ მოიარა მთელი „ზენა-სოფელი“, ხოლო შემდეგ დამკვიდრდა ზედაზენს და „დაუტევა მთათა ზედაზადენს“, როგორც ჩანს, თათა და ვათა, რადგან ესენი დასახელებულნი არიან საერთო სიაში, მაგრამ არ იხსენიებიან კონკრეტული ადგილების ჩამოთვლისას. დავითი მიავლინა გარერჩას (გარეჯა), იოსები – ალავერდს, ზენონი – მადალოთს (!), პიმენი – იყალთოს, პრობოზი – ბრეთს, ნათანი – ძეგვს, შიო – მღვიმეს, ეზდერიოზი – სამთავისს, თევდოსიოსი – რეხას, სომლოზი – ქციას.

„შიოს და ევაგრეს ცხოვრებაში“ იოანე ზედაზნელის თორმეტი ასურელი მოწაფის სიას ასეთი სახე აქვს (სიები შედარების გასაადვილებლად დალაგებული იქნება სინური რედაქციის მიხედვით):

დავითი, იოსები, პიმენი, პიროსი, ნათანი, შიო, თეოდოსიოსი, თათა, ანტონი, ელია, აბიბოსი, იოანე.

როგორც ვხედავთ, ანტონი, ელია, აბიბოს და იოანე საერთოდ არ არიან დასახელებულნი „ასურელ მამათა ცხოვრების“ სინურ რედაქციაში, ხოლო პიროსი დიდი ძალდატანებით შეიძლება მივამსგავსოთ პრობოზს. საინტერესოა, რომ „შიო და ევაგრეს ცხოვრებაში“ იოანეს მოწაფეთა შორის არ არის დასახელებული ისეც, რომელიც ამავე „ცხოვრების“ მიხედვით ქართლის კათალიკოსმა წილკნის ეპისკოპოსად გამოარჩია ზედაზენს მყოფი იოანეს მოწაფეთაგან.

„იოანე ზედაზნელის ცხოვრებისათვის“ გვიან დართული სია განსხვავებულია ორივე ზემოთ მოტანილი სიისგან:

დავით გარეჯელი, იოსებ ალავერდელი, ზენონ იყალთოელი, პიროს ბრეთელი, შიო მღვიმელი, ისიდორე სამთავნელი, სტეფანე ქისიყელი, ანტონ მარტომყოფელი, ისე წილკნელი, თათა სტეფანწმინდელი, ელია დიაკონი, მიქაელ ულუმბოელი, აბიბოს ნეკრესელი.

მოტანილი სიიდან სტეფანე ქისიყელი, ანტონ მარტყოფელი, ისე წილკნელი, ელია დიაკონი, მიქაელ ულუმბოელი და აბიბოს ნეკრესელი არ არიან სინურ სიაში, ხოლო თათა ზედაზენზე მოღვაწეობს და მისი მოღვაწეობის ადგილას სტეფანწმინდის დასახელება გვიანდელი მოვლენა უნდა იყოს. პიროს ბრეთელი სინურ რედაქციაში პრობოს ბრეთელად სახელდება, თუმცა სინურ სიაში გვყავს პიროსი, რომელიც იყალთოელია, ზენონი კი მადალოთელი.

სვინაქსარული ცხოვრებების სია კიდევ უფრო სცილდება უძველეს რედაქციას. იგი ყველაზე ახლოს არის „იოანე ზედაზნელის ცხოვრებისთვის" გვიან დართულ სიასთან, მაგრამ გვიჩვენებს მისგან განსხვავებებსაც: თათა სტეფანწმიდელი – თათა მთებელი (!), სტეფანე ქისიყელი – სტეფანე ხირსელი, პიროს ბრეთელი – კჳროს ბრეთელი, მიქაელ ულუმბოელი – მარკოზ ულუმბოელი.

ასეთმა განსხვავებულმა ცნობებმა მეცნიერთა შორის დაბადა შეხედულება, რომ ასურეთიდან (სირიიდან) მოვიდა არა ცამეტი მოღვაწე, არამედ მეტი და ცამეტი მხოლოდ საკრალური რიცხვია ქრისტეს და მის მოციქულთა მიხედვით გვიან შემუშავებული.

როგორც ჩანს, ასურეთიდან მართლაც ცამეტი მამა ჩამოვიდა. დანარჩენები იყვნენ იოანე ზედაზნელის ადგილობრივი, ქართველი მოწაფეები, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ასურელ მამათა მისიის აღსრულებაში. მოგვიანებით, ალბათ, უკვე ძნელი იყო იმის გარჩევა, თუ ვინ ჩამოვიდა ასურეთიდან და ვინ დახვდა მათ ქართლში. შთამომავლობისათვის ისინი ყველა ასურელი მოღვაწეები იყვნენ. ამის აშკარა ნიშანი უნდა იყოს ისეს და აბიბოსის შერჩევა ქართლის კათალიკოსის მიერ წილკნისა და ნეკრესის ეპისკოპოსებად, რადგან უკვე ამ დროს საეკლესიო კათედრებს მხოლოდ ქართველები იკავებდნენ. ასურელ მამათა დიდი დამსახურება სწორედ ის არის, რომ თავის მისიონერულ მოღვაწეობაში მათ ქართველი მოწაფეებიც ჩართეს, რადგან კარგად ესმოდათ, რომ სრულ წარმატებას მხოლოდ ამ გზით მიაღწევდნენ.

სინური ხელნაწერის მიხედვით, ასურელი მამები ქართლში ხელცარიელები არ მოსულან. ისინი უკვე თავის სამშობლოში ემზადებოდნენ სამისიონერო მოღვაწეობისათვის. ამიტომ იყო, რომ იოანემ თავისი მოწაფეები ჯერ ადგილზე გაწვრთნა სულიერად და გონებრივად, შეამზადა მძიმე ღვაწლისთვის და მხოლოდ ამის შემდეგ გამოუძღვა ქართლისკენ. ამიტომვე იყო ასე ეფექტური მათი ქართლში მოღვაწეობა. მათ წინასწარ მზადებას მოწმობს ისიც, რომ სინური რედაქციის მიხედვით ასურელ მისიონერებს „თანა აქუნდა ნაწილი ძუალები მარტჳლთაჲ“. გარდა ამისა, ეზდერიოს სამთავნელმა და თევდოსიოს მრეხელმა თან ჩამოიტანეს ცოდნა მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის შესახებ და, როგორც ჩანს, მათ პირველებმა დანერგეს ქართლში ფრესკისა და ხატწერის დიდი ტრადიცია.

ასურელმა მამებმა დაიწყეს საქართველოში დიდი სამონასტრო მშენებლობები. როგორც ლაკონურად ამბობს სინური რედაქცია „სხუანი იგი მოწაფენი მისნი (იოანე ზედაზნელისა) მიმოდაენერგნეს ქართლს შინა ნათობად სოფლისა“. საქართველოში დაიწყო მანამდე არნახული სამონასტრო ცხოვრება. ასურელ მამათა მიერ დაარსებული მონასტრები თანდათან გადაიქცნენ ქრისტიანული სამწერლობო კულტურისა და განათლების უდიდეს ცენტრებად.

ამრიგად, პირველი დიდი საქმე, რაც ასურელმა მამებმა გააკეთეს, ეს არის „უდაბნოთა შინა ქალაქთა ყოფა“. ამით მათ წინაუსწრეს და მაგალითი მისცეს გრიგოლ ხანძთელისა და მის მოწაფეთა მოღვაწეობას ტაო-კლარჯეთში.

ჯერ კიდევ იოანე ზედაზნელის სიცოცხლეში ზედაზნის მთის ქვეშ „ქუემოჲსა მონასტერი“ აღაშენა მისმა მამასახლისმა თათამ, „და განმრავლდეს მას შინა მონაზონნი, ფრიად შუენიერითა წესიერებითა იქცეოდეს“; შიო მღვიმელის მოწაფემ ევაგრემ შიოს სიცოცხლეშივე „აღაშენა წმიდაჲ იგი მონასტერი, რომელი დღეს საჩინოჲ არს“; იოსებმა აღაშჱნა ალავერდი; „სხუათა დაჰნერგეს კხუეთს (კუხეთს) ეკლესიანი და მონასტრები“; დავითმა გარეჯაში დაარსა ეკლესია-მონასტრები; „ერთმან ზენა სოფელს აღაშჱნა მონასტერი“; უფრო ზუსტი ცნობები გვაქვს ეზდერიოზ სამთავნელისა და თევდოსიოს მრეხელის სააღმშენებლო საქმიანობის შესახებ. როდესაც ეზდერიოზი დასახლ-

და „ჭალაკსა სამთავისისასა“, ხოლო თევდოსიოს „ქუაბსა რეჴისასა“, მაშინვე „აღაშჱნეს საყოფლად ეკლესიანი“.

„იოანე ზედაზნელის ცხოვრება“ მოგვითხრობს, რომ იოანემ თითოეულ თავის მოწაფეს, როდესაც ისინი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაგზავნა, თან გაატანა თავისი ქვეყნიდან წამოღებული წმინდანთა ნაწილები, „რაჲთა აქუნდეს საფარველად თავისა თჳსისა და ეკლესიათაცა აღაშენებდნენ სახელითა მათითა“.

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, მიზნად ისახავდა „ყოველი ქართლის“ გაქრისტიანების პროცესის დასრულებას, დასრულებას იმ პროცესისა, რომელიც ზუსტად ორასი წლის წინ დაიწყო წმიდა ნინომ. მაგრამ იმავე დროს ხელს უწყობდა საქართველოს უდაბნო მხარეთა სამეურნეო ათვისებას და მთისა და ბარის ეკონომიკურად დაკავშირებას.

მაგალითად, ქართული წყაროების ცნობით, აბიბოს ნეკრესელმა არაგვის აღმოსავლეთის მთიელნი მოაქცია, ისე წილკნელმა – თვითონ არაგვის ხეობის მთიელნი და ნაწილობრივ ქსნის მოსახლეობა.

VI საუკუნის შუა ხანებში ქვეყანას საკუთარი სამეფო ხელისუფლება დაკარგული ჰქონდა, ირანის პოლიტიკური უფლების ქვეშ იმყოფებოდა და საჭირო იყო მაზდეანობის ძლიერი გავლენის წინააღმდეგ თავდადებული ბრძოლა. ამიტომ პერიფერიებში დარჩენილი წარმართობის წინააღმდეგ ბრძოლის გარდა, ასურელ მამებს მოუწიათ, აგრეთვე, საქართველოში ქრისტიანობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის დაუღალავი შრომა და ცალკეულ შემთხვევაში (აბიბოს ნეკრესელი) თავის გაწირვაც.

არსენი II კათალიკოსმა ზუსტად დაახასიათა იოანე ზედაზნელისა და მის მოწაფეთა სულიერი და პოლიტიკური მისია („უფალმან ყო დამკჳდრებაჲ იგი მისი აქა“) ქართლში. ქვეყანას, რომელსაც აღარა ჰყავს სამეფო ხელისუფლება და სადაც შესუსტებულია ქრისტიანობა, სჭირდება ძლიერი სულიერი ცენტრი, რომელიც პოლიტიკურ ფუნქციასაც შეასრულებს. ამავე დროს მისმა მოწაფეებმა ქვეყნის პერიფერიებში და მთაში უნდა გაიტანონ საქართველოს უმთავრესი სიწმიდის, მაცხოვრის კვართის მადლი, რათა განმტკიცდეს „ყოველი ქართლი“ ერთმორწმუნეობით.

ჩვენ არ ვიცით ზუსტად, რა განზრახვა ჰქონდათ ასურელ მამებს, როდესაც ქართლში მოდიოდნენ. შესაძლოა, მათ იცოდნენ მხოლოდ

ის, რომ მოდიოდნენ „ჩრდილოეთის ქვეყანაში“, რომელიც „ახალ ნერგ იყო“ ქრისტანობაში და დახმარება სჭირდებოდა. რეალურად კი, მათ ისეთი მნიშვნელობის სახელმწიფო ფუნქცია შეასრულეს, რომ მომდევნო თაობებმა მათი ღვაწლი არ დაივიწყეს.

ასურელმა მამებმა სწრაფად შეისწავლეს ქართული ენა, რადგან ღვთისმსახურება ქართლში ქართულ ენაზე აღესრულებოდა. ამასთანავე მათ გვერდში ედგნენ მათი ქართველი მოწაფენი და მიმდევარნი. ამიტომ მათ მიერ საქართველოს პერიფერიებში მოსახლეობის ქრისტიანობაზე მოქცევა, ეკლესია-მონასტრების მშენებლობა და სამონასტრო ცხოვრების დანერგვა, იმავე დროს მღვდელთმსახურების ქართულ ენაზე აღსრულებას, ქართული სამწერლობო ენის გავრცელების არეალის გაფართოებას ნიშნავდა. იხაზებოდა „ყოველი ქართლის“ სახელმწიფო საზღვრები და უკვე მაშინ მზადდებოდა ნიადაგი გიორგი მერჩულეს განთქმული ფორმულის განსახორციელებლად. როგორც ყოველთვის შემდგომ, ქვეყნის გაერთიანების თანდათანობითი პროცესი ახლაც ეკლესიამ დაიწყო: „ნელად-რე შეკრბა ქართლი“. ქვეყნის სათავეში მოვიდა გუარამ კუროპალატი, რომელმაც გაერთიანებას პოლიტიკური სახე მისცა და იწყო მცხეთის ჯვრის შენება „მცველად ყოვლისა ქართლისა“. სულ მალე კათალიკოსის ტახტზე ავა კირონ მცხეთელი, რომელიც სრულად გამოიყენებს ასურელ მამათა ღვაწლის შედეგებს და სასაზღვრო პროვინციებში აქტიური ენობრივი პოლიტიკის გატარებას დაიწყებს.

გვიანი ქართული მწერლობა აცნობიერებს, რომ ამ ფუნქციის შესასრულებლად ასურელ მამებს სჭირდებოდათ ქართული ენის კარგად ცოდნა. ამიტომ ისინი სპეციალურად უსვამენ ხაზს იოანე ზედაზნელის მიერ სასწაულებრივად თავიდანვე ქართულად ამეტყველებას, ხოლო მისი მოწაფეების მიერ ქართული ენის სწრაფად ათვისებას. გვიანმა რედაქციებმა იციან გიორგი მერჩულეს ფორმულა, საქართველო გაერთიანების გზაზე დგას და ერთიანი საქართველოსათვის ერთი საეკლესიო (სახელმწიფო) ენის პრობლემა მათთვის უკვე ცნობიერი აქტია. უძველეს (სინურ) რედაქციაში კი ჯერ არ არის ამის შესახებ ლაპარაკი, რადგან ამ დროს ეს ამოცანა ჯერ კიდევ არა აქვს ავტორს გააზრებული.

მაგრამ ასურელ მამათა მოღვაწეობა არა ნიშნავდა მხოლოდ ზოგადად ქრისტანობის განმტკიცებას ქართლში. უეჭველია, ეს იყო ქალკედონური მრწამსის, მართლმადიდებლობის განმტკიცება „ყოველი ქართლის“ ყოველ კუთხეში. დვინის 506 წლის კრებაზე მიღებული დიოფიზიტებისა და მონოფიზიტების შემარიგებელი დოქტრინა VI ს-ის მანძილზე თანდათან აშკარად გამოხატულ დიოფიზიტურ მრწამსში გადაიზარდა. VI ს-ის შუა ხანებში ქართლმა უარი თქვა დვინის მეორე კრებაში მონაწილეობის მიღებაზე, იმ კრებაში, რომელიც სპარსეთის სამეფო კარის უშუალო მონაწილეობით მომზადდა და გულისხმობდა ამიერკავკასიის ქვეყნებისათვის მონოფიზიტობის სახელმწიფო სარწმუნოებად თავსმოხვევას. VI ს-ის ბოლოს ქართლი უკვე მზად არის პოლიტიკურად და სარწმუნოებრივად იმ რეფორმებისთვის, რომელთა ცხოვრებაში გატარება წილად ხვდა კირონ ქართლის კათალიკოსს. VII ს-ის დამდეგს ქართლი გადაჭრით გაემიჯნა პროირანულ პოლიტიკას და მართლმადიდებლური ქრისტიანობა თავის ერთადერთ სარწმუნოებად გამოაცხადა.

ასურელ მამათა და მათ ქართველ მიმდევართა ღვაწლი საქართველოს ისტორიის იმ პერიოდში, რომელმაც მთელი მისი შემდგომი სულიერი და პოლიტიკური განვითარება განსაზღვრა, ფასდაუდებელია. ამიტომაც შერაცხა ისინი საქართველოს ეკლესიამ წმინდანებად.

THE LEGACY OF THE SYRIAN FATHERS

(SUMMARY)

The 451 Ecumenical Council of Chalcedon concluded with the victory of diphysitism, however in subsequent years, the uncompromising battle between the two Christological trends turned out to be even more dramatic than earlier. The main ecclesiastic foothold of the Eastern Roman Empire, the Seat of Constantinople passed from one faction to another, and contributed to the political weakening of the Empire. Constantinople's perpetual opponent, Sasanian Iran, shrewdly made use of the complications within the Empire and supported the trend in Christian theology that opposed the official religious policy of Constantinople. Constantinople attempted to cut the Gordian knot by seeking a compromise between diphysitism and miaphysitism, the most notable attempt of which was the *Henotikon* of the Emperor Zeno issued in 482, which altogether prohibited any discussion over the natures of Christ.

In the second half of the fifth century the Kingdom of Kartli underwent a series of ecclesiastic reforms and waged wars against Sasanian Mazdeism. Therefore, it was entirely locked out of the ecclesiastic debates that took place in the centre of the Empire, and only got involved in the beginning of the following century. In 506 a united pan-Caucasian ecclesiastic council of Albanian, Armenian and Iberian Churches took place in Dwin in Armenia, which adopted the *Henotikon* of Zeno and its compromising formula. Soon however the *Henotikon* proved to be stillborn. Constantinople diverted from the compromise and for a short while supported miaphysitism. Similarly, Armenia too began to drift towards anti-Chalcedonianism, while the official ecclesiastic and political orientation of the Iberian Church remains unknown. Nevertheless, we may believe that it held a compromising stand.

In 525 the Emperor Justinian ascended the throne and restored diphysitism across the Empire. In opposition to Constantinople, Iran began to openly support

miaphysitism. As a result at the 551-555 local Council of Dwin, the Church of Armenia declared miaphysitism as its official faith, and the year 551 as the beginning of its national calendar. Iran attempted to make the council into a common pan-Caucasian synod, however Albania, Siwnik' and Iberia refused to participate. Perhaps it is due to this reason that Justinian's historian Procopius writes that among all the subjects of the Persian Shah, the Georgians are the most orthodox ones. Understandably, he meant Chalcedonian diphysitism, however the Church of Iberia has not yet declared its confession of faith univocally and unambiguously. Had Iberia done this, it must have officially contradicted to the Shah. For this to happen, Iberia first had to unite politically and religiously. The era of strong leaders and strong personalities, of Guaram Kouropalates and Katholikos Kyron of Iberia was coming.

But what happened in those days in Iberia? Why was it the only Church in the east to adopt the Chalcedonian confession of faith? What had prepared the ground for Guaram and Kyron of Mcxeta?

In the first half of the sixth century thirteen Syrian fathers, the thirteen missionaries arrived in Iberia from Syria. It is close to impossible to find an event of comparable importance in the history of Georgia, which would have generated a similar controversy in scholarship and similarly diverse hypotheses as the thirteen Syrian fathers. The views regarding the country or city of their origin, their ethnicity, their faith, the time of their arrival in Iberia, their number and the type of their asceticism – all these topics remain controversial. The principal reason for such a wide variety of views is the relatively late date of the sources that narrate their mission and the varying views concerning the date and authenticity of these sources.

The redaction of the *Lives* of Ioane Zedazneli and of his students that were known to us until recently were written in the tenth century by Katholikos Arseni II. It is likely that the *Life of Davit' Garejeli* was written in the same century. Later, from the eleventh to the seventeenth centuries, multiple rewritings, metaphrastic and Synaxary versions appeared of the biographies of individual Syrian fathers. The earliest narrative must be the *Martyrdom of Abibos Nekreseli*, as the version at our disposal was believed to be written in the ninth century by Katholikos Arseni the Great.

The collection (N/Sin.geo-50) which was discovered in St Catherine's Monastery on Mt Sinai among other Georgian manuscripts, is the oldest redactions of

the *Lives* of the Syrian fathers and contains pieces of information that may shed light on some of the controversial issues.

According to the Sinaitic version of the *Life of the Syrian Fathers* (the manuscript is dated to the first half of the tenth century), the thirteen fathers arrived in Iberia led by Ioane (John) (later of Zedazeni) from the city of Urha (Edessa). Their names are: Šio, Davit', Ioseb, Zenon, T'evdosios, Ezderioz, Solomoz, T'at'a, Proboz, Vat'a, Pimen and Nat'an. The Sinaitic version also allows us to discuss the provenance and ethnicity of some of the Syrian fathers.

John of Zedazeni was originally from Mesopotamia and Syrian by ethnicity.

Ezderioz (later of Samtavisi) was the servitor of the acheiropoieton Icon in Hierapolis (Nabuk), son of an incense maker.

T'evdosios (later of Mrexi) was a deacon and monk at the church of the acheiropoieton icon of Christ in Edessa and son of a lawyer.

They both met John in Edessa and agreed to travel with him to Iberia. T'evdosios was high-burn and wished to follow John for sake of 'alienation'. If we consider the general requirement for monks, it is obvious what the author wanted to say. According to the lives of the fathers, these are the three virtues of the monks: alienation, poverty and silence. Therefore, T'evdosios decided to leave his homeland to escape temptations and to better fulfill his spiritual duty.

The oldest sources are silent concerning the lives of the fathers in their homeland. Few references can be retrieved from later, metaphrastic versions, however they are less reliable.

Šio, later of Mġvime, was originally from Syria, from Antioch. His parents were from among the nobility and were rich. At an early age he began his studies and Scriptural readings. He was twenty when he came to John who was then based in a desert near Antioch, and joined his students. He spent twenty more years as a monk, until John chose twelve of the best ones to take with him to Iberia. Šio was among them.

About David of Gareja the author only knows that he was John's compatriot, originally from Mesopotamia, from Syria near Antioch. He is unaware of his parents and only speculates.

The information on the life of Anton of Martqop'i in Syria is preserved only in later Synaxary redaction. Earlier sources on Anton have not survived. However, the story of Anton's brining of the miraculous icon of Christ to Iberia has survived in thirteenth-century texts.

According to his *Life*, Antony was originally from Edessa. When he heard of his teacher's John's journey to Iberia, he decided to following him together with Davit', Šio, Dodo of Antioch, twelve students in total. He was however worried that the Keramion, the miraculous icon, was kept in a Nestorian church, so he stole it and with the angelic direction he reached Iberia.

Upon their arrival in Kartli, John divided his students so that to cover all of eastern Iberia, i.e. large portions of Kartli, Kakheti and Kukheti.

According to the Sinaitic version, John first travelled to the 'upper lands', and then established himself in Zedazeni and left in the mountains of Zedazeni his students, probably T'at'a and Vat'a, for they are not mentioned in the general list when specific locations are listed. He sent David to Gareč'a (Gareja), Ioseb to Alaverdi, Zenon to Madalot' (?), Pimen to Iqalt'o, Proboz to Bret'a, Nathan to Žegvi, Šio to Mġvime, Ezderioz to Samt'avisi, T'evdosios to Rexa and Somloz to K'c'ia.

In the *Life of* Šio *and Evagre*, the list of John's students looks as follows. (The lists are arranged according to the Sinaitic redaction for clarity's sake): David, Joseph, Pimen, Piros, Nathan, Šio, Theodosios, T'at'a, Antony, Elia, Abibos, Ioane.

As we can see, Antony, Elia, Abibos and John are not mentioned at all in the Sinaitic redaction of the *Lives of the Syrian Fathers*, whereas Piros can only speculatively be identified with Proboz. Interestingly, in the *Life of Šio and Evagre* among the students of John is not mentioned Ise, who according to the same *Life*, was chosen by the Katholikos of Kartli from among the students of John as the bishop of Cilkani.

A later list of the fathers adduced to the *Life of John of Zedazeni* differs from both lists: Davit' Garejeli, Ioseb Alaverdeli, Zenon Iqalt'oeli, Piros Bret'eli, Šio Mġvimeli, Isidore Samt'avneli, Step'ane K'isiqeli, Anton Martqop'eli, Ise Cilkneli, T'at'a Step'ancmindeli, Mik'ael Ulumboeli, Abibos Nekreseli.

From this list, Step'ane K'isiqeli, Anton Martqop'eli, Ise Cilkneli, Elia Diakoni, Mik'ael Ulumboeli and Abibos Nekreseli are missing in the Sinaitic list, whereas T'at'a is based at Zedazeni and his attribution to Step'ancminda must be a later phenomenon. Piros Bret'eli is mentioned in the Sinaitic redaction as Probos Bret'eli, however there exists another Piros in the Sinaitic redaction who is Iqalt'oeli whereas Zenon is Madalot'eli.

The Synaxary list differs even more substantially from the oldest redaction. It resembles the most the later added list to the *Life of Ioane Zedazneli*, however

it also reveals some dissimilarities: T'at'a Step'ancmideli – Tata Mt'ebeli (?), Step'ane K'isiqeli – Step'ane Xirseli, Piros Bret'eli – Kyros Bret'eli, Mik'ael Ulumboeli – Markoz Ulumboeli.

Such a variety of sources gave birth to the view that the number of Syrian missionaries was not thirteenth, but more, and thirteen is merely a sacred number alluding to Christ's twelve disciples.

I believe there were indeed thirteen fathers who arrived from Syria, the rest were Ioane Zedazneli's local Georgian followers, who took an active part in the mission of the Syrian fathers. Later, it must have become difficult to tell apart those who had arrived from Syria and their local companions. For subsequent generations they were all Syrian fathers. This is substantiated by the fact that the katholikos of Iberia chose Ise and Abibos as the bishops of Cilkani and Nekresi, because by then the episcopal sees were occupied only by Georgians. A great achievement of the Syrian fathers is their inclusion of local Georgian monks into their mission, as they understood well that this was the only path towards success.

According to the Sinaitic manuscript, the Syrian fathers had not arrived in Iberia emptyhanded. They had prepared for their mission in their homeland. It is for this reason that John prepared his students both spiritually and mentally for the heavy work and only afterwards led them to Iberia. Hence their success in Iberia. Their preparation is attested by the Sinaitic manuscripts that says that they carried the relics of the saints with them. Apart from this, Ezderioz Samt'avneli and T'evdosios Mrexeli brought with them the knowledge of the acheiropoieton icon of Christ, and apparently, they instituted the tradition of iconography in Iberia.

The Syrian fathers initiated a project of monastic foundations in Georgia. As laconically described by the Sinaitic redaction: '[John's] other students planted themselves across Kartli as stars of the world'. An unmatched monastic life began in Georgia. The monasteries founded by the Syrian fathers gradually turned into the largest centres of Christian writing and education.

Therefore, the first great achievement of the Syrian fathers was the 'making of the cities out of the deserts'. Thus they acted as precursors and provided exempla to Grigol Xanct'eli and his students in Tao-Klarjet'i.

Still in John of Zedazeni's lifetime, hegumen T'at'a built the 'lower monastery' under Mt Zedazeni 'and monks multiplied there and lived in beautiful harmony'. Šio's student, Evagre built in Šio's lifetime 'the holy monastery which is still visible today'. Ioseb built Alaverdi 'and others founded churches and monas-

teries in Kuxet'i. David also founded monasteries in Davit'-Gareja; 'one of them built a monastery in the upper lands'. We possess more precise data regarding the construction activity of Ezderioz Samt'avneli and T'evdosios Mrexeli. When Ezderioz settled in the village of Samt'avisi, and T'evdosios in the cave of Rexi, they 'immediately built churches there'.

The *Life of John of Zedazeni* recounts that he had dispatched his students all over Georgia's corners together with holy relics 'to keep them as their protectors and built churches in their names'.

All this, understandably, envisaged the completion of the Christianization of 'all of Kartli', of the process that had been initiated two centuries earlier by St Nino. They also contributed to the agricultural development of desert areas and to the establishment of economic ties between the mountains and the lowlands.

For example, according to the Georgian sources, Abibos Nekreseli converted the mountaineers east of the Aragvi valley, whereas Ise of Cilkani converted the mountaineers of the Aragvi valley itself and partially the dwellers of the K'sani Valley.

In the middle of the sixth century Kartli had lost its kingship and was under the direct political rule of Iran, which made a strong anti-Mazdean religious policy a necessity. Therefore, apart from their zeal to convert Georgia's peripheries to Christianity, the Syrian fathers had to incessantly work for the preservation and strengthening of Christianity in Georgia and sometimes were martyred for its sake (Abibos Nekreseli).

Katholikos Arseni II made a very apt characterization of the spiritual and political mission of John of Zedazeni and his students in Kartli: 'God willed their establishment in Kartli'. The country that does not have royal rule anymore and where Christianity struggles, requires new such spiritual centres with additional political function. Simultaneously, his students had to distribute the grace of Georgia's main relic, the Lord's tunic, in order to consolidate 'all of Kartli' in single faith.

We cannot know what the original intention of the Syrian fathers was when they had set off for Kartli. Perhaps they were merely going to the 'northern land', which was newly converted to Christianity and required support. In reality, their political role turned out much more momentous and the later generations have not forgotten their work.

The Syrian fathers quickly learned the Georgian language as Georgian was the local language of liturgy. They were supported by Georgian students and followers. Therefore their missionary work in the peripheries of Georgia, the building of churches and monasteries, also meant the establishment of church service in Georgian and the extension of the coverage of the Georgian language. Contours of 'all of Kartli' were drawn and the groundwork was laid for the celebrated formula of Giorgi Merčule. Just as each time later, this time too the process of the unification of the land was initiated by the Church: 'Kartli gradually united'. The land was ruled by Guaram Kouropalates and soon thereafter the patriarchal throne was occupied by Katholikos Kyron of Mcxeta, who shrewdly used the results of the work of the Syrian fathers and started an active language policy in the border regions.

The later Georgian writing is fully aware that for this purpose the Syrian fathers required a good knowledge of the Georgian language. For this reason they explicitly recount John's miraculous acquisition of the Georgian tongue. These later sources are already aware of Giorgi Merčule's formula, Georgia is on its way to unification and a single language for united Georgia has become a conscious project. The oldest Sinaitic version however is still silent on this issue as this mission has not been yet internalized by its author.

The work of the Syrian fathers was not merely dedicated to the fortification of Christianity in Kartli. It is beyond doubt that their purpose was to strengthen the Chalcedonian faith in all of Kartli and all its corners. The compromising formula adopted at the 506 council of Dwin gradually, during the sixth century, turned into a clear diphysite creed. In the mid sixth century Kartli refused to participate in the second council of Dwin, which was prepared specifically by the court of the Persian Shah and was dedicated to establishing miaphysitism as the sole faith in south Caucasia. By the end of the sixth century, Kartli was ready both politically and religiously for the reforms that were soon undertaken by Katholikos Kyron of Kartli. In early seventh century, Kartli decidedly rejected pro-Iranian policy and declared Chalcedonian orthodoxy as their only faith.

The legacy of the Syrian fathers and of their Georgian followers in this specific period of Georgia's history that has defined its further spiritual and political development, is difficult to overestimate. For this reason they were canonized as saints by the Church of Georgia.

ტექსტები

ტექსტების გამოცემისას შენარჩუნებულია ხელნაწერისათვის დამახასიათებელი ორთოგრაფია (ო, უ და კ გრაფემების მონაცვლეობა; ეჲ დაწერილობა; ჲ-ს გამოყენება ხმოვნით დამთავრებული ზმნისწინების შემდეგ, ხმოვნით დაწყებულ ზმნურ ფორმებთან). გადამწერის მიერ გამოტოვებული ტექსტი ან გრაფემები აღდგენილია კვადრატულ ფრჩხილში ([ ]); გადამწერისეული შეცდომები – გამეორებული სიტყვები, გამეორებული ან ზედმეტი გრაფემები გამოყოფილია <> ნიშნით.

საქმენი წმიდისა იოვანე ზედაზადნელისანი, რომელი მოვიდა შოვამდინარითა ასურეთისაჲთა შემდგომად ქართლის მოქცევითგან მეორასესა წელსა, იგი და მოწაფენი მისნი

1. და მოვიდეს სანახებსა მას ქართლისა იგი, იბ მოწაფენი მის თანა[1]: შიო, დავით, იოსებ, ზეცნონ, თევდოსიოს, ეზდერიოზ, სოლომოზ, თათა, პრობოზ, ვათა, პიმენ, ნათან. ესე დავით დაუტევა გარერჩას, [73r] იოსებ – ალავერდს, ზეჲნონ – მადალოთს, პიმენ – იყალთოს, და იგი მოვიდა ზედაზადენს. და მოვლო ქუეყანაჲ ზენა-სოფლისაჲ და დაჰნერგნა ადგილსა, რომელსა უწყის სულმან წმიდამან და დაუტევა მთათა ზედაზადენს, პრობოზ – ბ<ა>რეთს, ნათან – ძეგოს, შიო – მღუმეს, ეზ[დ]ერიოზ – ჭალაკსა სამთავისისასა, თევდოსიოს – ქუაბსა რეჴისასა, სომლოზ – ქცის. და ამათნი საკუირველნი საქმენი, რომელ უქმნიან, დიდი წიგნი არს, თუ სადა გაზრდილ არიან და ვითარ შედგომილ არიან იოვანეჲს და რაჲ ვის თავად-თავად სასწაულნი [73v] უქმნიან. გარნა ჩუენ ესთენ ვპოვეთ მრეჴელისაჲ და სამთავნელ ჭალაკელისაჲ.

2. ნაბუქელი იყო წინაშე ხატსა მაცხოვრისასა მდგომელი, შვილი მესაკუმეველისაჲ, და შეეძრახა ურ<ა>ჰას შინა იოვანეს და გამოჰყვა. და ესე თევდოსიოს მრეჴელი მთავარი იყო ურ<ა>ჰ[ა]ელი, ძმ ბჭისაჲ და სამართლის-მყოფელისაჲ გლახაკთაჲსაჲ, და კურთხეულ იყო დეაკონად და მონაზონად ხატსა წინაშე ქრისტჱსსა, და უცხოვებისათჳს წარმოჰყვა იოვანეს.

3. და რაჟამს დასხდეს ესენი აქა და აღაშჱნეს საყოფლად ეკლესიანი[2], [74r] განიძრახეს, რაჲთამცა ხატისა მის წილ მაცხოვრისა, ხატები გამოწერეს სასურველად. და თევდოსიოს შემზადა კედელი, ხოლო ეზ<ე>დერიოზ შექმნა ფიცარი. და მოჲვლინა კაცი ვინმე მოგზაური ჭალაკით ვანად ეზდერიოზისა და მიზეზ-ყო ლომისა დევნაჲ. დააყენა ბერმან და ჰკითხა, თუ ვინაჲთ მოხუალ. ხოლო მან ჰრქუა: „ხატისა წერაჲ ვიცი“. და ვითარცა ესმა ესე, წარვიდა ბერი რეჴდ, რაჲთა მოჲყვანოს თევდოსიოს. და ვითარცა მიჲწივნეს, იხილეს ხატი

---

[1] და მოვიდეს . . . თანა] გატანილია ტექსტის სათაურში.

[2] ქვედა არშიაზე მითითებულია რვეულის სათვალავის დასასრული :ჸL:

ღმრთეებისაჲ ქუე მდგომარჱ, საშინელად ბრწყინვალჱ. და წერილ იყო ფერჴ|თა [74v][1] თანა ასურებრითა წერილითა: „ვის-ეგე ჰხედავთ, მან მომავლინა".

და ვიდრე-იგი ამას განკჳრვებასა იყვნეს, მოვიდა მოწაფჱ თევდოსისი და ჰრქუა: „კაცი ვინმე მეოტი ვეფხთაგან და დათუთა შემოჲჭრა ვითარცა ავაზაკი და წარმოვედ".

ხოლო მათ მიჲსწრაფეს და არავინ პოვეს, გარნა კედელსა მას შემზადებულსა ბრწყინვიდა ხატი ღმრთეებისაჲ ზე მდგომარჱ. მაშინ მსწრაფლ აუწყეს იოვანეს და მოვიდა და თაყუანის-სცა ხატთა მათ და დაფარვად სცა საქმეჲ ესე.

4. და მისთა საკუირველებათაჲ წიგნი ყოფილ არს და სივნიეთა [75r] წარუღებია ამასპო დედუფლისა დედასა.

ლოცვანი და შრომანი და კურნებანი ნეტარისა იოვანე ზედაზადნელისანი

5. ესე ნეტარი იოვანე იყო ნათესავით ასური, ქუეყანით შოვამდინარით, რომელ არს ასურეთისაჲ, წინამძღურებითა სულისა წმიდისაჲთა მოჲვლინა ქართლდ აგებული დიდითა სიმრავლითა წმიდათაჲთა, რომელთა თანა აქუნდა ნაწილი – ძუალები მარტკლთაჲ და მოწაფენიცა მრავლად თანა ჰყვანდეს და იგინიცა მადლითა სავსე იყუნეს ჭეშმარიტნი [75v] მქადაგებელნი, რამეთუ ქართლი ახალნერგ იყო ქრისტეანობასა და მთასა ამასცა სასწაულითა და ღმრთისა მიერ ჩუენებითა მოემართა. და დაემკჳდრა <და> დამართებულად ცხოველსა ჯუარსა მცხეთისასა, განშორებულად ერთი ოდენ ფრასახით. და იყოფოდა წუერსა ზედა მთისასა მარტოდ ცხორებით. და აქუნდა ერთი ნეტარი დეაკონი, სახელით ელია, და იგიცა სათნო[ე]ბითა შემკულ იყო, შენებაჲ არა ჲნება, არამედ ჩუეულ ვითარცა არს ჩუეულებაჲ უდაბნოჲს მყოფთაჲ, კლდეთა ქუეშე და ხურელთა [76r] იწროებითა იყოფ[ო]და.

6. ხოლო სხუანი იგი მოწაფენი მისნი მიმოდაენერგნეს ქართლს შინა ნათობად სოფლისა.

---

[1] გვერდის ქვედა არშიაზე მითითებულია რვეულის სათვალავის დაწყება : ⟨Ⴢ⟩:

7. და აღასრულა შრომაჲ თჳსი ნეტარმან მან და ნებითა ღმრთისაჲთა წარვიდა ყოველთა თანა წმიდათა. ხოლო გუამი წმიდაჲ მისი გარდამოჲღეს შიდა მონასტრად მსახუ[რ]მან მისმან ელია დეაკონმან, ქუემოჲსა მონასტრისა მამასახლისმან თათა, მისმანვე დიდისა იოვანეჲს მოწაფემან, მის ზე მონასტერი აღაშჱნა ქუეშე მთასა, და სხუათაცა ღირსთა კაცთა გალობითა და პატივითა და სანთლებითა [76v] და საკუმეველითა დაჰკრძალეს გუამი მისი ლუსკუმასა შინა, შორს ეკლესიასა. ხოლო სადაცა მოეპოვა ძუალთა, მუნვე ჰსუროდა, რამეთუ არა ჲნებეს შინა მონასტერსა ყოფაჲ. და ვითარცა პირველმან მან რჩეულმან მონაზონმან თათა: „სიტყუაჲ მიგჳადო წინაშე ქრისტჱსსა, უკუეთუ მისცეთ გუამი ჩემი სოფლად", ეგრეცა ამის ნეტარისა ნაწილნი ვიდრე შიდა მონასტერსა იყუნეს, სასწაულნი და ძრ<ა>ვანი და გუემანი მრავალნი იყოფოდეს, ვიდრე არა მთადვე აჲღეს და დადგეს მარჯუენით აღსავალსა საკურთხეველისასა.

8. და ვითარცა მაშინ ლოცვითა მისითა [77r] ქრისტჱ ყოველთა მიჰმადლებდა კურნებასა, და რომელნი ეშმაკთაგან იგუემებოდეს ლოცვითა და სახელის-დებითა ქრისტჱსითგან იდევნებოდეს და ღრეკილნი, განრღუეულნი განცოცხლდებოდეს. და დადნისცა ძუალთა მათ მართლისათა და იგივე აქუს [ძალი] კუ[რ]ნებათაჲ. და მორწმუნენი მოვლენანა და საფლავთა მისთა ემთხუე<დ>ვიან და მტუერსა საფლავისასა განიღებენ სასოდ სნეულთათჳს. და ფრიად სარგებელ ეყოფვის ქრისტჱს იესუჲს მიერ, რომლისაჲ არს დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე, ამენ!

სასწაულნი ნეტარისა იოვანე ზედაზადნელისანი

:ა:

9. ამან ნეტარმან იოვანე ზედაზადნელმან [77v] ქრისტჱს მიერ ლოცვითა მისითა წყაროჲ გამოადინა შუენიერი, ტკბილი და წმიდაჲ, რამეთუ მთაჲ ესე ურწყული იყო, რომელი დღეს დის მოუკლებელად, და რომელთა წარაქუს ევლოგიად, ფრიად სარგებელ-ეყოფვის.

10. და ვითარ განამრავლებდა უფალი მის მიერ სასწაულებსა მას, და განჴდა ჰამბავი მისი ქუეყანასა ქართლისასა, და გამობრწყინდა იგი, ვითარცა ცისკარი განთიადისაჲ, რომელმან ფარულად ადი-

და ღმერთი და მის მიერ განავრცნა წიაღნი მისნი, დაეტია ნათელი იგი დიდი, მაღლით მოვლინებული, რამეთუ ვერ შესაძლებელ არს, ვითარმცა ვინ აღანთო სანთელი და და|ფარა [78r] იგი ქუეშე ჴმირსა, არამედ ზედა სასანთლესა < რაჲთა ჰნათობდეს სასანთლესა >, რაჲთა ჰნათობდეს კაცთა, დაღა-ცა-თუ უნებნ მათ, რაჲთამცა დაფარნეს თავნი თჳსნი. ვითარცა მენელსაცხებლემან აღავსის შივშაგი სურნელითა და ჩადგის იგი სხუასა ჭურჭელსა და შეხჳ[ი]ს იგი კეთილად და აღჰკიდის იგი წარღებად ადგილსა, სადა ჰნებავნ, და ჰგონებნ მესურნელჲ, ვითარმედ დაფარულად აქუს მას, ყოველთა, რომელნი მიეახლნიან, ეცემინ სინელჲ იგი მის საცხებლისაჲ. ესრჱთვე კეთილნი საქმენი ვერ დაჲფარნიან, და-ღა-თუ არა ჰნე|ბავნ [78v] მოქმედთა მათ.

[:ბ:]

11. და დღესა ერთსა მსახური იგი მისი ნეტარი ელია დეაკონი მივიდოდა წყაროსა მას ღმრთივმოცემულსა, მოღებად წყლისა. დგა წყაროსა მას თანა დათვი მაღნარისაჲ დიდი და საშინელი ფრიად. და შეეშინა ნეტარსა ელიას, გარე-შეჲქცა და უთხრა დიდსა იოვანეს. ხოლო იგი მივიდა და ეტყოდა დათუსა მას: „უკუეთუ არა გისუამს წყალი იგი, სუ და ვიდოდე". და შჯული დაუდვა მას და რქუა: „სახელითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსითა გეტყჳ, ნუმცა გაქუს ფლობაჲ ბოროტებად და ვნებად მათა <და>, რომელთა შეემთხუეოდი კაცთა მთასა ამას ზედა".

12. [79r] და ვითარ მოჲღო ბრძანებაჲ ესე მჴეცმან მან ბერისაგან და განისწავლა არავისა ვნებად, წარემართა და ვითარცა მეგობარსა, ტკბილად მეტყუელსა, უკუმოჰხედვიდა, თავი მოედრიკა და ყუდროებით მორჩილებისა სახესა მას აჩუენებდა. და ყოვლადვე არა იყო მჴეცობრივი ბუნებაჲ და არცა სივლტოლაჲ, რამეთუ ცვალა თჳსი იგი სიბოროტჱ და გარდააქცია კეთილად და ლოცვითა მის წმიდისაჲთა მოაქამდე რომელთა შეემთხუევის, ვითარცა ცხოვარი მშჯდი თანაწარჰვალს. და არა საკჳრველ არს ესე, რამეთუ იციან [79v] მჴეცთა პატივ-ცემაჲ მმარხველთა.

13. მაშინ მი-ღა-ჰხედე დანიელს, რომელი-იგი ჯურღმულსა მას ლომთა მათ შორის შთავარდა[1] და პირი დაუყო პირველით საზარ-

[1] შდრ. დან.14:1-42.

დელმოკლებულთა და ფრიად მშიერთა ლომთა, მათ შორის ვითარცა ქვაჲ ადამანტი[ს]აჲ განტეხილი ჲდვა და ყოვლადვე ვერ იკადრებდეს მიხედვად მისა მჴეცნი იგი, არამედ მოუჴდეს და ჰლოშნიდეს ფერჴთა მისთა, და ვითარმცა იტყოდეს: „ესე არა იგი ჴორცნია, რომელნიმცა ჩუენ საზრდელ გუექმნა?“ ვინაჲთგან არა თავს-იდვა მან ტაბ|ლისაგან [80r] სამეუფოჲსაჲ სანოაგეთა გემოჲს-ხილვაჲ, გარნა თესლსა ხოლო. ამან სამთა შჯდეულთა პური არა ჭამა და წყალი არა სუა. ჯერ-არს ჩუენდა, რაჲთა ვისწაოთ მ[მ]არხველისა პატივისყოფაჲ.

14. ხოლო ნეტარმან მან ბერმან ფიცხლითა მარხვისა შრომისაჲთა არა თავისა თჳსისაგან ხოლო განეყენა მჴეცი იგი ჴორცისმჭამელი, არამედ ვითარცა მოციქული წარავლინა თჳსთა მიმართ მოყუასთა მთასა მას და არა ხოლო მოყუასთა, არამედ ნაშობის-ნაშობთა მათთა ნათესავთა, რაჲთა არავის ავნონ. და მცნებაჲ იგი აღჳრ ექმნა მათ პოლოტიკ, და კბილნი მათნი მოალბნა [80v] და ჰგიან ვიდრე დღენდღეღად დღედმდე მთასა მას და არა ავნებენ.

15. მრცხუენინ და შევწუხდი, ესეღა მესმინ, ვიდრე მჴეცობრივსა მას ბუნებასა უტყუსა და უგუნურსა ესმეს სიტყუანი იგი წმიდათანი, და ჩუენ მჴეცთა უბოროტჱსად გამოვჩნდებით ყოფითა, მათ მარადის აღმოვიკითხავთ და მოცემულნი იგი მცნებანი გუესმიან და ვნებად მოყუასთა ჩუენთა არა დავსცხრებით. დაყენებულ ვართ ჴორცისა ჭამისაგან და ჴორცთა მოყუსისა ჩუენისათა დავსცოხნით, მჴეცთა მათ თუ ვემსგავსენით და არა ვიქმნეთ მჭამელ კაცთა. [81r] მოგჳღებიეს მცნებაჲ ღმრთისაგან, რაჲთა შევიყუაროთ მოყუასი, ვითარცა თავი თჳსი. ხოლო ჩუენ მოვიძულეთ იგი თავისავე თჳსისა თანა, რამეთუ სიძულილი მოყუსისაჲ სიძულ არს თავისა თჳსისაჲ, და მომატყუებე<ე>[ლ] ამისა არს შური – სიკუდილი არს.

16. ჵ მოშურნეო, განეყენე შურსა, ივლტოდე მისგან, რაჲთა არა მოჰკუდე. ნუ ეშურობ წარმატებულთა სათნოებასა და აღიარე, ვითარმედ მოშუ[რ]ნე ხარ. ქებულ არს შური, ვითარცა სიყუარული იგი სიკუდილისათჳს, და ესე ცხორებისა მჴსნელ და იგი ქლიბ, რომელმან განკაფნის გონებანი მომგებელთა თჳსთანი, [81v][1] არამედ ერჩდი წერილთა და პოვე გამოჴსნაჲ და ჰბაძევდი განსრულებულთა სათნოებასა შინა. და ნუ ეშურვობ, რაჲთა განერე მცირედ საფრჴესა მტერისასა.

[1] გვერდის თავში რვეულის დასასრული :ⴈⴆ:

და კუალად მუნვე მოვედ, რომელსა ესე მიწყიეს.

[:გ:]

17. შემდგომად ამისა მოართუეს მთად ღრეკილი, შეკრული ვითარცა რკინითა და ძნიად განრღუეული, რამეთუ წყლულ იყუნეს ყოველნი ჴორცნი მისნი, რამეთუ გუემულ იყო დღეთა მრავალთა ფიცხლისა მისგან სენისა და სასოებაჲ ყოვლადვე წარეკუეთა ცხორებისაჲ ამის. და ვითარ ესმეს საქმენი წმიდისა [82r][1] იოვანესნი, ითხოვდა, რაჲთა მიჲღონ იგი მის ნეტარისა. და ვითარ მიჲწია იგი, დადგეს იგი ფერჴთა თანა ბერისათა. ევედრებოდა იგი დაღებულითა მით ჴმითა თჳსითა: „შემიწყალე, მე, წმიდაო ღმრთისაო, რამეთუ ვიქმენ მე ყოველთა დღეთა ჩემთა დაუფლველ მკუდარ. შენი არს საქმეჲ ესე, მკურნალთ-მოძღუარო, ამისთჳს მოივლინა ქუეყანასა ქართლისასა, რაჲთა ჭირვეულთა ლხინებაჲ პოონ ლოცვათა შენთაგან, მომ[მ]ადლე მე მცირედ ნაბიჭნევი მადლთა შენთაჲ, რაჲთა განვერე".

18. ხოლო ნეტარსა იოვანეს დაღაცათუ მძიმე უჩნდა საქმჱ ესე მის მიერ, არამედ მოჲჴსენა მდიდრისაჲ მის და ლაზარჱს იგავი[2] და რაჲთა არა უნაწილე ყოს მოღებულისა ქრისტჱს მიერ მადლისა [82v] და კუალად, რომელსა იგი პავლე იტყჳს: „თქუენ, ძლიერთა მაგათ, უძლურებანი იგი უსუსურთანი იტკრთენით".[3] მაში[ნ] რქუა მას: „განგკურნებს შენ უფალი ჩუენი იესუ ქრისტე". და მუნქუესე იქმნა ცოცხალ და აღემართა ფერჴთა თჳსთა ზედა, რამეთუ ასუნი იგი მისნი დაჴსნილნი მსწრაფლ შეიბრძოლნეს, და წყლულებანი განიკურნნეს და იქმნა იგი ყოვლადვე გუამ ცოცხალ, ჰმადლობდა თჳსსა მას კეთილისმყოფელსა, ჰხედვიდა იგი თავსა თჳსსა, ვითარ მსწრაფლ განიკურნა, უკჳრდა, აკურთხებდა და ადიდებდა ღმერთსა.

19. „მოვიდა ლაზარე მდიდრისა მის, არა უწყალოჲსა, ფრიად განთქუმულისა, რომელი განმდიდრებულ იყო ღმრთეებითა და ითხოვდა მისგან წყალობასა ზე|აღსრულისა [83r] მის კაცისაგან ქუემდებ<ი>არჱ იგი, და ფრიადისა მოღებულისაგან ნაბიჭნევისა ეძიებდა. ხოლო მან ძლიერისა მის სახელისაგან უფლისა იესუ ქრისტჱსა მდი-

---

1 გვერდის ზედა არშიაზე რვეულის დასაწყისი :ᲘᲘ:

2 შდრ. ლუკა 16: 19-25.

3 შდრ. რომ.15: 1.

დრად მოღებული უხუებული მოჰმადლა და აჩუენა თჳსი დამბადებელი მის თანა.

ჲ განრღუეულო, რაჲსა გიკჳრს, რამეთუ წიაღსა აბრაჰამისსა მოხუედ? ხოლო მას წიაღსა მარადის უხრწნელებაჲ აქუს და არა შეჰწყნარების მუნ უძლურებაჲ იგი წიაღ, მფუფუნებელ არს დამაშურალთა და ენატრების მდიდართაგან, ხოლო მიცემულ არს გლახაკთაგან. არამედ წარვედ და უჩუენე თავი შენი მღდელსა და შეწირენ კეთილნი საქმენი შენნი [83v] განწმედისა შენისათჳს". ხოლო იგი წარვიდა და თჳსსა მას მკურნალსა მიმოსდებდ.

:დ:

20. კუალად მოვიდა მისა მთად ეშმაკისაგან გუემული ძნიად. მრავალჟამითგან სიტყუადცა ვერ შემძლებელ იყო გინა ვედრებად ბერისა. იხილა იგი იოვანე და შეეწყალა. მიუგო ეშმაკსა მას და რქუა: „სულო უკეთურო, რაჲსა სტანჯავ მაგას? მიცემულ არს შენდა უდაბნოჲ და ურწყული ადგილი, განვედ მის [84r] მაგისგან". და მუნქუესვე განვიდა კაცისა მისგან ეშმაკი იგი. და კაცი იგი განმრთელებული, ვითარცა მადლისა მიმცემელი, მოვიდის ნეტარისა მის და აღიკიდის შეშაჲ ზურგსა ზედა თჳსსა და შეართუამნ ქუაბსა მას შინა.

21. ხოლო ნეტარი იგი ბერი ეტყჳნ ყოველთა მათ განკურნებულთა: „რაჲსა მხედავთ მე, ვითამცა ჩემ მიერ რაჲმე ჲქმნებოდეს საკჳრველებანი ესე, არამედ სახელის-დებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსითა ივლტის ყოველი ძალი ბნელისაჲ. და არა საკჳრველ არს ესე, რამეთუ აღთქუმასა მას მჴსნელისასა საქმით მოაქუს სრულებაჲ მისი. არს სიტყუაჲ ესე: რომელსა ჰრწმენეს ჩემდა მომართ, საქმეთა ძალითა მე ვიქმ, ქმნეს. უფ[რ]ოჲსი [84v] ამისსა ქმნეს".[1]

:ე:

22. და მერმე ამისა შემდგომად მოვიდა სიმრავლჱ ეშმაკთაჲ და გარე-მოადგეს ნეტარსა იოვანეს და ეტყოდეს: „აქა რად მოსრულ ხარ?"

ერთმან ეშმაკმან უჴმო სახელი: „იოვანე, იოვანე, რად მოხუედ აქა? ჩუენი არს ადგილი ესე. შენ რაჲ გიც აქა?" მიუგო იოვანე და

[1] შდრ. იოანე 14:12.

რქუა: „თქუენი ადგილი ბნელი არს, ვიდოდე ბნელთა!" და მსწრაფლ უჩინო იქმნა ეგოდენი იგი სიმრავლჱ ეშმაკთაჲ მათ, მხილი ქრისტჱს იესუჲს მიერ, ამენ!

23. ესე მრავალთა საქმეთა მისთაგან მცირედი დავწერეთ დაყოვნებითა ჟამისაჲთა. ხოლო გემოჲს სახილავად საკჳრველისა მის კაცისა, კმა არიან, ვითარცა ყოვლისა ამის მდინარისა მტკურისა ტაკუკითა ერთითა [85r] იხილვების გემოჲ, თუ რაჲ არს, ეგრეჲთვე ნეტარისა <ნეტარისა> იოვანჱსი, რომელ შემძლებელ იქმნა, ამათ საქმეთა ჩას, რამეთუ სხუაჲცა მრავალი ძალ-ედვა. არამედ ადიდებდით ღმერთსა, მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

24. ხოლო ნეტართა მათ მოწაფეთა მისთაჲცა მოვიჴსენოთ მცირედ, რომელნი განათლდეს და სხუანი განანათლეს საზღვართა შინა ქართლისათა, რამეთუ მრავალნი მონასტერნი აღაშჱნნეს, რომელნი ვიდრე დღენდღელად დღედმდე ჰგიან შეურყეველად და დიდებულად ღმრთისა მადლითა და ლოცვითა მათითა. და ძალნი და კურნებანი გამო|ვლენ [85v] აქა დღედმდე, რომელთა მითხრობილად ყოვლისა მის ვერ ძალ-მიც და არცა ყოვლად დატევებაჲ თჳნიერ ჴსენებისა.

25. ერთმან მისთავე წმიდათა მოწამეთაგანმან (!) , რომლისა სახელი თათა, მამისა იოვანჱს ზევე მონასტერი აღაშჱნა ქუეშე მთასა მას. და განმრავლდეს მას შინა მონაზონნი, ფრიად შუენიერითა წესიერებითა იქცეოდეს, რომელი მცირედრე შემდგომად კუალად იჴსენოს.

26. ხოლო ერთი იგი მათ ნეტართაგანი, რომლისა სახელი მისი შიო, მივიდა დასავალით კერძო ქალაქსა მცხეთას, პოვა მუნ ჴევი ფრიად ღრმაჲ და ფიცხელი, უდაბნოჲ [86r] ურწყული, ნაკლულევანი ყოველთა საჴმართაგან და ჰაერი ზაფხულისაჲ ცხელ. და პოვა მუნ ქუაბი და დამალა თავი თჳსი მას შინა სასოებითა ღმრთისაჲთა ხოლო.

27. და არავინ იცოდა ადგილი იგი. არამედ ზეგარდამოჲთა შეწევნითა ამას ჴელ-ყო და, ვითარმცა სიკუდილსა, თავი თჳსი მისცა მისთჳს, რომელმან-იგი არა უგულებელს-ყუნის მოსავნი თჳსნი. მრავლითა ჭირითა და შეჲწროვებულითა ცხორებითა და დღჱ და ღამეჲ განლიგებულითა დგომითა და ნაკადულთა მათ ცრემლთა თჳსთა დათხევითა [86v] განმზადა თავი თჳსი აგარაკად შუენიერად, ზეცისა იგი მარგალიტი მას შინა დაამკჳდრა და მის მიერ განძლიერდა. უხილავთა მათ მიმართ მტერთა ბრძოლასა ადგილად თანა-წარჰვიდოდა

და ესრჱთ მისვე ნათლისაგან გამობრწყინებული გამოჩნდებოდა ესერა სიტყჳთა მოძღუარი უძიროთა ფილაფოზთაებრ ჴელოვნებით, ვითარცა ნაყოფი უდაბნოჲსაჲ, სასწაულთა მიერ და საკჳრველებათა, რომელთა აღასრულებდა და გამობრწყინდებოდა ყოველთა კიდეთა, და მოულო და სასოებისა განმზადებულისა მის ცხორებისასა (!).

28. და ვითარ მრავალნი [87r] ჟამნი განვლნა ფიცხელსა მას შინა აგზებულსა საჴუმილსა მარტოდმყოფებისასა, დაითმენდა ანგელოზებრსა ცხორებასა ამიერ განსრული და მათ თანა მძრახვალი. მაშინ რომელსა-იგი ჰნებავს ყოველთა კაცთა ცხორებაჲ და მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა მოსლვაჲ, იხილა იგი, რამეთუ განიკურნა თავი თჳსი. ენება, რაჲთამცა წარმოავლინა იგი კურნებად მრავალთა და გამოაცხადა იგი შემდგომად ჟამთა მრავალთა. და ესე არს მიზეზი იგი გამოცხადებისა მისისაჲ, შუენიერად შეზავებულისა საკუმეველისაჲ, თავით თავისა შემწირველისა ევანგელჱსი.

29. მოვიჴსენოთ, ვითარ იყო დაწ|ყებაჲ [87v] მონაზონებისა მისისაჲ და გამოცხადებაჲ წმიდისა შიოჲსი. რამეთუ ესე ნეტარი ევაგრე მთავარი იყო მორწმუნეთა ქრისტიანეთა ნაშობი და საღმრთოთა წიგნთაგან სწავლული და ღმრთისმოშიშებითა აღზრდილი თჳსსა სახლსა შინა, სიმდიდრითა დიდითა შუებული სოფელსა თჳსსა შინა – ციხედიდს, ჩუენებისაებრ დღესა ერთსა უბრძანა ყოველთა მათ შვილთა და მონათა თჳსთა, რაჲთა განვიდენ ნადირობად. და ასხდეს ცხენთა თჳსთა და განვიდეს ველად ნადირობად პირსა მტკურისასა, მართებით მღჳმისა, ჴევსა მას.

30. [88r] და ვითარ მიმოდაბნია ერი იგი ძებნად ნადირისა, ხოლო მთავარი იგი ევაგრი დგა მახლობელად მდინარესა, და აჰა, მფრინველი იხილა, რომელსა აქუნდა ჴუეზაჲ პური პირსა მისსა და შეაქუნდა ჴევსა მას, სადაცა ჯდა ბერი შიო ქუაბსა კლდისასა, რამეთუ არღა აღშჱნებულ იყო მონასტერი იგი, არამედ გარნა მარტოჲ ხოლო მისრულ იყო უდაბნო<ჲ>სა მას უქმსა და მის მიერ იზარდებოდა, რომელმან-იგი ორმეოც წელ მანანაჲთა გამოზარდა ისრაჱლი.[1]

31. ხოლო ევაგრის დაუკჳრდა მფრინველისაჲ მის გზაჲ იგი და არარაჲ თქუა, არამედ წარვიდა სახიდ თჳსა. და ხვალის დღეჲ კუალად გან-

[1] შდრ. გამოსლ. 16:35.

ვიდა [88v] ნადირობად და კუალად იხილა მფრინველი იგი, და აქუნდა პური პირსა თჳსსა და შევიდა იგი მასვე გზასა, სადა პირველად იხილა.

32. ხოლო ნეტარი ევაგრე არღარა მიჲქცა სახიდ თჳსა, არამედ მსწრაფლ შეუდგა კუალსა მის მფრინველისასა და ძიება ყო. და, აჰა, პოვა ნეტარი ბერი ქუაბსა შინა და გულისჴმა-ყო, რამეთუ მისთჳს იყო ხილვაჲ დიდისაჲ მის სასწაულისაჲ. არათუ სხუაჲ რაჲმე ყო, არამედ მეყს დაადგრა მის თანა და ჰრქუა ბერსა: „ცხოველ არს უფალი ღმერთი ჩემი, მამაო, არღარა წარვალ მიერ". ხოლო მან ჰრქუა: „შვილო, ვერ ძალ-გიც ტჯრთვად [89r] სიფიცხლესა ამის უდაბნოჲსასა", – რამეთუ იხილა ჭაბუკი იგი ფუფუნეულად ფრიად.

ჰრქუა ნეტარმან ევაგრე: „ვესავ ღმერთსა და ლოცვასა შენსა, მამაო, ვითარმედ დავითმინო ყოველი, რაჲცა ბრძანოს სიწმიდემან შენმან".

მაშინ დაჲყენა მის თანა.

33. ხვალის დღე, ვითარ აგრძნეს, მოვიდა სიმრავლჱ ერისა მის მისისაჲ ფრიადი და უნდა, რაჲთამცა განიყვანეს იგი მიერ, სიმდიდრჱ იყო მისი არა მცირედ, რაჲთამცა განაგო, ვითარცა ინებოს. და არა თავს-იდვა ყოვლადვე იძულებაჲ იგი მათი და ტირილი<თ> მოწყალედ. არამედ მის ზევე აღაშენა წმიდაჲ იგი მონასტერი, რომელი დღეს საჩინო არს მოწყალებითა კაცთმოყუარისა ღმრთისაჲთა. და დიდნი [89v] შრომანი თავს-ისხნა სანატრელმან ევაგრე, რომელ ვერ შემძლებელ არიან პირნი კაცთანი მიწდომად ქებისა და გამოთქუმად დღეთაცა განგრძობითა და მეოხ არს ჩუენ ცოდვათათჳს.

※ სახელები წმიდათა ზედაზადნელთა ბერთა მამასახლისთაჲ და ქრისტჱს მიერ აღსრულებულთაჲ

34. ცხონდა ნეტარი იოვანე **ლ** წელ, ელია, მოწაფჱ მისი – **ია** წელ, იოსებ – **კდ** წელ, ამბა ვალან – **ლე** წელ, ამბა ბენი – **ნ** წელ, ამბა თუალ – **ლა** წელ, სამოელ – **კჱ** წელ, გრ[ი]გოლ – **კდ** წელ, იონა – **იე** წელ, თევდორე – **კა** წელ, თევდორე მეორჱ – **ითა** წელ, აჰ[ა]რონ – **მ** წელ, იოვანე – **იბ**[1] [90r] წელ, ქურდიკ – **თ** წელ, მეორჱ ქურდიკ – **ი**

[1] აღნიშნულია რვეულის დასასრული :ᲘᲘ:

წელ, კ(კრიკ)ე – **იე** წელ, შიონ – **გ** წელ, მიქაელ – **კბ** წელ, მისაელ, ზაქარია, იოვანე.

※ იადგარი წიგნთა ზედაზადნელთაჲ

35. ბეჭდულნი **კდ** და სხუაჲ წიგნი **ლ**, ბარზიმ-ფეშუხუანი **ზ**, ჯუარი ოქროჲსა და ვეცხლისაჲ **იე**, ეზოჲ სტავრაჲსაჲ **იე** და სხუაჲ დიად.

იადგარი წიგნთა ჯუარისთაჲ

36. ბეჭდული **კბ** და სხუაჲ წიგნი **კ**, ოთხი თავი **გ**, პავლს **გ**, გრიგოლი **ა**, ნინოჲსი **ა**, სახარებაჲ ოქროწყლისაჲ **ა**, ეზონი ჯუარისანი გარემო **დ**, საკურთხევლის სამოსელი ოქროქსოვილი **ა**, ადრნერსს დადებული, და სხუაჲ ფრიად.

※ გარერჩას, იოვანე-წმიდას, მრავალ[მ]თას

37. ბეჭდულნი **კე**, სხუაჲ წიგნი[1] [90v] **კ**, ეზოჲ **გ**, საკურთხევლისა სამოსელი **იე**, ჯუარი ვეცხლისაჲ **ი**, ძელი ცხორებისაჲ ვეცხლისაჲ **ა** – მტკაველი **გ**, ფრთენი და ტანი თუალსა თანა საქცეველითა და არს ჯუარსა მას თუალი **ნბ** – ესე გუარამ კუროპალატისაჲ ყოფილ არს, და სხუაჲ ძელი ცხორებისაჲ არს ალვისაჲ, სიგრძით მწყრთაჲ **ერთი** და ესე გურგენისი ყოფილ არს, ერისთვისაჲ. და საკურთხევლისა სამოსელი სხუაჲ **ბ** და ეზოჲ **ბ** მეწკევნელთა სახლისანი არიან და სახელები ზედა სწერია, და ჯუარცუმაჲ, ტილოსა ზედან[2] ოქროწყლითა დაწერილი ხატი, დებორა სამშჳლდელ დედუფლისა შეწირული, რომელმან სამშჳლდისა ეკლესიაჲ აღაშჱნა გასრულებით. და ოდეს სარკინოზობაჲ აღდგებოდა, ამათ ორთა სახლთა რუვის|თაველთა [91r] და მეწკევნელთა ზედაზადენს მოვიდეს და შექმნეს **სამი** გუადრუცი ქვისა თლილისაჲ და **ბ** ლუსკუმაჲ შუენიერი. და წარვიდეს და მოიხუნეს ძუალნი მეფეთა მათთა და დედათანი, და დასხნეს ლუსკუმათა მათ შინა ზედაზადენს ეკლესიასა შინა. და მუნ არიან ლუსკუმანი არა შერევნით,

---

[1] აღნიშნულია რვეულის დასაწყისი :ᲘᲩ :

[2] მკრთალად ჩანს „სა“.

კიდის-კიდე მამათანი და დედათანი ძუალნი სხენან. და მათ ორთა გუადრუცთა ერთისა სახლისანი ოდენ სხენან, და ერთსა მეფეთანი ვიეთნიმე არიან. და **ერთი** ლუსკუმაჲ მამამძუეთაჲ და ძუძოსტეთაჲ არს. და **ერთი** იგი ლუსკუმაჲ ვარაზ-ბაკურ მეფისა ჴიდარელისაჲ არს და **ორნი** ძენი მისნი ვარაზ, ვარაზ-ჰარან და გ ასულნი და დედაჲ [91v] მათი სიმენავრი გუასპურაგნელი, მთავართა შვილი.

38. ოდეს გარდაიცვალა კურთხეული და დიდებული მამფალი ადარნერსე, ძმ სტეფანოზისი, ძმისწული დემეტრისი, ძისწული დიდისა გუარამისი. და მე-**კ** წელსა გარდაიცვალა კურთხეული მეუღლ მისი გუარამავრი **დეკენბერსა ბ**. და თთუესა **იანვარსა კ** გარდაიცვალა კურთხეული დედუფალი ლატავრი, ასული სტეფანოზისი, დაჲ ადარნერსსი, დედაჲ ბაგრატუნიანისაჲ და კუროპალატიანისაჲ, და დაეფლა ჯუარს, მარიამ-წმიდას, ძით და ასულით და ასულის წულითურთ.

39. ადარნერსე ნერსს ძმ გარდაიცვალა დასაბამითგანთა წელთა **ხჳზ** და ფილიპე გარდაიცვალა **ბ** წელსა. და წმიდაჲ აბოჲ ეწამა ტფილისს შინა დასაბამითგანთა [92r] წელთა **ხჳმ** ერისთაობასა სტეფანოზისსა, ძისა გურგენისსა, და მოსს ამირობასა. და მეოხ არს წინაშე ქრისტს ყოველთა ქრისტეანთათჳს, ლოცვა ყავთ!

40. წმიდისა აბიბოჲ ნეკრესელ ეპისკოპოზისაჲ, და ნეტარი იოვანე ზედაზადნელი; და ღირსებით მოჴსენებული წილ ეპისკოპოზი; და მადლითა სავს ბერი შიო ანუ სხუანი მოწაფენი მისვე ნეტარისა ზედაზადნელისანი, რომელთა შუენიერითა მით სლვითა მათითა შეამკვეს ეკლესიაჲ

41. ერთმან მათგანმან აღაშნა ალავერდი, რომლისაგან გამოვლენ ვიდრე დღენდღელად დღედმდე დიდნი საკჳრველებანი და მრავალნი კურნებანი განთქუმულ გარემო ყოველსა ამას სოფელსა. [92v] და სხუამან – ქუაბი იულთისაჲ, და სხუათა დაჰნერგეს კხუეთს ეკლესიანი და მონასტრები.

42. და ერთმან წმიდასა უდაბნოსა გარერჩისასა და მრავალნი საკჳრველებანი ქმნა, ხოლო ერთმან ზენა-სოფელს აღაშნა მონას-

ტერი და დადვა სასწაული ესე, რაჲთა არარაჲ დედალი შევიდეს მას შინა; რომელმან მფრინველნი ცისანი და ქუეწარმავალნი ენასა მისსა დაამორჩილნა, ვერ იკადრებენ დაბუდებად მას შინა, რომელსა-ესე თუალნი ჩუენნი ჰხედვიდეს, და ვითარ-იგი განშუენებულ არიან ყოველნი ადგილნი ამათ წმიდათანი და ყუავიან დღეს. უკუეთუმცა ვის უხილავს იგი მათი იგი კადნიერებაჲ წინაშე უფლისა თჳსისა ადგილთა მათგან.

43. ხოლო სხუათა მათ ყოველთაჲ ვერ ძალ-მიც მოჴსენებად მცირედითა ამით სიტყჳთა, დიდი იგი ვცანით და გემოჲ ვიხილოთ [93r] წმიდათა მათგან წყაროთა და ადიდებდით მამასა თქუენსა ზეცათასა.

44. ხოლო ნეტარმან შიო მღჳმესა მას შინა პოვა ზეცისა იგი მარგალიტი და მოჲღო თავ<ი>სა შინა მისსა და დაჲმკჳდრა, და ისწრაფდა მისლვად მის წინაშე, რომელმან-იგი მოაქცია, მან მოიყვანა ადგილსა მას, რომლისათჳსცა ჰსუროდა, და შეჲსუენა დიდითა განცხადებულებითა. და შეკრბა სიმრავლჱ მონაზონთაჲ, მსგავსად ჩუეულებისა, და დაჰმარხნეს ჴორცნი მისნი მასვე ადგილსა და განაწესეს დღესასწაული მის ნეტარისაჲ **ე ზატიკსა, დღესა კჳრიაკესა.**

45. და შემდგომად მისსა წმიდაჲ და კეთილად მსახური ღმრთისაჲ ევა<ნ>გრე, ჩაჯდა მღჳმესა, რაჲთა არა დააცარიელოს ადგილი თჳსისა მოძღურისაჲ, რაჲთა სათნოებითა მისთა მკჳდრ იქმნეს, რომელმან წმიდაჲ [93v] იგი სრბაჲ აღასრულა საქმით.

გარდაცვალებაჲ ნეტარისა იოვანე ზედაზადენელისაჲ

46. ხოლო ნეტარი ბერი, მამაჲ ჩუენი იოვანე დაბერდა მასვე ქუაბსა შინა და აღასრულა სრბაჲ თჳსი მრავლითა ღუაწლითა, თქუმულისაებრ მოციქულისა, ვითარმედ: „ქრისტე იესუჲსთა მათ ჯუარს აცუნეს ჴორცნი თჳსნი ნებითურთ თჳსით, გულისთქუმით. უკუეთუ ცოცხალ ვართ, სულითაცა ვეგნეთ"[1]. რამეთუ განცხოველდა ესე ჭეშმარიტად სულითა საქმეთაგან კეთილთა, რომელ არიან: სარწმუნოებაჲ, სიყუარული და მოთმინებაჲ, ტჳრთვაჲ ურთიერთას სიმძიმისაჲ. რამეთუ მას შინა აღესრულების რჩული ქრისტჱსი, რამეთუ იჩინა იგი უფალმან ჩუენმან

[1] შდრ. გალატ. 5: 24-25.

წინაჲსწარითა ცნობითა [94r] მისითა და უწოდა, და განამართლა და განსრულებული, თჳნიერ ცხორებისა და ყოვლისა ნაკლულევანებისა, შემდგომად სიკუდილისა ადიდა. ხოლო მასმენელი იგი, რომელი ძკრსა იტყოდა მისთჳს, დაამჴუა ამისთჳს, რამეთუ დაადგრა სიყუარულსა მისსა, ვერ განაშორა იგი რომელმანმე ჭირმან ანუ ჲწროებამან, გინა თუ ამის სოფლისა განსუენებამან ანუ დიდებამან.

47. და ვითარცა აღასრულნა წელნი მრავალნი, მოუძლურდა და იწყო მოკლებად და დასნეულდა მუცლითა. და მოუწოდა ნეტარსა ელია დეაკონსა და თათას, მამასახლისსა ქუემოჲსა მონასტრისასა. აღივსო იგი ცრემლითა და რქუა მათ:

„შვილნო ჩემნო, ჟამი მიქცევისა ჩემისა მოწევნულ არს და მსურის, რაჲთა მივიდე უფლისა ჩემისა. და მეშინის მე ფრიად, დაღა-ცათუ [94v] მსგავსად ძალისა ჩემისა მინდა ყოვლითა გულითა, რაჲთა სათნო ვეყო მას. ხოლო შეძრწუნებულ ვარ სარჩელისა მისისაგან, რომელ საშინელ არს დღჱ იგი მისი, და ვითარცა თქუმულ არს, მართალთათჳს მისაგებელი. რამეთუ თუალმან არა იხილა, და ყურსა არა ესმა, და გულსა კაცისა ცოდვილისასა არა მოჴდა, ესრჱთვე არს ცოდვილთათჳს, რომელთა არა შეჲნანეს და განაგდეს შიში მისი ზარის საჴდელი და მოუგუნებელი და მიუთხრობელი სატანჯველი<ლი>. ამის გამო მეშინის და ძწის გული ჩემი თავისა ჩემისათჳს და თქუენთჳსცა, საყურელნო ჩემნო. აწ გლოცავ, რაჲთა ყოველსა ჟამსა მარადის, დღჱ და ღამე ცრემლით ევედრებოდეთ უფალსა, რაჲთა ვიჴსნეთ საფრჴისა მისგან მტერისა, რომელ-იგი განმზადებულ არს შეპყრობად ჩუენდა. და ვინმცა მიჴსნა მე უბადრუკი [95r] ესე ჴორცთა ამათგან სიკუდილისათა, არა თუმცა ღმერთმან ძჱ თჳსი მოავლინა ცოდვილთათჳს, და დასაჯე (!) ცოდვაჲ იგი ჴორცითა თჳსითა, რამეთუ ქრისტე იესუჲს მიერ განთავისუფლებულთა სიკუდილისაგან, უკუეთუ თავნი ჩუენნი დაგჳცვან საქმეთაგან ამის სოფლისათა. არამედ სასოებით მოველით მის მიერსა წყალობასა, რომელმან-იგი მცირედნი მიზეზნი საქმით მიჲთუალნის და უმადლოთაცა ზედა აჩუენის სახიერებაჲ მისი, რამეთუ დაუსრულებელ არს წყალობაჲ მისი ჩუენდა მომართ“.

48. და ვითარცა დაასრულნა სიტყუანი ესე, ჲქცია პირი მისი აღმოსავალით და თქუა: „მოჲწია ჟამი“. და მოელოდა სიკუდილსა, რომლისათჳს იგი მარადის განმზადებულ იყო. და ამცნო მოწაფეთა თჳსთა,

რაჲთა ჴორცნი მისნი დაჰმარხნენ მასვე ადგილსა, სადაცა მწირობისა ესე ჟამნი [95v] აღასრულნა. მაშინ აღიხილნა თუალნი მისნი ზეცად და ჰხადოდა თჳსსა ნუგეშინისმცემელსა, მხიარულითა პირითა ჰხედვიდა ვიეთმე, და ეგრე ყუნა თუალნი მისნი, ვითარცა კაცი მეგობართა თჳსთა თანა წარვალნ გზასა, ეგრჱთ სიხარულით შეჰვედრნა სულნი თჳსნი თჳსსა უფალსა.

49. მას ჟამსა კიბჱ იგი იაკობისი კუალად აღემართა და ანგელოზთა იგი გარდამოსულაჲ და აღსლვაჲ იხილვებოდა თჳსისა მის უფლისა ტაძარსა[1]. პატივ-უპყრობდეს, რომელსა შინა დამკჳდრებულ იყო მამაჲ და ძჱ და სული წმიდაჲ, და ესრჱთ წარიყვანეს სული იგი ნეტარისა იოვანე ზედაზადნელისაჲ გალობითა მაღალთა შინა. ხოლო უფალი დამტკიცებულ იყო თავსა ზედა მის კიბისასა, რომელმან ჰრქუა მას: „მე ვარ ღმერთი [96r] აბრაამისი, მამისა შენისაჲ. მიჲღე სამოსელი პირველი[2] და მოვედ ჩემთანა, რამეთუ განგესუენოს შრომათა შენთაგან".

50. და არა საკჳრველ არს ესე, ძმანო, უკუეთუ სიხარული არნ ცათა შინა ღმრთისაჲ და ყოველთა ანგელოზთაჲ ერთისა ზედა ცოდვილისა მოქცევასა, ვითარმცა არა უფროჲს ადიდნა ღმერთმან მადიდებელნი თჳსნი, და ვითარ არა დიდი სიხარულიმცა იყო ყოველთა დასთა წმიდათაჲ ესევითარისა პატიოსნისა მარგალიტისაჲ შერთვაჲ რიცხუსა მათსა.

51. ხოლო მოწაფენი იგი მისნი ტიროდეს ფრიად და განიძრახვიდეს ვითარ-რაჲ დაჲლუაწნენ წმიდანი იგი ჴორცნი მისნი. მაშინ უდებ-ყვეს სიტყუაჲ იგი ბერისაჲ, დაწუნებულ უჩნდა ადგილი იგი [96v] ეგემილევანისა მის კაცისათჳს და წარავლინეს გარემოჲს და აუწყეს ნეტარისა იოვანჱს გარდაცვალებაჲ.

52. მაშინ მოკრბა სიმრავლჱ მღდელთა და დიაკონთაჲ და ერი დიდძალი. და აჲხუნეს ჴორცნი იგი ნეტარისა ბერისანი და ჩამოჲხუნეს პირველმოჴსენებულსა ქუემოსა მონასტერსა, თათაჲს შჱნებულსა, დიდითა პატივითა, კერიონებითა და საცეცხურებითა, ფსალმონებით, ვითარცა არს წესი ქრისტეანთაჲ. და შთასხნეს იგინი ლუსკუმასა და დაჰკრძალნეს იგინი ეკლესიასა შინა. და ადიდებდეს ყოველნი (!) იგი

---

[1] შდრ. დაბად. 28: 12-13.

[2] შდრ. ლუკა 15: 22.

სიმრავლჲ ერისაჲ უფალსა და მიჲქცეოდეს ტირილით და გლოვით თჳსა ადგილად.

53. ხოლო სიმრავლჲ იგი მონაზონთაჲ იქმნეს უმწყემსო, ვითარცა ცხოვარნი [97r] და იტყოდეს: „კეთილო მამაო, რაჲსათჳს დაგჳტევენ? აწ ვისგან ვისწაოთ სიტყუაჲ ცხორებისაჲ, ანუ ვის თანა ვიხილოთ სახჲ ანგელოზებრივი, ანუ ვინ იყოს მკურნალ უძლურებასა კაცთასა, ანუ აღმ[მ]ართებელ დაცემულთა, გონებათა დამამტკიცებელ, დაცემულთა აღმმართებელ და წამალ<თა> წყლულთა ეშმაკისაგან, ანუ ვისითა ცრემლითა განათლდების სოფელი ესე ჩუენი და დაჴსნდებოდიან მრავალფერნი საცთურნი მტერისანი? ჰ რაბი, კეთილი მიგჳღო ჩუენ ყოველთა".

54. და წარვიდოდა კაცად-კაცადი ვანად თჳსა და აკურთხევდეს ღმერთსა – მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, რომლისაჲ არს პატივი და დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე, ამენ!

55. [97v] ხოლო[1] ნეტარმან მამამან ჩუენმან იოვანე შემდგომად სიკუდილისა არა თავს-იდვა სიტყჳსა მისისაჲ უდებყოფაჲ, სადა-იგი მოეპოა ცხორებისა მისისა მადლი, ზედა მთასა მას მაღალსა ზედა-ზადენს, ვინაჲ-იგი მიჲწია ზეცისა კამარასა და კუალად რაჲთა მისა შემდგომად გარდაცვალებისა მისისა, და რამეთუ ცხოველ არს იგი მის წინაშე, რომლისა (!) უპყრიეს ყოველი, უფალი ჩუენი იესუ ქრისტე, და იქმს, რაჲ ენებოს, უნდა თჳსთა მათ ჴორცთა მუნვე მიცემაჲ, რაჲთა არა ცარიელ იყოს ადგილი იგი ბრძოლისა და ძლევისაჲ, სადაცა დაეცნეს ეშმაკნი და ივლტოდეს, რაჲთა აღეშჱნოს საწამებელად ყოველთა მათ საქმეთა, რომელ თქუეს მისთჳს. არამედ ვიდრე ქუემო-ღა იყუნეს ნაწილნი იგი წმიდისა იოვანეჲსნი, იქმნებოდეს [98r] ფერად-ფერადთა სენთა განკურნებასა. დღესცა ძუალთა მათ მის მართლისათა, რომელნი სარწმუნოებით მოვლენ საფლავსა მისსა, მიჲღებენ კურნებასა.

56. ხოლო მოღუაწებითა დეაკონისაჲთა შეკრბა სიმრავლჲ მონაზონთაჲ, და განითქუა ადგილი იგი და მოვიდოდეს ყოვლით კერძო, რამეთუ ფრიად გულსმოდგინედ შურებოდა აღშჱნებასა ნეტარი ელია, იყო შექმნულ ყოვლითა სათნოებითა, ვიდოდა იგი გზათა მოძღურისა თჳსისათა და იქმნა მკუიდრ სათნოებათა მისთა.

---

[1] აღნიშნულია რვეულის დასასრული : ⁊ : .

57. და მრავალნი დიდ-დიდნი და სულიერნი მამანი გამოჩნდეს მას ადგილსა, რომლისათჳს ლოცვითა მათითა ჰგიეს ადგილი იგი შეურყეველად ვიდრე დღენდღელად დღედმდე. ხოლო შემდგომად მრავალისა [98v] ჟამისა წმიდამან კლემენტოზ კათალიკოზმან მასვე ადგილსა აღმოსავალით, ეკლესიაჲ აღაშჱნა წმიდისა ნათლის-მცემელისაჲ სადიდებელად სამებისა წმიდისა არსებით და ერთი არსებაჲ სამებით, რომლისაჲ არს დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე, ამენ!

58. და განაწესა დღესასწაული მისი შემდგომად ამაღლებისა **მეოთხესა დღესა კჳრიაკესა, ზატიკსა მეექუსესა.**

ცხორებაჲ და წამებაჲ წმიდისა აბიბოზ ნეკრესელ ქალაქისა ებისკოპოზისაჲ

1. ხოლო ჯერ-არს, რამეთუ მცირედ შოვა [შემოვიღოთ] ჴსენებაჲ წმიდისა მოწამისაჲ და უბიწოჲსაჲ მღდელთ-მოძღურისაჲ, რომელი-სა-იგი სამართლად მინიჭებულ იყო პატივი განმზადებისა მისისაჲ, სასოებისა, [99r] დიდებისა საყდარი, უჟეჟთაეს შორის მართალთა დიდისა მისისა სიწმიდისათჳს, უმეტჳსად ყოველთა მიერ წამებულთა ჭეშმარიტებისათჳს, დამამტკიცებელი წამებისაჲ სისხლთათჳს, რო-მელმან-იგი შენირა მსხუერპლად თავი თჳსი მისთჳს, რომელმან-იგი სისხლითა თჳსითა ჩუენ მოგჳყვანა და დაჲდგა გჳრგჳნი ძლევისაჲ თჳთ მოტაცებითა, აფრინებითა მაღლად, რომელმან ნაყოფნი გამოჲხუნა თჳთ თავით თჳსით შენევნითა მაღლისაჲთა, სიწმიდისა იგი სამეოცი და მოღუაწებისა ასეული[1] თავისა თჳსისა თანა შეერთებითა შჳდეუ-ლისაგან განმასრულებელი იოვანე[2], იგი მღდელთმოძღუარი მადლი-საჲ, შუამგომელი ღმრთისაჲ და კაცთაჲ ნეტარი აბიბოზ, ნეკრესელ ქალაქისა ებისკოპოზი, რამეთუ ორთა განწყობათა კრებულსა წმიდა-თასა წარმოდგა მღდელი [99v] საყდრისმოდგამთა თანა უბიწოდ, საყ-დარი ეპყრა და კუალად მჳნეთა მათ თანამოწამეთა ღუაწლსა მიჲსწრა-ფა, ასპარეზი იგი მსწრაფლ წარიტაცა და გჳრგჳნითა პატივცემულითა იპოვა შურისმეძიებელი სამართალთა რჩულისათა.

2. ჩემი არს მოწამჱ ესე და არა სხჳსაჲ, ჩემისა ამისაგან საყდრისა ნაყოფი შუენიერი, მხიარულებისაჲ ჩუენდა მოღებული[3], სპეტაკი ვარდი ესე, ერისა სურნელმყოფელი, ჩუენდა მომართ მომფენელი, რომელმან სანთელი თჳსი აღანთო ზედა მაღალსა მთასა, რაჲთა ყოველი სოფელი ჰხედვიდეს ნათელსა მას დაუჳსებელსა, უპირატჱს მნათობელსა ღმრ-თისა მიმართ შემწირველსა. თჳთ მისი სიტყუაჲ დაუსაბამოჲსაჲ ჴორ-

---

1 მარკოზი 4: 8.

2 ტექსტის C რედაქციაში იოვანეს ნაცვლად გვაქვს „იპოვა".

3 ტექსტის C და Ł რედაქციაში გვაქვს „მომღებელი".

ცისაჲ[1] უკუანაჲსკნელ [100r] მასვე სანატრელსა საკურთხეველსა ზედა თავი თჳსი შეწირა მრგულად მისა მიმართ, რომელსა-იგი შესწირვიდა ჴელითა ურჩულოჲს მარზაპნისაჲთა, რომელმანცა შეწირა იგი.

3. აწ მნებავს, საყუარელნო, რაჲთა უწყოდით მიზეზი საქმისაჲ ამის, რამეთუ მას ჟამსა დაეპყრა ქართლი მეფესა სპარსთასა და იგი-ნი ჴელმწიფე იყვნეს ჩუენსა ამას სოფელსა, და ბილწსა მას კერპთმ-სახურებასა და ცეცხლისა მის მსახურებასა და თაყუანისცემასა აღასრულებდეს – ბაბილონისა მის ჩუეულებასა სადმე ოქროსა და სხუანი სხუასა რასმე და ოდესმე ცეცხლსა ჟამითი-ჟამად, ვითარცა ისწავებდეს თჳსისა მისგან ბოროტად მასწაელელისა ეშმაკისა. ამის გამო მრავალნი ადგილნი განმზადნის [100v] მათისა სამსახურებელი-სა ცეცხლისანი ქუეყანასა ამას ჩუენსა და მრავალთა შეაცთუნებდეს დაუმტკიცებელთა სარწმუნოებასა, გონებითა ნაკლულევანთა.

4. ხოლო ნეტარი აბიბოზ, ნეკრესელ ქალაქისა ებისკოპოზი ჴევი-სა კახეთისაჲ, აღიძრა შურითა საღმრთოჲთა გულსმოდგინებითა, [ვერ თავს-იდვა][2] უცხოჲსა მის სამსახურებელისა მახლობელად ყოფაჲ, დაასხა წყალი და ხენეში იგი დაშრიტა. ესე რაჲ ცნეს ურჩულოთა მათ სპარსთა, ფრიად გუემნეს კნინ მო-მცა-ვიდრემე-კლეს ნეტარი იგი, შეაყენეს საპყრობილესა, იწროებითა მრავლითა. სატანჯველისა შემდგომად მსწრაფლ მიწერეს ზენა-სოფლად მეფისა მარზაპნისა სა-ქმე ესე. ხოლო მან ბრძანა მსწრაფლ შეკრულისაჲ წარყვანებად მუნ მის წინაშე. [101r] და ამოვიდეს მივლინებულნი იგი მრავალნი და წა-რიყვანეს, მრავალფერითა ჭირითა მიჰყვანდა იგი.

5. ხოლო ნეტარი ებისკოპოზი მეგობარ იყო ბრწყინვალისა მის მნა-თობისა სჳმიონ მესუეტისა და არათუ ხილვით ეხილვა სადა ერთმა-ნერთი, არამედ სულიერითა მით სიყუარულითა, რომლითა ეხილვების შორიელი ვითარცა მახლობელი, და კუალად წიგნითა და მოციქულითა იყო მათ შორის შესწავებაჲ. მას ოდენ ჟამსა, ოდეს მოჰყვანდა წმიდაჲ აბიბოზ ებისკოპოზი, ემთხჳა მას მოციქული ნეტარისა სჳმიონ მესუე-ტისაჲ სოფელსა, რომელსა ჰრქჳან *იალდოჲ*, და მოართუა მას წიგნი და

---

[1] ტექსტი გაუმართავია, შდრ. C და Ł რედაქციებს.

[2] „ვერ თავს-იდვა" გამოტოვებულია გადამწერის მიერ და ტექსტში აღდგე-ნილია C რედაქციის მიხედვით.

ევლოგიაჲ და კუერთხი წმიდისა სჳმიონ მესუეტისა, [101v] ანტიოქელისა საკჳრველთმოქმედისაჲ.

6. და ვითარცა მოჲღო ებისკოპოზმან წიგნი იგი, აღმოჲკითხა და მიუპყრა მან ევლოგიაჲ იგი და კუერთხი და განიხარა სიხარულითა დიდითა და განმტკიცნეს ფრიად. და განმხიარულებული მივიდოდა, დაღათუ შესაძლებელ იყო მისა არა მისულა, მიმყვანებელთა მათგან მისი, [102r] დაემთხჳნესცა ვინმე და ჰრქუეს: „უკუეთუ არა გინებს წარსლვის, და ჩუენ მო-გა-ვიღოთ[1] და უკუგაქციოთ“. ხოლო მან არა თავს-იდვა, რამეთუ ისწრაფდა და ჰსუროდა მარტჳლობაჲ.

7. და ვითარ მიჲწივნეს სამეუფოსა ქალაქსა მცხეთას, ჰხადოდა იგი დედასა თჳსსა რაქელს, რომელ არს ერთი წმიდაჲ კათოლიკე სამოციქულო ეკლესიაჲ. დაღაცათუ იტყოდაცა, ვითარმედ: „დედაო, აჰა ესერა, შვილი შენი იოსებ წარვალს ეგჳპტედ კრული ვითარცა ტყუეჲ“. და ვითარცა ვინ ჰრქუა: „არა ეგრე, არამედ სუფევად განემზადები და ნაყოფთა მათგან შუენიერთა საუნჯეთაებრ არს შენი ეგე გზაჲ“. და ვიდოდა მას ზედა.

8. მაშინ ევედრა იგი მტარვალთა მათ, რაჲთა მივიდეს ნეტარისა შიოჲსა მღჳმედ, რამეთუ იცოდა იგი წინაჲთვე და სურვიელ იყო ხილვად მისა. ხოლო მათ განუტევეს იგი და შთავიდა უდაბნოდ, და იხილა [102v] ნეტარი ბერი და ყვეს ლოცვაჲ და მოიკითხნეს ურთიერთას. და ვითარცა ზრახვიდეს, რქუა წმიდამან ებისკოპოზმან ბერსა: „ლოცვა ყავ, მამაო, რამეთუ ურჩულონი[2] ესე სპარსნი განძლიერდეს ჩუენ ზედა ამპარტავანებითა მათითა, რამეთუ დაუპყრიეს სოფელი ესე ჩუენი. შენ [უწყი][3], რამეთუ ბაბილონი კერპთა მას<ს>წავლელ არს და ღუნისმეძიებელ არიან, რაჲთამცა ყოველნი კაცნი თაყ[უ]ანის-აცემ[ინ]ნეს. მაშინ სამე სამთა მათ ყრმათა, ძესა ღმრთისა თანამდგომარეთა, მის მიერითავე ძალითა კერპი იგი დაადვნეს და განაქარვეს, და მრავალი იგი ერი მისსა კდემასა ქუეშე შეაყენნეს. და აწცა მათ ურჩულოთა მისა სახედ ეგულებიან, რაჲთამცა გადგეს ბადჱ იგი და შეაყენეს კაცნი და თაყუანის-აცემინნეს ცეცხლსა“.

---

1 C რედაქციაში არის „მოგიღოთ“.

2 ურჩულონი . . . ყრმათა – დაწერილია სხვა ხელით.

3 „უწყი“ აღდგენილია C რედაქციის მიხედვით.

9. მიუგო ბერმან და რქუა: „ვიცი, [103r] მამაო მფლობელო, რამეთუ დაშრიტე ცეცხლი იგი მათი, რომელსა-იგი ესვიდეს ურჩულონი ღმერთად. მოგმადლენ უფალმან, რაჲთა აღმოცენებულიცა იგი უჩუენო ცეცხლი, რომელი აღუგზნიეს შენთჳს ეშმაკისაგან განსაცდელად, დაშრიტო ასწილად. არა უმეცარ არს სინმიდჱ შენი, რამეთუ მრავლითა ჭირითა გიღირს შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა. ხოლო ნუ შესძრწუნდები მათისა მისგან მძლავრებისა, ვინაჲთგან იტყჳს მოციქული, ვითარმედ: „მაჭირებელთა თქუენთა ჭირი და თქუენ ჭირვეულთა ლხინი“.[1] უწყოდე, რამეთუ ჭირი მათი დიდება გექმნების და წარუვალ, და ჭირი იგი მათა დაცემა. მრავალთა სიტყჳთა განმტკიცნა ნეტარი იგი აბიბოს ბერისაგან. და ყვეს ლოცვაჲ და ამბ<ა>ურებაჲ ურიცხუ ურ[თიერ]თარს და წარემართა ღუანლსა მას სიხარული[თ].

10. და ვითარცა მიჲყვანეს იგი მისა [103v] ზენა-სოფლად, სოფელსა, რომელსა რქჳან რეჴი, შეკრბა მუნ სიმრავლჱ ებისკოპოზთაჲ და მღდელთაჲ და ერისმთავართაჲ და ერი დიდი წინაშე მარზაპნისა მის. მაშინ წარმოადგინეს წმიდაჲ აბიბოზ ებისკოპოზი და რქუა მას მარზაპანმან მან <და რქუა>: „რაჲსათჳს უარ-ჰყავ უფლებაჲ მეფეთა მეფისაჲ და მოჰკალ უფალი ჩუენი?“ მიუგო წმიდამან მან ებისკოპოზმან და რქუა: „მე არავინ ვიცი მეუფჱ, გარნა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე. ცეცხლი იგი, რომელ დაშრიტი, იგი არა არს ღმერთი. და დაშრიტე იგი, რაჲთა განქარდეს საცთური ეშმაკისაჲ. ხოლო გლოცავ შენ მე, რაჲთა განეყენო უნდოსა მას სამსახურებელსა და ღმერთი მხოლოჲ იცნათ, რომლისა მიერ დაებადა ყოველი. მას მხოლოსა მსახურებდით, რომელი წერილ არს: [104r] „უფალსა, ღმერთსა შენსა, მსახურებდე და მას მხოლოსა თაყუანის-სცემდე“.[2]

11. რქუა მას მარზაპანმან მან: „რაჲსათჳს მოჰკალ ღმერთი ჩუენი და გინებს, რაჲთამცა შენისა ღმრთისა წარგჳყვანენ?“

მიუგო ნეტარმან აბიბოზ და რქუა: „უწყებულ იყავნ ესე შენდა, ვითარმედ ღმერთი არა მოჲკლვის, ხოლო ცეცხლი დაშრიტე და არა არს იგი ღმერთ, არამედ ოთხთა ბუნებათაგანისა ერთისა ნივთისა მცირედ ნაწილი, რომლისაგან ერთიერთისა პყრობელობა აქუს სიმრგულესა მას შინა, ესრეთ განსწორებითა ყოველთაჲთა დგანან, და

---

[1] შდრ. 2. თეს. 1: 6-7.

[2] მათე, 4:10; ლუკა 4:8.

უკუეთუმცა ერთი ერთა აღემატა, განქარდამცა მეორჱ იგი. ხოლო თქუენი იგი ცეცხლი მისვე ცეცხლისა ბუნებისა ნაწილითა ჴმელითა ცივით აღდგომილი შეშისა ჭამითა და მყოფი კონქი ერთი მცირჱ წყალი დავასხი და მძლე იქმნა და მოკლა, რამეთუ უფროჲსდა [104v] მისსა იპოვა.

აწ მიკჳრს თქუენგან, ვითარ არა სირცხჳლ გიჩ<ი>ს მისი სახელისდებაჲ ღმრთად, რომელსა ესოდენ აქუს ძალი, რამეთუ თქუენი ცეცხლი ჩუენდავე მონაჲ არს. და კერპთა შეურაცხისმყოფელთა ვითარ მიჰხედავს, უკუეთუ ღმერთი არა არს, ვითარცა-ეგე თქუენ იტყჳთ, ვითარ ოდესმე თქუენსავე სოფელსა განმზადეთ მსახურებად მის კერპისა, რომელ-იგი ჰქმენით ოქროჲსაჲ, სატანჯველ დადებულსა თქუენ მიერ მაშინდელსა, აწ ღმერთ გიწოდებია".

12. მაშინ განრისხნა ფრიად მარზაპანი მეფისაჲ და უბრძანა გუემაჲ და შემდგომად მრავლისა გუემისა საკჳრველითა სატანჯველითა და ქვითა განტჳნეს ნეტარი აბიბოზ და მოკუდა. [105r] და განათრიეს გარეშე დაბისა {... ...}[1] ვანი განაწესეს მას ზედა, [რაჲთა მჴეცთა] და მფრინველთა შეჭამნენ [ჴო]რცნი მისნი, რამეთუ ე[შინოდა], ნუვკუე ქრისტიანენი მოვიდენ და დიდებით დაჰკრძალნენ.

13. ხოლო სამგზის სანატრელისა მის ჴორცთა არაჲ შეეხო ყოვლადვე მჴეცთა და მფრინველთაგანი. და ვითარ მყოვარ ისხნეს ჴორცნი მისნი, დაუტჳევს მცველთა მათ და წარვიდეს. და მოვიდეს, რომელნი-იგი მყოფ იყუნეს ქუაბსა მას, რომელი-იგი მათვე წმიდათა იოვანეთაგანსა აღეშჱნა მონასტერი და აღიხუნეს ნაწილნი წმიდისა აბიბოსისნი დიდითა დიდებითა და დაჰკრძალნეს ადგილსა მას.

14. და ესრჱთ შეჲწირა წმიდაჲ ა[ბი]ბოზ, ვითარცა მსხუერპლი კეთილი დ[ა] მართლად მსგავს არს ზ[აქარიაჲსი] [105v] {... ... } არა სახელითა, [არამედ სახი]თა {.... .... } სი[სხლიცა] {... ... ... }.[2]

15. ამას გაუწყებ თქუენ, საყუარელნო, ნეტარისა აბიბოს ებისკოპოზისა არა თუ ყოველთა საქმეთა და შრომათა და ღუაწლთა მისთა გაუწყებ თქუენ, ვითარ აბიბოს უფ<უ>რეთისა დალეწნა კერპნი და უ[ღმ]რ[თო]თა არწმუნა უფალი ქრისტე და ნათელ-სცა სახელითა


---

[1] ტექსტი დაზიანებულია.


[2] ამ გვერდის პირველი ოთხი სტრიქონი ძლიერ დაზიანებულია ცეცხლისაგან.

სამებისაჲთა; ანუ ვითარ დედაკაცსა მას უწინაწარმეტყუელა შემდგომად მისა მოსლვაჲ ბერძენთაჲ და დაპყრობაჲ ქუეყანისა ამის ჩუენისაჲ, რომელიცა-იგი იქმნა მსწრაფლ მისვე დედაკაცისა ზე. მოვიდეს [ბერძე]ნნი და განასხნეს ურჩულონი . . .[1]

[1] ამის შემდეგ ხელნაწერი ნაკლულია.



N/Sin.geo-50, 77r.



N/Sin.geo-50, 90r.

ლექსიკონი*

ა

აგარაკ-ი სახნავ-სათესი ადგილი: „განმზადა თავი თჳსი აგარაკად შუენიერად“.

აგებულ-ი დატვირთული: „... მოივლინა ქართლად, აგებული დიდითა სიმრავლითა წმიდათაჲთა“.

აგზებულ-ი ანთებული: „და ვითარ მრავალნი ჟამნი განვლნა ფიცხელსა მას შინა აგზებულსა საჴუმილსა“.

ადამანტ-ი მაგნიტი, ანდამატი: „ვითარცა ქვაჲ ადამანტი[ს]აჲ განტეხილი იდვა“.

ამაღლება-ჲ საეკლესიო დღესასწაული აღდგომის შემდეგ: „და განაწესა დღესასწაული მისი შემდგომად ამაღლებისა“.

ამბორება-ჲ აქ: კოცნა: „ყვეს ლოცვაჲ და ამბურებაჲ ურიცხუ“.

ამიერ აქედან: „ამიერ განსრული“.

ამირობა-ჲ „წმიდაჲ აბოჲ იწამა ტფილისს შინა... მოსცს ამირობასა“.

არაუწყალო-ჲ მოწყალე, შემბრალებელი: „მოვიდა ლაზარე მდიდრისა მის, არაუწყალოჲსა.

ასულის წულ-ი შვილიშვილი ასულის მხრიდან.

ასხდომა ამხედრება: „ასხდეს ცხენთა თჳსთა და განვიდეს ველად“.

აფრინება-ჲ აფრენა: „დაჲდგა გჳრგჳნი ძლევისაჲ... აფრინებითა მაღლად“.

აქა დღემდე ამ დღემდე, აქამდე.

აღმმართებულ-ი ფეხზე დამყენებელი: „გონებათა დამამტკიცებელ, დაცემულთა აღმმართებელ“.

აღმოკითხვა წაკითხვა: „ვითარცა მიიღო ებისკოპოზმან წიგნი იგი, აღმოიკითხა“.

აღმოსავალით აღმოსავლეთისკენ: „იქცა პირი მისი აღმოსავალით“.

აღსავალი საკურთხევლისა-ჲ ამბიონზე ასასვლელი.

აღსრულება დასრულება, შესრულება: „რომელმან წმიდაჲ იგი სრბაჲ *აღასრულა საქმით*“.

აღსრულებულ-ი გარდაცვლილი.

---

* ლექსიკონი ორივე ტექსტისათვის მოამზადა აწ განსვენებულმა ციალა ქურციკიძემ.

აღხუმა (ობ. მრ) აღება „აღიხუნეს ნაწილნი წმიდისა აბიბოსისნი დიდითა დიდებითა და დაჰკრძალნეს ადგილსა მას“.

ახალნერგ-ი: „ქართლი ახალნერგ იყო ქრისტიანობისა“ – ქართლი ახალი მოქცეული იყო ქრისტიანობაზე.

ახუმა (ობ. მრ) აღება, აყვანა: „აიხუნეს ჴორცნი იგი ნეტარისა ბერისანი“.

ბ

ბადის გადაგმა ბადის დაგება: „აწცა მათ ურჩულოთა მისა სახედ ეგულების, რაჲთამცა გადგეს ბადჱ იგი და შეაყენეს კაცნი“.

ბარძიმ-ფეშხუან-ი ბარძიმ-ფეშხუმი, ზიარების ჭურჭელი.

ბეჭდულ-ი დაბეჭდილი.

ბჭე მოსამართლე, მსაჯული: „ძჱ ბჭისაჲ და სამართლისმყოფელისაჲ გლახაკთაჲსაჲ“.

გ

გამოზრდა გამოკვება: „მის მიერ იზარდებოდა, რომელმან იგი ორმეოც ნელ მანანაჲთა გამოზარდა ისრაელი“.

გამონერა დახატვა: „ხატები გამონერეს სასურველად“.

გამოხუმა (ობ. მრ.) გამოღება: „რომელმან ნაყოფნი გამოიხუნა თჳთ თავით თჳსით შეწევნითა მაღლისაჲთა“.

განკაფა გაცვეთა, გალევა: „რომელმან განკაფნის გონებანი მომგებელთა თჳსთანი“.

განლიგებულ-ი განცვიფრებული, გაოგნებული: „...დღჱ და ღამჱ განლიგებულითა დგომითა“.

განმრთელებულ-ი გამოჯანმრთელებული „კაცი იგი განმრთელებული, ვითარცა მადლისა მიმცემელი, მოვიდის ნეტარისა“.

განმტკიცება გაძლიერება: „განმტკიცნეს ფრიად“.

განტევება გაშვება: „მათ განუტევეს იგი და შთავიდა უდაბნოდ“.

განქარება გაქრობა: „რაჲთა განქარდეს საცთური ეშმაკისაჲ“.

განქარვება გაქრობა: „კერპი იგი დაადვნეს და განაქარვეს“.

განრომა გადარჩენა: „ნუ ეშურვობ, რაჲთა განერე მცირედ საფრჴესა მტერისასა“.

განრლუეულ-ი დავრდომილი: „მოართუეს მთად ღრეკილი ... და ძნიად განრლუეული“.

განსრულებულ-ი სრულყოფილი: „ჰბაძევდი განსრულებულთა სათნოებასა შინა“.

განსრულ-ი გასული: „ დაითმენდა ანგელოზებრსა ცხორებასა ამიერ განსრული და მათ თანა მძრახვალი“.

განსუენება დასვენება: „განგესუენოს შრომათა შენთაგან“.

განსწორებით თანასწორობით: „ესრჱთ განსწორებითა ყოველთაჲთა დგანან“.

განსხმა (ობ. მრ.) გაყრა, განდევნა: „მოვიდეს ბერძენნი და განასხეს ურჩულონი“.

განყენება განშორება: „რაჲთა განეყო უნდოსა მას სამსახურებელსა და ღმერთი მხოლოჲ იცნათ“.

განყენება გაცლა, განდევნა: „განეყენა მჴეცი იგი ჴორცისმჭამელი“.

განშორებულად დაშორებით: „განშორებულად ერთი ოდენ ფრასახით“.

განცხადებულება-ჲ გამოჩენა: „ [შიომ] შეისუენა დიდითა განცხადებულებითა“.

გაცხოველება გაცოცხლება: „განცხოველდა ესე ჭეშმარიტად სულითა საქმეთაგან კეთილთა“.

განძრახვა-ჲ განზრახვა: „და განიძრახვიდეს ვითარ-რაჲ დაჲღუაწნენ“.

განწყობა-ჲ რაზმი: [აბიბოზ]... „ორთა განწყობათა კრებულსა წმიდათასა წარმოდგა მღდელ[ობისა] საყდრისმოდგამთა თანა უბიწოდ“.

განჴდომა გავრცელება: „განჴდა ჰამბავი მისი ქუეყანასა ქართლისასა“.

გარდამოსულა-ჲ გადმოსვლა.

გარემოჲს გარეშემო: „და წარავლინეს გარემოჲს და აუწყეს..“..

გარეშემოდგომა გარეშემორტყმა: „სიმრავლჱ ეშმაკთაჲ... გარე-მოადგეს ნეტარსა იოვანეს“.

გარეშექცევა მობრუნება, უკან დაბრუნება: „გარეშექცა“.

გარნა გარდა, თუ არა.

გასრულება დასრულება.

გება დგომა; ყოფნა: „რომელნი დღეინდელად დღემდე ჰგიან შეურყევლად“; „ჰგიეს ადგილი იგი შეურყევლად“.

გიც შეგიძლია: „ჩუენი არს ადგილი ესე, შენ რაჲ გიც აქა?“.

გრიგოლ-ი აქ: გრიგოლ ღმრთისმეტყველის თხზულებები „პავლჱ გ, გრიგოლი ა, ნინოჲსი ა..“..

გუადრუც-ი ყუთი „შექმნეს სამი გუადრუცი ქვისა“.

გულისჴმისყოფა მიხვედრა, შეტყობა: [ევაგრემ] „გულისჴმაყო, რამეთუ მისთჳს იყო ხილვაჲ დიდისაჲ მის სასწაულისაჲ“.

დ

დათმენა მოთმენა: „დავითმინო ყოველი, რაჲცა ბრძანოს სიწმინდემან შენმან“.

დათხევა-ჲ დაღვრა: „ნაკადულთა მათ ცრემლთა თჳსთა დათხევითა“.

დაკვრება გაკვირვება: „ევაგრის დაუკვრდა მფრინველისაჲ მის გზაჲ“.

დამამტკიცებელ-ი განმამტკიცებელი: „აღმ[მ]ართებელ დაცემულთა, გონებათა დამამტკიცებელ“.

დამართებულად პირისპირ: „დაემკჳდრა დამართებულად ცხოველსა ჯუარსა მცხეთისასა“.

დაემთხუა შეხვედრა: „დაემთხჳნესცა ვინმე და ჰრქუეს..“..

დამტკიცებულ-ი დამდგარი: „უფალი დამტკიცებულ იყო თავსა ზედა მის კიბისასა“.

დას-ი (წმიდათაჲ) ანგელოზთა კრებული.

დასნეულება მუცლითა: „მოუძლურდა და იწყო მოკლებად და დასნეულდა მუცლითა“.

დასხმა (ობ. მრ.) დაწყობა: „მოიხუნეს ძუალნი მეფეთა მათთა და დედათანი და დასხნეს ლუსკუმათა მათ შინა“.

დატევება დატოვება: „[იოვანემ] ესე დავით დაუტევა გარერჩას“; „...დაუტევა მთათა ზედაზადენს“.

დატევება დატოვება: „ვითარ მყოვარ ისხნეს ჴორცნი მისნი, დაუტევეს მცველთა მათ და წარვიდეს“.

დატევება-ჲ დატოვება: „რომელთა მითხრობილად ყოვლისა მის ვერ ძალ-მიც და არცა ყოვლად დატევებაჲ..“.

დაუვსებელ-ი ჩაუქრობელი: „ჰხედვიდეს ნათელსა მას დაუვსებელსა..“.

დაუმტკიცებელ-ი განუმტკიცებელი: „მრავალთა შეაცთუნებდეს დაუმტკიცებელთა სარწმუნოებასა, გონებითა ნაკლულევანთა“.

დაფარვად ცემა დასაფარავად, დასამალავად მიჩნევა: „დაფარვად სცა საქმეჲ ესე“.

დაღაცათუ თუმცაღა.

დაღაცათუ რადგან.

დაღებულ-ი სუსტი: „ევედრებოდა იგი დაღებულითა მით ჴმითა თჳსითა“.

დაღუაწება მოვლა: „მოწაფენი იგი მისნი... განიძრახვიდეს, ვითარ-რაჲ დაიღუაწნენ წმიდანი იგი ჴორცნი მისნი“.

დაყენება გაჩერება: [ბერმა ევაგრე] „მაშინ დააყენა მის თანა“.

დაყენება შეჩერება: „კაცი ვინმე... დააყენა ბერმან და ჰკითხა, თუ: ვინაჲთ მოხუალ?“.

დაყენებულ-ი მიტოვებული, შეწყვეტილი: „დაყენებულ ვართ ჴორცის ჭამისაგან“ – მიტოვებული გვაქვს ხორცის ჭამა.

დაცოხნა დაღეჭვა: „ჴორცთა მოყუასისა ჩუენისა დავსცოხნით“.

დაწერილ-ი დახატული: „ოქროწყლითა დაწერილი ხატი“.

დაჴსნა დაშლა, დარღვევა: „დაჴსნდებოდიან მრავალფერნი საცთურნი მტერისანი“.

დაჴსნილ-ი დაშლილი, მოშვებული: „ასონი იგი მისნი საჴსნილნი მსწრაფლ შეიბრძოლნეს“.

დედა-ჲ ქალი.

დიად-ი ბევრი.

დღენდღელად დღედმდე დღევანდელ დღემდე.

ე

ეგემლევან-ი ეგეთი, მაგნაირი: „დაწუნებულ უჩნდა ადგილი იგი ეგემლევანისა მის კაცისათჳს..“..

ევანგელე სახარება.

ევლოგია-ჲ მოსაკითხი: „მოართუა მას წიგნი და ევლოგიაჲ და კუერთხი წმიდისა სჳმონ მესუეტისა, ანტიოქელისა საკჳრველთმოქმედისაჲ“.

ევლოგია-ჲ მოსაკითხი: [წყაროს წყალი] „რომელთა წარაქუს ევლოგიად ფრიად სარგებელ ეყოფვის“.

ეზო-ჲ ფარდა: „ეზოჲ სტავრაჲსაჲ“; „ეზონი ჯუარისანი“ .

ერთიერთისა ერთმანეთს.

ერ-ი ხალხი.

ერისმთავარ-ი მთავარსარდალი: „შეკრბა მუნ სიმრავლჱ ებისკოპოზთაჲ და მღდელთაჲ და ერისმთავართაჲ“.

ესთენ ესოდენ, ამდენად.

3

ვან-ი სადგომი, მონასტერი.

ვან-ი სამყოფელი, ბინა.

ვიეთ-ი ვინმე: „მხიარულითა პირითა ჰხედვიდა ვიეთმე“.

ვითა-რ როგორ: „ვითარ შედგომილ არიან იოვანეჲს“.

ვინაჲთ საიდან: „დააყენა ბერმან და ჰკითხა, თუ ვინაჲთ მოხუალ“.

ვინ ვინმე: „ვითარცა ვინ ჰქრუა: არა ეგრე“.

ვლტოლა გაქცევა: „ივლტის ყოველი ძალი ბნელისაჲ“.

ზ

ზარის საჴდელ-ი ზარის მომგვრელი: „განაგდეს შიში მისი ზარის საჴდელი“ .

ზატიკ-ი აღდგომის მომდევნო 50-დღიანი ლიტურგიკული პერიოდი: „განაწესეს დღესასწაული მის ნეტარისაჲ ე ზატიკსა“.

ზე ზევით.

ზეაღსრულ-ი ამაღლებული, მაღლამდგომი: „ითხოვდა მისგან წყალობასა, *ზეაღსრულისა* მის კაცისაგან ქუემდებარჱ იგი“.

ზეგარდმო ზეციური.

ზე ზეობა: „მის ზევე აღაშენა წმიდაჲ იგი მონასტერი“.

ზე დროს: „მისავე დედაკაცისა ზე მოვიდეს ბერძენნი და განასხეს ურჩულონი“.

ზე ზეობის დროს: „თათა მამისა იოვანჱს ქუეშე მთასა მას“.

ზენა-სოფელ-ი.

ზენა სოფელ-ი: „მიიყვანეს იგი მისა ზენა სოფელად, სოფელსა, რომელსა რქჳან რეჳი“.

ზეცისა მარგალიტ-ი ქრისტე: „ზეცისა იგი მარგალიტი მასშინა დაამკვდრა და მის მიერ განძლიერდა“.

ზრახვა საუბარი: „ვითარცა ზრახვიდეს, რქუა წმიდამან ებისკოპოზმან ბერსა..“..

თ

თავად-თავად სათითაოდ, თითოეულს: „რაჲ ვის თავად-თავად სასწაულნი უქმნიან“.

თავსდება ტვირთვა: „მან არა თავს-იდვა, რამეთუ ისწრაფდა და ჰსუროდა მარტჳლობაჲ“.

თავსსხმა (ობ. მრ) თავსდება, ტვირთვა: „დიდნი შრომანი თავს-ისხა სანატრელმან ევაგრე“.

თანაწარვლა გვერდის ავლა: „რომელთა შეემთხუევის, ვითარცა ცხოვარი *მშჳდი, თანა წარჰვალს“.*

თანა წარსვლა აცდენა, გვერდის ავლა: „უხილავთა მათ მიმართ მტერთა ბრძოლასა ადგილად თანა წარჰვიდოდა“.

თესლი „არა თავს-იდვა მან ტაბ|ლისაგან სამეუფოჲსაჲ სანოაგეთა გემოჲს-ხილვაჲ, გარნა თესლსა ხოლო“.

თუალ-ი ძვირფასი ქვა.

ი

იადგარ-ი აქ: ნუსხა, სია ჩამონათვალი: „იადგარი წიგნთა ზედა-ზადნელთაჲ“; „იადგარი წიგნთა ჯუარისთაჲ“.

იწროება-ჲ / იწროვება-ჲ გასაჭირი, შეჭირვება: „შეაყენეს საპყრობილესა, იწროებითა მრავლითა“.

კ

კადნიერება-ჲ გაბედვა: „ვის უხილავს იგი მათი იგი კადნიერებაჲ წინაშე უფლისა“.

კადრება გაბედვა: „მფრინველნი ცისანი... ვერ იკადრებენ დაბუდებად მას შინა“.

კათოლიკე საყოველთაო: „რომელ არს ერთი წმიდაჲ კათოლიკე სამოციქულო ეკლესიაჲ“.

კაცად-კაცადი თითოეული: „და წარვიდოდა კაცად-კაცადი ვანად თჳსა“.

კდემა-ჲ სირცხვილი, რიდი: „მრავალი იგი ერი მისსა კდემასა ქუეშე შეაყენნეს“.

კეთილ-ი კარგი.

კეთილად კარგად: „შეხჳს იგი კეთილად“.

კერიონ-ი ცვილის დიდი სანთელი: „ჩამოჲხუნეს...დიდითა პატივითა, კერიონებითა და საცეცხურებითა..“..

კერძო მხარეს: „დასავალით კერძო“.

კიდის-კიდე განცალკევებულად, ცალ-ცალკე: „კიდისკიდე მამათანი და დედათანი ძუალნი სხენან“.

კნინ თითქმის; ცოტაც და: „ესე რაჲ ცნეს ურჩულოთა მათ სპარსთა, ფრიად გუემნეს, კნინ მომცა-ვიდრემე-კლეს ნეტარი იგი“.

კონქ-ი წყლის ჭურჭელი: „კონქი ერთი მცირჱ წყალი დაევასხ“.

კრულ-ი შეკრული, შებორკილი: „იოსებ წარვალს ეგჳპტედ კრული ვითარცა ტყუეჲ“.

კუერთხ-ი ჯოხი: „მოართუა მას წიგნი და ევლოგიაჲ და კუერთხი წმიდისა სჳმიონ მესუეტისა..“..

კჳრიაკე კვირა დღე: „განაწესეს დღესასწაული მის ნეტარისაჲ ე ზატიკსა, დღესა კჳრიაკესა“.

ლ

ლუსკუმა-ჲ მიცვალებულის ჩასასვენებელი ჭურჭელი: „დაჰკრძალეს გუამი მისი ლუსკუმასა შინა“.

მ

მამამძუძე გამზრდელი (მამაკაცი): „და ერთი ლუსკუმაჲ მამამძუძეთაჲ და ძუძოჲსტეთაჲ არს..“..

მამა-ჲ მამაკაცი.

მამფალ-ი მამა უფალი: „გარდაიცვალა კურთხეული და დიდებული მამფალი ადარნერსე ძჱ სტეფანოზისი“.

მანანა-ჲ ციური საკვები, ღვთის მიერ უდაბნოში ებრაელთათვის ჩამოყრილი: „მის მიერ იზრდებოდა, რომელმან იგი ორმეოც წელ მანანაჲთა გამოზარდა ისრაელი“.

მარზაპან-ი სპარსთაგან დანიშნული გამგებელი.

მართებით პირდაპირ: „განვიდეს ველად ნადირობად პირსა მტკურისასა, მართებით მღვმისა ჴევსა მას“.

მართლად ნამდვილად: „ვითარცა მსხუერპლი კეთილი დ[ა] მართლად მსგავს არს ზაქარიაჲსი..“..

მარტოდმყოფება-ჲ მარტოობა, სიმარტოვე: „და ვითარ მრავალნი ჟამნი განვლნა ფიცხელსა მას შინა აგზებულსა საჴუმილსა მარტოდმყოფებისასა..“..

მარტკლ-ი მოწამე, წამებული: „რომელთა თანა აქუნდა ნაწილი – ძუალები მარტკლთაჲ..“..

მარტკლობა-ჲ მოწამეობა.

მასმენელ-ი ძვირის მთქმელი, დამბეზღებელი: „მასმენელი იგი, რომელი ძვირსა იტყოდა მისთჳს, დაამჴუა“.

მასწავლელ-ი მასწავლებელი: „ისწავებდეს თჳსისა მისგან ბოროტად მასწავლელისა ეშმაკისა..“..

მაღალ-ი ღმერთი: „რომელმან ნაყოფნი გამოიხუნა თჳთ თავით თჳსით შეწევნითა მაღლისაჲთა“.

მაღალ-ნ-ი ზეცის სასუფეველი: „ესრჱთ წარიყვანეს სული იგი ნეტარისა იოვანე ზედაზადნელისაჲ გალობითა მაღალთა შინა“.

მაღნარ-ი ხშირი ტყე: „დათვი მაღნარისაჲ“.

მაჭირებელ-ი შემაწუხებელი: „მაჭირებელთა თქუენთა – ჭირ-ი“.

მენელსაცხებლე ნელსაცხებლის დამმზადებელი: „ვითარცა მენელსაცხებლემან აღავსის შივშაგი სურნელითა..“..

მეოტ-ი გაქცეული, ლტოლვილი: „კაცი ვინმე, მეოტი ვეფხთაგან და დათუთა“.

მეოხ-ი დამხმარე შემწე; შუამდგომელი: „და მეოხ არს ჩუენ ცოდვათათჳს“.

მესაკუმევლე: „ნაბუქელი იყო... ... შვილი მესაკუმევლისაჲ“.

მესურნელე იგივე მენელსაცხებლე: „ვითარცა მენელსაცხებლემან აღავსის შივშაგი სურნელითა და ჩადგის იგი ... ... და ჰგონებნ მესურნელმ, ვითარმედ დაფარულად აქუს მას..“..

მეყს მაშინვე, სასწრაფოდ: „...არათუ სხუაჲ რაჲმე ყო, არამედ მეყს დაადგრა მის თანა“.

მთხუევა შეხვედრა, შეყრა: „ემთხჳა მას მოციქული ნეტარისა სჳმონ მესუეტისაჲ“.

მიახლება მიახლოება: „რომელნი მიეახლნიან, ეცემიან სინელსჲ იგი მის საცხებლისაჲ“.

მიზეზ ყოფა მომიზეზება: „მიზეზ ყო ლომისა დევნაჲ“.

მიმოდანერგვა მიმოფენა: „მოწაფენი მისნი მიმოდაენერგეს ქართლს შინა“.

მიმოდება მოყოლა, მითხრობა: „იგი წარვიდა და თჳსსა მას მკურნალსა მიმოსდებდა“.

მიპყრობა მიწოდება: „მიუპყრა მან ევლოგიაჲ იგი და კუერთხი“.

მისაგებელ-ი სამაგიერო: „ხოლო შეძრწუნებულ ვარ სარჩელისა მისისაგან, რომელ საშინელ არს დღჲ იგი მისი, და ვითარცა თქუმულ არს, მართალთათჳს მისაგებელი“.

მისა სახედ მის მსგავსად: „და აწცა მათ ურჩულოთა მისა სახედ ეგულების, რაჲთამცა გადგეს ბადჲ იგი და შეაყენეს კაცნი..“..

მისწრაფება გაჩქარება, მიშურება: „ხოლო მათ მიჲსწრაფეს და არავინ პოვეს“.

მიუთხრობელ-ი (ენით) უთქმელი: „განაგდეს შიში მისი ზარისსაჴდელი და მოუგონებელი და მიუთხრობელი“.

მიქცევა მიბრუნება: „ნეტარი ევაგრე არღარა მიიქცა სახიდ თჳსა“.

მიქცევა მიბრუნება, დაბრუნება: „სიმრავლჲ ერისაჲ... მიიქცეოდეს ტირილით და გლოვით თჳსა ადგილად“.

მიქცევა-ჲ მიბრუნება, აქ: ნასვლა: „ჟამი მიქცევისა ჩემისა მოწევნულ არს“.

მილება წართმევა: „ჲ რაბი, კეთილი მიგუელო ჩუენ ყოველთა“.

მილება აქ: მიყვანა, მიტანა: „ითხოვდა რაჲთა მიიღონ იგი მის ნეტარისა“.

მიწევნა მისვლა: „ვითარცა მიჲწივნეს, იხილეს ხატი“. „ვითარცა მიჲწივნეს სამეუფოსა ქალაქსა მცხეთას, ჰხადოდა იგი დედასა თჳსსა რაქელს“.

მიხედვა პატრონობა, ზედა მხედველობა: „ცეცხლი ჩუენდაცე მონაჲ არს და კერპთა შეურაცხისმყოფელთა ვერ მიჰხედავს“.

მიჴდა მოთხოვნა, ზღვევა: „სიტყუაჲ მიგჴადო წინაშე ქრისტჱსსა“.

მკურნალთმოძღუარ-ი მთავარი მკურნალი: „ შენი არს საქმეჲ ესე, მკურნალთ-მოძღუარო..“..

მმარხველ-ი ბერი, მონაზონი: „იციან მწეცთა პატივისცემით მმარხველთა“.

მოაქამდე აქამდე: „და ლოცვითა მის წმიდისაჲთა მოაქამდე რომელთა შეემთხუევის, ვითარცა ცხოვარი მშჯდი თანა წარჰვალს“.

მოკლება-ჲ დალევნა დასუსტება: „მოუძლურდა და იწყო მოკლებად“.

მოკრება შეკრება: „მოკრბა სიმრავლჱ მღდელთა და დიაკონთაჲ“.

მომადლება მონიჭება: „მოგმადლინ (?) ღმერთმან, რაჲთა აღმოცენებულიცა იგი უჩუენო ცეცხლი“.

მომართება მოსვლა, მოშურება: „... მთასა ამასცა სასწაულითა და ღმრთისა მიერ ჩუენებითა მოემართა“.

მომატყუებელ-ი საბაბი, მიზეზი: „და მომატყუებელ ამისა არს შური..“..

მომგებელ-ი შემძენი: „რომელმან განკაფნის გონებანი მომგებელთა თჳსთანი“.

მოუგონებელ-ი წარმოუდგენლად ძლიერი: „განაგდეს შიში მისი ზარისაჴდელი და მოუგონებელი“.

მოქცევა მობრუნებ (ქრისტეს რჯულზე).

მოქცევა მობრუნება: „ისწრაფდა მისვლად მის წინაშე, რომელმან-იგი მოაცია“.

მოღებულ-ი აღებული, მიღებული: „და რაჲთა არა უნაწილე ყოს მოღებულისა ქრისტჱს მიერ მადლისა..“..

მოღება მიღება: „ვითარ მოიღო ბრძანებაჲ ესე მჴეცმან მან ბერისაგან“.

მოღებულ-ი მოტანილი: „ჩუენდა მოღებული სპეტაკი ვარდი ესე“.

მოშურნე შურიანი: „ჲ მოშურნეო, განეყენე შურსა“.

მოწევნულ-ი მოახლოებული, მოსული: „ჟამი მიქცევისა ჩემისა მოწევნულ არს“.

მოხუმა (ობ. მრ.) მოტანა, მოღება: „მოიხუნეს ძუალნი მეფეთა მათთა და დედათანი“.

მოჴდომა მოსვლა: [ლომნი] „მოუჴდეს და ჰლოშნიდეს ფერჴთა მისთა“.

მოჴდომა მოსვლა, მოწევნა: „ყურსა არა ესმა და გულსა კაცისა ცოდვისასა არა მოჴდა“.

მოჴსენება გახსენება: [იოვანემ] „მოიჴსენა მდიდრისაჲ მის და ლაზარჱს იგავი.

მოჴსენება გახსენება: „ნეტართა მათ მოწაფეთა მისთაჲცა მოვიჴსენოთ მცირედ“.

მრავალ-ი ფერ-ი მრავალნაირი; მრავალგვარი: „მრავლითაფერითა ჭირითა მიჰყვანდა იგი“.

მსწრაფლ სწრაფად, საჩქაროდ: „ჰხედვიდა იგი თავსა თჳსსა, ვითარ მსწრაფლ განიკურნა..“..

მუნქუესვე მაშინვე: „ და მუნქუესვე განვიდა კაცისა მისგან ეშმაკი იგი“.

მფლობელ-ი „მიუგო ბერმან და რქუა: „ვიცი, მამაო მფლობელო, რამეთუ დაშრიტე ცეცხლი იგი მათი“.

მფრინველ-ი ფრინველი.

მფრინველთაგან-ი ფრინველი.

მფუფუნებელ-ი მომფერებელი, მანებივრებელი: „...მფუფუნებელ არს დამაშურალთა და ენატრების მდიდართაგან..“..

მღჳმე გამოქვაბული: „ევაგრე ჩაჯდა მღჳმესა, რაჲთა არა დააცარიელოს ადგილი თჳსისა მოძღურისაჲ“.

მყოვარ დიდხანს, ხანგრძლივად: „ვითარ მყოვარ ისხნეს ჴორცნი მისნი, დაუტევეს მცველთა მათ და წარვიდეს“.

მძლე მომრევი: „კონქი ერთი მცირჱ წყალი დავასხი და მძლე იქმნა და მოკლა..“..

მძრახვალ-ი მოსაუბრე: „ამიერ განსრული და მათ თანა მძრახვალი“.

მწირობა-ჲ უცხოობაში ყოფნა: „ამცნო მოწაფეთა თჳსთა, რაჲთა ჴორცნი მისნი დაჰმარხნენ მასვე ადგილსა, სადაცა მწირობისა ესე ჟამნი აღასრულნა“.

მწყრთა-ჲ იგივე წყრთა, სიგრძის საზომი ერთეული.

მხოლო-ჲ მარტო, ერთადერთი: „რაჲთა განეყენო უნდოსა მას სამსახურებელსა და ღმერთი მხოლოჲ იცნათ“.

მჴსნელ-ი იესო ქრისტე.

ნ

ნაბიჭნევ-ი მცირე ნაწილი, ნამცეცი, იგივე ნაბიჭევი: „მომმადლე მე მცირედ ნაბიჭნევი მადლთა შენთაჲ“.

ნათელ-ი სინათლე.

ნათესავ-ი მოდგმა, შთამომავლობა: „ესე ნეტარი იოვანე იყო ნათესავით ასური“.

ნათობა ნათება: „რაჲთა ჰნათობდეს სასანთლესა, რაჲთა ჰნათობდეს კაცთა“.

ნაკლულევან-ი აზროვნებას მოკლებული, გონებასუსტი: „მრავლითა შეაცთუნებდეს დაუმტკიცებელთა სარწმუნოებასა, გონებითა ნაკლულევანთა“.

ნაშობის-ნაშობი შთამომავალი.

ნაწილ-ი აქ: გვამი, ნეშტი: „აღიხუნეს ნაწილნი წმიდისა აბიბოსისნი... და დაჰკრძალნეს ადგილსა მას“.

ნება ნებება, სურვილი: „რაჲსათჳს მოჰკალ ღმერთი ჩუენი და გინებს, რაჲთამცა შენისა ღმრთისა წარგჳყვანენ?“.

ნებება: „უკუეთუ არა გინებს წარსვლის, და ჩუენ მო-გა-ვიღოთ და უკუ-გაქციოთ“.

ნინოჲსი აქ: წმ. ნინოს ცხოვრების წიგნი.

ნუგეშინისმცემელ-ი ნუგეშისმცემელი.

ო

ოთხთა ბუნებათაგანი ოთხი სტიქია: „არა არს იგი ღმერთ, არამედ ოთხთა ბუნებათაგანისა ერთისა ნივთისა მცირედ ნაწილი“.

ოქროქსოვილ-ი ოქრომკერდით მოქსოვილი: „საკურთხეველის სამოსელი ოქროქსოვილი“.

ოქრონყალ-ი „ოქრონყლითა დაწერილი ხატი“; „სახარებაჲ ოქრონყლისაჲ“.

პ

პავლჱ ახალი აღთქმის წიგნი „პავლენი“.

პატივისპყრობა პატივის მიგება: „პატივ-უპყრობდეს, რომელსა შინა დამკჳდრებულ იყო მამაჲ და ძჱ და სული წმიდაჲ“.

პირის დაყოფა პირის დახურვა: „პირი დაუყო“. პირი დაუკეტა.

პოლოტიკ-ი ფოლადი: „და მცნებაჲ იგი აღჳრ ექმნა მათ პოლოტიკ".

პყრობელობა-ჲ ჭერა, პყრობა: „...რომლისაგან ერთიერთისა პყრობელობა აქუს..“..

რ

რაბ-ი მოძღვარი: „შ რაბი, კეთილ მიგუეღო ჩუენ ყოველთა".

რაჲსა რად, რატომ: „შ განრღუეულო, რაჲსა გიკჳრს..“..

რჩოლა დამორჩილება: „ერჩდი წერილთა და პოვე გამოჴნაჲ".

რჩულ-ი რჯული, სარწმუნოება: „მას შინა აღესრულების რჩული ქრისტესი".

ს

ს-ავ = იმედოვნება, აღიარება: „რამეთუ დაშრიტე ცეცხლი იგი მათი, რომელსა-იგი ესვიდეს ურჩულონი ღმერთად".

საზრდელ-ი საზრდო, საკვები.

საზრდელმოკლებულ-ი საზრდოს უქონელი: „და პირი დაუყო პირველით საზარდელ-მოკლებულთა".

სათნო-ყოფა მოწონება: „მინდა ყოვლითა გულითა, რაჲთა სათნო-ვეყო მას".

საკურთხევლის(ა) სამოსელ-ი საკურთხევლის შესამკობი ნივთები.

სამე სადმე.

სამეუფოჲ ქალაქ-ი სამეფო ქალაქი, დედაქალაქი.

სამოსელ-ი პირველ-ი „მიიღე სამოსელი პირველი და მოვედ ჩემ თანა".

სამოციქულო-ჲ „რომელ არს ერთი წმიდაჲ კათოლიკე სამოციქულო ეკლესიაჲ".

სამსახურებელ-ი მსახურებისათვის განკუთვნილი: „მრავალნი ადგილნი განმზადნის მათისა სამსახურებელისა ცეცხლისანი".

სამსახურებელ-ი სამსახური: „რაჲთა განეყენო უნდოსა მას სამსახურებელსა".

სარკინოზობაჲ არაბობა.

სარჩელი სასჯელი, განაჩენი: „ხოლო შეძრწუნებულ ვარ სარჩელისა მისისაგან..“..

სასწაულ-ი აქ: ნიშანი: „ერთმან ზენა სოფელს აღაშჱნა მონასტერი და დადვა სასწაული ესე, რაჲთა არარაჲ დედალი შევიდეს მას შინა“.

სატანჯველდადებულ-ი.

საფრჴე მახე, ხაფანგი: „რაჲთა განერე მცირედ საფრჴესა მტერისასა“.

საქცეველ-ი (ჯვრის) თვალუწვდენელი: „ფრთენი და ტანი თუალსა თანა საქცეველითა (შდრ. ყანის საქცეველი-ყანის ბოლო).

საყდარ-ი ტახტი (საეპისკოპოსო): „ნეტარი აბიბოზ, ნეკრესელ ქალაქისა ებისკოპოზი... ... უბიწოდ, საყდარი ეპყრა“.

საყდრისმოდგამ-ი თანამოსაყდრე: „... რამეთუ ორთა განწყობათა კრებულსა წმიდათასა წარმოდგა მღდელი საყდრისმოდგამთა თანა..“..

საშინელად აქ: მეტად ძალიან: „იხილეს ხატი ღმრთეებისაჲ ქუე მდგომარჱ, საშინელად ბრწყინვალჱ“.

საჩინო-ჲ გამოჩენილი: „...არამედ მის ზევე აღაშენა წმიდაჲ იგი მონასტერი, რომელი დღეს საჩინო არს..“..

საცეცხურ-ი ღვთისმსახურებაში სახმარი ჭურჭელი, ცეცხლის ჩასაყრელი: „ჩამოჲხუნეს პირველმოწსენებულსა ქუემოსა მონასტერსა, თათაჲს შჱნებულსა, დიდითა პატივითა, კერიონებითა და საცეცხურებითა“.

საცხებელ-ი წასაცხები.

საწამებელ-ი სამოწმო, დასამოწმებელი.

სახელისდება-ჲ სახელწოდება, სახელის დარქმევა.

სახელისდება-ჲ წოდება: „სახელისდებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა ივლტის ყოველი ძალი ბნელისაჲ“.

სახიერება-ჲ სიკეთე: „უმადლოთაცა ზედა აჩუენის სახიერებაჲ მისი“.

სახლ-ი აქ: საგვარეულო: „ამათ ორთა სახლთა რუვისთაველთა და მეწკევნელთა ზედაზადენს მოვიდეს და შექმნეს სამი გუადრუცი“.

საჴმარ-ი საჭირო, მოსახმარი: „პოვა მუნ ჴევი... ნაკლულევანი ყოველთა საჴმართაგან“.

საჴუმილ-ი ცეცხლი; ქურა, ბრძმედი: „და ვითარ მრავალნი ჟამნი განვლნა ფიცხელსა მას შინა აგზებულსა საჴუმილსა მარტოდმყოფებისასა..“..

სივლტოლა-ჲ გაქცევა: „და ყოვლადვე არა იყო მჴეცობრივი ბუნებაჲ და არცა სივლტოლაჲ..“..

სინელე სურნელება, საამო სუნი: „ეცემინ სინელჱ იგი მის საცხებლისაჲ“.

სიტყჳთა მოძღუარ-ი ბრძენი: „გამოჩნდებოდა ესერა სიტყჳთა მოძღუარი უძიროთა ფილაფოზთაებრ ჴელოვნებით..“..

სიძულილ-ი სიძულვილი.

სოფელ-ი ქვეყანა: „ერთმან მათგანმან აღაშჱნა ალავერდი ... ... და მრავალნი კურნებანი განთქუმულ გარემო ყოველსა ამას სოფელსა“.

სოფელ-ი „ევაგრე მთავარი იყო... შუებული სოფელსა თჳსსა შინა ციხედიდს“.

სპეტაკ-ი თეთრი: „ჩემი არს მოწამჱ ესე და არა სხჳსაჲ... ... სპეტაკი ვარდი ესე, ერისა სურნელმყოფელი“.

სრბა-ჲ მსვლელობა, სრბოლა: „რომელმან წმიდაჲ იგი სრბაჲ აღასრულა საქმით“.

სრულება-ჲ შესრულება, დასრულება: „აღთქუმასა მას მჴნელისასა საქმით მოაქუს სრულებაჲ“.

სტავრა-ჲ ძვირფასი ქსოვილი: „ეზოჲ სტავრაჲსაჲ იე“.

სურვიელ-ი მოსურნე: „და სურვიელ იყო ხილვად მისა“.

სურნელმყოფელ-ი სურნელოვნად მქცეველი.

სუფევაჲ მეფობა: „სუფევად განვემზადები“.

სხმა (ობ. მრ.) დება: „ვითარ მყოვარ ისხნეს ჴორცნი მისნი, დაუტევეს მცველთა მათ და წარვიდეს“.

ტ

ტაბლა-ჲ სუფრა: „ვინაჲთგან არა თავს-იდვა მან ტაბლისაგან სამეუფოჲსაჲ სანოაგეთა გემოჲს-ხილვაჲ“.

ტაკუკ-ი წყლის ჭურჭელი: „ყოვლისა ამის მდინარისა მტკურისა ტაკუკისა ერთითა იხილვების გემოჲ“.

უ

უდებყოფა უარყოფა: „მაშინ უდებ-ყვეს სიტყუაჲ იგი ბერისაჲ“.

უკუმოხედვა უკანმოხედვა, უკან ყურება: „ვითარცა მეგობარსა... უკუმოჰხედვიდა“.

უკუქცევა მიბრუნება: „უკუეთუ არა გინებს წარსელის, და ჩუენ მო-გავიღოთ და უკუ-გაქციოთ“.

უმადლო-ჲ უმადური, თუ მადლის არ მქმნელი: „უმადლოთაცა ზედა აჩუენის სახიერებაჲ მისი“.

უნაწილე უნაწილო, უწილო: „...რაჲთა არა უნაწილე ყოს მოღებულისა ქრისტჱს მიერ მადლისა“.

უნდო-ჲ ცუდი, უვარგისი: „რაჲთა განეყენო უნდოსა მას სამსახურებელსა და ღმერთი მხოლოჲ იცნათ“.

უჟეჟთაეს უზეშთაეს, უფრო ზევით: „უჟეჟშთაეს შორის მართალთა დიდისა მისისა სიწმიდისათჳს“.

ურთიერთარს ერთმანეთის: „ტკრთვაჲ ურთიერთარს სიმძიმისაჲ“.

ურჩულო-ჲ ურჯულო: „შესწირვიდა ჴელითა ურჩულოჲს მარზაპნისაჲთა“.

უცხოვება აქ: უცხო ადგილას ყოფნის სურვილი: „თევდოსიოს მრეჴელი... უცხოვებისათჳს წარმოჰყვა იოვანეს“.

უძირო-ჲ ღრმა: „სიყჳთა მოძღუარნი უძიროთა ფილაფოზთაებრ ჴელოვნებით... გამობრწყინვდებოდა“.

უხუებულ-ი უხვი: „...მდიდრად მოღებული უხუებული მოჰმადლა..“..

ფ

ფერად-ფერად-ი ნაირგვარი: „იქმოდეს ფერად-ფერადთა სენთა განკურნებასა“.

ფილაფოზ-ი ფილოსოფოსი, ბრძენი: „გამოჩნდებოდა ესერა სიტყჳთა მოძღუარი უძიროთა ფილაფოზთაებრ ჴელოვნებით“.

ფიცხელ-ი სასტიკი: „გუემულ იყო დღეთა მრავალთა ფიცხლისა მისგან სენისა“; „პოვა მუნ ჴევი, ფრიად ღრმაჲ და ფიცხელი“.

ფრასახ-ი მანძილის საზომი ერთეული: „დაემკჳდრა დამართებულად ცხოველსა ჯუარსა მცხეთისასა განშორებულად ერთი ოდენ ფრასახით“.

ფრთე ჯვრის ფრთა: „ფრთენი და ტანი თუალსა თანა საქცეველითა“.

ფრიად მრავლად.

ფრიად-ი აქ: ბევრი, მრავალი.

ფსალმონება ფსალმუნის გალობა: „და ჩამოიხუნეს ... ... დიდითა პატივითა, კერიონებითა და საცეცხურებითა, ფსალმონებით, ვითარცა არს წესი ქრისტეანთაჲ“.

ფუფუნებულ-ი ნებიერი: „იხილა ჭაბუკი იგი ფუფუნებულად ფრიად“.

ქ

ქვითა განტკნვა ჩაქოლვა: „ქვითა განტკნეს ნეტარი აბიბოზ და მოკუდა.

ქუაბ-ი გამოქვაბული: „ქუაბსა რეჴისასა“.

ქუე ქვევით, ძირს, დაბლა: „ იხილეს ხატი ღმრთეებისაჲ ქუე მდგომარჱ, საშინელად ბრწყინვალჱ“.

ქუემდებარე-ჲ ძირს დაგდებული: „...და ითხოვდა მისგან წყალობასა ზე|აღსრულისა მის კაცისაგან ქუე მდებარჱ იგი“.

ქუენარმავალ-ი აქ: მიწაზე მოსიარულე ყველა ცხოველი.

ქცევა მიბრუნება: „იქცია პირი მისი აღმოსავალით“.

ღ

ღონისმეძიებელ-ი მსურველი, მოწადინე.

ღრეკილ-ი მოღრეცილი: „ღრეკილი, შეკრული ვითარცა რკინითა“.

ღრეკილ-ი მრუდი; მოხრილი, კოჭლი: „ღრეკილნი განრღუეულნი განცოცხლდებოდეს“.

ყ

ყოვლადვე სრულიად მთლიანად, სავსებით: „და არა თავს-იდვა ყოვლადვე იძულებაჲ იგი“.

ყუდროებით მშვიდად, წყნარად: „თავი მოედრიკა და ყუდროებით მორჩილებისა სახესა მას აჩუენებდა“.

შ

შებრძოლება აქ: მომაგრება, მოძლიერება: „ასონი იგი მისნი დაჴნილნი მსწრაფლ შეიბრძოლნეს“.

შემთხუევა შეხვედრა: „რომელთა შეემთხუეოდი კაცთა ამას ზედა; „რომელთა შეემთხუევის, ვითარცა ცხოვარნი მშჯდი, თანა წარჰვალს“.

შენანება მონანიება: „რომელთა არა შეინანეს და განაგდეს შიში მისი“.

შერთუმა მირთმევა: „აღიკიდის შეშაჲ ზურგსა ზედა თჳსსა და შეართუმან ქუაბსა მას შინა.

შესუენება განსვენება, გარდაცვალება: [შიომ] „შეისუენა დიდითა განცხადებულებითა.

შესწავება-ჲ აქ: ნაცნობობა: [აბიბოზსა და სჳმონ მესუეტეს შორის] „კუალად ნიგნითა და მოციქულითა იყო მათ შორის შესწავებაჲ“.

შეურაცხისმყოფელ-ი შეურაცხმყოფელი.

შექონება შეტანა: „აქუნდა ჴუეზაჲ პური პირსა მისსა და შეაქუნდა ჴევისა მას“.

შეყენება შეყვანა, შეგდება: „ნეტარი იგი შეაყენეს საპყრობილესა“.

შეყენება აქ: (ბადეში) შეგდება: „აწცა მათ ურჩულოთა მისა სახედ ეგულების, რაჲთამცა გადგეს ბადჱ იგი და შეაყენეს კაცნი“.

შეძრახება მოლაპარაკება, შეთანხმება: „ნაბუქელი... შეეძრახა ურჰას შინა იოვანეს და გამოჰყვა“.

შეწყალება შებრალება: „იხილა იგი იოვანე და შეეწყალა“.

შჱნებულ-ი აშენებული: „და ჩამოიხუნეს პირველმოწსენებულსა ქუემოსა მონასტერსა, თათაჲს შჱნებულსა“.

შთასხმა (ობ. მრ.) ჩასხმა, ჩაწყობა: „შთაასხნეს იგინი (ჴორცნი) ლუსკუმასა“.

შიჳშაგ-ი ნელსაცხებლის ჭურჭელი.

შოვა შუა, შუაში: „ხოლო ჯერ-არს, რამეთუ მცირედ შოვა ჴსენებაჲ წმიდისა მოწამისაჲ“.

შჯდეულ-ი შვიდი დღე: „ამან სამთა შჯდეულთა პური არა ჭამა.

შუენიერ-ი მშვენიერი: „ამან ნეტარმან იოვანე ზედაზადნელმან ქრისტჱს მიერ ლოცვითა მისითა წყაროჲ გამოადინა შუენიერი“.

შურვება შურიანობა, შურისქონება: „ნუ ეშურვობ, რაჲთა განერე მცირედ საფრჴესა მტერისასა“.

შჯულის დადება: „შჯული დაუდვა მას და ჰრქუა..“..

ჩ

ჩამოხუმა (ობ. მრ.) ჩამოყვანა, ჩამოტანა: „აიხუნეს ჴორცნი იგი ნეტარისა ბერისანი და ჩამოიხუნეს პირველ მოჴენებულსა ქუემოსა მონასტერსა".

ჩენა მიჩნევა: „დაწუნებულ უჩნდა ადგილი იგი"; „აწ მიკჳრს თქუენგან, ვითარ არა სირცხჳლ გიჩის მისი სახელისდებაჲ ღმრთად".

ჩინება მიწვევა: „იჩინა იგი უფალმან ჩუენმან".

ც

ცოდნა ცნობა: „იცოდა იგი წინაჲთვე და სურვიელ იყო ხილვად მისა".

ცხოველ-ი ცოცხალი.

ცხორება-ჲ სიცოცხლე: „ესე ცხორებისა მჴნელ".

ძ

ძალდება შეძლება: „ჩას, რამეთუ სხუაჲცა მრავალი ძალ-ედვა"; „შვილო, ვერ ძალ-გიც ტკრთვად სიცოცხლესა ამის უდაბნოჲსასა"; „სხუათა მათ ყოველთაჲ ვერ ძალ-მიც მოჴსენებად მცირედითა ამით სიტყჳთა".

ძალ-ი სასწაული: „ძალნი და კურნებანი გამოვლენ აქა დღედმდე".

ძელ-ი ცხორებისა-ჲ ცხოვრების ხე: „ძელი ცხორებისაჲ ვეცხლისაჲ"; „სხუაჲ ძელი ცხორებისაჲ არს ალვისაჲ".

ძისწულ-ი შვილიშვილი.

ძნიად ძძიმედ: „მოართუეს მთად ღრეკილი, შეკრული ვითარცა რკინითა და ძნიად განრღუეული".

ძუძოჲსტე ძუძუსმოზიარე, ძიძისშვილი: „და ერთი ლუსკუმაჲ მამამძუძეთაჲ და ძუძოჲსტეთაჲ არს".

ძწოლა ძრწოლა: „ძწის გული ჩემი თავისა ჩემისათჳს".

წ

წარმართება წასვლა: „წარემართა და ვითარცა მეგობარასა... უკუმოჰხედვიდა".

წარტაცება მიტაცება: [აბიბოზ] „მოწამეთა ღუანწლსა მიისწრაფა და ასპარეზი იგი მსწრაფლ წარიტაცა".

წარქონება წაღება: [წყაროს წყალი] „რომელთა წარაქუს ეელოგიად, ფრიად სარგებელ ეყოფვის“.

წერილნ-ი ბიბლია: „ერჩდი წერილთა და პოვე გამოჴსნაჲ“.

წერილ-ი დაწერილი, ნაწერი: „და წერილ იყო ფერჴთა თანა ასურებრითა წერილითა: „ვის-ეგე ჰხედავთ, მან მომაელინა“.

წიალ-ი აქ: კალთა, თავშესაფარი: „და გამობრწყინდა იგი, ვითარცა ცისკარი განთიადისაჲ... ...მის მიერ განავრცნა წიაღნი მისნი, დაეტია ნათელი იგი დიდი“.

წიგნ-ი აქ: წერილი: [აბიბოზსა და სჳმონ მესუეტეს შორის] „კუალად წიგნითა და მოციქულითა იყო მათ შორის შესწავებაჲ“.

წინამძღურება-ჲ წინამძღოლობა: „წინამძღურებითა სულისა წმიდისაჲთა მოივლინა ქართლად“.

წინაჲთვე ადრევე, წინათვე: „მაშინ ეეედრა იგი მტარვალთა მათ, რაჲთა მივიდეს ნეტარისა შიოჲსა მღვმედ, რამეთუ იცოდა იგი წინაჲთვე“.

წინაშემდგომ-ი მსახური: „ნაბუქელი იყო წინაშე ხატსა მაცხოვრისასა მდგომელი“.

წმიდა-ჲ წმინდანი.

წოდება მოწოდება, დაძახება: „იჩინა იგი უფალმან ჩუენმან წინაჲსწარითა ცნობითა მისითა და უწოდა“.

წყლულ-ი დაჭრილი, დაკოდილი: „წყლულ იყუნეს ყოველნი ჴორცნი მისნი“.

ჭ

ჭალაკელ-ი „სამთავნელ ჭალაკელისაჲ“.

ჭალაკ-ი აქ: ტყე: „ჭალაკსა სამთავისისასა“.

ჭირვეულ-ი გაჭირვებული, შეწუხებული: „მაჭირებელთა თქუენთა-ჭირი და თქუენ, ჭირვეულთა-ლხინი“.

ჭირ-ი გაჭირვება: „მრავლითა ჭირითა გიღირს შესვლად სასუფეველსა ღმრთისასა“.

ჭირ-ი გაჭირვება: „სიყუარულსა მისსა ვერ განაშორა იგი რომელმანე ჭირმან ანუ იწროებემან“.

ჭირ-ი გაჭირვება; წუხილი: „მრავლითა ჭირითა, და შეიწროვებულითა ცხორებითა ... დათხევითა განმზადა თავი თჳსი აგარაკად შუენიერად“.

ხ

ხადა მოწოდება, ხმობა, დაძახება: „აღიხილნა თუალნი მისნი ზეცად და ჰხადოდა თჳსსა ნუგეშინისმცემელსა“; „ჰხადოდა იგი დედასა თჳსსა რაქელს“.

ხატისა წერა-ჲ ხატის დახატვა.

ხენეშ-ი ცუდი, უვარგისი: „დაასხა წყალი და ხენეში იგი დაშრიტა“.

ხვალის დღეჲ ხვალის დღე, მეორე დღეს: [ევაგრე] „ხვალის დღჱ კუალად განვიდა ნადირობად“.

ჴ

ჴევ-ი კანტონი, მხარე: „ნეტარი აბიბოზ, ნეკრესელ ქალაქისა ებისკოპოზი, ჴევისა კახეთისაჲ, აღიძრა შურითა საღმრთოჲთა“.

ჴელყოფა ხელის მოკიდება, (საქმის) დაწყება: „ზეგარდამოჲთა შეწევნითა ამას ჴელ-ყო“.

ჴორც-ი გვამი, ნეშტი: „დაჰმარხეს ჴორცნი მისნი მასვე ადგილსა“; „ამცნო მოწაფეთა თჳსთა, რაჲთა ჴორცნი მისნი დაჰმარხნენ მასვე ადგილსა“.

ჴორც-ი გვამი, სხეული: „წყლულ იყვნეს ყოველნი ჴორცნი მისნი“.

ჴუეზა-ჲ პურის ნატეხი: „მფრინველი იხილა, რომელსა აქუნდა ჴუეზაჲ პური პირსა მისსა“.

ჴურელ-ი ხვრელი.

ჴკმირ-ი ერთგვარი ჭურჭელი, პურეულის საწყაო (იმნ.) „ვითარმცა ვინ აღანთო სანთელი და დაფარა იგი ქუეშე ჴკმირისა“.

ბიბლიოგრაფია

ა) წყაროები

აბიბოს ნეკრესელ ებისკოპოსი = *წმიდისა მღდელმოწამისა აბიბოს ნეკრესელ ებისკოპოსისა, რომელი იწამა ცეცხლისმსახურთა მიერ ქართლს. თქუმული არსენ დიდისა კათალიკოსისაჲ*, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I (V–X სს.), დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ, თბილისი, 1963, 240-248.

არსენი საფარელი, განყოფისათჳს = არსენი საფარელი, *განყოფისათჳს ქართველთა და სომეხთა*, ტექსტი კრიტიკულად დაადგინა და კომენტარები დაურთო ზ. ალექსიძემ, თბილისი, 1980.

თეოფანე ბიზანტიელი = თეოფანე ბიზანტიელი, გეორგიკა, *ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ*, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, III, თბილისი, 1936, 252-259.

იოანე ზედაძნელისა = *ამასვე დღესა წმიდისა მამისა ჩუენისა იოვანე ზედაძნელისა*, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV, სვინაქსარული რედაქციები (XI–XVIII სს.), გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ე. გაბიძაშვილმა, თბილისი, 1968, 387-392.

კონსტანტინე პორფიროგენეტი, De administrando imperio = კონსტანტინე პორფიროგენეტი, *De administrando imperio*, გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, IV, ნაკვ. II, თბილისი, 1952, 229-289.

ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა = ლეონტი მროველი, *ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა*, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, თბილისი, 1955, 3-138.

მატიანე ქართლისა = *მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, თბილისი, 1955, 249-317.

მოქალაქობაჲ აბიბოს ნეკრესელ ებისკოპოსისა = *მოქალაქობაჲ და წამებაჲ წმიდისა აბიბოს ნეკრესელ ებისკოპოსისაჲ*, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I (V–X სს.), დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ, თბილისი, 1963, 240-248.

მოქცევაჲ ქართლისაჲ = *მოქცევაჲ ქართლისაჲ*, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I (V–X სს.), დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ, თბილისი, 1963, 81-163.

მოქცევაჲ ქართლისაჲ (სინური რედაქციები) = *მოქცევაჲ ქართლისაჲ* (ახლადაღმოჩენილი სინური რედაქციები), გამოსცა და წინასიტყაობა დაურთო ზ. ალექსიძემ, თბილისი, 2007.

რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა = *ძეგლისწერაჲ წმიდისა და ღმრთივშეკრებულისა კრებისაჲ, რომელი შემოკრბა ბრძანებითა კეთილად მსახურისა და ღმრთივ დაცვულისა მეფისა ჩუენისა დავით აფხაზთა და ქართველთა რანთა და კახთა მეფისასა, პირთათჳს რომელნი ქუეყანისა მოჴსენებულ არიან*, ქართული სამართლის ძეგლები, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები, IX-XV სს, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, III, თბილისი, 1970, 106-127.

სუმბატ დავითის ძე, ცხორებაჲ და უწყებაჲ ბაგრატონიანთა = სუმბატ დავითის ძე, *ცხორებაჲ და უწყებაჲ ბაგრატონიანთა*, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, თბილისი, 1955, 372-386.

შრომაჲ და მოღუაწებაჲ გრიგოლისი არქიმანდრიტისაჲ ხანძთისა = *შრომაჲ და მოღუაწებაჲ გრიგოლისი არქიმანდრიტისაჲ, ხანძთისა და შატბერდისა აღმაშენებელისაჲ*, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I (V–X სს.), დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ, თბილისი, 1963, 248-319.

ცხორებაჲ იოვანე ზედაძნელისაჲ = *ცხორებაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა იოვანე ზედაძნელისაჲ, რომელი ბრძანებითა ღმრთისაჲთა და*

წინამძღურობითა სულისა წმიდისაჲთა მოივლინა ქუეყანით შუამდინარით ქუეყანად ქართლად ათორმეტთა მოწაფეთა მისთა წმიდათა თანა, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I (V–X სს.), დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ, თბილისი, 1963, 191-217.

ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ იოვანე ზედაზნელისა = *ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა იოვანე ზედაზნელისა და მოწაფეთა მისთაჲ, რომელთა განანათლეს ქუეყანაი ესე ჩრდილოეთისა*, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I (V–X სს.), დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ, თბილისი, 1963, 191-217.

ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ ნინოჲსი = *ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ ღირსისა და მოციქულთა სწორისა ნეტარისა ნინოჲსი*, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, III, მეტაფრასული რედაქციები XI-XIII სს., დასაბეჭდად მოამზადეს ი. აბულაძემ, ე. გაბიძაშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაქიძემ, გ. კიკნაძემ, ც. ქურციკიძემ, თბილისი, 1971.

ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ სერაპიონისი = *ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ ღმერთ-შემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისაჲ სერაპიონისი*, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I (V–X სს.), დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ, თბილისი, 1963, 319-347.

ცხორებაჲ შიოჲსი და ევაგრესი = *ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ ღირსისა მამისა ჩუენისა შიოჲსი და ევაგრესი*, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I (V–X სს.), დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ, თბილისი, 1963, 217-229.

წამებაჲ ჰაბოჲსი = *წამებაჲ წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტჱსისა ჰაბოჲსი, რომელი იწამა ქართლს შინა, ქალაქსა ტფილისს, ჴელითა სარკინოზთაჲთა, გამოთქუმული იოვანე ძისა საბანისი ბრძანებითა ქრისტჱს მიერ სამოელ ქართლისა კათალიკოზისაჲთა*, ძველი ქარ-

თული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V–X სს.), დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ, თბილისი, 1963, 46-81.

ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა = ჯუანშერი, *ცხოვრება და მოქალაქობა ვახტანგ გორგასლისა,* ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, თბილისი, 1955, 139-244.

ბ) გამოყენებული ლიტერატურა

აბაშიძე და სხვ. = აბაშიძე ი., შანიძე ა., წერეთელი გ., *შოთა რუსთველი იერუსალიმის ჯვრის მონასტერში,* გაზ. „კომუნისტი", 22. XI. 1960.

აბულაძე, ასურელ მოღვაწეთა ცხოვრება = *ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები,* ტექსტები გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ, თბილისი, 1955.

აბულაძე, ლექსიკონი = ილ. აბულაძე, *ძველი ქართული ენის ლექსიკონი,* თბილისი, 1973.

აბულაძე, ლიტერატურული ურთიერთობები = აბულაძე ილ., *ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX-X საუკუნეებში,* თბილისი, 1944.

აბულაძე, რუსთველოლოგიური ნაშრომები = აბულაძე იუსტ., *რუსთველოლოგიური ნაშრომები,* ი. მეგრელიძის რედაქციით, თბილისი, 1967.

აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I = *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები,* I (V–X სს.), დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ, თბილისი, 1963.

ალექსიძე, აბიბოს ნეკრესელის მარტვილობა = ალექსიძე ზ., *აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის შესწავლის ტექსტოლოგიურ-ქრონოლოგიური საკითხები,* ქრისტიანული კავკასია, I, თბილისი, 2010, 411-426.

ალექსიძე, აბო თბილელის მარტვილობა = ალექსიძე ზ., *აბო თბილელის მარტვილობის თარიღი და მასთან დაკავშირებული ქართლის ერისმთავართა ქრონოლოგია,* ქრისტიანული კავკასია, II, თბილისი, 2011, 93-98.

ალექსიძე, ატენის სიონი = ალექსიძე ზ., *ატენის სიონის სომხური წარწერები*, თბილისი, 1978.

ალექსიძე, გარეჯიდან სინას მთამდე = ალექსიძე ზ., *გარეჯიდან სინას მთამდე, უცნობი მასალა სამონასტრო კომპლექსის შესახებ სინას მთის ქართულ ხელნაწერთა ახალი კოლექციიდან*, ქრისტიანული კავკასია, II, თბილისი, 2011, 57-66.

ალექსიძე, ვინ არის ამასპო დედოფალი = ალექსიძე ზ., *ვინ არის სინას მთაზე აღმოჩენილ „ასურელ მამათა ცხოვრებაში" მოხსენიებული ამასპო დედოფალი?* ქრისტიანული კავკასია, II, თბილისი, 2011, 202-204.

ალექსიძე, ვინ არის „სრულიად აღმშენებელი" = ალექსიძე ზ., *ვინ არის „სრულიად აღმშენებელი" სამშვილდის სიონისა*, ქრისტიანული კავკასია, I, თბილისი, 2010, 332-337.

ალექსიძე, კათალიკოსთა სია = ალექსიძე ზ., *„მოქცევაჲ ქართლისაჲს" კათალიკოსთა სია*, ქრისტიანული კავკასია, II, თბილისი, 2011, 219-223.

ალექსიძე, მანდილიონი და კერამიონი = ალექსიძე ზ., *მანდილიონი და კერამიონი ქართულ მწერლობაში*, Academia, ისტორიულ-ფიოლოგიური ჟურნალი, თბილისი, 2011.

ალექსიძე, „მოქცევაჲ ქართლისაჲ ქრონიკა" = ალექსიძე ზ., *„მოქცევაჲ ქართლისაჲ ქრონიკაში" დაცული ტრადიცია ასურელ მამათა ქართლში მოსვლის დროის შესახებ*, ქრისტიანული კავკასია, II, თბილისი, 2011, 241-250.

ალექსიძე, Sin-50-ის ანდერძ-მინაწერები = ალექსიძე ზ., *სინას მთის წმინდა ეკატერინეს მონასტრის ხელნაწერთა ახალი ქართული კოლექციის Sin-50-ის ანდერძ-მინაწერები*, ქრისტიანული კავკასია, II, თბილისი, 2011, 205-213.

ამიანე მარცელინე, ისტორია = ამიანე მარცელინე, *ისტორია*, გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ალ. გამყრელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, I, თბილისი, 1961, 65-175.

ანდრონიკაშვილი, ნარკვევები = ანდრონიკაშვილი მ., *ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან*, I, თბილისი, 1966.

არაბული, შოთა რუსთაველი = არაბული გ., *შოთა რუსთაველის ბიოგრაფია*, თბილისი, 1992.

ბაგრატიონი, განმარტება პოემა „ვეფხისტყაოსნისა“ = ბაგრატიონი თ., *განმარტება პოემა „ვეფხისტყაოსნისა“*, გ. იმედაშვილის რედაქციით, გამოკვლევითა და საძიებლით, თბილისი, 1960.

ბარნაველი, ატენის სიონის წარწერები = თ. ბარნაველი, *ატენის სიონის წარწერები*, თბილისი, 1957.

ბაქრაძე, თრიალეთისა და ატენის ძეგლები = ა. ბაქრაძე, *თრიალეთისა და ატენის ეპიგრაფიკული ძეგლები როგორც საისტორიო წყარო*, საქართველოს მუზეუმის „მოამბე“, XX-B, 1959, 55-78.

ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი = ბაქრაძე დ., *ისტორია საქართველოსი (უძველესი დროიდან მე-X ს. დასასრულამდე)*, ტფილისი, 1889.

ბოგვერაძე, ქართლის პოლიტიკური = ბოგვერაძე ა., *ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში*, თბილისი, 1979.

ბროსე, საქართველოს ისტორია = ბროსე მ., *საქართველოს ისტორია*, ტფილისი 1895 (ფოტოტიპური გამოცემა), ბათუმი, 1998.

გაბიძაშვილი, ასურელი მოღვაწეები = გაბიძაშვილი ე., *ასურელი მოღვაწეების „ცხოვრებათა“ ე,წ. არქეტიპების ურთიერთმიმართებისათვის*, შრომები, III, ნარკვევები, სამეცნიერო წერილები, საენციკლოპედიო სტატიები, თბილისი, 2011, 83-89.

გაბიძაშვილი, რუის-ურბნისის ძეგლისწერა = გაბიძაშვილი ე., *რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა*, თბილისი, 1978.

გამსახურდია, პიტიახშის ინსტიტუტის საკითხისათვის = გამსახურდია თ., *პიტიახშის ინსტიტუტის საკითხისათვის*, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ორგანო, 6, 1970, 33-48.

გოგებაშვილი, წმიდა გუნდი = გოგებაშვილი ი., *წმიდა გუნდი ცამეტთა კაპადოკიელთა მამათა*, „ჯეჯილი“, 32, 1901, 55-60.

გოილაძე, ასურელ მამათა სამშობლო = გოილაძე ვ., *ასურელ მამათა სამშობლო და საქართველი*, თბილისი, 2002.

გოილაძე, საიდან და როდის მოვიდნენ სირიელი მამები = გოილაძე ვ., *საიდან და როდის მოვიდნენ სირიელი მამები საქართველოში*, „მნათობი“, 5-6, 1992, 192-200.

გოილაძე, სამშვილდის სიონის აშენების დრო = გოილაძე ვ., *სამშვილდის სიონის აშენების დრო: მისი კტიტორების – ვარაზ-ბაკურისა*

და იოვანეს ვინაობის საკითხისათვის, „ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი", 9, 2017.

გოილაძე, ფარნავაზიანთა სახლი = გოილაძე ვ., *ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონოლოგია*, თბილისი, 1990.

გრიგოლია, ქართლის პიტიახშები = გრიგოლია კ., V-VI სს. *ქართლის პიტიახშები და მათი სახელოს საკითხისათვის*, „მნათობი", 4, 1959, 166-174.

დიდი სჯულისკანონი = *დიდი სჯულისკანონი*, გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ, თბილისი, 1975.

დუნდუა, ქართულ-სასანური მონეტები = გ. დუნდუა, *ე.წ. ქართულ-სასანური მონეტების პრობლემა და ადრეფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის საკითხები*, *მაცნე*, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია, 1, 1976, 97-109.

ეპისტოლეთა წიგნი = *ეპისტოლეთა წიგნი*, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარებით გამოსცა ზ. ალექსიძემ, თბილისი, 1968.

ვაჩნაძე, სერაპიონ ზარზმელი = ვაჩნაძე ნ., *სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება როგორც საისტორიო წყარო*, თბილისი, 1975.

ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა = ბატონიშვილი ვახუშტი, *აღწერაჲ სამეფოსა საქართველოსა*, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, IV, თბილისი, 1973.

თაყაიშვილი, სუმბატ დავითის ძის ქრონიკა = *სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ*, გამოცემა მესამე, ტექსტი გამოსცა შესავლით და ორი გენეალოგიური ტაბულით ე. თაყაიშვილმა, თბილისი, 1949.

იმნაიშვილი, ქრესტომათია = იმნაიშვილი ი., *ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია*, I, ნაწ. I, თბილისი, 1970.

ინგოროყვა, რუსთაველიანა = ინგოროყვა პ., *რუსთაველიანა*, შრომები, I, თბილისი, 1963.

ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა = *საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა*, I-II, თელავის მუნიციპალიტეტი, თბილისი, 2015.

კაკაბაძე, არქეტიპები = კაკაბაძე ს., *ასურელ მამათა ცხოვრების არქეტიპები*: საისტორიო კრებული, წიგნი I-ის დამატება, (მოკლე რედაქცია), თბილისი, 1928.

კაკაბაძე, ბოლნისის ტაძრის წარწერები = კაკაბაძე ს., *ბოლნისის ტაძრის წარწერების შესახებ*, „მნათობი", 5, 1985, 152-153.

კაკაბაძე, ძიებანი = კაკაბაძე ს., *ძიებანი საქართველოს IV-VII ს-თა ისტორიიდან*: საისტორიო კრებული, II, თბილისი, 1928.

კახეთი = *კახეთი*, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 5, თბილისი, 1980, 447.

კელენჯერიძე, საქართველოს საკათოლიკო ეკლესია = კელენჯერიძე მ., *საქართველოს საკათოლიკო ეკლესიის მოკლე ისტორია*, ქუთაისი, 1918.

კეკელიძე, ანტიმაზდეისტური პოლემიკა = კეკელიძე კ., *ანტიმაზდეისტური პოლემიკის ფილოსოფიური დასაბუთება ძველ ქართულ მწერლობაში*, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, თბილისი, 1955.

კეკელიძე, აშუშა პიტიახში = კეკელიძე კ., *აშუშა პიტიახშის ბეჭდის წარწერის გაგებისათვის*, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბილისი, 1956, 147-154.

კეკელიძე, ახალი საგალობლები აბო თბილელისა = კეკელიძე კ., *ახალი საგალობლები აბო თბილელისა*, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VI, თბილისი, 1960, 414-417.

კეკელიძე, იოანე ქართველის კალენდარი = კეკელიძე კ., *იოანე ქართველის კალენდარი*, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V, თბილისი, 1957, 242-281.

კეკელიძე, ლიტერატურის ისტორია = კეკელიძე კ., *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*, I, თბილისი, 1980.

კეკელიძე, „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს შედგენილობა = კეკელიძე კ., *„მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს შედგენილობა, წყაროები, ეროვნული ტენდენციები*, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბილისი, 1956, 63-83.

კეკელიძე, რეცენზია ლ. მენაბდის ნაშრომზე = კეკელიძე კ., *რეცენზია ლ. მენაბდის ნაშრომზე „ასურელ მამათა საკითხისათვის"*, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, X, თბილისი, 1968, 176-180.

კეკელიძე, საკითხი სირიელ მოღვაწეთა = კეკელიძე კ., *საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ (კულტურულ ისტორიული პრობლემა).* ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე, VI, 1926; ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბილისი, 1956, 19-50.

კეკელიძე, ფეოდალური ლიტერატურა = კეკელიძე კ., *ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა,* თბილისი, 1935.

კეკელიძე, Житие и подвиги Иоанна Каталикоса =კეკელიძე კ., *Житие и подвиги Иоанна Каталикоса Урhайского.* ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტომი VII, თბილისი, 1961, 102-135.

კეკელიძე, ბარამიძე, ლიტერატურის ისტორია = კეკელიძე კ., ბარამიძე ალ., *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია,* თბილისი, 1987.

კირიონ II, ქართველი ბერ-მონაზვნები = კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II, *ქართველი ბერ-მონაზვნებისა და მონასტრების დამსახურება სამამულო ეკლესიისა და საზოგადოების წინაშე,* „რელიგია", 5-6-7-8, 1998, 10-20.

კურაპალატი = *კურაპალატი,* ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 6, თბილისი, 1983, 78.

ლაპიდარული წარწერები I = *ქართული წარწერების კორპუსი I, ლაპიდარული წარწერები I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-XI სს.),* შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბილისი, 1980.

ლომოური, კონსტანტინე პორფიროგენეტი = ლომოური ნ., *კონსტანტინე პორფიროგენეტის ერთი ცნობის გარკვევისათვის,* თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, 59, 1955, 137-140.

ლორთქიფანიძე, ლეგენდა ბაგრატიონთა შესახებ = ლორთქიფანიძე მ., *ლეგენდა ბაგრატიონთა წარმოშობის შესახებ,* კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბილისი, 1966.

მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი = მაკალათია ს., *მესხეთ-ჯავახეთი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი,* თბილისი, 1938.

მელიქიშვილი, ქართლის სამეფო ისტორიის ქრონოლოგია = მელიქიშვილი გ., *ქართლის [იბერიის] სამეფო ისტორიის ქრონოლოგიის საკითხისათვის,* საქ. მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IV, ნაკვ. I, 1958, 144-170.

მენაბდე, კერები II = ლ. მენაბდე, *ძველი ქართული მწერლობის კერები*, II, თბილისი, 1980.

მერკვილაძე, ასურელ მამათა სადაურობა = მერკვილაძე დ., *ასურელ მამათა სადაურობა (წარმომავლობა)*, „რელიგია", N7-8-9, 1997, 22-32.

მერკვილაძე, ასურელი მამები = მერკვილაძე დ., *ასურელი მამები*, არტანუჯი, 4, 1995, 13-24.

მერკვილაძე, ასურელი მამები: სირიელი მოღვაწენი = მერკვილაძე დ., *ასურელი მამები: VI ს-ის სირიელი მოღვაწენი საქართველოში*, თბილისი, 2006.

მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფია = მუსხელიშვილი დ., *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები*, ნაწ. II, თბილისი, 1980.

მუსხელიშვილი, სამშვილდის სიონის წარწერები = მუსხელიშვილი ლ., *სამშვილდის სიონის წარწერები და აშენების თარიღი*, ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის (ენიმკის) მოამბე, XIII, 1943, 85-106.

ნუცუბიძე, კრიტიკული ნარკვევები = ნუცუბიძე შ., *კრიტიკული ნარკვევები: ფილოსოფია და კულტურა*, თბილისი, 1965.

ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია = ნუცუბიძე შ., *ქართული ფილოსოფიის ისტორია*, I, თბილისი, 1956.

ჟორდანია, *ქრონიკები* = ჟორდანია თ., *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა*, I, ტფილისი, 1892.

რატიანი, ვეფხისტყაოსანი და მისი ავტორი = რატიანი პ., *ვეფხისტყაოსანი და მისი ავტორი*, თბილისი, 1975.

რატიანი, ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობისათვის = რატიანი პ., *ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობისათვის*, თბილისი, 1969.

საქართველოს სამოთხე = *საქართველოს სამოთხე*, სრული აღწერაჲ ღუაწლთა და ვნებათა საქართუმლოს წმიდათა, შეკრებილი ხრონოლოგიურად და გამოცემული პეტერბურლის სასულიერო აკადემიის კანდიდატის ივერიელის გობრონ (მიხაილ) პავლის ძის საბინინის მიერ, პეტერბურლი, 1882.

სიგუა, ევსტათი მცხეთელი = სიგუა ს., *„ევსტათი მცხეთელის მარტვილობა" და აბიბოს ნეკრესელი*, თბილისი, 2001.

სუმბატ დავითის ძე, ცხორებაჲ და უწყებაჲ = სუმბატ დავითის ძე, *ცხორებაჲ და უწყებაჲ ბაგრატონიანთაჲ*, ტექსტი გამოსაცემად მოამ-

ზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. არახამიამ, თბილისი, 1990.

სხირტლაძე, წმიდა შიო მღვიმელის ცხოვრების ადრეული ნუსხა = ზ. სხირტლაძე, *წმიდა შიო მღვიმელის ცხოვრების ადრეული ნუსხა*, თბილისი, 2014.

უძველესი იადგარი = *უძველესი იადგარი*, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს ელ. მეტრეველმა, ც. ჭანკიევმა და ლ. ხევსურიანმა, თბილისი, 1980.

ფერაძე, საქართველოს საეკლესიო ისტორია = ფერაძე ილ., *საქართველოს საეკლესიო ისტორია*, ტფილისი, 1905, 3-4, განყ. II.

ფერაძე, ბერმონაზვნობის დასაწყისი = ფერაძე გრ., *ბერმონაზვნობის დასაწყისი საქართველოში*, თ. ჭუმბურიძის გამოკვლევითა და რედაქციით, თბილისი, 2006.

ფრესკული წარწერები I = *ქართული წარწერების კორპუსი, III, ფრესკული წარწერები I: ატენის სიონი*, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს გ. აბრამიშვილმა და ზ. ალექსიძემ, თბილისი, 1989.

ფურცელაძე, შოთა რუსთაველი = ფურცელაძე ა., *შოთა რუსთაველი და იმისი ცოლი*, თბილისი, 1886.

ქართლის ცხოვრება = *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, თბილისი, 1955.

ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, H კოლექცია, II = *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები, (H) კოლექცია, შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული ლ. ქუთათელაძის მიერ, II, თბილისი, 1951.

ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, H კოლექცია, V = *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები, (H) კოლექცია, შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული ლ. მეფარიშვილის მიერ, ალ. ბარამიძის რედაქციით V, თბილისი, 1949.

ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S კოლექცია, II = *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის*

გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა, II, შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული: ა. ბაქრაძის, თ. ბრეგაძის, ე. მეტრეველისა და მზ. შანიძის მიერ, თბილისი, 1961.

ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A კოლექცია, I_1 = *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა*, I_1, შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, მ. ქავთარიამ და ლ. ქუთათელაძემ, ელ. მეტრეველის რედაქციით, თბილისი, 1973.

ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A კოლექცია, I_2 = *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა*, I_2, შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, ც. კახაბრიშვილმა, თ. მგალობლიშვილმა, მ. ქავთარიამ, ლ. ქუთათელაძემ და ც. ჯღამაიამ, თბილისი, 1976.

ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ათონური კოლექცია = *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ათონური კოლექცია,* შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს ლ. ახობაძემ, რ. გვარამიამ, ნ. გოგუაძემ, მ. დვალმა, მ. დოლაქიძემ, მ. კვაჭაძემ, გ. კიკნაძემ, გ. ნინუამ, ც. ქურციკიძემ, ლ. შათირიშვილმა, მ. შანიძემ, ნ. ჩხიკვაძემ, ნაკვ. I, თბილისი, 1986.

ქართული სამართლის ძეგლები = *ქართული სამართლის ძეგლები,* ტექსტები გამოსცა შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი, I (1963), II (1965), III (1970), IV (1972), V (1974), VI (1977).

ქუთათელაძე, კონსპექტი = ქუთათელაძე ა., *კონსპექტი საქართველოს ისტორიიდან*, I, ტფილისი, 1900.

ყაუხჩიშვილი, ბერძნული წარწერები = ყაუხჩიშვილი თ., *ბერძნული წარწერები საქართველოში*, თბილისი, 1951.

შანიძე, ძველი ქართული ქრესტომათია = შანიძე ა., *ძველი ქართული ქრესტომათია ლექსიკონითურთ*, I, ქრესტომათია, ტფილისი, 1935.

შოშიაშვილი, თორელთა ფეოდალური სახლი = შოშიაშვილი ნ., *თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთველი*, კრებულში: შოთა რუსთაველი, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბილისი, 1966.

შოშიაშვილი, XII-XIV სს. საქართველო = შოშიაშვილი ნ., *XII-XIV სს. საქართველოს სახელმწიფო სამართლის ისტორიისა და რუსთველოლოგიის ზოგიერთი საკითხი,* „ცისკარი", 9, 1965, 114-151.

ჩუბინოვი, ეთნოგრაფიული განხილვა = ჩუბინოვი დ., *ეთნოგრაფიული განხილვა ძველთა და ახალთა კაპადოკიის ან ჭანეთის მკვიდრთა მოსახლეთა,* ტფილისი, 1877.

ჩხარტიშვილი, *ევსტათი მცხეთელი* = ჩხარტიშვილი მ., *მარტვილობაჲ და მოთმინებაჲ წმიდისა ევსტათი მცხეთელისაჲ; ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა სერაპიონ ზარზმელისაჲ,* წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა, თბილისი, 1994.

წერეთელი, მცხეთის ბერძნული წარწერა = წერეთელი გ., *მცხეთის ბერძნული წარწერა ვესპასიანეს ხანისა,* თბილისი, 1958.

ჭილ-ეტრატის იადგარი = *ჭილ-ეტრატის იადგარი,* გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს ა. შანიძემ, ა. მარტიროსოვმა და ა. ჯიშიაშვილმა, თბილისი, 1977.

ხელაია, ჭელიშის ვარიანტი = ხელაია ა., *ჭელიშის ვარიანტი „ქართლის მოქცევისა",* ძველი საქართველო, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, I-II, თბილისი, 1909.

ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია = ხახანაშვილი ალ., *ქართული სიტყვიერების ისტორია,* ტფილისი, 1904.

ხიდაშელი, ქართული ფილოსოფიის ისტორია = ხიდაშელი შ., *ქართული ფილოსოფიის ისტორია,* თბილისი, 1988.

ჯავახიშვილი, ანდრია მოციქული = ჯავახიშვილი ივ., *ანდრია მოციქული და წმ. ნინოს მოღვაწეობა,* მოამბე, V, 1900, 55-70.

ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა = ჯავახიშვილი ივ., *სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბილისი,* 1947.

ჯავახიშვილი, თხზულებანი, I = ჯავახიშვილი ივ., *თხზულებანი თორმეტ ტომად,* I, თბილისი, 1979.

ჯავახიშვილი, თხზულებანი, II = ჯავახიშვილი ივ., *თხზულებანი თორმეტ ტომად,* II, თბილისი, 1983.

ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია = ჯავახიშვილი ივ., *ქართული სამართლის ისტორია,* წიგნი პირველი, თხზულებანი თორმეტ ტომად, VI, თბილისი, 1982.

ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა = ჯავახიშვილი ივ., *ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა,* I, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V-XVIII სს.), თხზულებანი თორმეტ ტომად, VIII, თბილისი, 1977.

ჯავახიშვილი, პალეოგრაფია = ჯავახიშვილი ივ., *ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია,* თხზულებანი თორმეტ ტომად, IX, თბილისი, 1996.

ჯანაშვილი, ისტორიული სურათები = ჯანაშვილი დ., *ისტორიული სურათები,* გორი, 1914.

ჯანაშვილი, საქართველოს საეკლესიო ისტორია = ჯანაშვილი მ., *საქართველოს საეკლესიო ისტორია,* ტფილისი, 1886.

ჯანაშია, კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობები = ჯანაშია ს., *კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობები ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ,* თსუ შრომები, 18, 1941, 69-85.

Bíró, Abo's Georgian Vita = Bíró M., *Abo's Georgian Vita,* Acta Orientalia Academiae Scientiarum Hungaricae, vol. 31, No. 2, 1977, 247-259.

Blake, Catalogue des manuscrits géorgienes = Blake R., *Catalogue des manuscrits géorgienes de la bibliotheque de la laure d'Iviron au mont Athos,* Revue de l'Orient Chrétien, Paris, 1932.

Brosset, Additions et éclaircissements = Brosset M., *Additions et éclaircissements à l'Histoire de la Géorgie depuis l'antiquité jusqu'en 1469 de J.-C.,* St. Peterburg, 1851.

Brosset, Lettres de M. Bartholomaei = Brosset M., *Lettres de M. Bartholomaei relatives aux antiquités géorgiennes: Mélanges Asiatiques,* t. II, livre I, Spb, 1856, 99-102.

Dictionnaire encyclopédique = *Dictionnaire encyclopédique du Christianisme ancien,* 2, 1990.

Djobadze, The Sculptures = Djobadze W., *The Sculptures on the Estern Facad of the Holy Cross of Mtzkhet'a,* Oriens Christianus, B. 44, 1960.

Garitte, Catalogue des manuscrits géorgiens = Garitte G., *Catalogue des manuscrits géorgiens littéraires du Mont Sinaï,* Louvain, 1956.

Garitte, Le Calendrier = Garitte G., *Le Calendrier Palestiono-Géorgien du Sinaiticus 34 (Xe siecle),* Bruxelles, 1958.

The Geography of Ananias of Širak = *The Geography of Ananias of Širak (Ašxarhac'oyc'),* The long and the short recensions, Introduction, translation and Commentary by R. Hewsen, Wisbaden, 1992, 34-75.

Grumel, La Chronologie = Grumel V., *Traité d'études Byzantines, La Chronologie*, Paris, 1958.

Peradse, Die Anfange = *Die Anfange des Mönchtums in Georgien*, von Gr. Gregor Peradse, Zeitschrift für Kirchengeschichte, 47, Helf 1, 1928.

Le Nouveau Manuscrit Géorgien = *Le Nouveau Manuscrit Géorgien Sinaïtique N Sin 50,* Édition en Fac-Similé, Introduction par Z. Aleksidze, traduite du géorgien par J.-P. Mahé, Louvanii, 2001.

Martin-Hizard, Les Treis Saints pères, 1985 = Martin-Hizard B., *Les Treis saints pères syriens. Formation et évolution d'un tradition hagiographique géorgienne (VI^e^-XII^e^ s.),* Revue des études géorgiennes et caucasiennes, vol. 44, n.1, 1985, 141-168.

Martin-Hizard, Les Treis Saints pères, 1986 = Martin-Hizard B., *Les Treize Saint pères syriens. Formation et évolution d'une tradition hagiographique géorgienne (VI^e^-XII^e^ s.),* Revue des études géorgiennes et Caucasiennes, vol. 45, n.2, 1986, 75-111.

Meillet, Esquisse d'une Grammaire = Meillet A., *Esquisse d'une Grammaire comparée de l'arménien classique*, Vienne, 1936.

Takaishvili, Georgian Chronology = Takaishvili E., *Georgian Chronology and the Beginnings of Bagratid Rule in Georgia,* Georgica, 1, 1935, 9-27.

Toumanoff, Iberia between Chosroid = Toumanoff C., *Iberia between Chosroid and Bagratid Rule, Coins of the Princes of Iberia, Excursus B,* Studies in Christian Caucasian History, Georgetown University Press, 1963.

Toumanoff, Iberia on the Eve of the Bagratid Rule = Toumanoff C., *Iberia on the Eve of the Bagratid Rule, An Enquiry into the political History of Eastern Georgia between the VI^th^ and the IX^th^ century,* Le Muséon, 65, 1952, 199-259.

Болотов, Лекции по истории церкви = Болотов В. В., *Лекции по истории древней церкви, III, История церкви в период вселенских соборов*, СПБ, 1913.

Джавахов, К вопросу о времени построения = Джавахов И. А., *К вопросу о времени построения грузинского храма в Атени по вновь обследованным*

этнографическим памятникам, Христианский восток, т. I, вып. III, СПБ., 1912.

Джанашвили, Описание рукописей = Джанашвили М., *Описание рукописей церковного музея духовенства грузинской эпархии,* кн. III, Тф. 1908.

Джанашвили, История грузинской церкви = М. Джанашвили, *История грузинской церкви,* I, Тифлис, 1898.

Житие Св. Григория Хандзийского = *Житие Св. Григория Хандзийского, введение,* издание, перевод, Н. Я. Марра, СПБ, 1911.

Запрудский, Вселенский собор = Запрудский К., *Вселенский собор (Историко-Канонический Этюд),* Москва, 1906, 7-8, 9-24.

Иоселиани, Краткая история = Иоселиани П., *Краткая история грузинской церкви,* СПб, 1843.

Иоселиани, Мардкопский монастырь = Иоселиани П., *Мардкопский монастырь в Грузии,* Закавказский вестник, N3, 1845.

Иоселиани, Шио-мгвимская пустыня = Иоселиани П., *Шио-мгвимская пустыня,* Закавказский вестник, N13, 1845.

Кекелидзе, Литургические памятники = Кекелидзе К., *Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение,* Тифлис, 1908.

Марр, Грузинская поэма «Витязь в барсовой шкуре» = Марр Н. Я., *Грузинская поэма «Витязь в барсовой шкуре» Шоты из Руставa и новая культурно-историческая проблема, Известия А. Н.,* Петроград, 1917.

Такаишвили, Археологические экскурсии = Такаишвили Е., *Археологические экскурсии, разыскания и заметки,* вып. 2, Тифлис, 1905.

Такаишвили, Описание рукописей = Такаишвили Е., *Описание рукописей «Общества распространения грамотности среди грузинскаго населения»,* II, Тифлис, 1906-1912.

Хаханов, Древнейшие пределы = Хаханов А. С., *Древнейшие пределы разселения грузин по Малой Азии,* Тифлис, 1903.

Цагарели, Памятники = Цагарели А., *Памятники Грузинской Старины в Св. Земле и на Синае,* Санкт-Петербург, 1888.

Цагарели, Сведения = Цагарели А., *Сведения о памятниках грузинской письменности,* выпуск II, Санкт-Петербург, 1889.

Чубинашили, Памятники типа Джвари = Чубинашили Н., *Памятники типа Джвари, исследование по истории грузинского искусства,* Тбилиси, 1948.

Աճառեան, Հայոց անձնանունների բառարան = Աճառեան Հ., *Հայոց Անձնանունների բառարան,* III, Երևան, 1946:

Երեմյան, Հայաստան ըստ «Աշխարհացոյց»-ի = Երեմյան Ս., *Հայաստան ըստ «Աշխարհացոյց»-ի (փորձ VII դարի հայկական քարտեզի վերակազմության ժամանակակից քարտեզագրման հիմքի վրա),* Երևան, 1963:

Մովսէսի Կաղանկատուացւոյ Պատմութիւն = *Մովսէսի Կաղանկատուացւոյ Պատմութիւն Աղուանից Աշխարհի,* Թիֆլիս, 1912:

Մուրադյան, Արցախ = Պ. Մուրադյան, *Արցախը վրացական նորահայտ ձեռագրերում,* Գրական թերթ, 24-IV, 1991:

Պատմութիւն նահանգին Սիսական = *Պատմութիւն նահանգին Սիսական, արարեալ Ստեփանոսի Օրբէլեան Արքեպիսկոպոսի Սիւնեաց,* Թիֆլիս, 1910:

Պատմութիւն Սեբէոսի = *Պատմութիւն Սեբէոսի,* աշխատասիրությամբ Գ. Վ. Աբգարրեանի, Երևան, 1979:

Ութմազյան, Սիւնիքը = Ութմազյան Հ., *Սիւնիքը IX-X դարերում,* Երևան, 1958:

გამოკვლევის საძიებელი

პირთა

ა

აბაზ ჰერთა კათალიკოსი 99

აბიბოს / აბიბოზ ნეკრესელი 5, 7, 10, 11, 93, 97, 101, 108, 109, 115, 117-120, 123, 128, 133, 168-187, 189-193, 196, 198, 199, 201

აბო / ჰაბო თბილელი 13, 14, 38, 47-53

აბულაძე ილია 22, 81-83, 91, 96, 97, 107, 108, 116, 129, 169, 172, 174-177, 179, 181-184, 186, 187, 189, 192

აბულაძე იუსტინე 54

აბულეთ თუალოჲს ძე 69

ადარნასე ბრმა 40

ადარნასე, ძისწული ადარნასე ბრმისა 40, 42-44

ადარნასე ვასაკის ძე 41

ადარნერსე არშუშას ძე 9

ადარნერსე / ადარნასე ბაკურის ძე 38, 40

ადარნერსე / ადარნასე ნერსეს ძე 47, 50-53

ადარნერსე / ატრნერსე / ადარნასე მამფალი, სტეფანოზის ძე 16, 36, 37, 41-44

ადარნერსე II 44

ალექსიძე ზაზა 15, 21-23, 29, 47, 54, 66, 78, 102

ამასპო დედოფალი 21, 22, 77

ამაზასპ / ამაზასპან 21

ამასპო, ზანავის მონასტრის აღმშენებელი 21

ამასპრუჰი იხ. ამასპო დედოფალი

ამბროსი ხელაია 23

ამიანე მარცელინე 63

ამირა მუმნი, ძე მაჰდისა 48, 52

ანანია შირაკელი 63

ანდრონიკაშვილი მზია 21, 22

ანტონი მარტომყოფელი, შუამდინარელი 78, 82, 83, 87, 89, 100, 101, 108, 117-119, 197-199

არსენი ბერი 34

არსენი დიდი, არსენი I კათალიკოსი 25, 27, 75, 182-186, 189, 196

არსენი II კათალიკოსი 25, 27, 75, 117, 175, 183-185, 201

არსენი საფარელი 99, 168, 170, 174, 185

არშუშა პიტიახში 15

არშუშა / აშუშან ერისმთავარი 15

არშუშა-ყოფილი იოვანე 9-17

არშუშა იხ. არშუშა-ყოფილი იოვანე

არშუშა, თორნიკე ერისთავის ბიძა 16

არჩილ ერისმთავარი 40

არჩილ მეფე 42, 43, 62

ასიმ ჭიჭნაუმი 62

ასპაგური იხ. ვარაზ-ბაკური

აშოტ ბრმა 41, 42, 46

აშოტ I დიდი, ადარნერსეს ძე, კუ-

რაპალატი 41, 51, 52
აჰარონ ზედაზნის მამასახლისი 30, 107

ბ

ბაბგენ I კათალიკოსი 21
ბაგრატიონი თეიმურაზ 54
ბაგრატიონები / ბაგრატიდები 35, 36, 38-44, 46, 47, 53, 59
ბაბილა კათალიკოსი 24
ბაკურ / ბაქარ მირიანის ძე 65
ბართლომე კათალიკოსი 24
ბასილი II კათალიკოსი 24, 193
ბაქრაძე დიმიტრი 12, 48, 49, 84, 85, 87
ბენი ზედაზნის მამასახლისი 17, 18, 29, 106, 107
ბეშქენ ბაჰლავუნდი 21
ბირო მარგიტ 48, 49
ბროსე მარი 48, 49, 53, 66, 67, 70, 98
ბუღა თურქი 12, 62, 73, 76, 106

გ

გაბრიელ ზედაზნის მამასახლისი 18, 19, 106
გაბრიელ II კათალიკოსი 25
გამსახურდია თამარ 15
გარიტი ჟერარი 12
გიორგი / გეორგი I კათალიკოსი 24
გიორგი / გეორგი II კათალიკოსი 25
გიორგი ზანავის აღმშენებლის ძმა 21
გიორგი ამარტოლი 170
გიორგი მერჩულე 94, 169, 202
გოგებაშვილი იაკობ 84
გოილაძე ვახტანგ 16, 60, 64, 88, 101, 105-107
გრიგოლ ზედაზნის მამასახლისი 18, 19, 106
გრიგოლ განმანათლებელი 34
გრიგოლ II კათალიკოსი 25
გრიგოლ III კათალიკოსი 25
გრიგოლ რევის ჩამომავალი 65
გრიგოლ ხანძთელი 27, 32, 200
გრიგოლია კონსტანტინე 15
გუარამ კურაპალატი 30, 35, 39, 123, 185
გუარამ დიდი, კურაპალატი 35-45, 51, 53, 65, 94, 185, 195, 202
გუარამ ყრმა 185
გუარამავრი, ადარნერსე მამფალის მეუღლე 36, 37

დ

დავითი იხ. დავით გარეჯელი
დავით გარეჯელი 82, 89, 100-105, 107, 113, 115-119, 121, 123, 126, 196-200
დავით I კათალიკოსი 25
დავით წინასწარმეტყველი 40
დანიელ წინასწარმეტყველი 135, 136, 144, 192
დასაბია კათალიკოსი იხ. საბა კათალიკოსი
დაჩი უჟარმელი 44, 45, 65
დებორა დედოფალი 30, 68, 69, 74, 124
დემეტრი / დემეტრე არშუშას ძე 9, 16
დემეტრე, გუარამის ძე 35, 37-39, 44
დემეტრე ვიპატოსი 16
დოდო, დავით გარეჯელის მონაფე 100, 198
დუნდუა გიორგი 36

ე

ევაგრე, შიო მღვიმელის მოწაფე 81, 96, 97, 102, 108, 116, 117, 120, 130, 156-160, 179, 198, 200
ევლალე I კათალიკოსი 24, 26, 95, 97, 98, 103
ევლალე II კათალიკოსი 24,
ევნონ კათალიკოსი 24
ევსუქი კათალიკოსი 25, 27, 28
ეზდერიოზ 20, 76, 77, 90, 91, 100, 113, 115-119, 196, 198-200
ეზდერიოზ სამთავნელი იხ. ეზდერიოზ
ეზდერიოზ ნაბუქელი იხ. ეზდერიოზ
ევსტათი მცხეთელი 39, 86
ელენე დედოფალი, კონსტანტინე დიდის დედა 109
ელია დიაკონი 17-19, 29, 106, 107, 116-119, 131, 138, 140, 143, 157, 161, 166, 198, 199
ელია, ზედაზნის მამასახლისი იხ. ელია დიაკონი
ელია იერუსალიმელი 100, 102-105, 107
ელია, მოწაფე იოვანე ზედაზნელისა, იხ. ელია დიაკონი

ვ

ვათა, მოწაფე იოვანე ზედაზნელისა 113, 114, 118, 119, 196, 198
ვალან, ზედაზნის მამასახლისი 17, 29, 107
ვარაზ 31, 56, 60
ვარაზ-ბაკურ 31, 51, 56, 58, 60-65, 67, 68, 124
ვარაზ-ბაქარი იხ. ვარაზ-ბაკური
ვარაზ გაგელი 59
ვარაზ-გრიგოლი 59, 192
ვარაზ-ჰარან 31, 56, 60
ვასაკ ბაგრატუნი 46
ვაჩნაძე ნათელა 21
ვახტანგ გორგასალი 38-40, 62, 65, 82, 96, 112
ვახუშტი ბატონიშვილი 60, 87, 98
ვაჰმან, ზედაზნის მამასახლისი 18, 19, 106

ზ

ზაქარია, იოვანე ნათლისმცემლის მამა 175
ზაქარია, ზედაზნის მამასახლისი 17-19, 30, 106, 107
ზენონ კეისარი 194
ზენონ, იოვანე ზედაზნელის მოწაფე 113, 118, 119, 196, 198, 199
ზენონ იყალთოელი 100, 119, 199
ზენონ მადალოთელი იხ. ზენონ, იოვანე ზედაზნელის მოწაფე

თ

თაბორ კათალიკოსი 24
თავფაჩაგ I კათალიკოსი 24
თავფაჩაგ II კათალიკოსი 24
თათა / თათე მონაზონი 100, 113, 114, 116-119, 131, 134, 155, 161, 164, 196, 198-200
თათა სტეფანწმინდელი იხ. თათა მონაზონი
თათა სამთებელი, იხ. თათა მონაზონი
თალელე /თალალე კათალიკოსი 25
თაყაიშვილი ექვთიმე 36, 38, 41, 43, 48, 66, 69-71
თეოფანე ბიზანტიელი 35
თევდორე I კათალიკოსი 24
თევდორე, ზედაზნის მამასახლისი 17, 19, 30, 106, 107

თევდორე, ზედაზნის მამასახლისი, მეორე 17, 19, 30, 106, 107
თევდორე მამა 38
თევდოსიოს მრეხელი 20, 76, 77, 90, 91, 113, 118, 119, 196-198, 200, 201
თეკლა მონაზონი იხ. ლატავრი ბაჰლავუნდი 21
თრდატ რევის ძე 61, 64
თრდატ ვარაზ-ბაკურის ძე 64
თუალ, ზედაზნის მამასახლისი 17-19, 29, 106, 107
თუმანოვი კირილ 37

ი

იზიდ-ბოზიდ კათალიკოსი 24
ილარიონ კათალიკოსი 25
იმნაიშვილი ივანე 12
ინგოროყვა პავლე 54
იობ მთავარეპისკოპოსი 61
იოანე დამასკელი 56
იოანე / იოვანე ზედაზნელი 7, 9-11, 17-21, 23, 29, 75-78, 80-83, 86, 88-96, 98-103, 106-108, 110, 112-117, 119-123, 128-132, 134-140, 143, 146, 148-152, 154, 156, 160, 163-166, 169, 171, 175-180, 183, 184, 196-202
იოანე, იოანე ზედაზნელის მონაფე 117, 118
იოანე / იოვანე ზედაზნის მამასახლისი, წინამძღვრობდა 2 წელი 19, 106
იოანე-ზოსიმე 12, 50
იოანე თორნიკ-ყოფილი 16
იოანე კუმურდოელი 12
იოანე მინჩხი 12
იოანე ნათლისმცემელი 35
იოანე საბანის ძე 38, 52, 169
იოანე ქართველი იხ. იოანე-ზოსიმე
იოანე ვარაზ-ბაკურის ძმა 67-68
იოვანე / იოანე ზედაზნის მამასახლისი, წინამძღვრობდა 12 წელი 17, 19, 30 106, 107
იოვანე / იოანე ზედაზნის მამასახლისი (მეოთხე) 17-19, 30, 107
იოვანე მტბევარი 38
იოვანე ურჰაელი 32
იოვანე II კათალიკოსი 24
იოვანე III კათალიკოსი 25
იოველ II კათალიკოსი 24
იონა, ზედაზნის მამასახლისი 17-19, 30, 106, 107
იოსები, ზედაზნის მამასახლისი 17-19, 29, 106, 107
იოსებ, იოვანე ზედაზნელის მონაფე 100, 113, 117-119, 196, 198-200
იოსებ ალავერდელი იხ. იოსებ იოანე ზედაზნელის მონაფე
იოსელიანი პლატონ 99
ისე წილკნელი 82, 93, 100, 115, 117-119, 199, 201
ისიდორე სამთავნელი იხ. ეზდერიოზ
იუსტინიანე / იუსტინიანოს კეისარი 73, 96, 194, 195

კ

კაკაბაძე სარგის 18-20, 60, 88, 101, 106, 107, 176, 183, 189, 190
კელენჯერიძე მელიტონ 87
კეკელიძე კორნელი 13, 15, 27, 32-34, 48-51, 85, 87, 98, 100, 101, 103-105, 107, 168-170, 172, 174, 176, 182-184, 186, 188, 189
კირონ /კჳრიონ I მცხეთელი, ქართლის კათალიკოსი 24, 33, 37, 94, 195, 202, 203

კლემენტოს / კლემენტოზ კათალიკოსი 25, 134, 167
კლიმენტი ალექსანდრიელი 50
კვირიკე მიძნაძორელი 12
კვირიკე / კვირიაკე, ზედაზნის მამასახლისი 17, 30, 107
კირილე / კურილე I კათალიკოსი 25
კირიონ II კათალიკოსი, საძაგლიშვილი 99, 100
კონსტანტინე პორფიროგენეტი 35, 36, 41, 43,
კონსტანტინე აფხაზთა მეფე 70
კონსტანტინე V, ბიზანტიის კეისარი 48, 67, 68, 70, 71, 74

ლ

ლატავრი, მირიან ბაჰლავუნდის მეუღლე 21
ლატავრი სტეფანოზის ასული, ადარნერსე მამფალის და 21, 36, 37, 39, 42, 43, 53
ლატავრი, ადარნასეს ასული (ბაგრატონიანი) 40
ლეონ აფხაზთა მეფე 70
ლეონ III, ბიზანტიის კეისარი 48, 81, 83
ლეონ IV ხაზარი 67, 69-71, 74
ლეონტი მროველი 34, 61-65
ლომოური ნიკო 36, 41
ლუკიანე, დავით გარეჯელის მოწაფე 100, 104

მ

მაკალათია სერგი 54,
მაკარი კათალიკოსი 24, 26, 97
მამა კათალიკოსი 18, 19, 25
მარკიანე კეისარი 81, 83
მარი ნიკო 32
მარტენ-იზარი ბერნადეტი 177, 179, 184, 189, 190
მაქსიმე აღმსარებელი 56
მელიქიშვილი გიორგი 60
მენაბდე ლეო 12
მერკვილაძე დავით 88, 89, 102
მეწკევნელები 30, 54, 55, 57-63, 65, 76, 124
მირდატი, ვარაზ-ბაკურის ძე 64
მირიან ბაჰლავუნდი 21
მირიან მეფე 65, 103, 110
მირიან, რევის ჩამომავალი 65
მისაელ, ზედაზნის მამასახლისი 17-19, 30, 106, 107
მიქაელ III კათალიკოსი 25
მიქაელ, ზედაზნის მამასახლისი 17-20, 30, 106, 107
მიქაელ ულუმბოელი 118, 119, 199
მოსე კალანკატუელი 37
მოსე, სომხეთის კათალიკოსი 47
მოსე წინასწარმეტყველი 140, 141
მურვან ყრუ 62, 76
მუსხელიშვილი დავით 62, 191
მუსხელიშვილი ლევან 15, 67-71, 73

ნ

ნათან / ნათან ძეგველი 113, 117-119, 196, 198
ნანა დედოფალი 109, 110
ნინო განმანათლებელი 10, 11, 30, 33, 34, 81, 84, 96, 109-111, 201
ნერსე არშუშას ძე 9, 16
ნერსე ერისმთავარი 47, 50-53
ნუცუბიძე შალვა 86

ო

ომარ, ზედაზნის მამასახლისი 19, 106

პ

პეეტერსი პაულ 49

პეტრე I კათალიკოსი 24, 111, 112
პეტრე II კათალიკოსი 24
პეტრე III კათალიკოსი 25, 44
პიმენ, იოანე ზედაზნელის მოწაფე 113, 117-120, 196, 198
პიმენ იყალთოელი იხ. პიმენ, იოანე ზედაზნელის მოწაფე
პიროს / პიროს ბრეთელი 117-119, 123, 198, 199
პრობოზ 113, 118, 119, 196, 198, 199
პროკოპი კესარიელი 100, 195

ჟ

ჟორდანია თედო 12, 18-20, 49, 60, 88, 99, 107

რ

რევ მირიანის ძე 65
რუსთაველი / რუსთველი 54-57, 64, 66
რუვისთაველნი 30, 54-58, 60, 61, 64-66, 76, 124

ს

საბა / საბია კათალიკოსი 24, 26, 95
საბინინი მიხეილ 99,
სალომე 109
სამოელ I კათალიკოსი / სამოელ / სამუელ დიდი, ზედაზნის მამასახლისი 17-19, 24, 29, 38, 44, 106, 107, 112
სამოელ / სამოველ II კათალიკოსი 24
სამოელ / სამოველ III კათალიკოსი 24
სამოელ / სამოველ IV კათალიკოსი 24
სამოელ / სამოველ V კათალიკოსი 24
სამოელ / სამოველ VI კათალიკოსი 25
სამოელ / სამოველ VII კათალიკოსი 25
სამოელ / სამოველ VIII კათალიკოსი 26
სანაძე მანანა 24
სარმეან კათალიკოსი 25
საურმაგ II 63
სერაპიონ ზარზმელი 21
სიმეონ მესვეტე უფროსი 98
სიმეონ მესვეტე უმცროსი 97-100, 108, 109
სიმენავრ გუასპურაგნელი 31, 56, 60
სიმონ-პეტრე (სიმონ II) კათალიკოსი 24, 26
სმბატ ბაგრატუნი 46, 47
სოლომოზ / სომლოზ / სომლოზ ქციელი 113, 118, 119, 196
სუმბატ დავითის ძე 16, 36, 38, 40-43, 51, 53, 58, 59
სტეფანე პირველმოწამე 190
სტეფანე ქისიყელი / ხირსელი 118, 119, 123, 199
სტეფანოზ ერისმთავარი, გურგენის ძე 47, 48, 50-53
სტეფანოზ ერისმთავარი, გუარამ დიდის ძე 35-40, 42, 44, 45
სტეფანოზ მამფალი 73
სტეფანოზ II ადარნერსე I-ის ძე 190, 193
სტეფანოზ ორბელიანი 21, 22

უ

უსპენსკი პორფირი 14

ფ

ფარსმან 82, 87, 95-99, 101, 103, 189

ფარსმან, ვარაზ-ბაკურის ძე 64, 65
ფებრონია, ლისის ჯვრის აღმშენებელი 69
ფერაძე გრიგოლ 87, 88, 102
ფერაძე ილია 84
ფეროზ 64
ფილიპე ერისთავი 47, 51-53

ქ

ქარზამ ხუარ ბარზადურ 61
ქურდია, ზანავის აღმშენებელი 21
ქურდიკ, ზედაზნის მამასახლისი, წინამძღვრობდა 9 წელი 17, 30, 107
ქურდიკ, ზედაზნის მამასახლისი, წინამძღვრობდა 10 წელი 17, 30, 107
ქურდის, ზედაზნის მამასახლისი 19, 106

ყ

ყაუხჩიშვილი თინა 12

შ

შანიძე აკაკი 12, 14, 56
შევარდნაძე ედუარდ 126
შიო / შიო მღვიმელი 23, 81-83, 86-89, 96, 97, 99, 100, 102, 107, 108, 113, 116-120, 129, 130, 132, 156-160, 177, 179, 196-200
შიონ / შიო, ზედაზნის მამასახლისი 17, 19, 30, 106, 107
შოთა რუსთაველი 54-57, 66
შოშიაშვილი ნუკრი 54, 55, 67, 69, 71-73
შულცე კ. 49

ჩ

ჩიმაგა / ჩერმაგ კათალიკოსი 24, 26, 95
ჩორდვანელი, თორნიკე ერისთავის ბიძა 16
ჩუბინაშვილი / ჩუბინოვი დავით 83-85
ჩხარტიშვილი მარიამ 39

ჭ

წერეთელი გიორგი 22, 56

ჭ

ჭოროხ, ზედაზნის მამასახლისი 19, 106
ხელაია ამბროსი 23
ხახანაშვილი ალექსანდრე 54, 84
ხევსურიანი ლილი 14
ხიდაშელი შალვა 86, 170
ხოსრო სპარსელთა მეფე 100
ხსართან მღვდელი 38

ჯ

ჯავახიშვილი ივანე 12, 14, 23, 33, 35, 37, 39, 48, 50, 60, 85, 87, 98, 101, 176, 180, 183, 189, 190
ჯანაშვილი მოსე 84, 176
ჯანაშვილი დავით 84
ჯანაშია სიმონ 41
ჯიბღუ ყაენი 59, 192
ჯუანშერ 16, 23, 38-40, 42, 43, 62, 65, 82, 95, 96, 189, 190

ჰ

ჰამასპრუჰი იხ. ამასპო დედოფალი
ჰამასპრუჰი, ბაბგენ I კათალიკოსის ასული 21
ჰერაკლე / ერეკლე კეისარი 40, 59, 192, 193

A
Ananias of Širak 59, 63

B
Bíró Margit 48
Blake Robert 16
Brosset Marie-Felicité 53, 66

D
Djobadze Vakhtang 39

G
Garitte Gérarde 12, 50
Grumel Venance 50

P
Peradse Grigol 88, 102

M
Martin-Hizard Bernadet 177, 184, 191
Meillet Antoine 22

T
Takaishvili Ekvtime 48
Toumanoff Cyril 36, 37, 39

Б
Болотов Василий 33

Д
Джавахов Иван 12
Джанашвили Мосе 84, 176

З
Запрудский К. 33

И
Иоселиани Платон 99

К
Кекелидзе Корнелий 14

М
Марр Николай 54

Т
Такаишвили Эквтиме 48, 67

Х
Хаханов Александр 84

Ц
Цагарели Александр 12-14

Ч
Чубинашили Николай 36, 37, 39, 46

Ա
Աճառեան Հրաչյա 21

Ե
Երեմյան Սուրեն 59, 63, 191

Մ
Մովսէս Կաղանկատուացի 37
Մուրադյան Պարույր 59

Ս
Սեբէոս 46

გეოგრაფიულ სახელთა

ა

აბასთუმანი 72, 73
აბაზგეთი 96, 97
ავაზგია იხ. აბაზგეთი
ალავერდი 113, 116, 120, 178, 200
ალბანეთი 5, 63, 99, 123, 126, 194, 195
ანტიოქია 80-85, 87, 101, 105, 137, 197
ანჩის საეპისკოპოსო 45
ანჩისხატის ეკლესია 45
ართანა 120
არცახი 59
ატენის სიონი 12, 22, 73
აფხაზეთი 51, 52, 62

ბ

ბაბილონი 192, 193
ბაღდადი 59, 193
ბაქო 126
ბერდუჯი 59
ბიზანტია 37, 46, 48, 65, 70, 73, 74, 194, 195
ბოლნისის ჯვარი 60, 72
ბრეთა 113, 123, 198

გ

გარდბანი / გარდაბანი 192
გარერჩა იხ. დავით-გარეჯი
გარეჯი იხ. დავით-გარეჯი
გორი 20
გუასპურაგანი იხ. ვასპურაკანი

დ

დავით-გარეჯი 29, 30, 57, 58, 62, 63, 68, 104, 105, 113, 121-128, 178, 198, 200
დვინი 47, 55, 99, 126, 195, 203

ე

ედესა 76, 82, 90, 100, 102, 196-198
ეკატერინეს მონასტერი, სინას მთა 5, 50, 196

ვ

ვასპურაკანი 61
ვრკანი 46

ზ

ზანავის მონასტერი 21
ზენა-სოფელი 96, 113-117, 178, 181, 198, 200, 213
ზედაზენი 18, 19, 29-31, 58, 60-65, 75, 76, 86, 88, 106, 107, 112-114, 124, 134, 138, 165, 198- 200

თ

თბილისი 45, 59, 192

ი

იბერია 63
იერუსალემი / იერუსალიმი 41, 56, 100, 102-105, 107, 193
იოვანე-წმიდა 29, 30, 123, 128, 223
იოანე ნათლისმცემლის მონასტერი 35, 167
იორი 65

ირანი 46, 47, 126, 194, 195, 201
ისრაელი 140
იულთა 116, 120, 178

კ

კალა 45, 61, 192
კამბეჩოვანი 125, 126
კამბისენე 125
კახეთ-კუხეთი 54, 55, 62-66, 113, 114, 117, 198
კახეთი 55, 59, 61, 62, 63, 65, 81, 83, 115, 116, 120, 123, 126, 180, 181, 187, 191
კუხეთი / კხუეთი 65, 114, 115, 127, 178, 200
კლარჯეთი 40, 43

ლ

ლაგოდეხი 123
ლაზიკა 63
ლისის ჯვარი 69

მ

მადალოთი 113, 120, 198
მანგანის მონასტერი 170
მარიამ-წმიდა 36, 44, 45
მესხეთი 54, 66
მესხეთ-ჯავახეთი 54
მეწ კუენქი 59, 63
მრავალმთა 29, 30, 57, 123
მცხეთა 18, 19, 22, 27, 35, 36, 38, 44-46, 58, 61, 94, 95, 106, 116, 137, 138, 156, 183, 184, 186, 188, 190, 193, 202

ნ

ნეკრესი 115, 123, 170, 181-184, 187, 188

ო

ოვსეთი იხ. ოსეთი
ოსეთი 96, 97

პ

პალესტინა 105

რ

რეხა 20, 76, 77, 91, 187, 198
რუის-ურბნისი 31, 32
რუსთავი 54, 55, 64-66
რუსთავის ციხე 65

ს

საბა-წმიდა 14
საბერძნეთი 95, 111
სამთავისი 20, 76, 91, 113, 115, 116, 198, 201
სამშვილდის სიონი 15, 16, 30, 66-74, 124
საქართველო 10, 12, 15, 18, 20, 29, 33, 34, 37, 45, 47-49, 54-56, 60, 62, 64, 73, 74, 78, 79, 83-89, 91, 93, 94, 98-101, 104, 105, 108, 109, 123, 125, 126, 189, 191, 195-198, 200-203
სივნიეთი 21, 22, 61, 77, 195
სინას მთა 5, 9, 10, 12, 14, 16, 50, 54, 60, 65, 73, 77, 126
სირია 76, 83, 86, 88, 90, 105
სომხეთი 34, 41, 42, 44, 46, 47, 63, 126, 194, 195, 198
სომხითი 40, 61, 99

ტ

ტათევის მონასტერი 21
ტაო 16
ტაო-კლარჯეთი 39, 40, 200
ტფილისი იხ. თბილისი

უ

უჟარმა / უჯარმა / უჯარმო 65, 193

ურჰა 20, 76, 90, 196

ქ

ქართლ-კახეთი 177

ქართლი 5, 7, 9-12, 15, 16, 18, 23, 27, 29, 33, 35-44, 46-48, 50-53, 59-61, 63, 65, 76, 77, 79, 81, 83, 85, 86, 88, 91-115, 121-124, 126, 128, 137, 168, 142, 148, 155, 168, 169, 172, 181-186, 188-195, 197-203

ქცია 198

შ

შოვამდინარეთი იხ. შუამდინარეთი

შუამდინარეთი 80-83, 91, 92, 95, 103, 121, 137, 196, 197

ძ

ძეგვი 113, 198

წ

წალკა 20

წილკანი 115, 117, 198, 199

ჯ

ჯვარი / მცხეთის ჯვარი 16, 18, 29, 30, 31, 33-38, 44-46, 94, 138, 193, 202

ხ

ხიდარი 61, 62

ხირსა 123

ჰ

ჰალისი (მდინარე) 21

ჰალისი სოფელი 21

ჰერეთი 54, 65, 99

ჰიერაპოლისი 76, 90, 196

ტექსტის საძიებელი

პირთა

ა

აბიბოს / აბიბოზ ნეკრესელი ეპისკოპოზი 224, 230, 231, 233, 234
აბო 224
აბრაჰამ მამადმთავარი 219, 227,
ადარნერსე მამფალი, ძმ სტეფანოზისი 224
ადარნერსე ნერსმს ძე 224
ამასპო დედუფალი 214
აჰარონ, ზედაზნის მამასახლისი 222

ბ

ბენი, ზედაზნის მამასახლისი 222

გ

გრიგოლ, ზედაზნის მამასახლისი 222
გუარამავრი 224
გუარამ დიდი 224
გუარამ კურაპალატი 223
გურგენ ერისთავი 223

დ

დავით 213
დანიელ წინაწარმეტყუელი 216
დებორა სამშკლდელ დედუფალი 223
დემეტრი 226

ე

ელია დეაკონი 214-216, 222, 226, 228
ევაგრე 221, 222, 225
ეზდერიოზ 213

ვ

ვათა 213
ვალან, ზედაზნის მამასახლისი 222
ვარაზ 224
ვარაზ-ბაკურ ჴიდარელი 224
ვარაზ-ჰარან 224

ზ

ზაქარია, ზედაზნის მამასახლისი 223
ზაქარია 234
ზენონ 213

თ

თათა 213, 215, 220, 226, 227
თევდორე, ზედაზნის მამასახლისი 222
თევდორე, ზედაზნის მამასახლისი მეორე 222
თევდოსიოს / თევდოსიოს მრევჴელი 213, 214
თუალ, ზედაზნის მამასახლისი 222

ი

იაკობ 227
იოვანე ზედაზადნელი 213-216, 218-220, 222, 224, 225, 227, 228
იოვანე, ზედაზნის მამასახლისი 222
იოვანე, ზედაზნის მამასახლისი მეორე 223
იოვანე, ზედაზნის მამასახლისი 223
იონა, ზედაზნის მამასახლისი 222
იოსებ 213
იოსებ 231
იოსებ, ზედაზნის მამასახლისი 222

კ

კლემენტოზ კათალიკოზი 229
კ(კრიკ)ე, ზედაზნის მამასახლისი 223

ლ

ლაზარე 218
ლატავრი ასული სტეფანოზისი 224

მ

მეწკევნელნი 223
მისაელ, ზედაზნის მამასახლისი 223
მიქაელ, ზედაზნის მამასახლისი 223
მოსე ამირა 224

ნ

ნათან 213

პ

პავლე მოციქული 218
პიმენ 213
პრობოზ 213

რ

რუვისთაველნი 223

ს

სამოელ, ზედაზადნელი მამასახლისი 222
სიმენავრი გუასპურაგნელი 224
სომლოზ 213
სტეფანოზ 224
სტეფანოზ გურგენის ძე 224
სჳმიონ მესუეტე ანტიოქელი 232

ფ

ფილიპე 224

ქ

ქურდიკ, ზედაზნის მამასახლისი 222
ქურდიკ, ზედაზნის მამასახლისი, მეორე 222

შ

შიო 213, 220, 221, 224, 225, 232
შიონ, ზედაზნის მამასახლისი 223

გეოგრაფიულ სახელთა

ა
ალავერდი 213
ასურეთი 213, 214

ბ
ბაბილონ 231, 232
ბრეთი 213

გ
გარერჩა 213, 223, 224
ეგვპტე 232

ზ
ზედაზადენი 213, 223, 228
ზენა-სოფელი 213, 224, 231, 233

ი
იოვანე-წმიდა 223
ისრაელი 221
იულთა 224
იყალთო 213

კ
კახეთი 231
კხუვეთი 224

მ
მადალოთ 213
მარიამ-წმიდა 224
მრავალმთა 223
მტკუარი 220, 221
მღვმე 213
მცხეთა 214, 220, 232

რ
რევი 213, 233

ს
სამთავისი 213
სამშვლდე 223
სივნიეთი 213

ტ
ტფილისი 224

უ
ურჰა 213
უფრეთი 234

ქ
ქართლი 213-215, 218, 220, 231
ქცია 213

შ
შოვამდინარეთი 213, 214

ც
ციხედიდი 221

ძ
ძეგოს 213

ჯ
ჯუარი 223

სარჩევი

წინათქმა 5
კრებული N/SIN.GEO-50 7
N/SIN.GEO-50-ში ჩართული ისტორიული ცნობები 29
„საქმენი წმიდისა იოვანე ზედაზადნელისანის“ სინური რედაქციის ტექსტოლოგიურ-წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობა 75
ასურელ მამათა ვინაობა 79
ასურელ მამათა ქართლში მოსვლის დრო 95
ასურელ მამათა რიცხვი, სახელები და მათი მოღვაწეობის ადგილები 113
სინური ხელნაწერი დავით-გარეჯის შესახებ 121
„საქმენი წმიდისა იოვანე ზედაზადნელისანი“ რედაქციათა შედარება 128
„აბიბოს ნეკრესელის მარტვილობა“
რედაქციები 168
„აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის“ ავტორი 182
როდის არის დაწერილი „აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის“ არქეტიპი?! 189
ასურელ მამათა ღვაწლი 194

ტექსტები

საქმენი წმიდისა იოვანე ზედაზადნელისანი,
რომელი მოვიდა შოვამდინარითა ასურეთისადთა
შემდგომად ქართლის მოქცევითგან მეორასესა
წელსა, იგი და მოწაფენი მისნი 213

ცხორებაჲ და წამებაჲ წმიდისა აბიბოზ ნეკრესელ ქალაქისა
ეგისკოპოზისაჲ 230

ლექსიკონი 237

ბიბლიოგრაფია 259

გამოკვლევის საძიებელი

პირთა 276

გეოგრაფიულ სახელთა 284

ტექსტების საძიებელი

პირთა 287

გეოგრაფიულ სახელთა 289